პოლიტიკური კულტურის შედარებითი ანალიზი

ნაშრომში განხილულია პოლიტიკური კულტურის თეორიული პრობლემები: ცნება, სტრუქტურა, ფუნქციები. დიდი ადგილი აქვს დათმობილი გ. ალმონდისა და ს. ვერბას სამოქალაქო კულტურის კონცეფციას. შესწავლილია ტოტალიტარული, აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ინტეგრირებული და ფრაგმეტარული, საბაზრო და ეტატისტური, პოლიტიკური სუბკულტურების ტიპები, მსოფლიო პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბების პერსპექტივები.

მესამე თავში კომპარატიული ანალიზის საფუძველზე გაანალიზებულია აშშ–ის, ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის პოლიტიკური კულტურის განვითარების დინამიკა და ეროვნული თავისებურებები.

მეოთხე თავი ეთმობა საქართველოს პოლიტიკური კულტურას: ალმონდისა და ვერბას მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, დიფერენცირებულადაა განხილული პატრიარქალური, ქვეშევრდომული, მონაწილეობითი კულტურის ელემენტები ქართულ რეალობაში. საქართველოს პოლიტიკური კულტურაში ჭარბობს ქვეშევრდომული კულტურის ორიენტაციები (რომლებიც ტოტალიტარული მემკვიდრეობის, მ. სააკაშვილის ავტორიტარულ–ავტოკრატიული მმართველობის, ქურდული მენტალიტეტის ფართო გავრცელების, „ქართველების კონტრასტული ხასიათის“ და სხვა ფაქტორებითაა განპირობებული), დიდია ქარიზმული ლიდერის რწმენა, განუვითარებელია სახელმწიფოებრივი აზროვნების კულტურა, სუსტია პლურალისტული და პარტიული დემოკრატია, ჩამოყალიბების პროცესშია დემოკრატიული „პოლიტიკური თამაშის წესები,“ რომლებშიც სამართლებრივი სივრციდან გასვლის და ძალადობისაკენ მიდრეკილების ორიენტაციები დომინირებენ.

საქართველოს პოლიტიკურ კულტურაში დასავლური ლიბერალური დემოკრატიის ელემენტებია: რელიგიური და ეთნიკური ტოლერანტობის ხაგრძლივი ტრადიცია, განათლებისა და კულტურის მაღალი დონე, კულტურის დასავლური ხასიათი, ახალგაზრდობის პოლიტიკური კულტურა და ლიბერალური ღირებულებები (რომლებიც დასტურდება სოციოლოგიური კვლევის მასალებით), ხელისუფლების მშვიდობიანი მონაცვლეობის მზარდი სამოქალაქო კულტურა, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რომლებიც, ჩვენი აზრით, იძლევიან დემოკრატიის „უჩვეულო ადგილას“ აშენების პერსპექტივას.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს პოლიტიკური მეცნიერების მიმართულების ბაკალავრებს, მაგისტრებს და პოლიტიკური კულტურის პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

რედაქტორი: **გურამ აბესაძე,** პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

რეცენზენტები: **თამარ კიკნაძე,** პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

ვახტანგ მაისაია, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

სარჩევი

შესავალი---------- 3–6

თავი პირველი. პოლიტიკური კულტურის ცნება, სტრუქტურა, ფუნქციები--6–24

§ 1. პრობლემის ისტორიული ასპექტი----------6–8

§ 2. პოლიტიკური კულტურის მეცნიერული კონცეფციის ჩამოყალიბება----8–16.

§ 3.პოლიტიკური კულტურის სტრუქტურა----------16–22

§ 4. პოლიტიკური კულტურის ფუნქციები----------22–24

თავი მეორე. პოლიტიკური კულტურის ტიპები----------24–76

§ 1.საკითხის აქტუალობა და ზოგადი მიმოხილვა----------24–26

§ 2. მრევლის, ქვეშევრდომის, მონაწილის კულტურის ტიპები გ. ალმონდისა და ს. ვერბას კონცეფციაში----------26–28

§ 3. სამოქალაქო კულტურის ტიპი გ. ალმონდისა და ს. ვერბას კონცეფციის მიხედვით----------28–40

§ 4. კონსენსუალური, „შემთანხმებლური“ პოლიტიკური კულტურა----------40–45

§ 5. ტოტალიტარულ-მობილიზაციური პოლიტიკური კულტურა----------45–57

§ 6. აღმოსავლეთის და დასავლეთის პოლიტიკური კულტურის

თავისებურებები----------57–62

§ 7. ინტეგრირებული და ფრაგმენტარული, საბაზრო და ეტატისტური

პოლიტიკური კულტურა----------62–64

§ 8.პოლიტიკური სუბკულტურა: ბელგიის სამოქალაქო კულტურა, როგორც სუბკულტურების მშვიდობიანი თანაარსებობის მაგალითი ---------- 64-71

§ 9. მსოფლიო პოლიტიკური კულტურის იდეალური მოდელი თუ გლობალური ელიტური კულტურის ტიპი?–----------71–76

თავი მესამე. პოლიტიკური კულტურის ეროვნული თავისებურებები---------76–84

თავი მეოთხე. თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური კულტურა----------84–119

§ 1. ქვეშევრდომული ორიენტაციები პოლიტიკურ კულტურაში----------87–94

§ 2. პატრიარქალურ- ქურდული კულტურის ელემენტები პოლიტიკურ კულტურაში----------94–96

§ 3. სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და სამართლებრივი კულტურის ელემენტები პოლიტიკურ კულტურაში---------- 96–103

§ 4. ქარიზმული ლიდერის რწმენის ისტორიული და თანამედროვე ტრადიციები პოლიტიკურ კულტურაში----------103–107

§ 5. ხელისუფლებისა და ოპოზიციის თანაარსებობის კულტურა- პლურალისტული დემოკრატიის პრობლემები თანამედროვე საქართველოში----------107–112

§ 6. პარტიული დემოკრატიის კულტურა საქართველოში----------112–114

§ 7. ტოლერანტობა ქართულ კულტურაში----------114–117

§ 8. აქტიური, მონაწილეობითი სამოქალაქო კულტურის ელემენტების

დამკვიდრება----------117–120

დასკვნა----------119–130

რეზიუმე----------130–131

გამოყენებული ლიტერატურა----------131–134

შესავალი

პოლიტიკური კულტურა პოლიტიკისა და კულტურის ინტეგრირებული გამოხატულებაა, რომელიც ვლინდება საზოგადოების პოლიტიკურ აქტიურობაში არჩევნების, რეფერენდუმების, ხელისუფლებაზე ზეწოლის, მხარდაჭერის პროცესში და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყანაში დამკვიდრებულ „პოლიტიკური თამაშის წესებს“ და საზოგადოების პოლიტიკური ქცევის მოდელს; კონკრეტული ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური, ეროვნული, რელიგიური, კულტურული, გეოპოლიტიკური, ისტორიულ განვითარება მნიშვნელოვან თავისებურებებს განაპირობებს პოლიტიკურ კულტურაში.

პოლიტიკური კულტურა სულიერი კულტურის ნაწილია და საზოგადოებრივი ცხოვრების რთულ ფენომენია. იგი პოლიტიკური სისტემასთან და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული ორიენტაციების, განწყობების, მოლოდინების, პოლიტიკური გამოცდილების, ცნობიერი და არაცნობიერი ქცევების გამოხატულებაა და პოლიტიკური სისტემის განმსაზღვრელ ელემენტს წარმოადგენს.

პოლიტიკური კულტურის განვითარების დონე განსაზღვრავს პოლიტიკური კულტურის ტიპს, რომელიც თავის მხრივ მნიშვნელოვანწილად განაპირობებს დემოკრატიის ხარისხს; ამ ჭეშმარიტებას ორმოცდაათი წლის წინ პირველებმა ხაზი გაუსვეს გ.ალმონდმა და ს.ვერბამ თავიანთ მთავარ ნაშრომში „სამოქალაქო კულტურა.“; ისინი პოლიტიკური კულტურის განუვითარებლობას უკავშირებდნენ დასავლური დემოკრატიების წარუმატებელ „ტრანსაპლანტაციას“ არადასავლური ცივილიზაციების ქვეყნებში; იგივე თვალსაზრისია განვითარებული „შედარებითი პოლიტიკის“ გამოკვლევაში, რომელიც ორმოცი წლის შემდეგ გამოიცა გ. ალმონდის, ჯ. პაუელის, კ. სტრომის, რ. დალტონის თანაავტორობით.[1]

ამერიკული პოლიტიკური სკოლის წარმომადგენელი ს. კოენი წერს „ არც ერთი პოლიტიკური სისტემა არც ერთ ქვეყანაში არ იქნება სტაბილური, თუ იგი არ დაბადებულა იმ ქვეყანაში, როგორც საკუთარი პოლიტიკური კულტურის განვითარების შედეგი“.[2]

ნებისმიერი კონსტიტუცია განსხვავებულად ფუნქციონირებს სხვადასხვა ქვეყანაში და ამის დადასტურებაა ლათინური ამერიკის, აზიის, აფრიკის და

---

[1] Алмонд Г. Пауэлл Дж. Стром К. Далтон Р. Сравнителъная политологиа сегодня: Мировой обзор. М. 2002. с.200.

[2] ა. ტუკვაძე რ. ტუკვაძე. პოლიტიკური კულტურის ტიპები (შედარებითი ანალიზი). თბ; 2007 გვ 4.

ბოლოს პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკური ისტორია და მათ შორის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია გარდამავალი პრიოდის საქართველო, სადაც „ამერიკული ტიპის“ 1995 წლის და „ფრანგული მოდელის“ 2004 წლის კონსტიტუციებმა არ მოგვიტანა ამერიკული და ფრანგული დემოკრატია; სამაგიეროდ მივიღეთ არნახული რაოდენობის საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც ძირითადად აღმასრულებელი ხელისუფლების, პრეზიდენტის უფლებების გაფართოებას ისახავდა მიზნად და არაფერი ჰქონდა საერთო დეკლალირებულ „ჩვენთვის მისაღები მმართველობის ფორმის“ ძიებასთან; ამერიკულმა კონსტიტუციამ მხოლოდ აშშ-ი გაამართლა, რადგანაც იგი მათი პოლიტიკური კულტურის და პოლიტიკური პროცესის განვითარების შედეგი იყო, მაგრამ პესიმისტური დასკვნის გაკეთება, საერთოდ მიუღებელია, თუნდაც იაპონური, სამხრეთ კორეული გამოცდილების ფონზე, რომლებიც წარმოადგენენ წარმატებული ვესტერნიზაციის მაგალითს.

შევეცადეთ ნაშრომში დაგვესაბუთებინა ჰიპოთეზა საქართველოს პოლიტიკურ კულტურაში დემოკრატიული, დასავლური ელემენტების ანალიზის საფუძველზე, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ღირებულებები, ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობის ისტორიული ტრადიცია, ეროვნული პოტენციალი, რომელიც განათლებასა და კულტურაში პოულობს გამოხატულებას, იძლევა ოპტიმისტური დასკვნის გაკეთების საშუალებას: შესაძლებელია ისრაელის და ინდოეთის მსგავსად ავაშენოდ დემოკრატია ს. მაგშტადტის სიტყვებით, რომ ვთქვათ „უჩვეულო ადგილას“[3]. თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, გლობალიზაციის ეპოქაში რევოლუციური ტემპებით იზრდება სახელმწიფოებს, ხალხებს, საზოგადოებებს შორის ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური კავშირების ინტენსივობა, რაც საბოლოო ჯამში აძლირებს უნივერსალური დემოკრატიული კულტურის ელემენტებს ცალკეული ერების პოლიტიკური კულტურაში და საბოლოო ჯამში ადრე თუ გვიან, განსხვავებული ინტენსივობით განაპირობებს ლიბერალური დემოკრატიის გამარჯვებას გლობალური მასშტაბით; ამის კონტურები უკვე ჩანს, როდესაც განვიხილავთ მსოფლიო პოლიტიკური კულტურის იდეალურ მოდელს.

ზემოთთქმული, კიდევ ერთხელ ადასტურებს პოლიტიკური კულტურის კვლევის აქტუალობას, რამეთუ მასზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ევროინტეგრაციისა და ასოცირების ხელშეკრულების წარმატებული

[3] თომას მაგშტადტი. გავიგოთ პოლიტიკა. თბ 2010 გვ 199.

განხორციელების პერსპექტივები და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში.

ნაშრომში განვიხილავთ პოლიტიკური კულტურის განსაზღვრებებს, რომლის სიმრავლესა და მრავალფეროვნებას განაპირობებს განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომები, ეროვნული თავისებურებები, კულტურული ცვლილებების დინამიკა და ასევე მკვლევარების მიდრეკილება ორიგინალური ცნების ჩამოყალიბებისკენ.

დიდი ადგილი დავუთმეთ გ. ალმონდისა და ს. ვერბას სამოქალაქო კულტურის განხილვას, რადგანაც, ჯერ ერთი, მათ მიერ დამკვიდრებული კვლევის მეთოდი საყოველთაოდაა აღიარებული, იზიარებს მრავალი მეცნიერი და კლასიკურ კონცეფციად იქცა; მეორე, მიგვაჩნია, რომ პატრიარქალური, ქვეშევრდომული, მონაწილეობითი ორიენტაციების მიხედვით პოლიტიკური კულტურის კვლევა წარმატებულად შეიძლება გამოყენებული იქნას ქართულ სინამდვილეში; მესამე, სამოქალაქო კულტურის და დემოკრატიის სტაბილურობის ურთიერთმიმართების ასპექტების შესწავლა, პოლიტიკური კულტურის პარამეტრების ანალიზი დაგვეხმარება ამ მიმართულებით სწორი ორიენტირები დავსახოთ.

პოლიტიკური კულტურა არ ისწავლება საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მასზე დიდ გავლენას ახდენს მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, ოჯახი, თანატოლები, სამუშაო, რელიგია, პარტიები, მასმედია და სხვა ფაქტორები და, ასევე, მართალია, სამოქალაქო კულტურა მოითხოვს განათლების მაღალ დონეს და მრევლის (პატრიარქალური, პროვინციული) კულტურის მატარებლები უწიგნური ადამიანებია, რომლებსაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ პოლიტიკურ სისტემაზე, მაგრამ ქართულ სინამდვილეში, როგორც კვლევები გვიჩვენებს, ალმონდისა და ვერბას ეს დებულება არ დასტურდება.

დიდი ადგილი ეთმობა პოლიტიკური კულტურის ტიპების განხილვას: სამოქალაქო, ტოტალიტარული, ავტორიტარული, ფრაგმეტარული და ერთგვაროვანი, საბაზრო და ეტატისტური, აღმოსავლეთის და დასავლეთის, პოლიტიკური სუბკულტურების, მსოფლიო პოლიტიკური კულტურის იდეალური მოდელების შესწავლას; მთლიანობაში აღებული, ისინი იდეალიზირებული მოდელებია, რომლებიც შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ზოგადი მახასიათებლების საფუძველზეა კონსტრუირებული; მათ შესწავლას პრაგმატული მნიშვნელობა აქვს: ტოტალიტარული მემკვიდრეობა კვლავ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩვენს რეალობაში, მეორე მხრივ, ავტორიტარული კულტურის ელემენტებს თანამედროვე პოლიტიკური

განვითარების დინამიკაც წარმოშობს; ასევე, ბუნებრივია, საქართველოს პოლიტიკური კულტურა გარკვეული აზრით უახლოვდება პოლიტიკური კულტურის რომელიმე მოდელს.

პოლიტიკური კულტურაში მნიშვნელოვანი თავისებურებები განპირობებულია ეროვნული განვითარების სპეციფიკით; მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ იმდენი პოლიტიკური კულტურაა მსოფლიოში, რამდენი ერი და სახელმწიფო არსებობს; ნაშრომში გაანალიზებულია სამოქალაქო კულტურის კლასიკური მოდელები აშშ-ის, ბრიტანეთის მაგალითზე, ასევე, განვიხილეთ გერმანია, როგორც ტოტალიტარიზმისა და ავტორიტარიზმის დაძლევის წარმატებული პრეცედენტი.

ცალკეული ქვეყნების პოლიტიკური კულტურა შესწავლილია პოლიტიკურ ინსტიტუტებთან მიმართებაში: პოლიტიკური სისტემით, საკუთარი სახელმწიფოთი და კონსტიტუციით სიამაყის გრძნობა, კანონის უზენაესობის აღქმა, პოლიტიკური პლურალიზმის და ტოლერანტობის კულტურა, რელიგიური, ეთნიკური და სხვა უმცირესობების უფლებების დაცვა, ინდივიდუალიზმის, თავისუფლების, თანასწორობის კულტურა, სამართლებრივი და პოლიტიკური კულტურის თანაფარდობა და სხვა.

საქართველოს პოლიტიკური კულტურის შესწავლას ცენტრალური ადგილი ეთმობა წინამდებარე ნაშრომში; კვლევის პროცესში ვეყრდნობით გ. ალმონდისა და ს. ვერბას მეთოდოლოგიას და შევეცადეთ ცალკეული სეგმენტების მიხედვით მრევლის (პატრიარქალური, პროვინციული, ადგილობრივი), ქვეშევრდომის (მორჩილებითი, ელიტისთვის საშემსრულებლო), მონაწილეობითი (პარტიციპატორული, სამოქალაქო, აქტიური) კულტურის ელემენტები, ორიენტაციები და მათი პროცენტური თანაფარდობა შეგვესწავლა; გავაანალიზეთ აღმოსავლური და დასავლური ელემენტების თვალთახედვით პოლიტიკური კულტურა და ამ მიზნით გამოვყავით ქარიზმული ლიდერისადმი დამოკიდებულების კულტურა ქართულ სინამდვილეში ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძის, მიხეილ სააკაშვილის, ბიძინა ივანიშვილის მაგალითებზე დაყრდნობით; დიდი ადგილი დავუთმეთ ტოლერანტობის ისტორიული ტრადიციის ილიასეულ ხედვას და თანამედროვე ვითარებას; „ქართული დემოკრატიის თეორიაში ყოფნას“ და ავტორიტარიზმის აღორძინების მცდელობას თანამედროვე საქართველოში და მასთან დაკავშირებული ტოტალიტარული პიროვნებებისა და ქვეშევრდომული კულტურის ელემენტების ზრდის ტენდენციას; სახელმწიფოებრივი აზროვნების კულტურის ელემენტებს;

ტოტალიტარული მემკვიდრეობის და საერთოდ მემკვიდრეობის როლს პოლიტიკურ კულტურაში: ნეობოლშევიზმის თანამედროვე ინტერპრეტაცია და ქურდული მენტალიტეტის ადგილი პატრიარქალური კულტურის განმტკიცებაში;

საქართველოს პოლიტიკური კულტურა შესწავლილია სხვადასხვა ტიპების ცალკეული სეგმენტების ანალიზის საფუძველზე და ასევე გამოყენებულია ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის მასალები, რომელიც საშუალებას იძლევა უფრო მეტი სიზუსტით ვისაუბროთ სტუდენტი ახალგაზრდობის პოლიტიკური და იდეოლოგიური ღირებულებების თავისებურებებზე.[4]

თავი პირველი. პოლიტიკური კულტურის ცნება, სტრუქტურა, ფუნქციები

პოლიტიკური კულტურა საერთო კულტურის ნაწილია, რომელიც ეფუძნება სოციალური და პოლიტიკური მოვლენების ისტორიულ გამოცდილებას, პოლიტიკურ სისტემასთან დაკავშირებულ გრძნობებს, ცოდნას, ქმედებებს, რომლებიც განსხვავებულ პოლიტიკურ ორიენტაციებსა და ქცევებში პოულობს გამოხატულებას; იგი პოლიტიკისა და კულტურის ინტეგრირებული გამოხატულებაა და კომპარატიული პოლიტიკის ძირითადი ცნებაა, რომელიც საშუალებას იძლევა ერთი მეორეს შევუდაროთ სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური სისტემები, მოვახდინოთ საერთო და სპეციფიკური ნიშნების იდენტიფიკაცია.

§ 1. პრობლემის ისტორიული ასპექტი. გ. ალმონდი ახდენდა რა ბიბლიის, პლატონის, არისტოტელეს და სხვა ბერძენი და რომაელი მოაზროვნეების ციტირებას, ამტკიცებდა, რომ პოლიტიკური კულტურის შინაარსის აღმნიშვნელი ტერმინი გამოიყენება მას შემდეგ, რაც ადამიანებმა დაიწყეს პოლიტიკაზე საუბარი.

პირველად ტერმინი გვხვდება გერმანელი პოეტის, კრიტიკოსის, ფილოსოფოსის და განმანათლებლის ი. ჰერდერის (1744-1803) შრომაში „ფილოსოფიური იდეები კაცობრიობის ისტორიაში“ (1784 წელს), სადაც ორჯერ გამოიყენება “პოლიტიკური კულტურის” ცნება, როდესაც განიხილავს ძველი ებრაელებისა და ბერძნების ცხოვრებას.[5] ინგლისურში პოლიტიკური კულტურა გადათარგმნილია, როგორც

---

[4] გამოკითხული იქნა საქართველოში მოქმედი ექვსი უმაღლესი სასწავლებლის (თსუ, პოლიტექნიკური, ილიას, სოხუმის, საქართველოს, თბილისის უნივერსიტეტები) 600 სტუდენტი. ერთი და იგივე ანკეტის საფუძველზე ბოლო ოთხი წლის განმავლობაში რვაჯერ, იმ მიზნით, რომ შეგვესწავლა ახალგაზრდობის იდეოლოგიური, პოლიტიკური ორიენტაციები, პოლიტიკური კულტურის განვითარება-ცვლილებების დინამიკა.

[5] Гердер И. Г. Идеи и философии истории человечества. М 1997 გვ 339. 368. გერმანულ გამოც; Herder, 1952 გვ 311.354.

„კულტურული კულტივიზაცია“, თვითონ ჰერდერი მიუთითებდა კულტურისა და განმანათლებლობის ტერმინების თანხვედრაზე, ხოლო კონტექსტში პოლიტიკური კულტურა ახლოსა „აღზრდასთან“ და „კულტურულ ზემოქმედებასთან“. მაგრამ მას კონკურენციას უწევდა სხვა ცნებები და ამიტომ, ის იშვიათად იხმარებოდა. ჰერდერთან პოლიტიკური კულტურა სოციალურ კულტურასთან მჭიდრო კავშირში მოიაზრება, როგორც „პოლიტიკური კულტურის მატარებელი“, თუმცა მას არ შეეძლო ეწინასწარმეტყველა თუ რა მნიშვნელობას შეიძენდა მომავალში პოლიტიკური კულტურის ცნება.

ბუნებრივია, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული გ. ალმონდის მიერ, ჯერ კიდევ ძველ დროში დაინტერესდნენ მოაზროვნეები პოლიტიკური მისწრაფებების, ქცევების, ორიენტაციების, განცდების, მოტივების, შესწავლით: ერთი მხრივ, აინტერესებდათ, განსხვავებული ტრადიციის ხალხები რატომ რეაგირებდნენ თავისებურად ერთტიპიურ მოვლენებზე (მაგ; არისტოტელე იკვლევდა თუ რატომ ფუნქციონირებდა განსხვავებულად ხმელთაშუა ზღვის გარშემო არსებული პოლისები, რომელთა სახელმწიფოებრივი სტრუქტურა იდენტური იყო); მეორე მხრივ, ცდილობდნენ აეხსნათ სახელმწიფო მმართველობის ხელოვნების საიდუმლოება: პლატონი მიუთითებს, რომ პოლიტიკის საკითხებზე რჩევას იძლევა საზოგადოების ნებისმიერი წევრი, განურჩევლად იმისა რა პროფესიისა იგი: მეწაღე, მდიდარი, ღარიბი, ხელოსანი, ხურო და ა.შ, თუმცა სახელმწიფოს მართვა მხოლოდ ფილოსოფოს-უხუცესებს ძალუძთ და ერთეულების ხვედრია; საწინააღმდეგო აზრს ავითარებს სოფისტების ლიდერი პროტაგორა, რომელსაც მიაჩნია, რომ სახელმწიფოს მართვის შესწავლა შეუძლია საზოგადოების ნებისმიერ წევრს და ამ გზით შეიძლება იქცეს სანიმუშო მოქალაქედ.

მოგვიანებით ნ.მაკიაველმა, გამოყო რა პოლიტიკა, როგორც საზოგადოებრივი საქმიანობის სპეციფიკური სფეროდ, თავის ნაშრომში „მთავარი“, მიუთითა, რომ პირადი და საზოგადოებრივი საქმიანობის შეხამებით შესაძლოა სახელმწიფო სამსახური და ამ გზით სახელმწიფო ინტერესების ერთგულება და სიყვარული.

ფრანგი განმანათლებლები დაბეჯითებით მიუთითებდნენ, რომ უშუალო დემოკრატიის იდეების აღსრულება შესაძლებელია ისეთ საზოგადოებაში, რომლის მოქალაქეები ფლობენ სათანადო განათლებასა და კულტურას: საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის ავტორი რუსო ამტკიცებდა, რომ სახალხო კრებას აქვს უფლება შეზღუდოს, შეცვალოს მთავრობა, მაგრამ ხალხმა, რომ საკუთარი ნება გამოხატოს, მათ უნდა ასწავლონ, გაანათლონ, ჩამოუყალიბონ სამოქალაქო კულტურა, რომლის გარეშე არ არსებობს ერთიანობის გაგება.

ინგლისელი მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე ე. ბიორკი ამტკიცებდა,რომ პოლიტიკური სიბრძნე დამკვიდრებულია ხალხის ისტორიაში, ტრადიციებში, გამოცდილებაში.

გ. სპენსერი მიუთითებს, რომ პოლიტიკის ხელოვნებას განსაკუთრებული ცოდნა ჭირდება, რადგანაც სახელმწიფოს მართვა მოითხოვს სოციალური და პოლიტიკური პროცესების ადეკვატურ აღქმას.

მ. ვებერი სპეციალურად იკვლევდა პოლიტიკურ ეთიკას და მას პოლიტიკური კულტურის შემადგენელ ნაწილად განიხილავდა. გამოყოფდა რა „იდეების“ და „პაუხისმგებლობის“ ეთიკის ტიპებს, ხასგასმით მიუთითებდა: პოლიტიკოსმა ზუსტად უნდა გათვალოს თავისი იდეების რეალიზაციის დადებითი და უარყოფითი შედეგების საზოგადოებაზე.

მ. ვებერი პასუხისმგებელი ეთიკის მომხრე იყო და მას პირდაპირ თუ არაპირდაპირ პოლიტიკური კულტურის მნიშვნელოვან ელემენტად მიიჩნევდა.

გამოიყოფა პოლიტიკური კულტურის კვლევაში სამი ეტაპი: პირველი ეტაპი 1920-1930 წლები, როცა წამყვან მიმართულებათ იქცა სოციალური სტაბილურობის მიღწევის შესაძლებლობების კვლევა (ეს პერიოდი უკავშირდება ჩ. მერიამს, რომელმაც 1928-1938 წლებში განახორციელა სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკური კულტურის შედარებითი კვლევა). მეორე, 1960-იანი წლები, რომელიც მიზნად ისახავდა პოლიტიკური სისტემის რეფორმირებას; მესამე ეტაპი, 1980-1990 -იანი წლები, როცა დაემხო სოციალისტური პოლიტიკური სისტემა სსრკ-ში და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში; მეორე მესამე ეტაპი პიკი იყო პოლიტიკური კულტურის შესწავლის პროცესში.

§ 2. პოლიტიკური კულტურის მეცნიერული კონცეფციის ჩამოყალიბება.

პოლიტიკური კულტურის ცნების კვლევა უფრო ინტენსიური გახდა 20-ე საუკუნის 50-60-იან წლებში, რომელიც გამოიწვია ინსტიტუციონალური მიდგომის კვლევის შეზღუდულობის გაცნობიერებამ სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შესწავლის სფეროში; ინსტიტუციონალური კვლევის მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ ამ გზით სრულად ვერ შეისწავლებოდა პოლიტიკური ინსტიტუტების ყველა ასპექტი და საერთოდ ყურადღების მიღმა რჩებოდა ადამიანების ქცევების, მოტივების, განწყობების ზეგავლენა და როლი პოლიტიკური განვითარების პროცესში. ამ პრობლემის პოლიტიკური კვლევების ეპიცენტრში მოქცევა ემთხვევა მესამე სამყაროში წარმატებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ რევოლუციების ეპოქას და მსოფლიო რუკაზე ახალი სახელმწიფოების წარმოქმნას; ცნობილია, რომ ახალმა სახელმწიფოებმა აირჩიეს ეკონომიკურ-პოლიტიკური განვითარების სხვადასხვა მოდელები: ნაწილი წავიდა საბაზრო ეკონომიკის, ნაწილი სოციალისტური განვითარების გზით; ორივე შემთხვევაში არჩეული იქნა განვითარებული ქვეყნების შესაბამისი ანალოგები; სოციალისტური ორიენტაციის

ქვეყნები საბჭოთა გამოცდილებას დაეყრდნენ, ხოლო მეორე ნაწილი განვითარებული ინდუსტრიალიზებულ ლიბერალური დემოკრატიებს, მაგრამ მალევე ნათელი გახდა, რომ წარმატებული „დემოკრატიების ტრანსპლანტაციის“ მცდელობა კრახით დამთავრდა და ამის მიზეზი აღმოჩნდა პოლიტიკური კულტურის დაბალი დონე.

პოლიტიკური კულტურის მეცნიერული კონცეფციის ჩამოყალიბება უკავშირდება გ. ალმონდისა[6] და ს. ვერბას[7], რომლებმაც 1958-1962 წლებში აშშ-ის, მექსიკის, ბრიტანეთის, დასავლეთ გერმანიის და იტალიის პოლიტიკური კულტურის ფუნდამენტალური შესწავლის საფუძველზე, პოლიტიკური კულტურის მეცნიერულ კონცეფციას, კვლევის ახალ მეთოდს და შედარებით პოლიტოლოგიას ჩაუყარეს საფუძველი 1963 წელს გამოქვეყნებულ ერთობლივ ნაშრომში „სამოქალაქო კულტურა: პოლიტიკური ორიენტაციები და დემოკრატია ხუთ ქვეყანაში,“ მათ პოლიტიკური კულტურა გამოიკვლიეს, როგორც საზოგადოების სხვადასხვა ფენების პოლიტიკურ სისტემასთან ურთიერთობა და როგორც მოსახლეობის გავლენის ხარისხი პოლიტიკაზე. [8]

---

[6] **გაბრიელ ალმონდი (1911-2002)** გამოჩენილი ამერიკელი პოლიტოლოგი; სხვადასხვა დროს ასწავლიდა იელის, სტენფორდის, პრინსტონის უნივერსიტეტებში; იყო ამერიკის პოლიტიკური მეცნიერების ასოციაციის პრეზიდენტი (1965-1966), ჯ. მედისონის პრემიის ლაურეატი (1981); მრავალი შრომის ავტორი („დემოკრატიისთვის ბრძოლა გერმანიაში“, „ამერიკელი ხალხი და საგარეო პოლიტიკა“, „კომუნიზმის ცდუნებები“, „განვითარებადი რეგიონების პოლიტიკური სისტემები,“ “შედარებითი პოლიტიკა: ევოლუციური მიდგომა“ (პაუელთან ერთად), „პოლიტიკური განვითარება“, „შედარებითი პოლიტიკა: სისტემა,პროცესი,პოლიტიკური კურსი“ (პაუელთან ერთად), „“სამოქალაქო კულტურა: კონცეფციის გადასინჯვა“, „თანამედროვე შედარებითი პოლიტიკა“ (თანაავტორობით) და მრავალი სხვა; გ. ალმონდი თანამედროვეობის ყველაზე ცნობილი და ციტირებადი ავტორია შედარებით პოლიტიკაში.

[7] **სიდნეი ვერბა (დაიბადა 1932 წელს ნიუიორკში),** ამერიკელი პოლიტოლოგია, რომელსაც კლასიკური შრომები ეკუთვნის ალმონდთან ერთად; ასწავლიდა პრინსტონის, სტენფორდის, ჰარვარდის უნივერსიტეტებში; სხვადასხვა დროს იყო პოლიტიკური მეცნიერების საერთაშორისო და ამერიკის ასოციაციების ვიცე-პრეზიდენტი, პრეზიდენტი, ერთხელ ჯ. მედისონის, ხოლო ორჯერ ამერიკის პოლიტიკური მეცნიერების ასოციაციამ საუკეთესო წიგნად ცნო მისი 2 შრომა და პრემია მიანიჭა; გ. ალმონდთან ერთად თანაავტორია „სამოქალაქო კულტურა: პოლიტიკური ორიენტაციები და დემოკრატია ხუთ ქვეყანაში“, „შედარებითი კვლევების ანალიზი“, „ელიტები და თანასწორობის იდეები: იაპონიის, აშშ-ის, შვეიცის შედარებითი ანალიზი“, „დემოკრატიული მონაწილეობის ფორმები“,“მონაწილეობა და პოლიტიკური თანასწორობა: შვიდი საზოგადოების შედარება“ და მრავალი სხვა. ს. ვერბა გ. ალმონდთან ერთად თანამედროვეობის უდიდესი მკვლევარია შედარებითი პოლიტიკის სფეროში.

[8] პოლიტიკის ბუნების შესწავლის მცდელობა პოლიტიკური კულტურაზე დაყრდნობით 1956 წელს განახორციელა ამერიკელმა პოლიტოლოგმა ჰერმან ფაინერმა შრომაში“დიდი ევროპული სახელმწიფოების მმართველობის სისტემები“, იმავე წელს დაიბეჭდა გ. ალმონდის სტატია „ შედარებითი პოლიტიკური სისტემები“, სადაც ავტორი პოლიტიკური კულტურის ცნებას და სტრუქტურულ ელემენტებს აყალიბებს: „ყველა პოლიტიკური სისტემა აგებულია განსაზღვრულ ორიენტაციების ნიმუშზე პოლიტიკური ქმედებებისა“, რომელსაც მან პოლიტიკური კულტურა

გ.ალმონდისა და ს. ვერბას აზრით პოლიტიკური კულტურა არის ადამიანების ცნობიერებაში ღრმად განმტკიცებული მოტივაციების, ორიენტაციების, მიზანდასახულობების ღირებულებითი სისტემა, რომელიც არეგულირებს ადამიანების ქცევებს პოლიტიკასთან დაკავშირებულ სიტუაციებში; პოლიტიკური კულტურას პოლიტიკურ ინსტიტუტებთან მიმართებაში გამოვლენილ ფსიქოლოგიური ორიენტაციების ერთობლიობად განიხილავენ;" პოლიტიკური კულტურა,- წერს გ.ალმონდი და ს. ვერბა,-ესაა მრავალფეროვანი, მაგრამ მყარად განმეორებადი, კოგნიტური, აფექტური, შეფასებითი ორიენტაციების სისტემა საერთოდ პოლიტიკურ ინსტიტუტებზე, პოლიტიკურ სისტემაში „შესასვლელ" და „გამოსასვლელ" ასპექტებზე."[9]როდესაც ვსაუბრობთ საზოგადოების პოლიტიკურ კულტურაზე მხედველობაში გვაქვს პოლიტიკური სისტემა, როგორც მოსახლეობის ინტერიორიზებული ცოდნა, გრძნობები, შეფასებები- ასკვნიან მეცნიერები.

საინტერესო განმარტება მოგვცა ს. ვერბამ, მისი აზრით, „საზოგადოების პოლიტიკური კულტურა შედგება ემპირიული რწმენების, ექსპრესიული სიმბოლოებისა და ღირებულებების სისტემისაგან განსაზღვრული სიტუაციებით, რომელშიც მიმდინარეობს პოლიტიკური ქმედებები, სადაც ინდივიდის სუბიექტური ორიენტაცია ხდება პოლიტიკაში"[10]

გ. ალმონდი და ს. ვერბა პოლიტიკური ორიენტაციების სისტემური ანალიზის საფუძველზე განასხვავებენ პოლიტიკური კულტურის ტიპებს, რომლებიც განსაზღვრავენ რეჟიმის ხასიათს. მათი თეორიის გავრცელებამ გამოიწვია ის, რომ თუკი 20-ე საუკუნის შუა ხანებამდე ინსტიტუციონალურ მიდგომაზე დაყრდნობით პოლიტიკური კულტურების მრავალფეროვნებას პოლიტიკური სისტემების თავისებურებებით ხსნიდნენ, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან, მყარად დამკვიდრდა პოლიტიკური კულტურის ანალიზიდან გამომდინარე პოლიტიკური სისტემის და რეჟიმების კლასიფიკაცია.

ამრიგად, გ. ალმონდმა და ს. ვერბამ შეისწავლეს რა ადამიანების ორიენტაციები პოლიტიკურ სისტემაზე, საერთო ეროვნულ არჩევნებზე, პიროვნებებზე, მათ პოლიტიკური კულტურის ფენომენი უპირატესად ფსიქოლოგიური ფაქტორებით ახსნეს და რევოლუციური ცვლილებები მოახდინეს პოლიტიკურ მეცნიერებაში პოლიტიკური კვლევის უნივერსალური მეთოდის დამკვიდრებით: კონკრეტული საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას განსაზღვრავს პოლიტიკური კულტურის გარკვეული ტიპი; ამ ნიშნით მათ გამოყვეს ანგლო-ამერიკული პოლიტიკური

უწოდა, მოგვიანებით, პოლიტიკური კულტურის განსაზღვრება დააზუსტა ზემოთ დასახელებულ ნაშრომში.

[9] Алмонд Г. Верба С. Гражданская культура и стабильность демократии. М 1992 გვ 597.

[10] Алмонд Г. Верба С. Гражданская культура и стабильность демократии. М 1992 გვ 568.

სისტემა, რომელიც ჰომოგენური და სეკულარიზებული პოლიტიკური კულტურით ხასიათდება, კონტინენტალური დასავლეთევროპული სისტემები ფრაგმენტარული პოლიტიკური კულტურით, რომელიც შერეული სუბკულტურებისგან შედგება, წინაინდუსტრიული და ნაწილობრივ-ინდუსტრიული პოლიტიკური სისტემები დიფერენცირებული პოლიტიკური კულტურებით, „ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემები ერთგვაროვანი პოლიტიკური კულტურით, „ერთგვაროვნება სადაც ხელოვნურია“.

გ. ალმონდისა და ს. ვერბას მიერ ჩამოყალიბებული პოლიტიკური კულტურის კონცეფცია იქცა კლასიკურ თეორიად, ხოლო მათ მიერ დამკვიდრებული ფსიქოლოგიური მიდგომის მეთოდი „პოლიტიკური კულტურის კვლევის აღიარებულ ისტრუმენტად“.

მკვლევარები გარდა გ. ალმონდისა და ს. ვერბას კლასიკური ნაშრომისა, გამოყოფენ რამოდენიმე კონცეფციას, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს პოლიტიკური კულტურის კვლევის პროცესში: პოლიტიკური კულტურა, როგორც პოლიტიკური ცხოვრების კვლავწარმოების საშუალება თავის თავში შეიცავს პოლიტიკური ინსტიტუტების პრაქტიკული ფუნქციონირების კომპონენტს; ინგლისელი მკვლევარმა დ. კავანახმა განახორციელა პოლიტიკური კულტურის მეცნირული კონცეფციების სისტემატიზირების მცდელობა: პირველ ჯგუფს მიაკუთვნა-პოლიტიკური კულტურის ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია, უფრო ზუსტად, ადამიანების ორიენტაცია პოლიტიკურ ობიექტებზე (პოლიტიკური ცნობიერების სფერო); მეორე ჯგუფს მიაკუთვნა პოლიტიკური კულტურის ყოვლისმომცველი ინტერპრეტაცია, რომელიც ფსიქოლოგიურ მიზანდასახულობებთან ერთად მოქალაქეების პოლიტიკურ ქცევებს შეიცავს; მესამე ჯგუფში გაერთიანებულია „ობიექტივისტური“ მიდგომები, რომელიც პოლიტიკური კულტურის შინაარსს ხსნის სუბიქტებისა და ჯგუფების ქცევის დამკვიდრებული ნორმებით; მეოთხე მოდელში შევიდა კონცეფციები, რომლებიც ახდენენ პოლიტიკური კულტურის ინტერპრეტირებას პოლიტიკური ქცევებისა და აზროვნების ნორმატიულ მოდელად.

რუსი მკვლევარი რადუგინი „პოლიტოლოგიის“ ლექციების კურსში პოლიტიკური კულტურის განსაზღვრებებს ოთხ ჯგუფად ყოფს:

ა) პოლიტიკური კულტურა ეს არის პიროვნების, სოციალური ერთობის კულტურა,რომლიც თავის თავში შეიცავს პოლიტიკურ განათლებას, პოლიტიკურ ცნობიერებას და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას.

ბ) პოლიტიკური კულტურა საზოგადოების სულიერი კულტურის ნაწილია და შედგება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ინსტიტუტებთან და პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებული კულტურის ელემენტებისაგან.

დ) პოლიტიკური კულტურა არის პოლიტიკური ცნობიერების ქცევების სტერეოტიპების ერთობლიობა, რომელიც ახასიათებთ კონკრეტულ პიროვნებას ან სოციალურ ჯგუფს.

ე) პოლიტიკური კულტურა არის (პიროვნების, კლასის, საზოგადოების) პოლიტიკური ქცევის, ცოდნის, ღირებულებითი ორიენტაციების რეალიზაცია ისტორიულად განსაზღვრული სისტემის პოლიტიკურ ურთიერთობებში.[11]

გ. ალმონდისა და ს. ვერბას კონცეფციას მრავლად ყავს მომხრეები და მოწინააღმდეგები: ძირითადი ბრალდება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი პოლიტიკური კულტურის არსს ფსიქოლოგიური მომენტებით ხსნიან, რაც აშკარად არასაკმარისია პოლიტიკური კულტურის რთული და მრავალფეროვანი პროცესის შესასწავლად. პოლიტიკა გ.ალმონდმა და ს. ვერბამ ფსიქოლოგიაზე დაიყვანეს- აღნიშნავს ჰეივუდი,- და ასევე სვამს რიტორიკულ კითხვას: სად არის მიზეზი და სად არის შედეგი: დემოკრატიული საზოგადოება წარმოშობს განსაზღვრულ პოლიტიკურ კულტურას, თუ პირიქით სამოქალაქო კულტურა დემოკრატიულ საზოგადოებას.[12]

მეცნიერ-პოლიტოლოგთა ნაწილი თვლის, რომ პოლიტიკური კულტურა საერთო ეროვნული კულტურის ორგანული ნაწილია და მისი ცალკე გამოყოფა ხელოვნურ ხასიათს ატარებს. ეს აშკარად მეცნიერული კვლევის მიზნით არის გაკეთებული და არ შეესაბამება რეალურ სინამდვილეს. უფრო ზუსტი იქნებოდა,-წერს ფრანგი პოლიტოლოგი დიუვერჟე,-რომ „პოლიტიკური კულტურის“,“ პოლიტიკური სუბკულტურის“ ნაცვლად გვესაუბრა საზოგადოების სულიერი კულტურის „პოლიტიკურ ასპექტებზე“[13]

განსაკუთრებით მწვავედ აკრიტიკებენ გ. ალმონდისა და ს. ვერბას კონცეფციას მემარცხენე იდეოლოგიის პოზიციებიდან: ინგლისელი პოლიტოლოგების ფ. პარკინის და რ. მილიბენდის აზრით, პოლიტიკური კულტურის ერთიანი ფენომენი საერთოდ არ არსებობს; ყოველ საზოგადოებაში წამყვანია გაბატონებული კლასის იდეალები და ღირებულებები; ამდენად, პოლიტიკური კულტურა ხელისუფლებაში

---

[11] Мухаев Р. Т. Политология. М. 2000 გვ 172-173.
[12] Эндрю Хеивуд. Политология. М. 2005 გვ 252.
[13] ვ. ხოჭოლავა. პოლიტიკური კულტურა. თბ; 2001 გვ 21.

მყოფი გარკვეული ძალების იდეოლოგიის ასახვა და თეორიულ-პრაქტიკული განმტკიცებაა.[14]იდეოლოგიურ მომენტებზე ახდენს აპელირებას ე. ჰეივუდიც, როცა ალმონდისეული სამოქალაქო კულტურის კონცეფციას აკრიტიკებს.[15]

მარქსისტების აზრით გ. ალმონდისა და ს. ვერბას პოლიტიკური კულტურის განმარტებაში ასახული არაა პოლიტიკის ძირითადი აქტორების კლასების და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესები და, ამდენად, მათ მიერ შესწავლილი პოლიტიკური ორიენტაციები სქემატურ, ცალმხრივ და ტენდენციურ ხასიათს ატარებს.

აკრიტიკებს რა გ.ალმონდისა და ს. ვერბას პოლიტიკური კვლევის მეთოდოლოგიას, ამერიკელი პოლიტოლოგი ლ. პაი წერს, რომ მხოლოდ ფსიქოლოგიური ფაქტორებით პოლიტიკური კულტურის არსის ახსნა არასაკმარისია და იგი პოლიტიკურ ყოფაქცევასთანაა გაიგივებული; ლ. პაის აზრით პოლიტიკურ კულტურაში მოიაზრება „პოლიტიკური იდეოლოგია“, „ნაციონალური სული“, „ნაციონალური პოლიტიკური ფსიქოლოგია“, „ხალხის ფუნდამენტალური ღირებულებები“, პოლიტიკური კულტურა,-განაგრძობს ლ. პაი-არის ორიენტაციების, შეხედულებების, რწმენების ერთობლიობა, რომელიც ლოგიკურობას და აზრს ძენს პოლიტიკურ პროცესს, უზრუნველყოფს განმსაზღვრელი ნორმებისა და წარმოდგენების საფუძველზე ადამიანის პოლიტიკურ სფეროში ქცევებს; პოლიტიკური კულტურა პოლიტიკის ფსიქოლოგიური და სუბიექტური განზომილების განზოგადოებაა- დაასკვნის ლ. პაი;[16] მეორე ამერიკელი მკვლევარის დ. პოლის აზრით, პოლიტიკური კულტურა არის ღირებულებების კონფიგურაცია, რომლებიც საზოგადოების პოლიტიკის საფუძველია; ასევე, ამერიკელი პოლიტოლოგის უ. როზენბაუმის მიხედვით პოლიტიკური კულტურა გრძნობების, აზრების, ქცევების კონცეპტუალური გამოხატულებაა, რომელსაც ვამჩნევთ და გამოვყოფთ ადამიანთა ყოველდღიური თანაცხოვრების პროცესში; პოლიტიკური ქცევა პოლიტიკური კულტურის შემადგენელ ნაწილად განიხილება პოლონელი მკვლევარის ვიატრის განსაზღვრებაში: პოლიტიკური კულტურა არის განწყობების, ღირებულებების და ქცევების აქტების ერთობლიობა, რომელიც ეხება ხელისუფლების და მოქალაქეების ურთიერთობებს; რუსი პოლიტოლოგის ე. ბატალოვის აზრით პოლიტიკური კულტურა წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ შედარებით მყარი ღირებულებების, რწმენების, წარმოდგენების, ქცევის მოდელების ერთობლიობას, რომლებიც ვლინდება სუბიექტების პოლიტიკურ პროცესში უშუალოდ მონაწილეობის დროს და უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ცხოვრების კვლავწარმოებას მემკვიდრეობითობის საფუძველზე;[17]პოლიტიკური

---

[14] ვ. ხოჭოლავა. პოლიტიკური კულტურა. თბ; 2001 გვ 23.

[15] Эндрю Хеивуд. Политология. М. 2005 გვ 252.

[16] Политология. (Мельвил А. Ю. и др). М 2011 გვ 433.

[17] Баталов Э.Я. Политическая культура современного общества. М. 1990 გვ 160.

კულტურა არის ღირებულებების, მიზანდასახულობების, რწმენების, ორიენტაციების ერთობლიობა, რომლებიც სიმბოლოებშია გამოხატული, რომლებიც ყველას მიერაა აღიარებული და ემსახურებიან პოლიტიკური გამოცდილების და საზოგადოების ყველა წევრის ქცევების რეგულირებას. ის თავის თავში აერთიანებს არა მარტო პოლიტიკურ იდეალებს, ღირებულებებს და მიზანდასახულობებს, არამედ საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქმედ ნორმებს.[18]

ნებისმიერი ხალხის კულტურის განუყოფელი ნაწილია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სიმბოლოები და იდეალები; პოლიტიკური სიმბოლო არის პირობითი სახე მნიშვნელოვანი პოლიტიკური იდეალების და ეფექტური საშუალება მისი პროპაგანდისა და დამკვიდრებისთვის; ასეთი სიმბოლური დატვითვა აქვს სახელმწიფოს გერბს, ეროვნული დროშის ფერს, პარტიების ემბლემებს და სხვა; ამიტომ, რიგი მკვლევარებისა, მაგ; ლ. დიტმერი გვთავაზობს, რომ პოლიტიკური კულტურა განხილული იქნას, როგორც „სიმბოლოების სისტემა“ და იგი შედის პოლიტიკური კომუნიკაციების უფრო ფართო სისტემაში; ავტორების ნაწილი თვლის, რომ პოლიტიკური სიმბოლოები პოლიტიკური სისტემის შემადუღაბებელი ელემენტია; უფრო მეტიც, მათთვის პოლიტიკური სიმბოლოებისადმი ინსტიტუციონალური მიმხრობა-ეროვნული სახელმწიფოს აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

მკვლევარების ნაწილი იცავს ე. წ. პროგრესული მიდგომის ტრადიციას და განიხილავენ პოლიტიკური კულტურას იდეალურ ვარიანტში და მასში ხედავენ საზოგადოების განვითარების მწვერვალებს; მაგ; ა. ჯენუსოვი მიიჩნევს რა პოლიტიკურ კულტურას სოციუმის განვითარების უმაღლეს საფეხურად, თვლის, რომ პოლიტიკურ საქმიანობაში გამოვლენილი უნარი და ხერხები დაკავშირებული უნდა იყოს მორალურ ნორმებთან, მაშინ, პოლიტიკური კულტურა იქნება სრული სახით გამოვლენილი საერთო კულტურა.[19]პოლიტოლოგი პივოვაროვი საუბრობს პოლიტიკურ კულტურაზე, როგორც უნივერსალურ მეთოდოლოგიურ კონცეფციაზე, რომლის დახმარებითაც შეგვიძლია აღვწეროთ დასავლეთის პოლიტიკური ცხოვრების რეალიები.[20]

პოლიტიკური კულტურის ცნებაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მისი შემადგენელი ელემენტების ნაწილი „შედარებით მყარია“, ხოლო ნაწილი უფრო იოლად ექვემდებარება ცვლილებებს; ანუ პოლიტიკური კულტურა შედგება “ ძირითადი“, „განმსაზღვრელი“ და შედარებით „ ცვალებადი“ და

---

[18] Мухаев Р. Т. Политология. М. 2000 გვ 258.

[19] Дженусов А. И. Политическая культура: Концептуальные аспекты. Социально-политический журн. 1994 № 11 გვ 80.

[20] Пивоваров Ю. С. Концепция Политической культуры в современной науке. М. 1996 გვ 44.

„მეორეხარისხოვანი“ ელემენტებისგან: უ. როზენბაუმოს აზრით, პოლიტიკური კულტურა შედგება ე. წ. „ბირთვული კომპონენტებისაგან“, რომლებიც განსაზღვრავენ პოლიტიკური კულტურის ხასიათს, განვითარების ტენდენციებს და დამხმარე ელემენტებისაგან. ემპირიულმა კვლევებმა დასავლეთში აჩვენა, რომ 1960-1970 წლებში პოლიტიკური მონაწილეობის სწრაფი ზრდა, მაგრამ 80-იან წლებში ეს ტენდენცია შემცირდა და მან ვერ გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები მოქალაქეთა ქცევებში და ამდენად არ დადასტურდა ჰანტინგტონის წინასწარმეტყველება, რომ პოლიტიკური მონაწილეობა თანამედროვე პოლიტიკისა და დემოკრატიული საზოგადოებების განმასხვავებელი ნიშანი იქნებოდა; ეს მაგალითი კიდევ ერთხელ მიუთითებს თუ რაოდენ რთულია ერთხელ და სამუდამოდ მიღებული პოლიტიკური კულტურის განსაზღვრება, რომელიც მისაღები იქნება ყველა ეპოქაში.

დღეისათვის არსებობს პოლიტიკური კულტურის ორმოცდაათამდე განსაზღვრება, რომელიც მეტყველებს იმაზე, რომ არ არსებობს ამ ფენომენის ირგვლივ ერთიანი ცნება, რასაც ძირითადათ განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომები განაპირობებს:

ფუნქციონალური მიდგომა (გ. ალმონდის სკოლა) პოლიტიკურ კულტურას განიხილავს, როგორც ფსიქოლოგიური ორიენტაციების ერთობლიობას პოლიტიკური ინსტიტუტებთან მიმართებაში;

კომპლექსური, განმაზოგადოებელი მიდგომა (დ. მერვიკი, რ. ტაკერი, ლ. დიტმერი) პოლიტიკურ კულტურას მიაწერს ყველაფერს, რაც პოლიტიკაში ხდება. ის ან პოლიტიკურ სიტემასთან იდენტიფიცირდება (დ. მერვიკი) ან დაიყვანება პოლიტიკურ ურთიერთობებზე (რ. ტაკერი) და საბოლოო ჯამში ეკარგება სპეციფიკა;

ობიექტივისტური, ნორმატიული მეთოდოლოგიის მიხედვით (ლ. პაი, დ. პოლი) პოლიტიკურ კულტურა განიხილება, როგორც პოლიტიკურ სისტემაში მიღებული პოლიტიკური ქცევების ერთობლიობა;

ევრისტიკული კონცეფციით (ს. ჰანტინგტონი) პოლიტიკურ კულტურა გააზრებულია, როგორც სასურველი ქცევის ჰიპოტეტურ-ნორმატიული მოდელი; სოციოფსიქოლოგიური მიდგომაში (რ. კარრი, დ. გარდნერი, ი. ტიხომიროვი) აქცენტი კეთდება ობიექტურ სოციალურ ფაქტორებზე, რომლებიც განსაზღვრავენ პოლიტიკური კულტურის არსს;

აქსიოლოგიური მიდგომა პოლიტიკურ კულტურას წარმოადგენს, როგორც განსაზღვრული რიგის ფასეულობების ერთობლიობად-მასში შედის, როგორც დადებით ისე უარყოფითი ღირებულებები.[21]

შეგვიძლია უსასრულოდ გავაგრძელოთ პოლიტიკური კულტურის არსზე მსჯელობა, მაგრამ, ზემოთთქმული საკმარისია იმისთვის, რომ დავასკვნათ: პოლიტიკური კულტურა საზოგადოების პოლიტიკური ორიენტაციების და ქცევების მოდელია, რომელიც ვლინდება არჩევნების, რეფერენდუმების დროს „პოლიტიკური თამაშის" წესებში, ხელისუფლებაზე კონტროლის, მხარდაჭერის, ზეწოლის ფორმებში და გამოხატავს კონკრეტული საზოგადოების ეროვნულ, ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ-პოლიტიკური განვითარების თავისებურებებს.

ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულ განსაზღვრებაში ხაზი ესმება ორ მნიშვნელოვან გარემოებას: ჯერ ერთი, ნათლადაა მითითებული პოლიტიკური ქცევების რომელი ასპექტებია განმსაზღვრელი პოლიტიკური კულტურის განვითარების დონის შესაფასებლად, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ „დემოკრატიული თამაშის" წესები, რომელშიც სხვა ფაქტორებთან ერთად საზოგადოებრივ ცნობიერებაში მყარად დამკვიდრებული ხელისუფლებაზე ზეგავლენისა და მხარდაჭერის ლეგიტიმური მექანიზმები მიგვანიშნებს ქვეყანაში ფუნქციერებადი პოლიტიკური რეჟიმის ხასიათზე; ასევე, პოლიტიკური კულტურის მრავალფეროვნება, რომელიც განსხვავებულ მოდელებში პოულობს გამოხატულებას, უპირველეს ყოვლისა კონკრეტული ქვეყნის განვითარების თავისებურებებიდან მომდინარეობს და ამაში დავრწმუნდებით, როცა აშშ-ის, ბრიტანეთის, გერმანიის და საქართველოს პოლიტიკურ კულტურებს განვიხილავთ.

§ 3.პოლიტიკური კულტურის სტრუქტურა

პოლიტიკური კულტურის განსაზღვრებათა მრავალფეროვნება თავის მხრივ განაპირობებს სტრუქტურული ელემენტების სიმრავლეს; განსაზღვრებაში მოიაზრება მასში შემავალი კომპონენტების სტრუქტურა; აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სტრუქტურული შემადგენელი სხვა კონტექსტში შესაძლოა პოლიტიკური კულტურის ტიპებში იქნას განხილული; მაგ; მეცნიერთა ნაწილი მოცემული ხალხის პოლიტიკური კულტურის მთავარ კომპონენტებად მასში შემავალი სოციალური ჯგუფების, რეგიონების, სხვადასხვა ეთნოსების

[21] Политология под редакцией доктора экономических наук, професора Г. В. Полуниной. М. 2000 გვ 249.

სუბკულტურებს მოიაზრებს; ასე, რომ სტრუქტურა პირობით ხასიათს ატარებს და მისი ინტერპრეტაცია შესაძლებელია.

გ. ალმონდი და ჯ.პაუელი წერს, რომ პოლიტიკური ორიენტაციების კლასიფიკაცია მოახდინეს პარსონსისა და მილზის მსგავსად, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური კულტურის განსაზღვრება შეიცავს:

ა) „კოგნიტურ ორიენტაციებს“ ანუ ცოდნა და რწმენა პოლიტიკური სისტემის როლის, დანიშნულებისა და იმის შესახებ რასაც სისტემა იღებს გარედან და აძლევს მას („შესვლა“ და „გამოსვლა“).

ბ) „აფექტური ორიენტაციები“ ანუ პოლიტიკური სისტემის როლთან და მუშაობასთან დაკავშირებულ ადამიანთა მიმართებაში წარმოშობილი გრძნობები.

გ) „შეფასებითი ორიენტაციები“, მსჯელობები და აზრები პოლიტიკურ მიზანდასახულობებზე, რომლებიც ჩვეულებრივად წარმოადგენენ ღირებულებითი სტანდარტების, კრიტერიუმების, ინფორმაციისა და გრძნობების კომბინაციებს.

პოლიტიკური კულტურის სტრუქტურული ელემენტების სისტემატიზირება გ. ალმონდს შესაძლებლად მიაჩნია იმ შემთხვევაში თუ შევისწავლით და გამოვავლენთ:

ა) როგორ ცოდნას ფლობს ინდივიდი თავის ერზე, პოლიტიკურ სისტემაზე, ქვეყნის ისტორიაზე, ზომებზე, გეოპოლიტიკურ მდებარეობაზე, კონსტიტუციაზე და ა.შ; როგორია მისი მეტ-ნაკლებად გაცნობიერებული შეხედულებები და მსჯელობები მათზე.

ბ) რა იცის ინდივიდმა მრავალფეროვანი ელიტების სტრუქტურაზე, როგორია მისი გრძნობები და შეხედულებები ამ სტრუქტურებზე, ლიდერებზე, პოლიტიკურ წინადადებებზე და ინიციატივებზე.

გ) რა იცის ინდივიდმა პოლიტიკური იძულების პროცესზე, სტრუქტურაზე, გადაწყვეტილებებზე, ადამიანებზე, რომლებიც მოზიდულია ამ პროცესში, როგორია მისი გრძნობები და შეხედულებები მასთან მიმართებაში.

დ) როგორ აცნობიერებს თავის თავს პოლიტიკური სისტემის ნაწილის როლში, რა იცის თავისი უფლებების, შესაძლებლობების, მოვალეობების და სისტემაზე შესაძლო

გავლენის შესახებ, როგორ აღიქვამს თავის შესაძლებლობებს, პოლიტიკური შეხედულებებისა და მსჯელობების პროცესში რომელ ნორმებს იყენებს ინდივიდი.

გ. ალმონდი და ს. ვერბა სამოქალაქო კულტურის განსაზღვრისას მიუთითებენ, რომ იგი შერეული კულტურაა, რომელშიც ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ მრევლის-პატრიარქალური, ქვეშევდომის და მონაწილის პოლიტიკური კულტურის ელემენტები, რომელთა თანაფარდობა განსაზღვრავს განვითარების დონეს, კონკრეტულ ტიპს; ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, რომ თვითოეული მათგანი განხილული იქნას სტრუქტურულ ელემენტებად, მაგრამ უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნა მათი განხილვა პოლიტიკური კულტურის ტიპების კონტექსტში.

უ. როზენბაუმი პოლიტიკური კულტურის სტრუქტურის განმსაზღვრელ კომპონენტებად მიიჩნევს ე. წ. „ბირთვულ კომპონენტებს“, რომლებიც ერის პოლიტიკური კულტურის ფორმირებას ახდენენ და მათ სამ ჯგუფად ყოფს:

1) „სამთავრობო სტრუქტურებთან მიმართებაში ორიენტაციები“-მასში შედის რეჟიმთან, ძირითად სამთავრობო სტრუქტურებთან, სახელმწიფო სიმბოლოებთან, ოფიციალურ პირებთან, დაწესებულ ნორმებთან სუბიექტის ურთიერთობები; ორიენტაციები პოლიტიკურ სისტემაში „შემავალ“ და „გამომავალ“ სიგნალებზე.

2) „პოლიტიკური იდენტიფიკაცია“. ინდივიდის თანამონაწილეობა „პოლიტიკურ ერთეულებთან“: ერი, სახელმწიფო, ქალაქი; პოლიტიკური ნდობა და „თამაშის წესები“-ინდივიდის წარმოდგენა იმაზე თუ რა წესებს და ნორმებს უნდა მისდიოს მან სამოქალაქო ცხოვრებაში.

3) საკუთარი პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული პოლიტიკური ორიენტაციები ანუ პოლიტიკური კომპეტენტურობის აღქმა სამოქალაქო ცხოვრებაში, რამდენად ეფექტური შეიძლება იყოს მისი გავლენა პოლიტიკურ პროცესზე.[22]

ე. ბატალოვი გამოყოფს პოლიტიკური ორიენტაციების ოთხ ჯგუფს პოლიტიკური კულტურის სტრუქტურაში:

პირველ ჯგუფში შეყავს პოლიტიკური პროცესის არაინსტიტუციონალური სუბიექტების ურთიერთობა ინსტიტუციონალურ ობიექტზე (საზ.

[22] Политология. (Мельвил А. Ю и др). М 2011 გვ 440.

პოლიტიკურ სისტემაზე, მის ინსტიტუტებზე, სახელმწიფოზე, პარტიებზე და ა.შ). ალმონდის მსგავსად არაინსტიტუციონალური სუბიექტის ორიენტაციებს ბატალოვი სამ სახეობად ყოფს: კოგნიტურ, (შემეცნებითი), ემოციონალურ (აფექტური) და შეფასებით.

მეორე ჯგუფში არაინსტიტუციონალური სუბიექტის ურთიერთობებია თავის თავთან. იგი აფიქსირებს ინდივიდუალურ და ჯგუფურ თვითცნობიერებას, ასევე, ერთი არაინსტიტუციონალური სუბიექტისა მეორესთან. გამოყოფენ პოლიტიკური თვითიდენტიფიკაციის მოდელებს. მაგ; ამერიკელებს ახასიათებთ მკვეთრად გამოხატული ცენტრისტული ორიენტაცია, გამოკვეთილი პარტიული მხარდაჭერა. სუბიექტის პოლიტიკური თვითცნობიერება შეიცავს საკუთარი პოლიტიკური შესაძლებლობების წარმოდგენას-მოახდინოს მთავრობის სხვადასხვა დონის გადაწყვეტილებებზე გავლენა. ამერიკული პოლიტიკური კულტურა ხასიათდება ამერიკელების მიერ საკუთარ პოლიტიკურ გავლენაზე მაღალი წარმოდგენებით.

მესამე-ურთიერთობები პოლიტიკური სისტემის ინსტიტუტებს შორის (სახელმწიფო და პარტიები, პარტიათა შორის და სხვა). მასში შედის ზედმეტ-ნაკლებად მყარი მოდელები პოლიტიკური გადაწყვეტილების მომზადების და განხორციელების, სახელმწიფოსა და სხვა ინსტიტუტების ურთიერთობების რეგულირების ურთიერთობების პრინციპები. პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის ერთმანეთთან ურთიერთობების ანალიზი საშუალებას იძლევა დაფიქსირებული იქნას საზოგადობაში დამკვიდრებული პოლიტიკური თამაშის წესები ინსტიტუციონალურ დონეზე.

მეოთხე ჯგუფში შედის ინსტიტუციონალური სუბიექტის ურთიერთობა არაინსტიტუციონალურ სუბიექტთან ანუ პოლიტიკური ინსტიტუტების და ორგანიზაციების სოციალურ ჯგუფებთან და კლასებთან.

რუსი პოლიტოლოგები ე. მაკარენკო, ვ. სუშკოვი პოლიტიკური ცნობიერების, პოლიტიკური ქცევით ელემენტებს გამოყოფენ;[23] ა. რადუგინი პოლიტიკური კულტურის სტრუქტურაში შემეცნებით, მორალურ- შეფასებით და ქცევით ელემენტებს ხედავს.[24]

პოლონელი მკვლევარი ე. ვიატრი პოლიტიკურ კულტურაში ქცევით, ღირებულებით და განწყობით კომპონენტებს განარჩევს; პოლიტიკურ

[23] Макаренко Э. Сушков В. Политология. М. 2003 გვ 45.
[24] Политология. М. 1999 გვ 173.

კულტურა წარმოადგენს სუბკულტურების ერთობლიობას-მოცემული მიდგომა საშუალებას იძლევა გამოვყოთ კონკრეტულ ქვეყანაში პოლიტიკური გავლენის მქონე რელიგიური (ჩრდ. ირლანდია და ლივანი), ეთნიკური (აზერბაიჯანი) ან ელიტარული (გარდამავალ საზოგადოებებში) სუბკულტურები.[25]

ცნობილმა ბრიტანელმა თეორეტიკოსმა მაიკლ ოუკშოტტმა (1901-1990) შრომაში „რაციონალიზმი პოლიტიკაში“ (1962) შემოგვთავაზა იმ დროისათვის ნოვატორული რაციონალური მიდგომა პოლიტიკური აზროვნების, ქცევების, მოქმედებების შესწავლის სფეროში; ადამიანი თვითდამკვიდრების პროცესში იყენებს ყველა ანტროპოლოგიურ (მათ შორის მსოფლმხედველობრივ) დამახასიათებლებს; ამ აზრით პოლიტიკურ კულტურა შედგება რაციონალური და ირაციონალური კომპონენტებისაგან: რაციონალური გულისხმობს ადამიანის გააზრებულ და გათვლილ მოქმედებას თავისი ინტერესების შესაბამისად მიზნის მისაღწევად, ხოლო არაცნობიერი ქმედებების დროს ადამიანი ემოციურ-გრძნობებით კომპონენტებზე დაყრდნობით შეიცნობს გარე სამყაროს და მისი ქცევები არ შეიცავს პოლიტიკური პროცესების კრიტიკულად და გააზრებულად აღქმას.[26]

გ. ალმონდისა და ს. ვერბას სამოქალაქო კულტურის კონცეფციაში ემოციების მართვის უნარს, რაციონალური და ირაციონალური კომპონენტების თანაფარდობას, ბალანსს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დემოკრატიის ფუნქციონირების პროცესში.[27]

პოლიტიკური-კულტურული სივრცის რაციონალური და ირაციონალური კომპონენტების კვლევას საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა პროფესორმა გ. აბესაძემ, რომელიც მართებულად თვლის, ირაციონალური, არაცნობიერი ელემენტები გადამწყვეტ როლს თამაშობენ გარდამავალი პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.[28]

სტრუქტურული კომპონენტების ირგვლივ მსჯელობების განზოგადების საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ სამი ჯგუფის ელემენტები, რომლებიც განსაზღვრავენ საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ხასითს:

---

[25] Политология. (Мельвил А. Ю и др). М 2011 გვ 441.
[26] Политология. (Мельвил А. Ю и др). М 2011 გვ 439.
[27] სამოქალაქო კულტურა და დემოკრატიის სტაბილურობა იხ: ჟ „სოლიდარობა“ №2(29) 2009 გვ 45.
[28] გ. აბესაძე. პოლიტიკურ-კულტურული სივრცის დემოკრატიული მოდერნიზაცია საქართველოში. თბ; 2011 გვ 5-32.

1. შემეცნებითი ელემენტები. ესაა ცოდნა პოლიტიკის, პოლიტიკური რეალობის, მისი განვითარების კანონზომიერების, ტენდენციების, გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმების შესახებ; გ. სპენსერის აზრით პოლიტიკოსები მუდმივად უნდა სწავლობდნენ სოციალურ პროცესებს, საზოგადოების შიგნით არსებული ურთიერთობების მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. ამისთვის საჭიროა, საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა სფეროსაგან განსხვავებით განსაკუთრებული ცოდნის მიღება, რომელიც დიდ ძალისხმევას მოითხოვს. პოლიტიკური ცოდნის საზომი უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური განათლებაა, რომელიც გულისხმობს პოლიტიკური აზროვნების უნარზე დამყარებულ კონცეპტუალურ-ობიექტური ცოდნის მარაგს ადამიანის სამოქალაქო უფლებებზე, პოლიტიკურ სისტემაზე, პოლიტიკურ მოვლენებზე, ინფორმირებულობის დონეს, შეხედულებებს პოლიტიკური პარტიების სტრუქტურაზე, როლზე, იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ორიენტაციებზე და ა. შ.

2. ემოციურ-შეფასებითი ელემენტები, რომლის მეშვეობითაც პიროვნება შეიმუშავებს პოლიტიკის შეფასების კრიტერიუმებს; მასში შედის პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების შედეგად გამოწვეული გრძნობები, რომლებიც გამოიხატება შეფასებების, პოლიტიკური განწყობების ფორმებში. მასში შედის ხელისუფლების საქმიანობის შეფასება, როგორც პოზიტიური ისე ნეგატიური დამოკიდებულება, რომელსაც განვითარებულ დემოკრატიებში სწავლობენ სოციოლოგიური გამოკვლევების, მოსახლეობის გამოკითხვის მეთოდებით. ასე მაგ; აშშ-ის და ბრიტანეთის მოქალაქეების 80%–ი ამაყობს საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური სისტემით; მიაჩნიათ, რომ ხელისუფლება გამოხატავს ხალხის საერთო ინტერესებს, იცავს უმცირესობების ინტერესებს, ყოველდღიურად იღწვის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისა და თვითოეული მოქალაქის დემოკრატიული უფლებების გაფართოებისთვის; საპირისპირო მდგომარეობაა ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში, სადაც მყიფეა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი პოლიტიკური ინსტიტუტები, მმართველობის მისაღები ფორმის ძიების პროცესში სწრაფად იცვლება კონსტიტუციური ნორმები და მძიმე სოციალური მდგომარეობის ფონზე ნაკლებია სახელმწიფოსა და მმართველი ელიტისადმი ნდობა.

   ემოციურ-შეფასებითი კომპონენტი გულისხმობს პიროვნების ემოციურ ჩართვას პოლიტიკურ პროცესებში, მონაწილეობას ხელისუფლების მხარდაჭერის ან ზეწოლის მიზნით, პოლიტიკური მოვლენების განსჯის დროს ადამიანები გრძნობენ თავს უსაფრთხოდ თუ არა, როცა მხარს უჭერენ სასურველ პარტიას და პოლიტიკურ ძალას, შეუძლიათ თუ არა თავისუფლად დააფიქსირონ თავიანთი პოზიციები ნებისმიერ გარემოებაში

(დემონსტრაციაზე, მეგობრების წრეში, ნათესავებთან, ხელისუფლების ოფიციალურ პირებთან, სამუშაოზე, საერთაშორისო არენაზე და ა. შ.) და არ ჰქონდეთ პოლიტიკური საქმიანობის „შეზღუდვის განცდა"; ემოციურ-შეფასებითი ელემენტი გულისხმობს ქვეყნის მთავრობისა და პოლიტიკური სისტემის მიმართ, როგორც სიამაყის, ისე სიძულვილის, სირცხვილის გრძნობას, როცა საქმე ეხება ეკონომიკასა და საერთაშორისო პოლიტიკაში მიღწეულ წარმატება-წარუმატებლობებს.

3. ქცევითი ელემენტები: ესაა ქცევითი მოქმედება, რომელსაც ახორციელებს მოქალაქე, როგორც პოლიტიკური ცხოვრების მონაწილე (არჩევნები, რეფერენდუმები, მიტინგები, პარტიის წევრობა, ადგილობრივ თვითმმართველობაში მუშაობა და ა. შ).; პოლიტიკური კულტურის ამ სტრუქტურულ ელემენტში ვლინდება სხვა კომპონენტები „პრაქტიკულ მოქმედებაში" და იგი ყველაზე მნიშვნელოვანია: ესაა მოქალაქეების პოლიტიკური ქცევის მოდელი, რომელიც პოლიტიკაში მონაწილეობის სხვადასხვა ფორმების ერთობლიობას წარმოადგენს. იგი ნათლად ვლინდება ხელისუფლების სტრუქტურებისადმი მხარდაჭერის, კონტროლის, ზეწოლის ფორმების ლეგიტიმურობაში; როგორც წესი სამოქალაქო კულტურის მქონე ქვეყნებში, მათ შორის აშშ-ი, ოფიციალურ ხელისუფლებაზე ზეწოლა სრულებითაც არ ნიშნავს პოლიტიკური სისტემის და ქვეყანაში დამკვიდრებული დემოკრატიის საბაზისო ღირებულებებისამი დაპირისპირებას, როგორც ეს ხდება პოსტსოციალისტური სახელმწიფოების დიდ უმრავლესობაში, სადაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპი დემოკრატიულ რეჟიმში არ ფუნქციონირებს, რადგანაც დარღვეულია ბალანსი აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო შტოებს შორის და მთლიანად სისტემა ტრანსფორმაციის სტადიაშია.

პიროვნების პოლიტიკური ქცევა უპირველეს ყოვლისა ნიშნავს სახელმწიფო პოლიტიკაში მისი მონაწილეობის მისაღები ფორმის შერჩევას და იმის რწმენას, რომ მას პოლიტიკურ პარტიის, არასამთავრობო ორგანიზაციის წევრობით, სახელმწიფო ან ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობით, ასევე, სასამართლო ორგანოების მეშვეობით შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს და უკეთესი გახადოს მმართველი ელიტის პოლიტიკური გადაწყვეტილებები.

§ 4. პოლიტიკური კულტურის ფუნქციები

განვითარებული სამოქალაქო პოლიტიკური კულტურის ტიპი მნიშვნელოვან ფუნქციას თამაშობს საზოგადოების განვითარების პროცესში; იგი საბოლოო ჯამში განსაზღვრავს პოლიტიკური რეჟიმის ხასიათს და განაპირობებს ხელისუფლების დანაწილების დემოკრატიულად ფუნქციონირებას: დაბალი პოლიტიკური კულტურის ქვეშევრდომული და პატრიარქალური ბუნებიდან გამომდინარე შესაძლოა ავხსნათ დასავლური ლიბერალური დემოკრატიის, კონსტიტუციების, მმართველობის ფორმების წარუმატებელი „ტრანსპლანტაცია“ და სუპერსაპრეზიდენტო მმართველობის დომინანტური მდგომარეობა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში, სადაც მთელი ძალაუფლება აღმასრულებელ ხელისუფლებაშია გადაქაჩული და დიდია განსხვავება პრეზიდენტის კონსტიტუციურ და რეალურ ძალაუფლებას შორის; შემთხვევითი არაა, რომ გ. ალმონდმა და ს. ვერბას ნაშრომის (სამოქალაქო კულტურა) ბოლო თავის სათაურია „სამოქალაქო კულტურა და დემოკრატიის სტაბილურობა“, რომელშიც ყველაზე ნათლად და არგუმენტირებულად არის დასაბუთებული სამოქალაქო კულტურის მთავარი ფუნქციაა-დემოკრატიის სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფა.

პოლიტიკური მეცნიერების წარმომადგენლები პოლიტიკური კულტურის ფუნქციების განხილვის დროს, საუბრობენ მისი იდეალური ტიპის, სამოქალაქო კულტურის როლსა და დანიშნულებაზე საზოგადოების განვითარების პროცესში.

პოლიტიკური კულტურის ფუნქციებში მოიაზრება:

1. შემეცნებითი ფუნქცია-მოქალაქეებისთვის აუცილებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცოდნის, შეხედულებების, რწმენის და პოლიტიკური კომპეტენტურობის ფორმირება; პოლიტიკური კულტურა ეხმარება პოლიტიკური მოვლენების არსში გარკვევაში, პოლიტიკური ქმედებების და შესაძლებლობების საზღვრების გააზრებაში, რომლის ფარგლებში შესაძლებელია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაცია, პოლიტიკის როლის აღქმაში, პოლიტიკური სისტემების შედარების, კომპარატიული უნარ-ჩვევების ფორმირებაში.

2. ინტეგრაციული ფუნქცია-„პოლიტიკური თამაშის წესების“ და დემოკრატიის ძირითადი საბაზისო ლიბერალური ღირებულებების, საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების ირგვლივ თანხმობისა და კონსენსუსის მიღწევა სახელისუფლებო და ოპოზიციურ პარტიებს, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებსა და პოლიტიკურ ძალებს შორის; პოლიტიკურ კულტურაში პოულობს გამოხატულებას და განმტკიცებას სოციალური გამოცდილებისა და ისტორიული ბედისწერის ერთიანობა.

3. კომუნიკაციური ფუნქცია-იგი ითვალისწინებს პოლიტიკის სუბიექტებს შორის ინფორმაციის გაცვლას ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ დონეზე, მემკვიდრეობითობის დაცვას პოლიტიკური გამოცდილების გაზიარების პროცესში, რაც განხორციელდება პოლიტიკური პროცესის მონაწილეებს შორის საერთო ენის, კულტურული კოდის, პოლიტიკური ტერმინოლოგიის, სიმბოლოების ჩამოყალიბებით.

4. ნორმატიული ფუნქცია-პოლიტიკურ კულტურა არეგულირებს მოქალაქეების პოლიტიკურ ქცევებს საზოგადოებაში დამკვიდრებული ღირებულებების, წესების, პოლიტიკური ზეგავლენის ლეგიტიმური მექანიზმების მეშვეობით, რომლებიც განმტკიცებულია ქვეყნის კონსტიტუციასა და სხვა სამართლებრივ ნორმებში; აქ იკვეთება პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის ორგანული კავშირი, რომელშიც კანონმორჩილებითი ქცევების დამკვიდრება სამართლებრივი სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირების გარანტს წარმოადგენს.

5. იდენტიფიკაციის ფუნქცია-გარკვეული სოციალური ფენის, ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის გრძნობა, საკუთარი ადგილის აღქმა პოლიტიკურ სისტემასთან მიმართებაში, კოლექტიური და ინდივიდუალური ინტერესების დაცვის ლეგიტიმური მექანიზმების ცოდნა.

6. სოციალიზაციის (აღმზრდელობითი) ფუნქცია-პოლიტიკურ კულტურა აყალიბებს პიროვნებასა და მოქალაქეს, რომელიც თავის მხრივ დემოკრატიული ფასეულობების დამცველი და გამავრცელებელი ხდება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციების შედარებით სრული რეალიზაცია შესაძლებელია სამოქალაქო საზოგადოების და კულტურის პირობებში, რაც საბოლოო ჯამში სტაბილური დემოკრატიის ფუნქციონირებას უწყობს ხელს.

თავი მეორე. პოლიტიკური კულტურის ტიპები

§ 1.საკითხის აქტუალობა და ზოგადი მიმოხილვა

პოლიტიკური კულტურის მეცნიერული კონცეფციის ჩამოყალიბების პროცესში მკვლევარები გვთავაზობენ მრავალფეროვან ტიპოლოგიას; ამის მიზეზად შეიძლება მრავალი გარემოება დავასახელოდ; პოლიტიკური კულტურის ტიპოლოგიის საფუძვლად გარი ექსტაინს განსხვავებული პოლიტიკური სისტემები მიაჩნია, ალმონდს და ვერბას ქვეყნებისა და რეგიონების თავისებურებები, მოქალაქეების ზნეობრივ-ეთიკური, ინდივიდუალური, ტრადიციული ორიენტაციები პოლიტიკურ თამაშში–დანიელ ელეიზარს, უცხო კულტურასთან მიმართებაში ჩაკეტილობა-გახსნილობის ხარისხი–შვარცენბერგს, კულტურული კომპონენტების შინაგანი ერთიანობა–კავანახს, იდეოლოგიური სხვაობები–ვიატრს, ელიტარული და არაელიტარული კომპონენტები და ა.შ.[29]

პოლიტიკური კულტურის მრავალფეროვან ტიპოლოგიას ჩვენი აზრით შემდეგი მიზეზები განაპირობებენ:

1. კონკრეტული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, ეროვნული გეოპოლიტიკური, რელიგიური და ისტორიული განვითარების სპეციფიკა მნიშვნელოვან თავისებურებებს განაპირობებს სულიერ და პოლიტიკურ კულტურაში; შემთხვევითი არაა, რომ „ ეროვნული ხასიათის“ თეორია (თავდაპირველად ცნებაც

[29] Политология. (Мельвил А. Ю и др). М 2011 გვ 442-443.

„ნაციონალური სულის“ განმარტებასთან არის დაკავშირებული ჰერდერთან) პოლიტიკური კულტურის კონცეფციის უშუალო წანამძღვარია: შეგვიძლია ვისაუბროთ, პოლიტიკური კულტურის იმდენივე ტიპზე, რამდენი სახელმწიფო და ერიც არსებობს ხუთივე კონტინენტზე და ამ აზრის დასასაბუთებლად მრავალი არგუმენტი, თეორია და მეთოდოლოგია მოიძებნება აზროვნების ისტორიაში.

2. პოლიტიკური კულტურის მდიდარი კონცეფციების და ასევე განსხვავებული ტიპოლოგიის მთავარი მიზეზი, როგორც ზემოთ იყო მითითებული, მომდინარეობს იქედან, რომ ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, სოციოლოგები, პოლიტოლოგები, კულტუროლოგები განსხვავებული მეთოდოლოგიებზე დაყრდნობით სწავლობენ პოლიტიკური კულტურის ცალკეულ კომპონენტებს.

3. პოლიტიკური კულტურის სტრუქტურული ელემენტები მუდმივი ცვალებადობის და განვითარების პროცესშია: გლობალიზაციისა და საკომუნიკაციო საშუალებების სწრაფი განვითარება, ახალ უნივერსალურ ღირებულებებს ამკვიდრებს სულიერი ცხოვრების სფეროში; ამიტომ, რთულია ყველა დროსა და სივრცეში მისაღები ლოგიკური ტიპოლოგიის სქემის ჩამოყალიბება.

მიუხედავათ ზემოთ ჩამოყალიბებული არგუმენტებისა, პოლიტიკური კულტურის ცალკეული ტიპების გამოყოფა-კლასიფიკაცია შესაძლებელია და აუცილებელიც: შესაძლებელია იმის გამო, რომ სხვადასხვა ხალხების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული თანაცხოვრება ხანგრძლივი ისტორიული პროცესია და ბუნებრივია წარმოშობს „საერთო ნიშნებს“ ცხოვრების წესსა და სულიერ კულტურაში; „ ყოველივე ეს საშუალებას იძლევა სხვადასხვა იმანენტური ნიშნების და მეთოდოლოგიური მიდგომების საფუძველზე მოვახდინოთ პოლიტიკური კულტურის ზოგადი მოდელების და ტიპების კონსტრუირება-კლასიფიკაცია, რომლებიც ძირითადი საბაზისო მაჩვენებლების მიხედვით მიესადაგება კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას.“[30]ამ გზით გამოიყოფა სამოქალაქო, ტოტალიტარული, ავტორიტარული და სხვა პოლიტიკური კულტურის იდეალური ტიპები და შემდგომ მათზე დაყრდნობით ვახდენთ კონკრეტული კულტურის კვლევას.

პოლიტიკური კულტურის ტიპოლოგიის აუცილებლობას განსაკუთრებით პრაგმატული ღირებულება გააჩნია ტრანსფორმირებადი პოლიტიკური სისტემის

[30] ა. ტუკვაძე. პოლიტიკური კულტურის ტიპოლოგია. იხ; კრ „ პოლიტოლოფიის საკითხები“ თბ 2000 ნაწ. 2 გვ 3.

მქონე ქვეყნებისთვის, კონკრეტულად საქართველოსთვის: დასავლური დემოკრატიისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური კულტურის „იდეალური ტიპის“ შედარება ჩვენს რეალიებთან, მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ორიენტირი იქნება იმისთვის, თუ რაზე უნდა გაამახვილოს ევროინტეგრაციის და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში ყურადღება მმართველმა ელიტამ: უფრო ზუსტად, როგორ დავძლიოდ ავტორიტარული დინებები პოლიტიკურ პროცესში; რა გზით დავამკვიდროთ „პოლიტიკური თამაშის“ დემოკრატიული წესები ქვეყანაში; როგორ აღმოვფხვრათ პატრიარქალური-ქურდული მენტალიტეტი საზოგადოებრივ ცნობიერებაში; როგორ გავაძლიეროთ სახელმწიფოებრივი აზროვნების ელემენტები დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება-განმტკიცების პროცესში და სხვა.

§ 2. მრევლის, ქვეშევრდომის, მონაწილის კულტურის ტიპები გ. ალმონდისა და ს. ვერბას კონცეფციაში

პოლიტიკური კულტურის კლასიკური თეორიის ფუძემდებლებმა ხუთი ქვეყნის კულტურის შემადგენელი კომპონენტების, პოლიტიკური ორიენტაციების შესწავლის და შედარებითი ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბეს მრევლის, მონაწილის და ქვეშევრდომის კულტურის ტიპები, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა და პრაქტიკული ღირებულება; ტიპის განმსაზღვრელი დასახელებული ორიენტაციების დომინირებადი ხასიათია კონკრეტული საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში.

პოლიტიკური კულტურის ტიპოლოგიის საფუძვლად ალმონდისა და ვერბას კონცეფციაში აღებულია ორიენტაციების ოთხი ტიპი სისტემაზე, სისტემის „შესასვლელ“ და „გამოსასვლელ“ სიგნალებზე და თავისი თავის აღქმაზე პოლიტიკურ პროცესში, როგორც ობიექტზე; თუ არც ერთი ორიენტაცია არ გამოიყოფა სპეციალიზებულ პოლიტიკურ ობიექტებზე და აღვნიშნავთ მას ნოლით,

მაშინ, ასეთ პოლიტიკურ კულტურას ვუწოდებთ პატრიარქალურს[31]; აფრიკული ტომების და მათი ავტონომიური საზოგადოებების პოლიტიკური კულტურა, რომელიც კალემანმა აღწერა,-განაგრძობენ მკვლევარები,-ხვდება პატრიარქალური პოლიტიკური კულტურის კატეგორიაში; ამ საზოგადოებაში არაა სპეციალიზირებული პოლიტიკური როლები; ლიდერების, შამანების, ბელადების პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო როლები ერთიმეორეშია არეული; საზოგადოების პოლიტიკური ორიენტაციები ამ როლებთან მიმართებაში განუყოფელია რელიგიური და სოციალური ორიენტაციებისგან; მრევლის ორიენტაცია თავის თავში შეიცავს პოლიტიკური სისტემის ინიცირებით გამოწვეული ცვლილებების მოლოდინის არსებობას; მრევლის წევრები არაფერს არ ელოდებიან პოლიტიკური სიტემისაგან; ასეა კალემანის მიხედვით ცენტრალიზებულ აფრიკულ ტომებსა და სამთავროებში; თუმცა, რომელიმე უფრო მნიშვნელოვანი სპეციალიზებული პოლიტიკური როლების განვითარებამ ამ საზოგადოებებში შეიძლება გამოიწვიოს უფრო დიფერენცირებული პოლიტიკური ორიენტაციების გაჩენა; მეტიც, ფართო მასშტაბიან და უფრო დიფერენცირებულ პოლიტიკურ სისტემებს შესაძლოა საფუძვლად ედოს პატრიარქალური პოლიტიკური კულტურა, მაგრამ შედარებით სუფთა პატრიარქალიზმი უფრო სავარაუდოა მარტივ ტრადიციულ სისტემებში, სადაც პოლიტიკური სპეციალიზაცია მინიმალურია; მრევლის კულტურა უფრო დიფერენცირებულ პოლიტიკურ სისტემებში ეფექტური და ნორმატიულია, ვიდრე კოგნიტური; ეს ნიშნავს, რომ ნიგერიისა და განას ტომების ადამიანებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ცენტრალური პოლიტიკური რეჟიმის არსებობაზე და მათი გრძნობები ამ რეჟიმის მიმართ გაურკვეველი ან ნეგატიურია და მათ არ მიუღიათ ურთიერთობის ფორმები.

ქვეშევრდომის პოლიტიკური კულტურა[32],- ალმონდისა და ვერბას კონცეფციაში,- პოლიტიკური კულტურის მეორე მნიშვნელოვანი ტიპია; მასში არსებობს მყარი ორიენტაციები დიფერენციული პოლიტიკური სისტემის მიმართ და იმის მიმართ თუ რას იძლევა სისტემა „გამოსვლისას“, მაგრამ სპეციფიკურ ობიექტზე სისტემის „შესასვლელზე“ და აგრეთვე თავის თავის აღქმაზე პოლიტიკურ პროცესში, როგორც

---

[31] მრევლის ნაცვლად ჩვენ ხშირად ვიყენებთ პატრიარქალურ კულტურას, რადგანაც შინაარსობრივად ეს ცნება უფრო ზუსტად შეესაბამება გვროვნულ-ტომობრივ საზოგადოებებში სახელმწიფო ინსტიტუტების და კერძო საკუთრების არ არსებობის პირობებში, კაცობრიობის ისტორიის დასაწყისში არსებულ ადამიანების გრძნობებზე და ემოციებზე დამყარებულ არქაულ ორიენტაციებს, მაგრამ გარკვეულ კონტექსტში შეიძლება მრევლის, ადგილობრივი, პროვინციული კულტურის ტერმინებიც იქნას გამოყენებული.

[32] ქვეშევრდომის, მორჩილებითი კულტურის ცნებები გამოყენებული იქნება საზოგადოებასთან მიმართებაში, მაგრამ ნომეკლატურული, კომუნისტური ელიტის შიგნით ფუნქციონირებად პოლიტიკურ კულტურას ჩვენ ვუწოდებთ საშემსრულებლოს, რომელიც უფრო ზუსტად ასახავს ელიტებს შორის (სტალინი მმართველი ძალის იერარქიას გენერალიტეტს ადარებდა) დამყარებულ ურთიერთობას, რეკრუტირების გილდიური მეთოდის კრიტერიუმებს, ხელისუფლების ვერტიკალური დინების თავისებურებებს.

მონაწილის ორიენტაციები ძალიან სუსტია; ასეთი სისტემის სუბიექტი-ქვეშევრდომი, აცნობიერებს სამთავრობო ხელისუფლების არსებობას და გრძნობებით ორიენტირებულია მასზე, შესაძლოა ამაყობს-არ უყვარს ან აფასებს მას, როგორც კანონიერს -უკანონოს; მაგრამ სისტემასთან ურთიერთობა საერთოდ იმაზე თუ რას იძლევა იგი „გამოსვლისას“ ან პოლიტიკური სისტემის ადმინისტრაციულ მხარეზე ეს ურთიერთობები საერთოდ პასიურია; ეს ცოდნისა და მონაწილეობის შეზღუდული ფორმაა, რომელსაც შეესაბამება ქვეშევრდომის კულტურა; ჩვენ ვსაუბრობთ,- განაგრძობს გ. ალმონდი და ს. ვერბა,-სუფთა ქვეშევრდომის ორიენტაციებზე, რომლის არსებობა უფრო მეტად შესაძლოა საზოგადოებებში, სადაც არ არის ფორმირებული და დიფერენცირებული სტრუქტურული ელემენტები „გამოსასვლელზე“. ქვეშევრდომული ორიენტაციები განვითარებული დემოკრატიული ინსტიტუტების პოლიტიკურ სისტემაში, უფრო ეფექტური და ნორმატიულია, ვიდრე კოგნიტური; ასე, ფრანგმა როიალისტმა იცის დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობის შესახებ, მაგრამ არ თვლის მას ლეგიტიმურად.

მონაწილის[33] პოლიტიკური კულტურა. პოლიტიკური კულტურის მესამე ძირითადი ტიპია მონაწილის კულტურა, ასეთ კულტურაში საზოგადოების წევრები ორიენტირებულნი არიან სისტემის, პოლიტიკურ, ისე, ადმინისტრაციულ სტრუქტურებზე და პროცესებზე; სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, პოლიტიკური სისტემის “შემავალ“ და „ გამომავალ“ ასპექტებზე; პოლიტიკური სისტემის ინდივიდუალური წევრები შესაძლოა დადებითად ან უარყოფითად იყვნენ ორიენტირებულნი პოლიტიკური ობიექტების სხვადასხვა კლასებზე; ისინი იხრებიან იქეთკენ, რომ ორიენტირებულნი იყვნენ თავიანთ აქტიურ როლზე, თუმცა, მათი გრძნობები და შეფასებები შესაძლოა მერყეობდეს მონაწილეობასა და არ მონაწილეობას შორის.[34]

§ 3. სამოქალაქო კულტურის ტიპი გ. ალმონდისა და ს. ვერბას კონცეფციის მიხედვით

ამ პარაგრაფში ალმონდისა და ვერბას სამოქალაქო კულტურის კონცეფცია განხილული იქნება შრომების „სამოქალაქო კულტურა და დემოკრატიის

[33] პარტიციპატორული, აქტიური, სამოქალაქო

[34] Алмонд Г. Верба С. Гражданская культура и стабильность демократии. М 1992 გვ 599.

სტაბილურობის“ (არის შემოკლებული ქართული ვერსია) და „შედარებითი პოლიტიკა დღეს“ საფუძველზე.

სამოქალაქო კულტურა-ეს უპირველეს ყოვლისა ლოიალური მონაწილის კულტურაა; ინდივიდები არა მარტო ორიენტირებულნი არიან პოლიტიკაში“ შესვლაზე“, მასში მონაწილეობაზე, არამედ ისინი აგრეთვე პოზიტიურად არიან ორიენტირებულნი „შემავალ“ სტრუქტურებზე და „შემავალ“ პროცესებზე: სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ჩვენს მიერ შემოღებული ტერმინი სამოქალაქო კულტურა არის მონაწილეობითი კულტურა, რომელშიც პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური სტრუქტურა თანხმობაში და შესაბამისობაშია ერთი-მეორესთან[35]

სამოქალაქო კულტურის კონცეფციის განხილვას გ. ალმონდი და ს. ვერბა იწყებენ კითხვის დასმით არსებობს თუ არა პოლიტიკური კულტურის ისეთი ტიპი, რომელიც ხელს უწყობს დემოკრატიის სტაბილურობას, რომელიც დემოკრატიულ სისტემაზე მეტ-ნაკლებად არის „მორგებული“? კვლევებმა გვიჩვენა, რომ წარმატებული დემოკრატიების, დიდი ბრიტანეთის და აშშ-ის პოლიტიკური კულტურა, დაახლოებით მიესადაგება პოლიტიკური კულტურის ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულ გაგებას და იგი მნიშვნელოვნად განსხვავებულია „რაციონალურ-აქტივისტური“ მოდელისაგან, რომელიც დემოკრატიებში უკვე უნდა ყოფილიყო გავრცელებული, მაგრამ პოლიტიკური ორიენტაციების შესწავლამ გვიჩვენა, რომ „რაციონალურ-აქტივისტური“ მოდელი რეალური პოლიტიკური ცხოვრებიდან არაა აღებული, არაადეკვატურია და უტოპისტურ კონსტრუქციას წარმოადგენს; თავისი არგუმენტების დასასაბუთებლად, იშველიებენ აშშ-ი და ბრიტანეთში ჩატარებული კვლევის მასალებს, რომლის მიხედვითაც-სამოქალაქო კულტურა შერეული პოლიტიკური კულტურაა. მის საზღვრებში მრავალ მოქალაქეს შეუძლია პოლიტიკურად აქტიური იყოს, მაგრამ მრავალი სხვა ქვეშევრდომის პასიურ როლს ასრულებს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ აქტიური როლის შემსრულებელსაც მრევლისა და ქვეშევრდომის თვისებები სრულად არ დაუკარგავთ. მონაწილის როლი, უბრალოდ, ავსებს ამ როლს. ეს იმას ნიშნავს, რომ აქტიური მოქალაქე მისთვის ტრადიციულ, არაპოლიტიკურ კავშირებსაც ინარჩუნებს და ვერც ქვეშევრდომის პასიურ როლს ელევა;[36] უფრო მეტიც, ეს შედარებით ძველი ორიენტაციები არა მარტო მხარდაჭერილია მონაწილის ორიენტაციებით, არამედ ისინი ასევე შეესაბამებიან მონაწილის ორიენტაციებს; უფრო ტრადიციულ ორიენტაციებს აქვთ ტენდენცია შეზღუდონ ინდივიდის მოვალეობები პოლიტიკასთან მიმართებაში და ეს

[35] Алмонд Г. Верба С. Гражданская культура и стабильность демократии. М 1992 გვ 600.
[36] სამოქალაქო კულტურა და დემოკრატიის სტაბილურობა იხ: ჟურნ „სოლიდარობა“ № 2(29) 2009 გვ 38

მოვალეობები აქციოს უფრო რბილად: ქვეშევრდომის და პატრიარქალური ორიენტაციები „მართავენ“ ან „აკავებენ“ მონაწილის ორიენტაციებს; პოლიტიკურ სისტემაში ასეთი განწყობები ხელსაყრელია მონაწილის ორიენტაციებისათვის და თამაშობენ მნიშვნელოვან როლს სამოქალაქო კულტურაში, ისევე, როგორც სხვა ადამიანების რწმენის და საერთოდ სოციალური მონაწილეობის განწყობები; ასეთ შედარებით ტრადიციული განწყობების მხარდაჭერას და მის შერწყმას მივყავართ ბალანსირებულ პოლიტიკურ კულტურასთან, რომელშიც პოლიტიკური აქტიურობა და რაციონალურობა არსებობენ, მაგრამ ამასთანავე გაწონასწორებულნი არიან მორჩილებით, ტრადიციების დაცვითა და საზოგადოებრივი ღირებულებების მიმდევრობით-ასკვნიან მკვლევარები.[37]

„რაციონალურ-აქტივისტური“ კულტურის მოდელის იდეალის შეუსაბამობა,- განაგრძობენ მკვლევარები,-რეალურ ცხოვრებასთან ახსნილია დემოკრატიის ფუნქციონირების ცუდი ხარისხით: რა გამოდის მოქალაქეები თუ ამ მოდელის იდეალების მიხედვით არ მოქმედებენ დემოკრატია არ შედგა? ამისთვის უნდა ვირწმუნოთ, რომ რეალური ცხოვრება ამა თუ იმ თეორიით უნდა იძენდეს ფორმას, მაგრამ სინამდვილეში ხომ თეორიები პოლიტიკური ცხოვრების რეალიებიდან უნდა აღმოცენდეს; რეალურ ცხოვრებაში არსებული ვითარების შეუსაბამობა „რაციონალისტურ-აქტივისტური“ მოდელის მომხრეებმა შესაძლოა იმით ახსნან, რომ ზედმეტად მაღლა ასწიეს თამასა, მაგრამ სინამდვილეში კვლევებმა გვიჩვენა, რომ პოლიტიკა მოქალაქეების უმრავლესობისთვის არც თუ ისე საინტერესო სფეროა, რომ იდეალური მოქალაქეობისთვის ღირდეს მისთვის დროის ხარჯვა; ამასთანავე, ინფორმაციის მოუხელთებლობასაც თუ გავითვალისწინებთ (ინფორმირებულობა რაციონალური პოლიტიკური გადაწყვეტილების აუცილებელ პირობას წარმოადგენს), მაშინ, გასაგებია ჩვეულებრივი მოქალაქე, რატომ არ არის იდეალური მოქალაქე, რომელიც პოლიტიკას მნიშვნელოვან დროს დაუთმობდა.

ორმოცი წლის შემდეგ გ. ალმონდი, ჯ. პაუელთან, კ. სტრომთან, რ. დალტონთან ერთად გამოქვეყნებულ შრომაში „შედარებითი პოლიტიკა დღეს“ (მსოფლიო მიმოხილვა) კვლავ იზიარებს 1958-1962 წლებში ჩატარებული კვლევის შედეგებს, მრევლის, ქვეშევრდომის, მონაწილის ორიენტაციებთან მიმართებაში, სამოქალაქო კულტურაში მათი განსხვავებული თანაფარდობიდან გამომდინარე აყალიბებს პოლიტიკური სისტემის ტიპებს და აზუსტებს პოლიტიკური კულტურისა და სისტემის ურთიერთზემოქმედების ასპექტებს, რადგანაც ამ მიმართულებით მრავალი კრიტიკოსი გაუჩნდა მის კონცეფციას:

[37] Алмонд Г. Верба С. Гражданская культура и стабильность демократии. М 1992 გვ 600.

1. მონაწილეები რეალურად ან პოტენციურად ჩართული არიან პოლიტიკურ პროცესში. ისინი ინფორმირებულნი არიან პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, უყენებენ მოთხოვნებს პოლიტიკურ სისტემას და ამ მოთხოვნების შესრულებიდან გამომდინარე მხარს უჭერენ პოლიტიკურ ლიდერებს; ქვეშევრდომები პასიურად ემორჩილებიან სახელმწიფო ჩინოვნიკებს და კანონებს, მაგრამ ხმას არ აძლევენ და აქტიურად არ არიან ჩაბმულნი პოლიტიკურ ცხოვრებაში; მრევლს აქვს მეტად ბუნდოვანი წარმოდგენები მთავრობაზე და პოლიტიკაზე. ესენი შეიძლება იყვნენ სოფლის უწიგნური მოსახლეობა, რომლებიც სხვადასხვა ადგილებში ცხოვრობენ ან უბრალოდ ადამიანები, რომლებიც ახდენენ პოლიტიკის მათ ცხოვრებაზე ზემოქმედების შესაძლებლობის იგნონირებას.[38]
2. მრევლის, ქვეშევრდომის და მონაწილის ორიენტაციების განსხვავებული თანაფარდობა კულტურაში განაპირობებს პოლიტიკური სისტემებისა და რეჟიმების ტიპების სიმრავლეს:

   ა) ჰიპოტეტურ დემოკრატიულ ინდუსტრიულ პოლიტიკურ სისტემებში 60% მონაწილის, 30% ქვეშევრდომის, 10% მრევლის პოლიტიკური ორიენტაციებია მოცემული. მსგავსი გადანაწილება უზრუნველყოფს პოლიტიკური აქტივისტების საკმაო რაოდენობას, რომ გარანტირებული იყოს პოლიტიკურ პარტიებს შორის კონკურენცია და ამომრჩევლების მნიშვნელოვანი რაოდენობა, ასევე, კრიტიკული აუდიტორიები დებატებისათვის პოლიტიკურ საკითხებზე პოლიტიკურ პარტიებს, კანდიდატებს და ზეწოლის ჯგუფებს შორის. ამასთან ერთად ყველა მოქალაქე არ გრძნობს პოლიტიკური აქტიურობის მოთხოვნილებას არ თვლიან საჭიროდ შეწუხდნენ პოლიტიკურ სისტემასთან დამოკიდებულებაში.

   ბ) ავტორიტარულ ინდუსტრიულ პოლიტიკურ სისტემაში - 80% ქვეშევრდომის, ათ-ათი პროცენტი მონაწილის და მრევლის პოლიტიკური ორიენტაციები. ასეთი თანაფარდობა უნდა არსებობდეს ინდუსტრიულად მაღალ განვითარებულ, ავტორიტარულ, აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ, კომუნისტური ერების მსგავს საზოგადოებაში. აქ მოქალაქეების უმნიშვნელო რაოდენობა ჩაბმულია ერთპარტიული სისტემის საქმიანობაში, რომლებიც განსაზღვრავენ პოლიტიკურ კურსს. დანარჩენი მოსახლეობის უმრავლესობა მობილიზებულია, როგორც ქვეშევრდომები

[38] Алмонд Г. Пауэлл Дж. Стром К. Далтон Р. Сравнителъная политологиа сегодня: Мировой обзор. М. 2002 გვ 98.

პოლიტიკური ინსტიტუტების, პოლიტიკური პარტიის, ბიუროკრატიის, მთავრობისაგან კონტროლირებადი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხარდასაჭერად. მოქალაქეებს აიძულებენ ან წაახალისებენ სისტემისადმი მხარდაჭერის სიმბოლიზებულ არჩევნებში. მაგრამ თუკი საზოგადოება შეეცდება მოახდინოს თავისი ცხოვრების დემოკრატიზაცია, მაშინ, მრავალ მოქალაქეს მოუწევს მონაწილეობის და დემოკრატიის სწავლა.

ვ) ავტორიტარულ, გარდამავალ პოლიტიკურ სისტემაში, რომელიც ნაწილობრივ ინდუსტრიალიზებულია, მოდერნიზებულია (ეგვიპტის და ტაილანდის მსგავსად)-30% პატრიარქალურის, 60% ქვეშევრდომის, 10% მონაწილის პოლიტიკური ორიენტაციებია მოცემული. მიუხედავად პოლიტიკური სისტემის ავტორიტარულობისა, მოსახლეობის ნაწილი, მაგალითად სტუდენტები და ინტელექტუალები გამოდიან სისტემის წინააღმდეგ და ცდილობენ შეცვალონ იგი რწმენის ან პროტესტის ენერგიული აქციებით დახმარებით. პრივილეგირებული მეწარმეებისა და მიწათმოქმედების მსგავსი ფენები დაკავებულნი არიან სახელმწიფო პრობლემებზე მსჯელობით და ლობირებით. ასეთ სისტემებში ადამიანების უმრავლესობა ქვეშევრდომია, რომლებიც ინფორმირებულნი არიან მთავრობის შესახებ და ემორჩილებიან კანონებს, მაგრამ არავითარი სხვა ფორმით არ მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მრევლი, ღარიბი და უწიგნური გლეხები, სოფლის მუშაკები და მიყრუებული ადგილების მცხოვრებნი არიან, რომლებსაც პრაქტიკულად არ გააჩნიათ პოლიტიკურ სისტემასთან მიმართებაში გააზრებული კონტაქტები.

გ) დემოკრატიულ ინდუსტრიამდელ პოლიტიკურ სისტემაში, რომელიც არსებობს ინდოეთში, უპირატესად სოფლის უწიგნური მოსახლეობით, 10% მონაწილის, 50% პატრიარქალური, 40% ქვეშევრდომის პოლიტიკური ორიენტაციებია. ასეთ ქვეყნებში მონაწილეები არიან თავისუფალი პროფესიების მაღალი განათლების მქონე მეწარმეები და მიწათმოქმედები. მოქალაქეების შედარებით დიდი რაოდენობის ცხოვრებაზე (მოსამსახურეები, მუშები, სავარაუდოდ დამოუკიდებელი ფერმერები) ზეგავლენას ახდენს სამთავრობო პოლიტიკის სახელმწიფო საგადასახადო - საინვესტიციო და სხვა ასპექტები. მაგრამ მოქალაქეების დიდ ნაწილს შეადგენს უწიგნური სასოფლო-სამეურნეო მუშები და გლეხები, რომელთა წარმოდგენები საერთო ეროვნულ პოლიტიკაზე და მასში მონაწილეობაზე მინიმალურია. მსგავს საზოგადოებებში ძალიან ძნელია შექმნა უფრო შეგნებული მოქალაქეების კორპუსი, რომელთაც შეეძლებათ გააზრებულად მიიღონ მონაწილეობა

პოლიტიკურ ცხოვრებაში და დემოკრატიული ხერხების გამოყენებით მოახდინონ სახელმწიფო კურსის ფორმირება.ა[39].

მთლიანობაში აღებული შეიძლება ვთქვათ, რომ ამ კულტურული მოდელების გავრცელება დაკავშირებულია პოლიტიკური პროცესის ისეთ ტიპთან, რომელსაც მოქალაქეები ელოდებიან და მხარს უჭერენ; ასე მაგალითად, დემოკრატია გაიგივებულია უფრო მონაწილეობით პოლიტიკურ კულტურასთან; მიუხედავათ იმისა, რომ ავტორიტარიზმს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმები,-კომუნისტურიდან დიქტატორულ-თეოკრატიულით დამთავრებული,-ისინი მაშინ არიან მყარნი თუ მოსახლეობაში ჭარბობს ქვეშევრდომული და პატრიარქალური ორიენტაციები.

დ) „სტაბილურ დემოკრატიებში დარწმუნებული ვართ პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური სისტემა ერთიმეორეს ამაგრებენ. ძნელია შეინარჩუნო დემოკრატია იმ ქვეყნებში, სადაც არ არის დემოკრატიულად მონაწილეობის განწყობა, ისევე, როგორც ავტორიტარული სახელმწიფო, სადაც მოქალაქეები არიან პოლიტიკურად გაწაფულები და სურთ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა. მართლაც, თანამედროვე მსოფლიოს ერთერთი ძირითადი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ შეძლებენ თუ არა წარმატებულ დემოკრატიულ გადასვლას (1990-იან წლებიდან დაწყებული) აღმოსავლეთ ევროპის, ლათინური ამერიკის და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები. ამაზე პასუხი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ამ ქვეყნების შესაბამის პოლიტიკურ კულტურაზე....ისმის კითხვა: არის თუ არა უზრუნველყოფილი დემოკრატიული საზოგადოებრიობა დემოკრატიით შობილი თუ შესაბამისი პოლიტიკურ კულტურას მივყავართ დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემებამდე? ბუნებრივია ურთიერთკავშირი აქ ორმაგი ხასიათისაა. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, გერმანელები ნაკლებად იყვნენ დემოკრატიის სასარგებლოდ განწყობილნი, ვიდრე დღესაა, მაგრამ ერთი თაობის შემდეგ მათი პოლიტიკური კულტურა შეიცვალა პოლიტიკური ინსტიტუტებისა და პოლიტიკური გამოცდილების გავლენით; ამასთან ერთად ის ფაქტი, რომ დემოკრატიამ დიდ ბრიტანეთში გაუძლო „დიდ დეპრესიას“ და მეორე მსოფლიო ომს, აიხსნება, ნაწილობრივ მაინც, ბრიტანელი ხალხის მიერ დემოკრატიული პროცესის მხარდაჭერით. მნიშვნელოვანი დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ ორმხრივი

[39] Алмонд Г. Пауэлл Дж. Стром К. Далтон Р. Сравнителъная политологиа сегодня: Мировой обзор. М. 2002 გვ 98.

ურთიერთკავშირია პოლიტიკურ კულტურასა და პოლიტიკურ სტრუქტურებს შორის.“ [40]

გ. ალმონდი და ს. ვერბა აყალიბებენ სამოქალაქო კულტურის წიაღში არსებულ ურთიერთშეუთავსებელ პოლიტიკურ ორიენტაციებს, რომლებიც დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის მოთხოვნილებას ყველაზე მეტად შეესაბამება და საბოლოო ჯამში განაპირობებს მის სტაბილურ ფუნქციონირებას;

სამოქალაქო კულტურის განმსაზღვრელი პარამეტრებია: ძალაუფლებასა და პასუხისმგებლობას, აქტიურობასა და პასიურობას, თანხმობასა და უთანხმოებას, რაციონალურ და ირაციონალურ ქცევებსა და ქმედებებს შორის ბალანსი და ამ აზრით სამოქალაქო კულტურა ზომიერი, გაწონასწორებული, დაბალანსებული კულტურაა, სადაც რადიკალური ქმედებები გამოირიცხება და აქცენტი მშვიდობიან, კონსესუალურ პოლიტიკურ პროცესზე კეთდება, რომელშიც მაღალია თანხმობის ხარისხი დემოკრატიის ძირითადი საბაზისო ღირებულებებისა და „პოლიტიკური თამაშის წესების“ ირგვლივ , ერთი მხრივ, პოლიტიკურ ძალებს, მეორე მხრივ, საზოგადოებასა ხელისუფლებას შორის.

ცალ-ცალკე განვიხილოთ სამოქალაქო კულტურის გ. ალმონდისეული მახასიათებლები:

ძალაუფლება და პასუხისმგებლობა. „სახელისუფლებო ძალასა და პასუხისმგებლობას შორის საჭირო წონასწორობის შენარჩუნება დემოკრატიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ძნელი ამოცანაა. იმ შემთხვევაში, თუ არაელიტას არ გააჩნია სახელმწიფო ელიტაზე კონტროლის რაიმე ფორმა, ძნელია პოლიტიკურ სისტემას დემოკრატია დაერქვას. მეორე მხრივ, არაელიტას არ შეუძლია თავად ითავოს მართვა.“[41]

პოლიტიკური სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია იმდაგვარი მექანიზმის არსებობა, რომლებიც უზრუნველყოფს მმართველ ელიტას ძლაუფლებით აღჭურვით, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს ხელისუფლება შეიმუშაოს და გაატაროს წარმატებული პოლიტიკა ქვეყნის შიგნით ისე გარეთ; სამთავრობო მოხელეების ძალაუფლების მიღების უფლებამოსილებათა აღჭურვიდან და პასუხისმგებლობიდან გამომდინარე დაძაბულობა ყველაზე მკვეთრად ვლინდება კრიზისული სიტუაციების დროს,

[40] Алмонд Г. Пауэлл Дж. Стром К. Далтон Р. Сравнителъная политологиа сегодня: Мировой обзор. М. 2002 გვ 102-104.

[41] სამოქალაქო კულტურა და დემოკრატიის სტაბილურობა იხ: ჟ „სოლიდარობა“ №2(29) 2009 გვ 39.

როცა პრობლემის გადაწყვეტა ჭიანურდება და პოლიტიკური პროცესების ზედაპირზე ამოტივტივდება.

საჭიროა მართვის სისტემის იმგვარად ორგანიზება, რომ არ დაირღვეს ბალანსი ძალაუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის: „ ე. ე. შატნეიდერმა საკითხი ასე დასვა,-განაგრძობენ მკვლევარები,- პრობლემა ის კი არ არის, რა მოუხერხოს 180 მილიონმა არისტოტელემ დემოკრატიას, არამედ ის, რომ 180 მილიონი ჩვეულებრივი ადამიანისგან შემდგარი საზოგადოება ისე იყოს ორგანიზებული, რომ მან იმავდროულად საკუთარი მოთხოვნილებებისადმი მგრძნობიარობა შეინარჩუნოს. ეს ლიდერობის, ორგანიზაციის, ალტერნატივების, შესაბამისობათა და ნდობის სისტემათა პრობლემაა.“[42]

დემოკრატია შეზღუდული ხელისუფლებაა პირველ ყოვლისა და ამას უზრუნველყოფს კონსტიტუცია, საარჩევნო კანონი, რომლებშიც გაწერილია არჩევნების პერიოდულობა, იმპიჩმენტის მექანიზმები, ხელისუფლებაზე ზეგავლენისა და მხარდაჭერის ლეგიტიმური საშუალებები, ასევე, „პოლიტიკური თამაშის წესებში“ დამკვიდრებული ფორმალური და არაფორმალური კონტროლის მთელი სისტემა. ამგვარი სისტემა დემოკრატიულ რეჟიმში იფუნქციონირებს მხოლოდ პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში, რაც მრავალპარტიულობას, ოპოზიციური ელიტების და საერთოდ კონკურენტული გარემოს გულისხმობს; სხვა შემთხვევაში დეკლარირებულ დემოკრატიას მივიღებთ და ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დავა ფორმალურ ხასიათის იქნება.

ამავდროულად, ასევე, უნდა არსებობდეს ისეთი სამართლებრივი და პოლიტიკური მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მიცემს მმართველ ელიტას აღიჭურვოს ძალაუფლების სრული მოცულობით (გამარჯვებული პარტია ორპარტიულ სისტემაში, კოალიციური მთავრობა, პრეზიდენტი საპრეზიდენტო მმართველობაში), რათა ეფექტური პოლიტიკის გატარება შეეძლოს და უპასუხოს საშინაო და საგარეო გამოწვევებს.

ძალაუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის ბალანსის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ხელისუფლებამ იგრძნოს გარკვეული ანგარიშვალდებულობის გრძნობა მოქალაქეების წინაშე; ამისათვის მოქალაქეს უნდა შეეძლოს თავისი მოთხოვნების გასაგებ ენაზე მიტანა ხელისუფლებასთან, თავს უნდა მოახვიოს მას პასუხისმგებლობით ნაკარნახევი ქცევა და ამავე დროს საჭიროა იმასაც აცნობიერებდეს, რა შემთხვევაშია ანგარიშვალდებული ხელისუფლება მათ წინაშე; ყოველივე

[42]სამოქალაქო კულტურა და დემოკრატიის სტაბილურობა იხ: ჟ „სოლიდარობა“ №2(29) 2009 გვ 39.

გულისხმობს „რაციონალურ- აქტივისტური“ მოდელის შესაბამის ქცევას, მაგრამ სამოქალაქო კულტურის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოქალაქეების ურთიერთ საწინააღმდეგო ქცევებს მოითხოვს: პოლიტიკური სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭიროა მმართველი ელიტები აღჭურვილი იყვნენ ძალაუფლებით და გარკვეული აზრით „თავისუფალი“ იყვნენ პოლიტიკური გადაწყვეტილებების რეალიზაციის პროცესში, რაც მოქალაქეების აქტიურობის შეზღუდვას მოითხოვს; მმართველი ელიტის მოთხოვნილება პოლიტიკური სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის არის ხელისუფლების მიმართ ლოიალობა, მორჩილებითი, პასიური ორიენტაციების შენარჩუნება; ასე, რომ სამოქალაქო კულტურა დემოკრატიის სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით მოქალაქეებისგან ერთმანეთისაგან განსხვავებულ, საწინააღმდეგო ქცევებს მოითხოვს: „იყოს აქტიური, მაგრამ ამავდროულად პასიურიც, პროცესში ჩართული, მაგრამ „არც იმდენად“, გავლენიანი და ამავდროულად ხელისუფლების პატივისმცემელი“ [43]

ნორმები, აღქმა და მოქმედება. “ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ არსებობს ორი მთავარი ნაკადი, რომელშიც სამოქალაქო კულტურა პირობებს უქმნის მის სუბიექტს, შეასრულოს როგორც აქტიური და გავლენიანი, ასევე შედარებით უფრო პასიური როლი: ერთი მხრივ, საზოგადოებაში ინდივიდები ნაწილდებიან და ისინი ორიდან ერთ, ერთმანეთთან დაპირისპირებულ სამოქალაქო მიზანს მისდევენ; მეორე მხრივ, ინდივიდის პოზიციებში არსებული გარკვეული არათანმიმდევრობა შესაძლებელს ხდის, რომ მან, ამ თითქოსდა შეუთავსებელ მიზნებს ერთდროულად მისდიოს. მაგრამ, მოდით, ჯერ ინდივიდის არათანმიმდევრობის საკითხი გავარკვიოთ.“[44]

ინდივიდის არათანმიმდევრული ქცევის ასახსნელად გ. ალმონდი და ს. ვერბა აშშ-ის და ბრიტანეთის სამოქალაქო კულტურის კვლევის მასალებზე დაყრდნობით აყალიბებენ პოლიტიკური კომპეტენტურობისა და **„პოტენციურად აქტიური“** მოქალაქის ცნებებს: გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ არსებობს განსხვავება გამოკითხულების რეალურ პოლიტიკურ ქცევებს და თავისი უფლებების და უნარის აღქმას შორის. დიდი ბრიტანეთის და აშშ-ის რესპოდენტებმა მოახდინეს პოლიტიკური კომპოტენტურობის დემონსტრირება. მათი არცთუ მცირე რაოდენობა თავის თავს უნარიანად თვლის ზეგავლენა მოახდინოს, როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალური

[43] სამოქალაქო კულტურა და დემოკრატიის სტაბილურობა იხ: ჟ „სოლიდარობა“ №2(29) 2009 გვ 40.
[44]სამოქალაქო კულტურა და დემოკრატიის სტაბილურობა იხ: ჟ „სოლიდარობა“ №2(29) 2009 გვ 40.

ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე. თუმცა თავიანთი კომპეტენტურობით პოლიტიკური ზეგავლენის უნარი აბსოლუტურად არ არის მხარდაჭერილი პოლიტიკური ქცევით.

ანალოგიური განსხვავება არსებობს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მოვალეობის აღქმასა და რეალურ მონაწილეობას შორის. გამოკითხულები აცხადებენ, რომ ადგილობრივი საზოგადოების საქმიანობაში ჩვეულებრივი მოქალაქე უნდა მონაწილეობდეს და ეს მისი მოქალაქეობრივი ვალია, მაგრამ რეალური მონაწილეების რაოდენობა გაცილებით მცირეა. ერთ-ერთმა გამოკითხულმა აზრი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა „მე იმაზე ვლაპარაკობ, რა უნდა გააკეთოს ადამიანმა, და არა იმაზე-რას ვაკეთებ მე.“ [45] ასეთი ადამიანების რაოდენობა ყველა ქვეყანაში აღემატებიან რეალურ მონწილეებს. მოვალეობის გააზრება, შეგნება საზოგადოებრივ საქმიანობაში რაიმე ფორმით მონაწილეობისა გაცილებით დიდია, ვიდრე პოლიტიკური ცხოვრების რეალური სურათი: მაგ; აშშ-ის გამოკითხული მოსახლეობის 51% გვამცნობს, რომ ყოველი მოქალაქე უნდა მონაწილეობდეს სხვადასხვა ფორმით განსხვავებული დონის საზოგადოებრივ საქმიანობაში. ეს მაშინ, როცა თავისუფალ დროს ამგვარ საქმიანობას რესპოდენტების მხოლოდ 10%-ი უთმობს. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ადამიანების უმრავლესობისათვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა არც ისე მიმზიდველი და სიხარულის მომგვრელია, თუმცა მონაწილეობის მოთხოვნის ნორმა ფართოდაა გავრცელებული მათ ცნობიერებაში.

განსხვავება ინდივიდის მიერ თავისი პოტენციური გავლენის აღქმასა და რეალური გავლენის მოცულობას შორის საშუალებას გვაძლევს გავიგოთ თუ რატომ უწყობს ხელს დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა ბალანსის შენარჩუნებას და პოლიტიკური სისტემის სტაბილურობას. ელიტების ძალაუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის ბალანსის შენარჩუნება უზრუნველყოფს არაელიტების აქტიური და პასიური ქმედებების გაწონასწორებას: სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, მოქალაქის აქტიური და პასიური როლები უზრუნველყოფენ ელიტების პასუხისმგებლობას, რომელთაც აქვთ მოქალაქის პოლიტიკური ქცევის გავლენის რწმენა პოლიტიკური გადაწყვეტილების შემუშავება-რეალიზაციის პროცესში.

სამოქალაქო კულტურის ჩარჩოებში მოქალაქე ფლობს პოტენციური გავლენის რეზერვს; იგი მუმივად არაა ჩართული პოლიტიკაში, არ უთვალთვალებს ყოველდღიურად მათ, ვინც ქვეყნისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს

[45] სამოქალაქო კულტურა და დემოკრატიის სტაბილურობა იხ: ჟ „სოლიდარობა“ №2(29) 2009 გვ 40.

ღებულობს, რადგან მუდმივი აქტიურობა და ჩართულობა პოლიტიკაში ზედმეტად შეზღუდავდა სახელისუფლებო ელიტების საქმიანობას და საბოლოო ჯამში გამოიწვევს სისტემის „გადახურებას.“

„პოტენციურად აქტიურ“ მოქალაქეს მიაჩნია, რომ საჭიროების შემთხვევაში შეუძლია სოციალური გარემოცვის მობილიზება თავისი პოლიტიკური მიზნების მიღწევისათვის; ასეთ ინდივიდი, რომელსაც თავისი პოტენციური აქტიურობის განცდა აქვს, უფრო იოლად შედის არაფორმალურ პოლიტიკურ დისკუსიებში, მონაწილეობს პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობაში, მხარს უჭერს პოლიტიკურ კავშირებს და სხვა; პოტენციურად აქტიური მოქალაქეობა დიდ ალბათობას ქმნის საჭირო შემთხვევაში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაზე მოახდინოს ზეგავლენა. ეს მომენტი დგება მაშინ, როცა მთავრობის საქმიანობით უკმაყოფილება იჩენს თავს ან პოტენციურად აქტიურ მოქალაქეებს გაუჩნდებათ მოცემული საკითხის გადაწყვეტის განცდა. ყოველივე ეს უბიძგებს მას, არათანმიმდევრობის ციკლი პოტენციურად აქტიურობის სტადიიდან, გადავიდეს რეალურ პოლიტიკურ აქტიურობაში. ხელისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის ბალანსი ირღვევა იმ შემთხვევაში, როცა პოლიტიკური პრობლემები ზედაპირზე ამოტივტივდება და მისი გადაჭრა ჭიანურდება. ასეთ შემთხვევაში გამწვავებული პოლიტიკური საკითხები პოლიტიკური პროცესის ცენტრში ექცევა. ყოველივე ეს საფრთხეს უქმნის ბალანსის დარღვევას აქტიურობასა და პასიურობას შორის და საბოლოო ჯამში თუკი პოლიტიკური ელიტა არ მიიღებს ადეკვატურ ზომებს, გამოხატულებას პოულობს პოლიტიკური სისტემის არასტაბილურობაში. უფრო საშიშია პასიურობის, მოქალაქეებში უძლურობის, ჩაურევლობის გრძნობების ხანგრძლივი ციკლის არსებობა, რომელსაც შეუძლია დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის დანგრევა და ავტორიტარიზმისთვის მწვანე შუქის ანთება.

ზემოთთქმული სრულებითაც არ ნიშნავს, რომ პოლიტიკური საკითხების გამწვავების შემთხვევაში პროცესები ყოველთვის არასასურველი სცენარით ვითარდება: მხოლოდ მაშინ ხდება სისტემა არასტაბილური, როცა პოლიტიკური პრობლემები ხანგრძლივი დროის განმავლობაში გადაუჭრელია და მმართველ ელიტას არ გააჩნია პოლიტიკური მოვლენების ადეკვატური აღქმის უნარი. ხელისუფლებამ შესაძლოა დროულად გადაჭრას პრობლემები, ეს კი გამოიწვევს მოქალაქეების პოლიტიკიდან უკან დახევას და აქტიურობის ნაცვლად პასიური პოზიციის დაკავებას. მაშინ, კვლავ აღდგება წონასწორობა, სამოქალაქო და სამთავრობო გავლენებს შორის. პოლიტიკა კარგავს აქტუალურ

მნიშვნელობას და ცხოვრება ჩვეულ რიტმს უბრუნდება. თუმცა, როგორც ზემოთ იყო მითითებული, როგორც მუდმივ ჩართულობასა და აქტიურობას მოაქვს უარყოფითი შედეგები, ასევე, ჩაურთველობასა და პასიურობას მოაქვს პოლიტიკური სისტემის დემოკრატიულ რეჟიმში ფუნქციონირებისათვის დამანგრეველი შედეგები. მოკლედ საჭიროა ბალანსირებული წონასწორობა იქნას შენარჩუნებული აქტიურობასა და პასიურობას, ძალაუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის, რომელსაც სამოქალაქო კულტურა და მოქნილი პოლიტიკური სისტემა უზრუნველყოფს.

გ. ალმონდი და ს. ვერბა მიუთითებენ, რომ ძალაუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის წონასწორობა უზრუნველყოფილია არა მარტო ინდივიდის პასიურობისა და აქტიურობის სასურველი თანაფარდობით, არამედ საზოგადოებაში მოღვაწე პოლიტიკური პროცესის მონაწილეების სხვადასხვა ტიპის პოზიციებითა და ორიენტაციებით. კონკრეტული პოლიტიკური საკითხისადმი ინტერესს ერთდროულად არ იჩენს ყველა მოქალაქე. ერთი ნაწილისათვის პრობლემის გადაჭრისთვის პოლიტიკური აქტიურობა აღმაფრენას იწვევს, მაშინ, როცა მოქალაქეების მეორე ნაწილი პასიურობას ამჯობინებს. ამიტომ, სამოქალაქო აქტიურობა კონკრეტულ მომენტში და კონკრეტულ ადგილას არ აღმოჩნდება იმდენად დიდი მოცულობის, რომ სისტემა“ გადაახუროს“.

გ. ალმონდი და ს. ვერბა განიხილავენ პოლიტიკური ელიტების როლსა ადგილს სამოქალაქო კულტურაში. ამ მომენტის გათვალისწინების გარეშე სრული არ იქნებოდა სამოქალაქო კულტურის დახასიათება. ხშირად მმართველი ძალიდან მოდის მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღების ინიციატივა ანდა საზოგადოებაში დაკონსერვებული მწვავე საკითხების გადაჭრის აუცილებლობის სტიმულირება. მაშინ ელიტები ავლენენ ე. წ. **„მოსალოდნელ რეაქციას“.** ამერიკელი პოლიტოლოგები მიუთითებენ, რომ გადაწყვეტილების მიმღებ სახელისუფლებო ელიტებს უნდა ჯეროდეთ დემოკრატიული მითი იმის შესახებ, რომ ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკაში და ისინი ფლობენ მნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენის პოტენციას. მითუმეტეს მრავალი მაგალითია პოლიტიკური ისტორიიდან, რომ ჩვეულებრივი მოქალაქეების აქტიურობამ მთელ რიგ ქვეყნებში რეჟიმების და სისტემები შეცვალეს. ასე, რომ დემოკრატიული მითის რწმენას რეალური საფუძვლებიც გააჩნია და თუკი მმართველ ელიტას აქვს ამგვარი რწმენა ჩვეულებრივი მოქალაქის გავლენაზე, მაშინ, ბალანსი ძალაუფლებასა და

პასუხისმგებლობას შორის შენარჩუნებულია. ასეთი რწმენა მოქალაქის როლზე კანონიერი და გამართლებულია (თუმცა პოლიტიკური ელიტა თავისუფალია თავის ქმედებაში მანამ, სანამ, ბალანსი არ დაირღვევა და აქტიურობა ზღვრულ ნიშანს არ მიაღწევს). ამავე დროს ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ განათლებული და მაღალი სტატუსის მოქალაქეები უფრო ემხრობიან და იცავენ დემოკრატიულ ნორმებს.

ამრიგად, დაასკვნიან გ. ალმონდი და ს. ვერბა, ინდივიდი აუცილებელი არაა იყოს რაციონალური, აქტიური მოქალაქე, არამედ, მისი აქტიურობის ტიპი შერეული და შერბილებულია. ეს საშუალებას აძლევს მას ერთმანეთს შეუთავსოს კომპოტენტურობის, ჩართულობის და აქტიურობის, პასიურობისა და ჩაურთველობის განსაზღვრული წილი. ამასთან ერთად სამოქალაქო კულტურაში მოქალაქის ურთიერთობა მთავრობასთან არაა სუფთა რაციონალური და შეიცავს ირაციონალური ორიენტაციების ელემენტებს.

ემოციების მართვის უნარი. სამოქალაქო კულტურა ყველა ასპექტით დაბალანსებულ ორიენტაციებს ითვალისწინებს და მათ შორის საჭიროა წონასწორობა იყოს დაცული ირაციონალურ და რაციონალურ კომპონენტებს შორის: „პრაგმანტიზმი ან გრძნობათა სიჭარბე კი არა, სწორედ პრაგმატული და ემოციური ორიენტაციების ბალანსია აუცილებელი დემოკრატიის ეფექტური ფუნქციონირებისთვის.“[46]

პოლიტიკური სისტემის მიმართ მხოლოდ პრაგმატული დამოკიდებულება ერთობ მყიფეა და ის ვერ უზრუნველყოფს მის სტაბილურობას, რადგანაც მთლიანად დამოკიდებულია მისი მუშაობის ხარისხზე, რაც რეალურ ცხოვრებაში პერმანენტულად არ ხდება: „გ. ეკშტეინის მოსაზრებას თუ გავიმეორებთ, შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ მხოლოდ პრაგმატული, არაემოციური მონაწილეობა ოპორტუნისტული პოლიტიკის გატარებას განაპირობებს ხოლმე“.[47]

ასევე, მხოლოდ ემოციური, ირაციონალური დამოკიდებულებაც არასტაბილურობის ელემენტებს შეიცავს, რადგანაც არის საფრთხე, რომ მოვლენები უკრიტიკოდ იქნას აღქმული, პოლიტიკურ პარტიებთან ან სხვა პოლიტიკურ მმართველ ძალასთან ზედმეტი მიბმულობა, მოქალაქეებში აჩენს ხელისუფლების მიმართ მესიანისტური გრძნობებს, რადიკალიზმს უწყობს ხელს მოვლენათა შეფასებებში და საბოლოოდ ქვეყანაში სისტემის არასტაბილურობას განაპირობებს. „ცხადია, რომ ცალკეულ პოლიტიკურ

[46] სამოქალაქო კულტურა და დემოკრატიის სტაბილურობა იხ: ჟ „სოლიდარობა“ №2(29) 2009 გვ 44.
[47] სამოქალაქო კულტურა და დემოკრატიის სტაბილურობა იხ: ჟ „სოლიდარობა“ №2(29) 2009 გვ 45.

პარტიებთან და ჯგუფებთან მეტისმეტად ძლიერი მიჯაჭვა, სისტემის ფრაგმენტაციის მეშვეობით, დესტაბილიზაციის ფაქტორია. მაგრამ, მაშინაც, თუ ეს ჯაჭვები პოლიტიკურ სისტემასთან და ლეგიტიმურ ელიტასთანაა გაბმული, შედეგები ალბათ არასასურველი იქნება. გარკვეული ხარისხით მაინც უნდა შეძლონ მოქალაქეებმა პოლიტიკური ელიტის კონტროლი, მათი ერთგულება სისტემისა და ელიტისადმი უპირობო არ უნდა იყოს...აქედან გამომდინარე პოლიტიკური მონაწილეობა არც ინსტრუმენტალური და არც მხოლოდ ემოციური არ უნდა იყოს. ადამიანმა მისგან როგორც პრაგმატული, ასევე, ემოციური დაკმაყოფილება უნდა მიიღოს. საბოლოოდ კი იმის თქმა შეიძლება, რომ პოლიტიკაში დაბალანსებული მონაწილეობა მხოლოდ წარმატებული დემოკრატიების სამოქალაქო კულტურებისთვისაა დამახასიათებელი“.[48]

თანხმობა და უთანხმოება. სამოქალაქო კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის სოციალური ნდობის და სოლიდარობის გარეშე გამორიცხულია პოზიტიური თანამშრომლობა ერთი მხრივ, საზოგადოებისა და ელიტის ვერტიკალური ურთიერთობები, მეორე მხრივ, საზოგადოების წევრების ჰორიზონტალური კავშირები და თანამონაწილეობის უზრუნველყოფა პოლიტიკურ პროცესში. ნდობის გამომწვევი ქცევების გაძლიერებას ისახავდა მიზნად კონსტიტუციებში დაფიქსირებული ინსტიტუტები, მაგრამ ყოველივე დეკლალირების დონეზე დარჩება თუ რეალურად არ არის სოციალური ნდობა, რომელიც მოქალაქეთა თანამშრომლობას განაპირობებს: მოქალაქეებს მმართველების მიმართ უნდა ჰქონდეთ ნდობის გრძნობა, რომ ისინი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ, მათ ინტერესებს იცავენ ქვეყნის შიგნით და გარეთ და, ამიტომ, გადასცემენ ძალაუფლებას. ამასთანავე, ზოგადნაციონალური ინტერესების ერთობა ამცირებს საზოგადოების ფრაგმეტაციის პროცესს და ერთ მთლიანობაში წარმოადგენს საზოგადოების მმართველ და მართულ ნაწილს.

ზემოთთქმული მიუთითებს სამოქალაქო კულტურის კიდევ ერთ თავისებურებაზე: მასში აუცილებლად უნდა იყოს დაცული ბალანსი, წონასწორობა თანხმობასა და უთანხმოებას შორის. „ტ. პარსონსს რომ დავესესხოთ, საზოგადოება „შეზღუდულად უნდა იყოს პოლარიზებული“. თუ არ არის თანხმობა პოლიტიკური დებატების (რაც დემოკრატიულ პროცესთანაა ასოცირებული) მშვიდობიანად დასრულების შანსი ნაკლებია. თუკი, მაგალითად, სახელისუფლებო ელიტა ჩათვლის, რომ ოპოზიციური

[48] სამოქალაქო კულტურა და დემოკრატიის სტაბილურობა იხ: ჟ „სოლიდარობა“ №2(29) 2009 გვ 45.

ელიტა ზედმეტად სახიფათოა, მმართველი ელიტის სტატუსის მოსაპოვებლად წამოწყებულ ბრძოლაში, ის მშვიდობიან კონკურენციას ძნელად თუ დაუშვებს.“[49]

სამოქალაქო კულტურაში თანხმობასა და უთანხმოებას შორის ბალანსის შენარჩუნებას ის მექანიზმი ემსახურება, რომელიც აქტიურობასა და პასიურობას შორის ბალანსის დაცვას განაპირობებს; ერთიანობისა და სოლიდარობის გძნობა საზოგადოებაში ვერ დამკვიდრდება ჩვენი აზრით, თუ არ იქნება პოლიტიკურ ძალებსა და საზოგადოების უმრავლესობას შორის საყოველთაო თანხმობა დემოკრატიის საბაზისო ღირებულებების ირგვლივ და, ასევე, „პოლიტიკური თამაშის წესებში“ არ დამკვიდრდება „ზეპარტიული“, საერთონაციონალური ღირებულებები, რომელთა დაცვა სავალდებულო იქნება პოლიტიკური ურთიერთობების ნებისმიერ დონეზე და მხოლოდ მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ სამოქალაქო კულტურაზე, როცა რადიკალური დაპირისპირება დასაშვებ ნორმას არ აღემატება (3-5%).

ელიტების დონეზე, რომ დაცული იყოს მმართველ ელიტასა და ოპოზიციურ ელიტებს შორის დასაშვები უთანხმოების ბალანსი და არ გაცდეს იმ ფარგლებს, როცა მათ შორის კონსტრუქციული თანამშრომლობა შეუძლებელი იქნება, აშშ-ის კონგრესში და დიდი ბრიტანეთის თემთა პალატაში დეპუტატებს მოეთხოვება დაწესებული ეტიკეტის დაცვა და მისი დარღვევა ორივე მხრიდან კრიტიკას იმსახურებს.

გ. ალმონდი და ს. ვერბა დასკვნის სახით აღნიშნავენ, რომ სამოქალაქო კულტურის მთავარი თავისებურება მის მრავალფეროვნებასა და მრავალგვაროვნებაში მდგომარეობს: უპირველეს ყოვლისა ის მრევლის, ქვეშევრდომის და მოქალაქის ორიენტაციების ნაზავია. „მასში არის პოლიტიკური აქტიურობა, მაგრამ არც იმდენად ფართო, რომ შესაძლებელი გახდეს სახელისუფლებო ძალაუფლების მორღვევა; არის მონაწილეობაც და თანაც ერთგულებაც, მაგრამ-პრაგმატული; არის უთანხმოებებიც, მაგრამ ზომიერი...სამოქალაქო კულტურისთვის დამახასიათებელი პოზიციების აღრევა მრავალი პარამეტრით ყველაზე მეტად მიესადაგება ისეთ შერეულ პოლიტიკურ სისტემას, როგორიცაა დემოკრატია.“[50]

§ 4. კონსენსუალური, „შემთანხმებლური“ პოლიტიკური კულტურა

[49] სამოქალაქო კულტურა და დემოკრატიის სტაბილურობა იხ: ჟ „სოლიდარობა“ №2(29) 2009 გვ 45.
[50] სამოქალაქო კულტურა და დემოკრატიის სტაბილურობა იხ: ჟ „სოლიდარობა“ №2(29) 2009 გვ 46.

გლობალიზაციის ეპოქაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ და მზარდმა კომპიუტერიზაციამ დიდი ცვლილებები გამოიწვია სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ეროვნული, რელიგიური და კულტურული განვითარების სფეროში; ინტენსიური გახდა სხვადასხვა სახელმწიფოებს, ხალხებს, კულტურებს, პიროვნებებს შორის ურთიერთობები, რამაც დააჩქარა უნივერსალური, ყველასთვის მისაღები ღირებულებების და იდეოლოგიური ორიენტირების ფორმირება გლობალური მასშტაბით: კანონის უზენაესობა, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპების განმტკიცება, ნეოლიბერალური, ნეოკონსერვატიული, სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიური ორიენტირების დაახლოება-დამკვიდრება, ეკოლოგიური, გენდერული, უმცირესობის უფლებების დაცვის სამართლებრივი და პოლიტიკური გარანტიების შექმნა და მრავალი სხვა მყარ საფუძვლებს უქმნის „კონსენსუალურობისა“ და „თანხმობის“ ელემენტების ზრდას სამოქალაქო კულტურაში.

პლურალიზმმა დასავლეთის დემოკრატიებში ყოვლისმომცველი ხასიათი მიიღო, შეიჭრა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში: პოლიტიკაში, ეკონომიკაში, კულტურაში, რელიგიაში, იგი საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა; მოიხსნა პოლიტიკურ დიკუსიებში მონაწილეობისას გარკვეული შეზღუდვის ან შესაძლო გართულებების განცდა, რომელიც ართულებდა მოქალაქეების პოლიტიკურ აქტივობას; პოლიტიკური ცხოვრების სცენაზე შემცირდა ე. წ. „ტოტალური პიროვნებების“[51] როლი და ადგილი, რადიკალური აზროვნების კულტურა მიუღებელი გახდა საზოგადოების ფართო სპექტრისთვის, გაიზარდა საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის თანხმობის ხარისხი დემოკრატიის ძირთადი საბაზისო ღირებულებებისა და ფასეულობების ირგვლივ. მინიმუმამდე დაეცა სამოქალაქო კულტურაში კონფლიქტურობისა და ფრაგმეტალურობის ხარისხი და იგი უფრო მეტად „კონსენსუალური“, „შემთანხმებლური“ გახდა.[52] შემთანხმებლური, კონსენსუალური პოლიტიკური სისტემის და კულტურის ცნება უფრო მეტად შეესაბამება სოციალ-დემოკრატიულ ქვეყნებს, მაგალითად, შვეციის მსგავს დემოკრატიებს, სადაც სოციალ-დემოკრატები ორმოცი წლის განმავლობაში (1936-1976 წწ) ხანგრძლივად იმყოფებოდნენ ხელისუფლების სათავეში; შვედურ

[51] ტოტალური პიროვნებები ტოტალიტარული და ავტორიტარული სისტემების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგდნენ; ისინი ახდენენ რეჟიმის იდეოლოგიურ უზრუნველყოფას.

[52] ცნება „შემთანხმებლური პოლიტიკური სისტემები“ ადრე ფიქსირდება, მაგრამ პოლიტიკური მეცნიერების მომოქცევაში დაამკვიდრა ჩარლზ ენდრეინმა, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს სამართლებრივი სახელმწიფოს სოციალური ფუნქციის გაძლიერება-გაფართოებას.

საპარლამენტო დემოკრატიას დიდი ისტორია აქვს. „ სიფხიზლის მოძრაობამ და სხვადასხვა რელიგიურმა მოძრაობებმა, ისევე, როგორც პროფკავშირებმა, ასევე დადებთი როლი ითამაშა შვედეთის დემოკრატიის განვითარებაზე. თავიდანვე ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის პროცესი ძალზე მასშტაბური იყო. ამგვარად, მშრომელები და მოსამსახურეები პროფკავშირებითა და პროფესიული გაერთიანებებით იყვნენ წარმოდგენილნი, რამაც მაღალი კორპორაციული სისტემის არსებობა გახადა შესაძლებელი. ეს მოძრაობები დემოკრატიულ პროცესში მონაწილეობდნენ, ხალხს შეკრებების ფორმის, საკუთარი შეხედულებების დასამტკიცებლად არგუმენტირების კულტურისა და ხელისუფლებასთან ურთიერთობების ჩამოყალიბებაში ეხმარებოდნენ. აღნიშნულმა შვედეთის პოლიტიკური სისტემის კონსენსუალი ხასიათის განვითარებას შეუწყო ხელი, განსაკუთრებით ფართო კონსენსუსს საზოგადოებასთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ საკითხებზე, როგორიცაა საარჩევნო სისტემა, წარმომადგენლობა, კანონმდებლობა და ეკონომიკური რეფორმები.“[53] შვედეთში ყველა პარტიას (გამონაკლისი ყოფილი კომუნისტებია) ერთიანობის დიდი ტრადიციები ჰქონდა, რომელსაც გარკვეული აზრით აძლიერებდა 1920 წლიდან დამკვიდრებული პროპორციული საარჩევნო სისტემა და უმცირესობების მთავრობების ხანგრძლივი მმართველობა, „რამაც ზომიერი საკანონმდებლო დღის წესრიგის არსებობა უზრუნველყო და შესაძლებელი გახადა შვედეთის პოლიტიკის იმგვარ ფარგლებში შენარჩუნება, რომელიც კონსენსუსის დემოკრატიადაა განსაზღვრული...საზოგადოებისთვის ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის მიმართ გახსნილმა კანონმდებლობამ და ეფექტურმა მედიამ უპრეცედენტო გახსნილობისა ტრანსპარენტულობის ტრადიცია შექმნა. პოლიტიკური სისტემის ყველა ამ ურთიერთმოქმედმა ნაწილმა (პირველ რიგში პოლიტიკურმა კულტურამ-ხაზი ჩვენია ა. ტ.) ხელი შეუწყო შვედეთის ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ დემოკრატიად ჩამოყალიბებას ევროპაში.“[54]

კონსენსუალურ პოლიტიკურ კულტურაში კონსტიტუციონალიზმის, პლურალიზმის, ეროვნული და რელიგიური ტოლერანტიზმის ფასეულობების დამკვიდრება საზოგადოებრივ ცნობიერებაში ზრდის პიროვნების ავტონომიურობის ხარისხს. სახელმწიფოს მიერ სანქციონირებული სავალდებულო ქცევის ნორმები საზოგადოებრივი დიდი თანხმობის შედეგია, ისტორიულად აპრობირებულია და

[53] ევროპული დემოკრატიები (ჟან-მიშელ დე ვაელისა და პოლ მანიეტის რედაქტორობით). ნაციონალური პოლიტიკური სისტემების შედარებითი მიდგომა. თბ 2013 გვ 312.
[54] ევროპული დემოკრატიები (ჟან-მიშელ დე ვაელისა და პოლ მანიეტის რედაქტორობით). ნაციონალური პოლიტიკური სისტემების შედარებითი მიდგომა. თბ 2013 გვ 322.

მრავალ რყევებს გაუძლო და ადამიანების შინაგანი განცდებისა და განწყობილებების, ქმედებების განმსაზღვრელი ელემენტი გახდა. ი. კანტის სიტყვებით, რომ ვთქვათ, სამართლებრივი კანონები მორალური ქცევის ნორმებად იქცა. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი კანონის უზენაესობის პრინციპის რეალურად დამკვიდრება სამოქალაქო საზოგადოებაში. მოქალაქეების მონაწილეობა სხვადასხვა ორგანიზაციებსა და ინტერესთა ჯგუფებში უზრუნველყოფს სახელისუფლებო ელიტების პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამჭვირვალობას და ამავე დროს ხალხის მოთხოვნები მიიტანება და გაითვალისწინება შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ. ასეთ ვითარებაში ნაკლებად არის შესამჩნევი ერთი ადამიანის თავისუფლების ზედმეტად შეზღუდვის ალბათობა მეორე ადამიანის ან ჯგუფის მიერ; კანონები კოლექტიურ ნებას გამოხატავენ, სადაც მაქსიმალურადაა ინდივიდის უფლებები დაცული; კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტიების გაფართოება, ეკონომიკური და აღმავლობა კიდევ უფრო ზრდის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილე მოქალაქეების დამოუკიდებლობის არეალს.

კონსენსუალური პოლიტიკური კულტურა სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის პრინციპებს ემყარება; ამიტომ, მასში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფოს სოციალური ფუნქციის გამომხატველი ფაქტორების მთელი პაკეტი, დაწყებული საჯარო დაწესებულებებში მაქსიმალური და მინიმალურ შემოსავლებს შორის დაახლოების პოლიტიკიდან, დამთავრებული სამედიცინო და საგანმანათლებლო სფეროში სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლით; ბუნებრივია, ეს მომენტები ზრდის მოქალაქეების ერთიანობის განცდას და აძლიერებს ვალდებულებებისა და მოვალეობების პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის ელემენტებს; ეტატისტური, საზოგადოებრივი კულტურის ელემენტების აშკარად მეტია, ვიდრე აშშ-ი, სადაც ინდივიდუალისტური კულტურა ზოგჯერ განმსაზღვრელ როლს თამაშობს, მაგრამ მიუხედავათ ამისა, კონსენსუალურობის გაძლიერება გლობალურ ხასიათს ატარებს და დემოკრატიების განვითარების საერთო ტენდენციას ასახავს.

კონსენსუალური პოლიტიკური კულტურის მოდელში ძლიერდება „პოლიტიკური თამაშის წესებში“ დემოკრატიულობის ელემენტები; უკვე საკმარისი არაა საყოველთაო თანხმობა, რომ არჩევნების გზით მოხდეს ხელისუფლებათა მონაცვლეობა, არამედ დღის წესრიგში დგას მორალური, ზნეობრივი პრინციპების დაცვა.

1. დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა გულისხმობს მოქალაქეების თვითიდენტიფიკაციას თავისი ქვეყნის პოლიტიკური ინსტიტუტებთან, კონსტიტუციასთან და მთლიანად სისტემასთან. ისინი მეტად ენდობიან

ლიდერებს, მმართველ ელიტას, ფართოდ არიან ჩართულნი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება-რეალიზაციის პროცესში; შეხედულებათა მრავალფეროვნება, პოლემიკა მოქალაქეების მიერ აღიქმება, როგორც პოლიტიკური პროცესის ნაწილი, რომელშიც კონკურენციის პირობებში მიიღწევა „ყველასთვის მისაღები შედეგი.“ ხალხს ჯერა, რომ ხელისუფლება მათ ინტერესებს იცავს და აქედან გამომდინარე ავლენს სათანადო მოკრძალებასა და ერთგულებას დემოკრატიის საბაზისო ღირებულებების მიმართ, რომლის გარეშეც დემოკრატია ვერ იფუნქციონირებს: ასეთ შემთხვევაში არჩევნების შედეგები ვერ გადაიქცევა დემოკრატიული ღირებულებების გადასინჯვის საბაბი და სისტემის ნგრევის განმაპირობებელი ფაქტორი; მაგ; ყველასთვის ცნობილია, რომ ამერიკის კონსტიტუციის მამებმა უმცირესობების უფლებების დაცვა მაქსიმალურად გაითვალისწინეს ძირითადი საკანონმდებლო აქტის შექმნის პროცესში და შემდგომში განხორციელებული ცვლილებები საარჩევნო კანონში ამ მიმართულებას- დემოკრატიის არსობრივი გაგების კონცეფციაზე იყო დაფუძნებული: საარჩევნო კანონი შესაძლებლობას იძლევა პრეზიდენტი გახდეს პიროვნება, რომელიც არავის აურჩევია (ჯ. ფორდი) ან ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის ნაკლები რაოდენობა უჭერს მხარს.[55] აქედან გამომდინარე, ამერიკელებს აქვთ

საკუთარი კანდიდატის მიმართ „ქვეყნის მასშტაბით“ მეტი ხმის მიღების განცდა, განსაკუთრებით თუ იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს და მაღალია მასზე ემოციური მიბმულობის ხარისხი. ასეთი სიტუაცია შეიქმნა, მაშინ, როცა აშშ-ში ბუში უმცროსის (პირველი ვადით) და ალ გორის საპრეზიდენტო არჩევნები იყო: დემოკრატებმა მოითხოვეს ხმების ხელახალი გადათვლა ფლორიდის შტატში და მათი მხარდამჭერები ქუჩაში გამოვიდნენ; სასამართლომ საქმე წარმოებაში მიიღო და ხელახლა გადაამოწმა არჩევნების შედეგები; მოქალაქეები მოთმინებით დაელოდნენ დროში გაწელილ პროცედურას და როდესაც სასამართლომ გამოაცხადა საბოლოო ვერდიქტი ბუშის სასარგებლოდ, მათ პოლიტიკიდან უკან დაიხიეს და გამოავლინეს ინსტიტუტების მიმართ ნდობის მაღალი კულტურა: სასამართლო სისტემამ განუსაზღვრელი როლი ითამაშა ამერიკული დემოკრატიის განვითარებაში და

[55] ეს მომენტი სრულებიდაც არ აკნინებს აშშ-ის კონსტიტუციის ღირსებას; იგი ამერიკის პოლიტიკური განვითარების შედეგია, წარმატებით ფუნქციონირებს ამ ქვეყანაში (რასაც სხვა ქვეყნებში ვერ დავადასტურებთ), უზრუნველყოფს სისტემის სტაბილურობას; მარტო ვეტოსა და იმპიჩმენტის, შეკავება-შეწონასწორების სისტემა კმარა აშშ-ის კონსტიტუციის უკვდავსაყოფად, რომ არაფერი ვთქვათ, ზესახელმწიფოზე, რომლის ეკონომიკური და პოლიტიკური წარმატებები სამაგალითოა მთელ მსოფლიოში.

ისევე, როგორც სხვა ინსტიტუტებს, ამერიკელების ცნობიერებაში უფრო მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ვიდრე კონკრეტული საპრეზიდენტო კანდიდატის ამბიციებს; ამიტომაა, რომ დემოკრატებისა და რესპუბლიკელი პრეზიდენტების მონაცვლეობა პრიციპულად ვერ ცვლის სისტემისა დემოკრატიის ფუნქციონირების ამერიკულ სპეციფიკას.

2. დემოკრატიული-შემთანხმებლური პოლიტიკური კულტურის პირობებში კლასობრივი ცნობიერების გავლენა უმნიშვნელოა. პოლიტიკური პარტიების სოციალური შემადგენლობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ განმსაზღვრელ როლს თამაშობს მოქალაქეების მრავალფეროვანი ინტერესები, ორიენტაციები, განწყობები, რომლებიც არ გამომდინარეობენ მარტო მათი საზოგადოებრივი სტატუსიდან; კლასები ტრადიციული გაგებით აღარ არსებობენ დასავლეთის დემოკრატიებში. მოქალაქეების ორიენტაციებში კონსენსუალურობის განცდას ზრდის გლობალური პრობლემების აქტუალობა, კერძოდ, ეკოლოგიური, გენდერული, უმცირესობების, უსაფრთხოების და სხვა საკითხების გადაწყვეტისადმი ერთობლივი ქმედებების აუცილებლობა; ასევე, ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ და პოლიტიკური კულტურის მრავალფეროვან მოზაიკას ქმნის პოლიტიკური სუბკულტების ერთობლიობა: განსხვავებული რელიგიური, ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები ერთსულოვნებას ავლენენ რეჟიმის ლეგიტიმურობის, კანონების სამართლიანობის, კონსტიტუციური მოწყობის, საშინაო და საგარეო პოლიტიკური, ეკონომიკური ვექტორის მიმართ.
3. კონსენსუალურ პოლიტიკურ კულტურაში მაღალ დონეზეა სახელმწიფოებრივი აზროვნების მქონე მოქალაქეების რაოდენობა; სამართლებრივი კულტურა სახელმწიფოებრივ ინტერესებთან თანხმობაშია და დემოკრატიისთვის საჭირო მორჩილებას ავლენენ მოქალაქეები. მთლიანობაში აღებული, კონსენსუალური, შემთანხებლური კულტურა სამოქალაქო კულტურის ნაირსახეობას წარმოადგენს, რომელშიც ამერიკული მოდელისაგან განსხვავებით თანასწორობის და საერთო მოვალეობების განცდას და სახელმწიფოს მეტი როლი ენიჭება სოციალური პრობლემების გადაჭრაში და, ამდენად, მასში, უფრო მეტია ეტატისტური კულტურის ელემენტები.

§ 5. ტოტალიტარულ-მობილიზაციური პოლიტიკური კულტურა

მკვლევარები გამოყოფენ ტოტალიტარული პოლიტიკური კულტურის ტიპს და მიაჩნიათ, რომ მის შესწავლას თეორიული და პრაქტიკული თვალთახედვით დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა შემდეგი გარემოებების გამო:

ა) ტოტალიტარიზმი მეოცე საუკუნის პიმშოა, იგი საზოგადობრივი ცხოვრების ყველა სფეროზე პოლიტიკური იდეალების გავრცელებას, ადამიანის ცნობიერების მანიპულაციას, თვით ადამიანის გარდაქმნას გულისხმობს: ტოტალური კონტროლისა და მართვის მექანიზმების, ძალადობის, პროპაგანდა-აგიტაციის, "ჭეშმარიტი" იდეოლოგიური ორიენტირების გამოყენებით, სოციალური თანასწორობის ან რასობრივი წესრიგის უტოპიური მიზნის მიღწევას ცდილობს. საბჭოთა, გერმანული, იტალიური, ჩინური გამოცდილება მარტო წარსული ისტორიის გახსენება არაა, არამედ არსებობს ტოტალიტარიზმის ახალი ნაირსახეობები ჩრდილო კორეის, კუბის, თეოკრატიული ირანის, თალიბების და სხვა რეჟიმების სახით.

ბ) ტოტალიტარიზმი დღევანდელობის შემადგენელი ნაწილია და იგი არ უნდა გავაიგივოთ ცალკეული პიროვნებების სახელებთან; მართალია დიდია სუბიექტური ფაქტორის როლი ისტორიაში, მაგრამ ტოტალიტარიზმი მასობრივ მოძრაობებს უკავშირდება, რომელთა კატალიზატორად უკიდურესი სიღარიბე, უსამართლობა, არეულობა გვევლინება, ხოლო ასეთი სახელმწიფოების რაოდენობა მსოფლიოში ჭარბობს დემოკრატიებს.

გ) ტოტალიტარული პოლიტიკა და კულტურა ჩვენი უახლესი ისტორიის წარსულია და მისი სტერეოტიპები მნიშვნელოვან ნეგატიურ როლს თამაშობენ სამოქალაქო კულტურის დამკვიდრების გზაზე; ასევე, საზოგადოებაში არსებობენ და მოღვაწეობენ ყოფილი პარტიული და კომკავშირული ფუნქციონერები, კომუნისტური რეჟიმის დროინდელი პოლიტპატიმრები და, სავსებით ბუნებრივია, მათი კულტურული და პოლიტიკური ორიენტირები საპირისპირო მხარესაა და ვერაფრით წაადგება კონსენსუალური კულტურის ფორმირებას.

ტოტალიტარული პოლიტიკური კულტურის და რეჟიმის კლასიკურ ნიმუშად საბჭოთა კავშირი და გერმანია გამოდგება; ამ ორ ქვეყანაში ყველაზე ნათლადაა გამოკვეთილი ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემის, რეჟიმის, იდეოლოგიის, კულტურის ელემენტები, მაგრამ, თუ კიდევ დავკონკრეტდებით, ტოტალიტარიზმის

მობილიზაციური და რევოლუციური ხასიათი, გლობალური მაშტაბით, საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში ვლინდება საბჭოთა ისტორიაში; ამას თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები გააჩნია:

ჯერ ერთი, კერძო საკუთრება გერმანიაში მნიშვნელოვნად განაპირობებდა პიროვნების თავისუფლებას, ინდიდვიდუალიზმს, ავტონომიურობას; ყოველივე ამას ემატება მოქალაქეების განათლებისა და კულტურის მაღალი დონე, რეჟიმის მცირე დროით არსებობა (1933-1945 წწ), რაც ამცირებდა მათი ქმედებების მანიპულირების შესაძლებლობას, ხოლო საბჭოთა კავშირში, საზოგადოებრივი საკუთრების ფორმის აბსოლუტიზაციამ გამოიწვია პიროვნების, როგორც პოლიტიკის სუბიექტის სრული გათქვეფა სოციუმში; კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი გამორიცხავდა დამოუკიდებელ აქტიურ პოლიტიკურ ორიენტაციებს; ინდივიდს მასობრივი, კოლექტიური ცნობიერების ფარგლებში შეეძლო დაეფიქსირებინა „თავისი პოზიცია," რომელიც შესაძლებელი იყო გამოხატულიყო: მთავრობისა და პარტიის მხარდასაჭერი ან დასავლური დემოკრატიების დასაგმობი მიტინგების გამართვის ფორმით. ყოველივე ამას ემატება, გერმანიისაგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირში (რეჟიმის ხანგრძლივობა 1917-1990 წწ) შემავალი ხალხების სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, ეროვნული განვითარების დაბალი დონე. „ასეთი ველური ქვეყანა, სადაც ხალხის მასა ამდენად გაძარცული იყო განათლების, სინათლისა და ცოდნის მხრივ,-წერს ვ. ლენინი,-ასეთი ქვეყანა ევროპაში არც ერთი არ დარჩენილა, გარდა რუსეთისა."[56] 1897 წელს რუსეთის იმპერიაში წერა-კითხვის მცოდნეები შეადგენდა მთელი მოსახლეობის 29,6 პროცენტს, უკრაინაში-27,9%, ბელორუსიაში-32%, საქართველოში-23,6%, სომხეთში-7,8%, აზერბაიჯანში-9,2%, ყაზახეთში-8,1%, თურქმენეთში-7,8%, უზბეკეთში-3,6%, ყირგიზეთში-3,1% ტაჯიკეთში-2,3%; 1917 წლისთვის მხოლოდ რუსეთს, უკრაინას და საქართვლოს ჰქონდა უმაღლესი სასწავლებლები; 1906 წელს ჟურნალი „ვესტნიკ ვოსპიტანია" წერდა, რომ რუსეთში წერა-კითხვის მიღწევისთვის 300 წელი იყო საჭირო.

მეორე, ტოტალიტარული პოლიტიკური კულტურის და სისტემის ძირითადი ნიშანია მობილიზაციური ხასიათი-ხალხის დიდი რაოდენობის მუდმივი მოქმედების მდგომარეობაში ყოფნა, რაც პარტიის მიერ კონტროლდებოდა; ნათელ მიზნად საბჭოთა კავშირში უკლასო საზოგადოების აშენება სახელდებოდა, გერმანიაში რასობრივად სუფთა არიული რასის შექმნა ჰქონდა დასახული ნაცისტურ რეჟიმს, მაოს იდეებში კაპიტალისტური ელემენტების გაწმენდის საფუძველზე მასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბება სახელდებოდა და ა.შ. ნებისმიერ ტოტალიტარულ

[56] ვ. ლენინი. თხზ. ტ. 19 გვ 148.

რეჟიმს და, გარკვეული დოზით, ავტორიტატიზმსაც ესაჭიროება საზოგადოების ფუნდამენტალური გარდაქმნა, ამისათვის რევოლუციური ხასიათის ქმედებებია საჭირო, რაც ხალხის მასობრივ მობილიზაციას მოითხოვს: 1930 წელს გერმანელი ერნსტ იუნგერი ტოტალიტარიზმს უკავშირებდა ნაცისტურ სტრატეგიას, რომელიც შეიარაღებული ბრძოლისათვის გერმანელი ერის ბატონობის აღსადგენად მიზნად ისახავდა საზოგადოების ტოტალურ მობილიზაციას.[57] გაცილებით მეტი დრო, მიზეზი და მოტივაცია გააჩნდა საბჭოთა ნომეკლატურულ ელიტას იმისათვის, რომ მოეხდინა მობილიზაციური ცნობიერებისა და კულტურის დამკვიდრება საზოგადოების შეგნებაში. რუსეთის ევროპისაგან ასი წლით ჩამორჩენა, ი. სტალინის მოწოდებით, ათ წელიწადში უნდა დაძლეულიყო, მაგრამ არა მარტო უნდა დავწეოდით, უნდა გაგვესწრო მათთვის; ასეთი იყო პარტიის დევიზი.

მობილიზაციური კულტურის ფორმირებაში დიდი როლი ითამაშა რუსი ხალხის ცნობიერებაში საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულმა საგლეხო თემის, საზოგადოებრივი საკუთრებისა და თანასწორობის, უპირატესობების ისტორიულმა განცდამ, რომელიც სხვა არაფერია თუ არა გამთანაბრებლური სოციალიზმის რუსული ნაირსახეობა: გლეხურ თემში მოქმედებდა პრინციპი საზოგადოებრივი ვალდებულებების პრიმატისა ინდივიდუალურ ინტერესებზე; რუსეთის უახლესი პოლიტიკური კულტურა ისტორიულად მომდინარეობდა კოლექტიურ-თემური გამოცდილების ტოტალიტარული ცნობიერებიდან (რუსეთს გააჩნია კარგი მეფისათვის ბრძოლის მასობრივი აჯანყებების მდიდარი ტრადიციები ივანე ბოლოტნიკოვის, სტეფანე რაზინის, კონდრატე ბულავინის, ემელიანე პუგაჩოვის გლეხთა ომების სახით), რომელიც დამყარებული იყო აღმოსავლურ, აზიურ წარმოების წესზე (დესპოტიზმს+თემი) და ხელისუფლების მაღალ კონცენტრაციაზე (მეფე, იმპერატორი, აბსოლუტური მონარქი, რევოლუციის ბელადი); ხოლო ასეთი პოლიტიკური მსოფლმხედველობის ისტორიული მემკვიდრეობა, აგრარული რუსეთის პირობებში, ხელსაყრელ ნიადაგს უქმნიდა ტოტალიტარული, მობილიზაციური ცნობიერებისა და ქვეშევრდომული პოლიტიკური კულტურის ფორმირებას.

საბჭოთა კავშირში მიმდინარეობდა სხვადასხვა პოლიტიკური მიზნებისთვის მასების მობილიზაციური ციკლების მუდმივი ცირკულაცია. ამის მაგალითებია, ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია, ყამირის ათვისება, სამამულო ომი, ბურჟუაზიული ელემენტების აღმოფხვრა და მრავალი სხვა. თვით ტოტალიტარული კულტურის ტერმინოლოგია მარტივი, სტანდარტული

[57] Чарльз Ф Эндрейн. Сравнительний анализ политических систем. М. 2000 გვ 110.

და რადიკალური იყო: ბრძოლა კოლექტივიზაციისთვის, ბრძოლა კულტურული რევოლუციისთვის, ბრძოლა ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისთვის და ა.შ. მთელი ისტორია საბჭოეთის ხალხებისთვის იყო ბრძოლების მონაცვლეობის ისტორია კომუნიზმის უტოპიური იდეის რეალიზაციის გზაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური კულტურის ნებისმიერ ტიპს თავისი პოლიტიკური ენა, ტერმინოლოგია გააჩნია, რომლებიც აქტიურად გამოიყენება პოლიტიკურ კონტექსტში და ასრულებს ბუნებრივი კოდის როლს, რომლის მეშვეობითაც ფართო მასებისთვის გასაგები ხდება კომუნისტური ღირებულებები. „პოლიტიკური კულტურის ყველა „ფიგურა"-ვერბალური, საგნობრივი, ქცევითი-„გაშიფრულია" მის ლექსიკაში, სტილისტიკაში, სინტაქსსა და სემანტიკაში. საკმარისია მაგალითად, შევადაროთ სტალინის, ხრუშჩოვის, ბრეჟნევის, გორბაჩოვის გამოსვლები თუნდაც წმინდა ლინგვისტური კუთხით, რომ დავინახოთ საბჭოთა პოლიტიკური კულტურის ევოლუციური სიმრუდე. მეორეს მხრივ, საკმარისია შევადაროთ მათი გამოსვლები რუზველტის, ტრუმენის, ეიზენჰაუერის, კენედის, რეიგანის, ბუშის გამოსვლებს, რომ დავინახოთ სრულიად სხვა სამყაროს პოლიტიკურ-კულტურული კონცესები-არა აუცილებელი მტრული, მაგრამ მაინც სხვა სამყაროსი. მაგალითად, საბჭოთა პოლიტიკური ენა, გამოირჩეოდა იმით, რომ მასში ყოველთვის დიდი იყო იმ ცნებებისა და ტერმინების გამოყენების ხვედრითი წილი, რომელიც სამხედრო სფეროდანაა ნასესხები: „ბრძოლა მოსავლის აღებისთვის", „ბრძოლა ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ", „ეკონომიკური სტრატეგია" და ა.შ. ამდენად საბჭოური პოლიტიკური ენა სხვა პოლიტიკური კულტურის ტიპს მიეკუთვნება, ვიდრე ენა, რომელშიც ეს ტერმინოლოგია საერთოდ არ გამოიყენება, ან მინიმალურად. მათ ნაცვლად პოლიტიკური ლექსიკონის ეპიცეტრშია ისეთი ცნებები, როგორებიცაა „ინტერესების დაცვა", „ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა," „პატიოსანი თამაში," „პარტნიორობა," „მოგება," და ა.შ. პოლიტიკის ენები განსხვავდებიან მათი იდეოლოგიურობის ხარისხით, ემოციონალური შეფერადებულობის დონით, რელიგიურ-ზნეობრივი გამჭვირვალობით, სტილისტური ფიგურების გამოყენებით."[58]

საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა ხელმძღვანელობის და მართვის მობილიზაციურ-სამხედრო, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სტილი, რომელიც უმკაცრეს დისციპლინასა და მორჩილებაზე იყო დამყარებული. ი.სტალინი მმართველი პოლიტიკური ელიტის სტრუქტურას სამხედრო იერარქიას ადარებდა, სადაც გენერლებს ემორჩილება უფრო დაბალი ჩინის ადამიანები, ფაქტობრივად

[58] შ. ჯაფარიძე. პოლიტოლოგია. თბილისი-ბათუმი. 1995 გვ 184-185.

ხელისუფლების შიგნით ურთიერთობები საშემსრულებლო პოლიტიკურ კულტურას ემყარებოდა. სოფლიდან მუშახელის ქალაქში დენადობის შესაჩერებლად მთელ რიგ რაიონებში მოსახლეობას ეკრძალებოდა გადაადგილება, არ გააჩნდათ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და მხოლოდ მცირე ხნით, სპეციალური ნებართვით შეეძლოთ მეზობელ რაიონებში წასვლა.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ტოტალიტარულ პოლიტიკურ კულტურას დავუმატოდ ტერმინი მობილიზაციური და ამით ხაზი გავუსვათ მის თავისებურებას: თითქმის გამორიცხულია ინდივიდის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორიენტაციაზე ლაპარაკი და იგი სოციუმთან მთლიანობაში აღიქმება, ყველაფერი ერთი ჭეშმარიტი იდეოლოგიითა და კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებებით არის განპირობებული და მხოლოდ ბრძანება-შესრულების კულტურაზე არის დაფუძნებული.

ტოტალიტარული დიქტატურისთვის კარლ ფრიდრიხის, ზბიგნევ ბჟეზინსკის, რაიმონ არონის აზრით დამახასიათებელია განსაზღვრული კულტურული, სტრუქტურული და ქცევითი ნიშნები, რომლებიც გამოხატავენ პარტია-სახელმწიფოს ბატონობას საზოგადოებაზე. კულტურულ ასპექტში ესაა ტოტალიტარული იდეოლოგია, რომელიც მიისწრაფვის საზოგადოების რადიკალური რეკონსტრუქციისა და ადამიანების ქცევების ტრანსფორმაციისკენ. ტოტალიტარული იდეოლოგია აცხადებს რა პრეტენზიას ჭეშმარიტებაზე, ახდენს წარსული ცხოვრების ინტერპრეტაციას, კეთილისა და ბოროტის, შავისა და თეთრის კონტექსტში განიხილავს პოლიტიკურ და ისტორიულ მოვლენებს, დაუნდობლად აკრიტიკებს თავის წინამორბედ ხელისუფლებას და ახდენს „მტრის ხატის“ კონსტრუირებას, წარმატებების ათვლას ხელისუფლებაში მოსვლიდან იწყებენ, ხოლო წარუმატებლობები ხალხის მტრებს მიეწერება: „მტრის ხატის“ შექმნა პროპაგანდისა და აგიტაციის-იდეოლოგიური და კულტურული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებაა; პარტია და უშიშროების ძალები ფართოდ იყენებენ ტერორს, განსაკუთრებით იდეოლოგიურს სხვანაირად მოაზროვნეების წინააღმდეგ და აცხადებენ მათ ხალხის მტრებად; პარტია-მთავრობა აკონტროლებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს: ტელევიზიას, რადიოს, ჟურნალ-გაზეთებს, ინდივიდებსა და მცირე ჯგუფებში ინფორმაციის გაცვლის პროცესს; პარტია-სახელმწიფოს კონტროლის ქვეშაა მთელი ეკონომიკური საქმიანობა; მმართველობითი კუთხით ესაა პოლიტიკური პროცესების ხელმძღვანელობა ერთპიროვნული ლიდერების მიერ. იგი ახდენს თავისი მომხრეების პარტიის პოლიტიკაში მასობრივი მონაწილეობის ორგანიზებას იმ მიზნით, რომ მიაღწიოს

ხელმძღვანელობაში ეფექტურობას, ტოტალიტარული დიქტატორი იყენებს სპეციალიზირებული ორგანიზაციების ფართო ქსელს: გაბატონებულ პოლიტიკურ პარტიას, პროპაგანდის ორგანოებს, იდეოლოგიურ ინსტიტუტებს და სამთავრობო დაწესებულებებს, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ეკონომისტები, მგეგმავები, ტექნოკრატები და მენეჯერები.[59]

ტოტალიტარული პოლიტიკურ კულტურის ტიპი ყველა ქვეყანაში ძირითადათ ქვეშევრდომული, მორჩილებითი, საშემსრულებლო კულტურის ელემენტების ჭარბ რაოდენონებას შეიცავს; სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირება და მოსახლეობის მობილიზაციური მზადყოფნა მსოფლიო ბატონობის ილუზიების ან კომუნისტური მომავლის იდეალების განხორციელების გზაზე.

ტოტალიტარული ელიტარული მობილიზაციური პოლიტიკურ კულტურის ქვეშევრდომული ხასიათი ვლინდება საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა რგოლში, იგი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ხელისუფლების იერარქიულ სტრუქტურაშიც პოულობს გამოხატულებას, სადაც გაბატონებულია ვერტიკალური ურთიერთობები და საერთოდ გამოირიცხება ჰორიზონტალური კავშირების როლი პოლიტიკურ პროცესში. ნომენკლატურული ელიტის შიგნით პოლიტიკური საურთიერთობო ენა უსიტყვო მორჩილებაზე იყო დამყარებული: ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დაუყონებლივ შესრულება ყოველგვარი თვითშემოქმედების გარეშე (რომელიც ვერ ეტეოდა ნომენკლატურული ურთიერთობების ჩარჩოებში) აუცილებელი პირობა იყო სისტემის გამართული მუშაობისათვის. საბოლოო ჯამში, როგორც ხელისუფლებაში, ისე მის გარეთ, საზოგადოებაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა საშემსრულებლო-ქვეშევრდომული პოლიტიკური ორიენტაციები. დამოუკიდებელი აზროვნება, გადაწყვეტილების განსჯა, პოლემიკაში შესვლა, დისკუსია ტოტალიტარული ცნობიერებისთვის უცხო ატრიბუტები იყო. ადამიანის გონება ქვეშევრდომული კულტურის პირობებში ვეღარ ვითარდებოდა, მოკლებული იყო ყოველგვარი ინიციატივის უნარს, განიცდიდა სტანდარტიზაციასა და დეგრადაციას, მხოლოდ ხალხის მტრების წინააღმდეგ პარტიის მიერ ინსპირირებული სიძულვილის აქციების ემოციურ მხარდაჭერას ავლენდა. ნომენკლტურული ელიტის ინფორმირებულობაც იერარქიულ ხასიათს ატარებდა და შეზღუდული იყო. ი. სტალინი თვითონ წყვეტდა მაღალი ეშელონებიდან ვის რა დოზით უნდა მიწოდებოდა ინფორმაცია და მონაწილეობა მიეღო პოლიტიკური გადაწყვეტილების შემუშავებაში. ასეთი სისტემა თითოეული

[59] Чарльз Ф Эндрейн. Сравнительний анализ политических систем. М. 2000 გვ 111.

ხელმძღვანელის რეალურ ხელისუფლებასა და გავლენას მკაცრ ჩარჩოებში აქცევდა. ი. სტალინს თავისი ინფორმაციული ტექნოლოგიებით შეეძლო ნებისმიერისთვის ადგილი მიეჩინა.[60] განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ინფორმაციის შეზღუდულობას ფართო მასებისთვის, პარტია სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფებდა საზოგადოებას. მათ მხოლოდ მუშების და გლეხების სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოჩენილი გმირობების, სოციალური უთანასწორობის დაძლევის პერსპექტივების უტოპიური იდეებით და ხუთწლედის დაჩქარებული ტემპების ახალი ამბებით კვებავდნენ. ინფორმციების ფლობის იერარქიული ხასიათი და დასაშვები შეზღუდული დოზით მისი გარცელება ცენზურის გავლით, ტოტალიტარული, მობილიზაციური, ქვეშევრდომული პოლიტიკურ კულტურის აუცილებელი ელემენტი იყო.

ქვეშევრდომული პოლიტიკური კულტურის საფუძველს, ძირითად ელემენტს, წარმოადგენს ტოტალიტარული ცნობიერება. განსაკუთრებული სოციალ-ფსიქოლოგიური ფენომენის, ტოტალიტარული ანტროპოლოგიური კომპონენტის მისწრაფება მდგომარეობს თავისი სოციალურ-ფილოსოფიური და იდეოლოგიური მიზანდასახულობების შესაბამისად ადამიანის სრულ გარდაქმნასა და ტრანსფორმაციაში. აქ გამოიყენება საშუალებების, მექანიზმების და მეთოდების ფართო კომპლექსი, რომლის საფუძველი დიდი ინკვიზიტორის იდეოლოგიური არსენალიდან ნასესხები სამი პრინციპია: საოცრება, საიდუმლოება და ავტორიტეტი-წერს ს. გაჯიევი.[61]

საბჭოთა ლიდერებს ტოტალიტარული იდეოლოგიისა და ცნობიერების დამკვიდრების გზაზე, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ნოყიერი ნიადაგი დახვდა; სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული ჩამორჩენილობა, მოსახლეობის სულიერი სიღატაკე და რაც მთავარია, გამთანაბრებლური სოციალიზმის გლეხურ-თემური რუსული მემკვიდრეობა. ტოტალიტარული ცნობიერების ჩამოყალიბებას განაპირობებდა ბოლშევიკური იდეოლოგიური ორიენტირების დამკვიდრება საზოგადოების ცნობიერებაში. ამ მიზნით შეიქმნა კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი, რომელსაც ახალი „რელიგიური ფუნდამენტალიზმის“ როლი უნდა ეთამაშა საზოგადოებრივი ცნობიერების რევოლუციური გარდაქმნის პროცესში.

---

[60] Восленский М. Номенклатура. М. 2005 გვ 267.

[61] Гаджиев К. С. Политология. М. 1996 გვ 356.

კომუნისტური იდეოლოგიის დამკვიდრება „რელიგიური ცრურწმენების“ წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა. ადამიანებში აღვივებდნენ მოუთმენლობის, ცდუდებისკენ მისწრაფებების „ეშმაკისეულ“ საწყისებს: იმქვეყნიური სამოთხის სანაცვლოდ, ადამიანებს პირდებოდნენ საყოველთაო კეთილდღეობასა და სოციალური თანასწორობის უტოპიურ იდეებს. მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას უნდა ეთამაშა რელიგიის როლი საჭირო მიმართულებით საზოგადოებრივი ცნობიერების მობილიზაციისთვის, ხოლო რელიგიური რწმენა ამ გზაზე დაბრკოლებას წარმოადგენდა. საჭირო იყო მათი აღმოფხვრა ადამიანთა შეგნებიდან, რადგანაც ურწმუნო და სულიერად ღატაკი ადამიანის ორიენტაციების მანიპულაცია იოლია. ტარდებოდა ყოვლისმომცველი სააგიტაციო-იდეოლოგიური მუშაობა იმისათვის, რომ ჩაენერგათ საყოველთაო კეთილდღეობის კომუნისტური საზოგადოების რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც „სასურველ პოლიტიკურ ორიენტაციებსა“ და ქვეშევრდომულ, მობილიზაციური პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებას გამოიწვევდა. რელიგია კლასობრივი ექსპლოატაციის იდეოლოგიად იქნა გამოცხადებული და, ბუნებრივია, მის წინააღმდეგ ბრძოლა უკლასო საზოგადოების მშენებლობის გზაზე, კომუნისტური პარტიის წმიდათა-წმიდა ამოცანად იქნა გამოცხადებული.

ქვეშევრდომული ტოტალიტარული პოლიტიკური კულტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ტოტალიტარული, იდეოლოგიურად დაკომპლექსებული, ნამდვილი ინიციატივის უნარს მოკლებული, ხელმძღვანელი მუშაკის მასობრივი ტიპის ჩამოყალიბება. გილდიურ სისტემაში[62] შერჩევის მთავარი კრიტერიუმი იყო პარტიულობა, ზემდგომი ხელმძღვანელისადმი პირადი ერთგულება, მაამებლობა, პირმოთნეობა, მლიქვნელობა, საკუთარი პრინციპების, ზნეობრივი და პოლიტიკური პოზიციის უქონლობა, აპარატის „თამაშის წესების“ ცოდნა, სოლიდური სტაჟი და ნამსახურობის ნუსხა, მოჩვენებითი აქტიურობა.[63] გაზვიადებული არ იქნება თუ ნ. ბერდიაევს მოვიშველიებთ: ჩამოყალიბდა „ნახევარინტელიგენტის ახალი ანტროპოლოგიური ტიპი,“ ტოტალიტარული ადამიანი, დამახასიათებელი სახის

---

[62] ნომენკლატურული რეკრუტირების გილდიური სისტემა, რომელიც მკაცრ კრიტერიუმებს ეყრდნობოდა და ხელისუფლებრივი იერარქიის ყველა საფეხურის ეტაპობრივად გავლას ითვალისწინებდა, გამორიცხავდა შემთხვევითი, კომუნისტური მმართველობისადმი მოუმზადებელი ადამიანის ხელისუფლებაში მოხვედრას. ამ სისტემას იყენებენ მკაცრ დისციპლინაზე დაფუძნებული პარტიები. მისი მთავარი ნაკლი, ანტრპრენერული რეკრუტირების სისტემისაგან განსხვავებით, იმაში მდგომარეობს, რომ იგი ნიჭიერი და უნარიანი ადამიანის პოლიტიკაში სწრაფი აღზევების შესაძლებლობას გამორიცხავს.

[63] ა. ტუკვაძე. პოლიტიკური ელიტა. თბ; 1998 გვ 178-179.

გამომეტყველებითა და ქცევის მანერებით, ბრბოს ფსიქოლოგიით.[64]მათ პარტიის გადაწყვეტილებებისადმი მხურვალე მხარდაჭერა უნდა გამოეხატად და სახალხოდ დაეფიქსირებინათ კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულება.[65] ამ დროს შესაძლოა ზოგიერთი მათგანი შინაგან დისკომფორტს განიცდიდა, საყოველთაო ტერორისა და მუდმივი მობილიზაციური დაძაბულობიდან გამომდინარე, მაგრამ ყოველივეს გარეთ გამოტანას, თუნდაც მეგობრების წრეში, შესაძლოა დამღუპველი შედეგები მოჰყოლოდა, ამდენად, ორმაგი სტანდარტებით ცხოვრება „გაორებული ადამიანის და აზროვნების“ ფენომენის ჩამოყალიბებას განაპირობებდა.

საბჭოთა ტოტალიტარული, მობილიზაციური პოლიტიკური კულტურის დამახასიათებელი ნიშანი იყო რევოლუციური მეთოდების გამოყენების აბსოლუტიზაცია საზოგადოების რეფორმირების პროცესში. ჯერ კიდევ, კ. მარქსი წერდა „გოთას პროგრამის კრიტიკაში“, რომ კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის არის რევოლუციური გარდაქმნის გარდამავალი პერიოდი, რომლის დროსაც სახელმწიფოს წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურა. საბჭოთა კავშირის ეპოქა, ისევე, როგორც სხვა ტოტალიტარული სახელმწიფოების, ეკონომიკის, სოციალური ურთიერთობების, საკადრო პოლიტიკის კულტურის რევოლუციური გარდაქმნის ისტორიაა. „ტოტალური რევოლუციის მომხრეებს სჯერათ, რომ ბრძოლა პოლიტიკის არსია. მარქსიზმ-ლენინიზმის მომხრეებისათვის კლასობრივი ბრძოლა პროგრესის გამომწვევი იყო ისტორიაში, მაოისტებისთვის თავად ბრძოლა იყო სასურველი მიზანი, მათ სჯეროდათ, რომ მხოლოდ რევოლუციური ბრძოლის უშუალო გამოცდილებით შეეძლოთ მასებს (განსაკუთრებით ახალგაზრდობას) თავგანწირვის ნამდვილი მნიშვნელობის გაგება. ჰიტლერი ძალაუფლებისათვის ბრძოლას ადიდებდა...იმის მიუხედავად, მიზანი კაპიტალისტების მონოპოლიის დასრულებაა თუ რასის გაწმენდა, რევოლუციური ბრძოლა ყოველთვის აღიწერება, კეთილის ბოროტის წინააღმდეგ ბრძოლად. ნაცისტთა ლიდერები ებრაელებს უბრალოდ სახელმწიფოს მტრებად კი არ სახავდნენ, არამედ ქვეადამიანებად, არასრულყოფილი რასის წარმომადგენლებად და ხშირად არარაოებებად ან ტილებად მოიხსენიებდნენ. ამგვარი დამამცირებელი დახასიათების განმეორებითი გამოყენება საბოლოოდ მასობრივ ცნობიერებაში განტევების ვაცად გამოყენებული ჯგუფის დეჰუმანიზაციას

[64] Бердяев Н. А. Правда и ложь коммунизма. Париж 1931 გვ 10.

[65]«Тоталитарные люди»: Как им жить, как с ним быть? Народный депутат 1992 №7.

ისახავდა მიზნად-უფრო ადვილია მწერების გაწყვეტა დაასაბუთო, ვიდრე-ადამიანებისა.[66]

ტოტალიტარიზმის დროს საერთოდ იგნორირებულია განვითარების ევოლუციური გზა, როცა ადამიანებს აქვთ დრო და საშუალება გაიაზრონ თავიანთი ქმედებები. ი. სტალინი და სხვა ლიდერები საუბრობდნენ ბრძოლის, გადარბენის, დაჩქარების, ნახტომების და სხვა რევოლუციური ტერმინოლოგიით ჩვეულებრივ ყოფით და სამეურნეო პრობლემებზე, მართლაც, ჩამორჩენილობის დაძლევა „სირბილით, დაჩქარებული ტემპებით იყო შესაძლებელი. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელ მუშაკებს გავლილი უნდა ჰქონოდათ „რევოლუციური წრთობის“ სტადია (იგი რეკრუტირების პროცესში მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენდა) და მასების მობილიზაციის პროცესში მიზნის მისაღწევად დაშვებულია ყველა მეთოდის, მათ შორის პოლიტიკური ტერორის გამოყენებაც. მით უმეტეს, გ. პლეხანოვის სიტყვებით, რომ ვთქვათ, ყველა სოციალ-დემოკრატი ტერორისტი უნდა იყოს.[67]გამოირიცხებოდა მორალურ ნორმებზე ფიქრი. ვ. ლენინი წერდა, რომ იფიქრო რწმენაზე, ერთგულებასა და სულიერი თვისებების სხვა უპირატესობებზე-ეს საგნები პოლიტიკაში სავსებით არასერიოზულია. ის თვლიდა, რომ ტერორი და ძალადობა მასების პოლიტიკაში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა.[68] უფრო მეტიც, რევოლუციონერმა უნდა დაიწყოს „ძალადობის ფორმების მომზადება,“ რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების მონაწილეობას მასობრივ გარდაქმნებში.[69]

რევოლუციური მოწოდებები წარმატებას აღწევს კულტურისა და განათლების დაბალი დონის ქვეყნებში, ადვილად ამკვიდრებს მოუთმენლობის, სწრაფად გადაწყვეტის რევოლუციურ სინდრომს კულტურაში და რაც მთავარია, მასობრივ მხარდაჭერას უზრუნველყოფს. ტოტალიტარული ცნობიერების ჩამოყალიბება განაპირობებს „ნახტომისებური“ განვითარების შესაძლებლობას ეკონომიკისა და პოლიტიკის და კაპიტალისტური მტრული ელემენტების განადგურების (საბჭოთა კავშირში იგი ხორციელდებოდა „ვინ-ვის“ პოლიტიკის ჩარჩოებში) სფეროში; ყოველივე კი, განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების დაწევასა და გადასწრებას ისახავდა მიზნად.

ტოტალიტარული, ქვეშევრდომული პოლიტიკური კულტურის დამახასიათებელი ნიშანია ავტორიტეტის, ქარიზმული ლიდერისადმი უსაზღვრო თაყვანისცემა და

---

[66] თომას მ. მაგშტადტი. გავიგოთ პოლიტიკა. თბ; 2008 გვ 120.
[67] Конратьиева Т. Большевики-якобинцы и призрак терминадора. М. 1993 გვ 39.
[68] Ленин В.И. Пол. Соч. Т. 45 გვ 94.
[69] Ленин В.И. Пол. Соч. Т. 6 გვ 386.

მორჩილება, მისი ყველა მითითებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილება. ყველა რევოლუცია ასოცირდება კონკრეტულ ფიგურასთან, ლიდერთან: რუსეთის რევოლუციას ყავდა ლენინი და სტალინი, გერმანელ ნაცისტებს ჰიტლერი, ჩინეთს მაო, კუბას კასტრო და ა.შ. თითქმის შეუძლებელი იყო მათ გარეშე აღნიშნულ ქვეყნებში ტოტალიტარიზმს გაემარჯვა. რევოლუციის ბელადები ყველა ქვეყანაში ამტკიცებდნენ რევოლუციის კანონზომიერებას, ქვეყნის გარდაქმნის აუცილებლობას ხალხის სასარგებლოდ და ისტორიული გარდაუვალობით ასაბუთებდნენ ძალადობის ნებისმიერ აქტს.

კომუნისტური პარტიის და მისი ლიდერის როლის გაზვიადებული გაფეტიშება კულტურული ორიენტაციების აუცილებელი ნაწილია. ბრბოდ ქცეულ საზოგადოებას, მათი ეკონომიკური და სულიერი სიდუხჭირიდან გამომდინარე, ესაჭიროება ავტორიტეტები, მხსნელი ბელადები, წინამძღოლები. საკმარისი არაა მარტო გარდაცვლილი ლენინის და კომუნისტური პარტიისადმი „ზოგადი რწმენა“, საჭიროა ერთი პიროვნება, რომელსაც გააჩნია ზეადამიანის უნარ-ჩვევები, რომლის აზრები შესაძლოა მათთვის „მიუწვდომელი სიბრძნე“ იყოს (მაგალითად სადამ ხუსეინის სიზმარში მუჰამედის მოწოდება კუვეიტის დაპყრობისკენ). ბრბოდ ქცეულ ადამიანებს უჩნდებათ ფანატიკური მორჩილებისა და მიმდევრობის გრძნობა, რომელსაც აღვივებდა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა: აღნიშნული პერიოდის ხელოვნების, კულტურის, ლიტერატურის მოღვაწეები უძღვნიდნენ ნაწარმოებებს, ლექსებს, პოემებს ი. სტალინს. ყოველივე, სახელმწიფოს მეთაურის, ბელადისადმი უსაზღვრო ერთგულების ელემენტებს აღვივებდა ტოტალიტარულ პოლიტიკურ კულტურაში. იმდენად დიდი იყო ი. სტალინის ქარიზმატული გავლენა, რომ ომის დროს მისი სახელისთვის თავს წირავდნენ მებრძოლები და რაოდენ პარადოქსიც არ უნდა იყოს, სტალინური რეჟიმის გამო გადასახლებაში მყოფი პოლიტიკური პატიმრები ტიროდნენ მისი გარდაცვალების გამო (ამ მიმართულებით ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ჩრდილოეთ კორეამ, სადაც ბელადის გარდაცვალების გამო გლოვაში ბავშვები და ფრინველებიც კი ჩართეს).

ტოტალიტარული ცნობიერება, იდეოლოგია იჭრება კულტურისა და განათლების სფეროშიც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული. იდეოლოგიური ორიენტირები, კლასობრივი მიდგომის მეთოდები, მუშათა და გლეხთა პოლიტიკური იდეალები და ნათელი მომავალი, რომელიც პოლიტიკური კულტურის აუცილებელ ელემენტს შეადგენდა, კარგად ჩანს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურასა და ხელოვნებაში. უფრო მეტიც, იგი არა მარტო ლიტერატურული და პოლიტიკური ლექსიკის სტანდარტიზაციასა და სიმწირეში პოულობს გამოხატულებას, არამედ

შეგვიძლია ვისაუბროთ, ტოტალიტარიზმისთვის დამახასიათებელ არქიტექტურაზეც, რომლის მაგალითები მრავლადაა მოსკოვში, პეტერბურგში, თბილისში (მაგალითად პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, რომლის ზედხედი ნამგალისა და ურის ფორმაშია გადაწყვეტილი). არსებობდა ვ.ლენინის ქანდაკებები, რომლებიც მისი სახის ასლის საფუძველზე იყო შექმნილი, მაგრამ „შემოქმედებითი ლენინის“ სკულპტურული ნამუშევარი, რომელიც ხელოვანის ფანტაზიას და წარმოდგენებს განასახიერებდა, უფრო ძვირად ფასობდა.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურული ნაწარმოებები იქმნებოდა განსაზღვრული სქემებისა და მკაცრი ცენზურის პირობებში. ასე მაგალითად, თუკი ნაწარმოები ეხებოდა კოლექტივიზაციის თემას, ასეთი კი მრავლად იყო, საჭირო იყო ღარიბი გლეხის სოფლის გარდამქმნელის როლში განსახიერება, საშუალო გლეხის კოლექტივიზაციის რელსებზე გადმოყვანა, ხოლო კულაკის, როგორც კლასის განადგურება. ბოლშევიკური კლასობრივი იდეოლოგიური ორიენტირებიდან გამომდინარე მორალურად გამართლებული იყო ახლო მეგობრის, ნათესავის, თვით მშობლის დაბეზღებაც კი და ასეთი ადამიანი სანიმუშო მოქალაქედ ითვლებოდა კომუნისტური რეჟიმის დროს. მწერალს უნდა ეჩვენებინა ხალხისა და პარტიის ერთიანობის იდეაც. კოლექტივიზაციის პერსპექტივებს და დიად მომავალს განსაკუთრებული ადგილი უნდა დათმობოდა. სოციალისტური რეალიზმის განმასხვავებელი ნიშანი კრიტიკული რეალიზმისგან იმაში მდგომარეობდა, რომ ის არა მარტო აკრიტიკებდა რეალობას, არამედ სახავდა მისი „გარდაქმნის გზას“ ხალხის საკეთილდღეოდ და ყოველივე ხალხისათვის გასაგებ ენაზე იყო გადმოცემული: ხელოვნებისა და კულტურის შედევრები ხალხისთვის უნდა მიეახლობინა, ეს იყო ამ „ლიტერატურული მეთოდის“ მთავარი ამოცანა. ამორალური ხასიათის, დაბალ ინტელექტუალური ნაწარმოებები, სოციალისტური კულტურის განუყოფელი ნაწილი იყო. თუმცა, იყო ბედნიერი გამონაკლისებიც, როცა ასეთ თემებზე შექმნილი რომანები დიდი ხელოვანების ხელში შედევრებად იქცეოდა. მაგალითისათვის მიხეილ შოლოხოვის „გატეხილი ყამირი“ და „წყნარი დონი“გამოდგება (ამ უკანასკნელს ნობელის პრემია მიენიჭა).

ტოტალიტარული-მობილიზაციური პოლიტიკური კულტურის დამახასიათებელი ნიშანია დახურულობა და კარჩაკეტილობა. იგი ორიენტირებულია საკუთარ პოლიტიკურ „ფასეულობებზე“ და სამართლებრივ ნორმებზე. ფაქტიურად რეჟიმის შიგნით ვითარდება პოლიტიკური კულტურის ავტონომიური ტიპი, რომელიც უარყოფითადაა განწყობილი ყოველივე იმაზე, რაც მის გარეთ ხდება. საბჭოთა ქვეშევრდომული ტიპის კულტურის ჩარჩოებში აღიარებული იყო მუშათა და

გლეხთა პოლიტიკური იდეალების აბსოლუტიზაცია: რუსეთის მუშათა კლასის და კომუნისტური პარტიის ავანგარდული როლი კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც პროლეტარიატის მსოფლიო ისტორიული მისიის კონტექსტში მოიაზრებოდა; მთავარი იყო კლასობრივი ცნობიერების და ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა. ეს ხდებოდა მაშინ, როცა დასავლეთში სამართლებრივი სახელმწიფოები და სამოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბდა, როცა გაქრა კლასობრივი თვითშეგნება და აღიარებული იქნა გაეროს მიერ 1948 წელს მიღებული ადამიანის საყოველთაო უფლებებისა და თავისუფლებების დეკლარაცია.

ტოტალიტარული პოლიტიკური კულტურა გამორიცხავს მემკვიდრეობითობის პრინციპის დაცვას პოლიტიკური და სულიერი განვითარების პროცესში. იგი წინააღმდეგობაში მოდის რა მარტო გარე იმპულსებთან, არამედ მთლიანად უგულველყოფს კონკრეტული ქვეყნის ლიტერატურის, ხელოვნების და მთლიანად სულიერ მემკვიდრეობას. წარსულის მემკვიდრეობის მიმართ ნეგატიური დამოკიდებლობა განსაკუთრებით გამოიკვეთა რუსეთში პროლეტკულტელების, ხოლო ჩინეთში „დიდი კულტურული რევოლუციის“ დროს. კლასობრივი მიდგომის პრიმიტიული მეთოდებით აფასებდნენ დიდი ხელოვანების შემოქმედებას და მათ უმრავლესობას „ისტორიის სანაგვეზე მიუჩენდნენ ადგილს“, ყოველივე, კიდევ უფრო აღატაკებდა საზოგადოების სულიერ სამყაროს.

თუმცა, ყველა სფეროში ასე არ იყო: სამოქალაქო ომის დასაწყისში წითელი არმია დაკომპლექტებული იყო რევოლუციონერ-ბოლშევიკი ხელმძღვანელებისგან, რომლებსაც არაფერი გაეგებოდათ სამხედრო საქმის და შედეგად მარცხს-მარცხზე განიცდიდნენ, ვ. ლენინის ხატოვანი გამოთქმით ისინი „ცხვრის ფარას დაემსგავსნენ ბრძოლის ველზე“, ამიტომ, სოციალისტური რევოლუციის დაცვის მიზნით, ვ. ლენინმა, ი. სტალინმა და სხვა ბელადებმა კარგად გააცნობიერეს რა შექმნილი ვითარება, დაიწყეს იმის მტკიცება, რომ მემკვიდრეობითობის დაცვის გარეშე სოციალიზმი ვერ აშენდებოდა და ის იმ „აგურებისაგან უნდა ვაშენოთ, რომელიც კაპიტალიზმმა დაგვიტოვა“, უფრო კონკრეტულად ბურჟუაზიული სპეციალისტების გამოყენების გარეშე სოციალიზმის აშენება ვერ მოხერხდებოდა. ამერიკელი ჟურნალისტი ალბერტ რის ვილიამსი წერს, რომ ვ. ლენინი მუხლზე დაჩოქილი ეხვეწებოდა მეფის გენერლებს, რომ დაბრუნებულიყვნენ ქვეყანაში (დიდი გასამრჯელოს მიღების გარანტიით) და მონაწილეობა მიეღოთ სამოქალაქო ომში და სამხედრო მშენებლობაში, მართლაც, ისინი პატრიოტები იყვნენ და ქვეყნის მთლიანობის პრობლემა ყველაფერზე მაღლა დააყენეს, გამარჯვებას მიაღწიეს 1918-

1921 წლებში პოლონელების, იუდენიჩის, ვრანგელის, კოლჩაკის, დენიკინის წინააღმდეგ წარმოებულ ომში და ასევე დიდი როლი ითამაშეს ფაშისტური გერმანიის განადგურებისა და კვლიფიციური სამხედრო კადრების მომზადების საქმეში, მიუხედავათ იმისა, რომ პარარელურ რეჟიმში მიდინარეობდა მათი რიგების „წმენდა.“

და, ბოლოს, ტოტალიტარულ პოლიტიკურ კულტურას „მოჩვენებითი ერთგვაროვნება“, „კონსენსუალურობა“, „საყოველთაო თანხმობა“ ახასიათებს. ადამიანების პოლიტიკური ორიენტაციები, რომელიც ბრბოს ემოციურ ქმედებებში პოულობს გამოხატულებას, ერთგვაროვანია, მხოლოდ სისტემისა და რეჟიმის თანადგომასა და მხარაჭერაში გამოიხატება. პოლიტიკური სისტემა სტაბილურად ფუნქციონირებს და მის ფორმალურად დეკლალირებულ სხვადასხვა შტოებს შორის ჰარმონიული ურთიერთობებია. საზოგადოების ქმედებებში ორმაგი სტანდარტები გამოირიცხება, იგი მხოლოდ აზროვნების სფეროში რჩება.

§ 6. აღმოსავლეთის და დასავლეთის პოლიტიკური კულტურის თავისებურებები

რუსი პოლიტოლოგები ვ. პ. პუგაჩოვი, ა. ი. სოლოვიოვი,[70] ი. ვ. ირხინი,[71] ა. ა. რადუგინი,[72] ა. ი. მელვილი,[73] პოლონელები მ. დობროჩინსკი და ი. სტეფანოვიჩი[74] კომპარატიული ანალიზის საფუძველზე გამოყოფენ აღმოსავლეთის და დასავლეთის პოლიტიკური კულტურის ტიპებს და ცდილობენ გარკვეულ პარამეტრებზე დაყრდნობით (ცივილიზაციათა წარმოშობის სპეციფიკა, სახელმწიფო ინსტიტუტების აღქმა, სამართლისა და რელიგიის თანაფარდობა, ადამიანის უფლებების დაცვა, ინდივიდუალური და კოლექტიური ორიენტაციები, მმართველობის ფორმები, ელიტების როლი და სხვა) მოახდინონ საერთო და განმასხვავებელი ნიშნების დეფინიცია. ასევე, გარკვეული აზრით დასავლეთისა და

[70] Пугачев В.П. Соловьев А. И. Введение в политологию. М. 1997 გვ 382.
[71] Ирхин Ю. В. Зотов Л. В. Политология.М. 2001 გვ 294.
[72] Политология Под ред. Радугина А. А. М. 1999 გვ 178-179.
[73] Политология. (Мельвил А. Ю. и др). М 2011 გვ 446-450.
[74] Доброчински М. Стефанович. Самотождественность Европы. М 1979 გვ 57.

აღმოსავლეთის ცივილიზაციათა განსხვავებაზე აგებს თავის თეორიას ს. ჰანტინგტონიც.[75]

დასავლეთი. ცივილიზაციის ძირითადი საყრდენია ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და ვითარდებოდა უპირატესად კათოლიკური და პროტესტანტული ქრისტიანული რელიგიის გავლენით, ბერძენი, რომაელი, აღორძინების ეპოქის, 17-20-ე საუკუნეების ფილოსოფიურ, ლიბერალურ, კონსერვატიულ, სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებებში.

აღმოსავლეთი. ცივილიზაცია ემყარება არაბულ-მუსულმანურ, კონფუციანურ-ჩინურ, ინდურ-ბუდისტურ მოძღვრებებსა და რელიგიურ მიმდინარეობებს; გამოხატავს აზიაში აგარარულ სოციუმებში დამკვიდებული ტრადიციებისა და კულტურის თავისებურებებს.

დასავლეთი. ინდივიდუალური თავისუფლების პრიმატი, რომელიც სათავეს საბერძნეთის პოლისებიდან (პოლისებში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში ყველა მოქალაქე მონაწილეობდა) და აგრეთვე რომის სამართლიდან იღებს, სადაც პირველად დაფიქსირდა პიროვნების სუვერენიტეტი, შემუშავდა ავტონომიური პიროვნების კონცეფცია (ი. კანტი); აღიარებულია ადამიანის ძირითადი პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები, ფუნქციონირებს სამოქალაქო საზოგადოება და ინდივიდი ღირებულებების ცენტრში მოიაზრება.

ქრისტიანობამ შექმნა ევროპა, მაგრამ ევროპის ხალხების მენტალიტეტმა, კულტურამ, გამომგონებლობამ, ინტელექტმა, ინდივიდუალიზმმა, ეკონომიკურმა განვითარებამ კეთილმყოფელური გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების ქრისტიანული დოგმების „დემოკრატიულად ინტერპრეტაციაზე“: საზოგადოების მართვაზე სახელმწიფოს და ეკლესია შორის დაპირირისპირებამ, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის, კანონის უზენაესობის, ადამიანის თავისუფლების იდეებმა ზეგავლენა მოახდინეს თვით ქრისტიანობის მოძღვრებაზე და იგი უფრო მეტად მიუახლოვეს ადამიანების პრაქტიკულ მოთხოვნილებებს; ამან წარმოშვა პროტესტანტიზმი,რომელიც თვლის, რომ წარმოებაში და ბიზნესში წარმატებულ ადამიანს გზა ეხსნება ღმერთთან მიახლოებისკენ. ერთი რამ სრულიად ნათელია: კათოლიკური და განსაკუთრებით პროტესტანტული მიმდინარეობა ქრისტიანობაში უფრო მეტად უწყობდა ხელს დემოკრატიული იდეების გავრცელებას, შეესაბამებოდა ევროპის ხალხების ეკონომიკურ აღმავლობას და რაც ყველაზე მთავარია, ერთი მხრივ, სახელმწიფოსა და

[75] სამუელ ჰანტინგტონი. ცივილიზაციათა შეჯახება. თბ; 2001.

ეკლესიის კონკურენციამ საზოგადოების მართვის პრეტენზიებზე, მეორე მხრივ, ევროპაში განვითარებულმა ლიბერალურმა იდეებმა, მზარდმა ინდუსტრიალიზაციამ მნიშვნელოვნად აამაღლა სამოქალაქო საზოგადოების განათლებისა და კულტურის დონე, ადამიანის თავისუფლება ინტერესთა ცენტრში დააყენა და საბოლოო ჯამში გამოიწვია საზოგადოებრივი ცხოვრების, მათ შორის რელიგიური დოგმების ტრანსფორმაციის პროცესიც, სხვა საკითხია ტაძართან, მართლმადიდებლური თუ პროტესტანტული მიმდინარეობა მიგვიყვანს, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ხალხის მენტალიტეტი და კულტურა რელიგიის „სასურველ ინტერპრეტაციას“ ახდენს.

აღმოსავლეთი. საერთო-კოლექტივისტურის პრიმატი ინდივიდზე; „ პიროვნება“ ამ სიტყვის დასავლური გაგებით არ არსებობს, იგი ფასდება კლანთან, ეთნიკურ, რელიგიურ, ოჯახურ, სხვა ერთობასთან კავშირში, კოლექტივთანაა გათქვეფილი და საერთო ინტერესების კონტექსტში მოიაზრება. ადამიანის რეალურ უფლებებს კონსტიტუციისა და სხვა დეკლალირებული სამართლებრივი კანონების ნაცვლად, საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ტრადიციული რელიგიური ნორმების განსაზღვრავენ. აღმოსავლეთში საზოგადოებრივმა ცხოვრებამ დასავლეთის მსგავსად მოდერნიზაცია არ განიცადა, რადგანაც ინდუსტრიული, ეკონომიკური აღმავლობა არ მოხერხდა და განათლების დონეც ჩამორჩა ევროპას (იაპონიის, სამხრეთ კორეის და რამოდენიმე სხვა გამონაკლისის გარდა), ამიტომ, ოდესღაც ტოლერანტულმა რელიგიებმა, აგრესიული ორიენტირები აირჩიეს და საზოგადოებაში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე საშემსრულებლო, ქვეშევდომული და უპირატესად პატრიარქალური კულტურა დამკვიდრდა; უფრო მეტიც, გლობალიზაციის ეპოქამ კიდევ უფრო გაზარდა წარმატებული ჩრდილოეთის ეკონომიკური, ტექნიკური, კულტურული უპირატესობები სამხრეთთან შედარებით, რამაც უიმედობა, სასოწარკვეთილება, მარგინალიზაცია, აგრესიული სექტები, ტერორისტული ორგანიზაციები და დასავლეთთან დაპირისპირების პოლიტიკური კულტურის ფორმირებას შეუწყო ხელი.

დასავლეთი. სახელმწიფო ხელისუფლების წყაროდ ხალხია აღიარებული, საზოგადოების დაყოფა მმართველ უმცირესობად და მართულ უმრავლესობად ემყარება დემოკრატიულ საარჩევნო სისტემას, რომელიც აღიარებს პლურალიზმის და ტოლერანტიზმის პრინციპებს და ადამიანის ადამიანზე უპირატესობად ნიჭსა და უნარს მიიჩნევს, იცავს თვითოეული მოქალაქის უფლებებს განურჩევლად რელიგიური აღმსარელობისა, კანის ფერისა, პოლიტიკური შეხედულებებისა. მოქალაქეებს გააჩნიათ ხელისუფლებაზე ზეგავლენის ბერკეტები, პოლიტიკური

ინსტიტუტების მიმართ აქვთ მაღალი ნდობა, რადგანაც ისინი საკუთარი ინტერესების დაცვის გარანტად არიან აღქმული; ხელისუფლების მონაცვლეობა, ეკონომიკური და სოციალური აღმავლობის ფონზე, ხდება მშვიდობიანად, თავისუფალი არჩევნების გზით, ყოველგვარი რყევების, რევოლუციური ცვლილებების გარეშე, ხელისუფლების დანაწილების იდეა კონსტიტუციურად არის განმტკიცებული და რაც მთვარია დაცულია კანონის უზენაესობა. სახელმწიფო დასავლეთში დიდი ხანია აღქმულია, როგორც ადამიანის თავისუფლებისა და უფლებების დამცველი და სოციალური ინიციატივების მხარდამჭერი; „იშრომებ და წარმატებული იქნები," ესაა მთავარი ეთიკური ნორმა სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობების პროცესში. სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის წარმოშობილი კონფლიქტის გადაჭრის ერთად ერთი გზა კონსტიტუციონალიზმის პრინციპების შესაბამისად სასამართლოში საქმის გარჩევაა, რაც შესაძლებელია ამ ინსტიტუტის დამოუკიდებლობის გამო და ხელისუფლების დანაწილების დემოკრატიულ რეჟიმში ფუნქციონირების პირობებში. დასავლეთში ერი სახელმწიფოებს და სახელმწიფო ერებს დიდი ისტორია აქვს და, აგრეთვე, საზოგადოების მონოეთნიკური სტრუქტურა ხელს უწყობს სახელმწიფოებრივი აზროვნების კულტურის ელემენტების გაძლიერებას მოქალაქეების ცნობიერებაში. მატერიალური და სულიერი ცხოვრების მაღალი დონე შესაძლებელს ხდის სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კონსენსუსის მიღწევას.

აღმოსავლეთში. ავტორიტარული, ელიტარული მმართველობა სახელმწიფოების უმრავლესობაში, მმართველებსა და მართულებს შორის დისტანცია, პოლიტიკური ინსტიტუტების გაღმერთების ტენდენცია, ხელისუფლების იერარქიის სათავეში მყოფი ადამიანების რჩეულებად, გმირებად აღქმა, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, საზოგადოების მრავალეთნიკური სტრუქტურა, რელიგიური და კულტურული სხვადასხვაობა, ხელისუფლებაზე ზეგავლენის ლეგიტიმური მექნიზმების არ არსებობა, არჩევნების რიტუალური ხასიათი; ხელისუფლება არ აღიქვამს ინდივიდს, პიროვნებას, ცნობს მხოლოდ რელიგიური, ეთნიკური, კლანური გაერთიანებების ინტერესებს; საზოგადოების ხელისუფლების გარშემო კონსოლიდაცია დროდადრო საშინაო და საგარეო საფრთხის ან რელიგიური რწმენების შელახვისას ხდება; საზოგადოებრივი ურთიერთობები რეგულირდება რელიგიური ნორმებისა და საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული პატრიარქალური ტრადიციების საფუძველზე, ხოლო კონსტიტუციურად დეკლარირებული კანონები განიხილება ისლამთან შესაბამისობის კონტექსტში და მეორე ხარისხოვან როლს თამაშობენ; საზოგადოებრივი სტრუქტურის მარტივი, ფეოდალური დაყოფა მდიდრებად და ღარიბებად, სადაც თანდაყოლილი

პრივილეგიები განმსაზღვრელ როლს თამაშობენ და არ არსებობს სამოქალაქო საზოგადოება და „სახელმწიფოებრივი აზროვნება“ რელიგიური და ტრადიციული ნორმების დაცვაში პოულობს გამოხატულებას.

დასავლეთი. პოლიტიკური დემოკრატიის მყარი ტრადიციები, ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის დაცვა, შეკავება-წონასწორობის პრინციპის მუშაობა, რომელიც ხელისუფლებაში მოსულ ქარიზმულ ლიდერს რაციონალურ-ბიუროკრატიულ მმართველად აქცევს; მათ სამოქმედო პროგრამებზე ორიენტაცია, განსხვავებული იდეოლოგიური და პოლიტიკური შეხედულებების ლეგიტიმაცია, პოლიტიკისა და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმართ რაციონალური მიდგომა, ქმედებების რეგლამენტაცია, ზნეობრივი ნორმების კვალიფიკაცია.

აღმოსავლეთი. ქარიზმული, მხსნელი, ქვეყნის გადამრჩენი ლიდერის პერმანენტული ძიება და მასთან სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის დაკავშირება; არჩევნების დრამატიზირება, ზოგ ქვეყანაში პოლიტიკური და სულიერი ფუნქციების თავსებადობა, მმართველების ბელადებად აღქმა, ქარიზმული ლიდერის კონსტიტუციური ნორმებიდან გასვლა, ირაციონალური, ემოციური სპონტანური ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში, ნორმალური შეჯიბრებითობის პრინციპის გამორიცხვა, კონფლიქტისკენ მიდრეკილი, რადიკალური კულტურული ორიენტაციების სიჭარბე.

შესაძლოა კიდევ გაგვეგრძელებინა აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკური კულტურების შედარება, მაგრამ ზემოთთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ფაქტობრივად ჩვენ ვსაუბრობთ დემოკრატიული და ავტორიტარული პოლიტიკური კულტურების (აღმოსავლური თავისებურებებით) შედარებით ანალიზზე;

საბოლოო ჯამში, აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკური ორიენტაციების ანალიზი დემოკრატიის საბაზისო ღირებულებებზე შესაძლებლობას იძლევა ვივარაუდოთ შემდეგი:

პირველი, ხომ არ დასტურდება გ.ალმონდის. ს. კოენის სხვა მეცნიერის ჰიპოთეზა, რომ დასავლური ცივილიზაციის დამახასიათებელი კულტურული ღირებულებებისა და დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის წარმატებული გადანერგვის შეუძლებლობის შესახებ არადასავლური ცივილიზაციის საზოგადოებებში (თუმცა იმედის მომცემია ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებული იაპონური და სამხრეთ კორეული დემოკრატიები). საგულისხმო დასკვნებია ს. ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახების“ კონცეფციაში და განსაკუთრებით საინტერესოა კრიტიკოსებისადმი გაცემული პასუხი: ერთიანი მსოფლიოს პარადიგმა, სადაც უკვე

ჩამოყალიბდა ან მალე წარმოიშვება უნივერსალური ცივილიზაცია არარეალურია... მხოლოდ მსოფლიო ხელისუფლებას ძალუძს შექმნას მსოფლიო ცივილიზაცია...მხოლოდ მოდერნიზაცია და ეკონომიკურ განვითარება ხელს შეუწყობს კულტურული ერთგვაროვნების და თანამედროვე კულტურის შექმნას, რომელიც არსებობს დასავლეთში მეოცე საუკუნეში.[76]

მეორე, მუსულმანურ სამყაროს ტოლერანტიზმის მდიდარი ტრადიციები ჰქონდა თავდაპირველად, წარსულში: ისლამის ექსპანსია ესპანეთიდან ინდოეთამდე წესრიგისა და დაპყრობილი ხალხების კულტურისა და რელიგიის მიმართ აშკარა ძალადობის გარეშე მიმდინარეობდა და ამის მაგალითად ჰაბიბ-იბნ-მასლამას ქართველებისთვის ბოძებული დაცვის სიგელიც გამოდგება; მართალია ისლამი საწყის ეტაპზე შემწყნარებლობას ავლენდა, მაგრამ შემდეგ განსაკუთრებით თანამედროვე ეტაპზე, მან რადიკალიზაცია განიცადა და ქრისტიანობის მსგავსად მოდერნიზაციისთვის მზად არ აღმოჩნდა და ამის პირობებიც არ შექმნია მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის ფონზე, რომ გაეთავისებინა დემოკრატიის საბაზისო ღირებულებები და პირიქით რელიგიური ფუნდამენტალიზმისკენ გადაიხარა, თუმცა პესიმისტური დასკვნის გაკეთება არ იქნებოდა სწორი: ლიბერალური ღირებულებების სწრაფ ან საშუალო ვადიან წარმატებებს არ უნდა ველოდეთ, მაგრამ გლობალიზაციის პროცესში ეკონომიკური განვითარების საფუძველზე, კომუნიკაციური და ინფორმაციული სივრცის მზარდი ზრდა და კულტურებს შორის კავშირების გააქტიურება დააჩქარებს ყველასათვის მისაღები, საურთიერთობო სიმბოლოების, ენის, კულტურის უნივერსალური ფასეულობების ჩამოყალიბებას.

§ 7. ინტეგრირებული და ფრაგმენტარული, საბაზრო და ეტატისტური პოლიტიკური კულტურა

პოლიტიკური კულტურის ტიპოლოგიის საფუძვლად ხშირად განიხილავენ პოლიტიკური ორიენტაციების გადანაწილებას ლიბერალურ ღირებულებებზე და ამ მაჩვენებლების მიხედვით უ. როზენბაუმი გამოყოფს ინტეგრალურ, ჰომოგენურ, ერთგვაროვან და ფრაგმენტარულ, არაერთგვაროვან პოლიტიკურ კულტურას.

[76]ციტირებულია იხ: Политология. (Мельвил А. Ю. и др). М 2011 გვ 450.

ჰომოგენური კულტურის მატარებლათ შეიძლება განვიხილოთ ანგლო-ამერიკული დემოკრატიები, რომლებშიც არსებობს თანხმობის მაღალი ხარისხი ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის, მმართველობის ფორმის, პოლიტიკური სისტემისა და რეჟიმის, საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების, კონფლიქტის მოგვარების გზების და დემოკრატიისათვის კარდინარული მნიშვნელობის სხვა საკითხების ირგვლივ. ჰომოგენური პოლიტიკურ კულტურის მქონე ადამიანები პოლიტიკურ და სამოქალაქო სფეროში წარმოშობილი უთანხმოებების გადაწყვეტისას უპირატესობას ანიჭებენ სამართლებრივ პროცედურებს და ლოიალობას ავლენენ პოლიტიკური სისტემის მიმართ.

ფრაგმენტარული პოლიტიკურ კულტურა ახასიათებთ არ შემდგარ სახელმწიფოებს, სოციალურ-ეკონომიკური, ეროვნული და კულტურული განვითარების დაბალ საფეხურზე მდგარ საზოგადოებებს, გარდამავალ პოლიტიკურ სისტემებს. ფრაგმენტარული, სეგმენტირებული, დანაწევრებული პოლიტიკური ორიენტაციები წინააღმდეგობრივი ხასიათისაა: განსხვავებული ღირებულებების მქონე სუბიექტებს შორის რადიკალური დამოკიდებულებებია, რაც სისტემის არასტაბილურობისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის; სეგმენტირებულ პოლიტიკურ კულტურაში გამოხატულებას პოულობს საზოგადოების განხეთქილების ელემენტები, ხასიათდება სოციალური ჯგუფების ძლიერი პოლარიზაციით და მარგინალიზაციით. ასეთი პროცესები ვითარდება გარდამავალ საზოგადოებებში, მძიმე სოციალური მდგომარეობის ფონზე.

ფრაგმენტარული პოლიტიკურ კულტურა გამოირჩევა პოლიტიკური აგრესიულობითა და მოუთმენლობით, ყველა პრობლემის გადაწყვეტას მხსნელ ლიდერებს უკავშირებენ; არჩევანს პოლიტიკური ლიდერის ქარიზმულ თვისებებზე და პოპულისტურ დაპირებებზე აკეთებენ, ხოლო მათი სამოქმედო პროგრამა, იდეოლოგიური ორიენტირები, მიზნის მიღწევის საშუალებები, მეორე ხარისხოვან როლს თამაშობს. საზოგადოებაში დამკვიდრებულია ნიჰილიზმისა და დაბნეულობის რწმენები, დარღვეულია სამოქალაქო თანხმობა და პოლიტიკური წონასწორობა ძალაუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის. ასეთი მდგომარეობა იქმნება განათლებისა და კულტურის დაბალი დონის პირობებში, როცა მოქალაქეები არ იდენტიფიცირდებიან სახელმწიფოებრიობასთან და პოლიტიკურ ინსტიტუტებთან.

ფრაგმენტარული პოლიტიკურ კულტურა მკვლევარების აზრით განვითარებულ დემოკრატიებსაც ახასიათებთ, მაგალითად, ევროპაში იტალიას, საფრანგეთს[77] ასახელებენ.

პოლიტიკური კულტურის ტიპოლოგიზაციის საფუძვლად ზოგი ავტორი საზოგადოების ორიენტაციებს ბაზარზე და სახელმწიფოზე იღებენ და შესაბამისად გამოყოფენ საბაზრო და ეტატისტურ პოლიტიკურ კულტურებს.

ე. ბატალოვი შრომაში „თანამედროვე ამერიკული პოლიტიკურ კულტურა“ აანალიზებს რა აშშ-ის საბაზრო პოლიტიკურ კულტურას, მიუთითებს, რომ პოლიტიკა წარმოშობს ბიზნესს და ბიზნესი პოლიტიკას. პოლიტიკური პროცესი ვითარდება ყიდვა-გაყიდვის და მოგების საბაზრო პრინციპების შესაბამისად; პოლიტიკური ურთიერთობების საფუძვლად აღებულია პირადი ინტერესები; საბაზრო ტიპის პოლიტიკურ კულტურა იზიარებს 19-ე საუკუნის ლიბერალურ პოლიტიკურ პოსტულატს „მონიმალური სახელმწიფოს“ კონცეფციას და საბაზრო ეკონომიკას მიიჩნევს ეკონომიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების ძირითად ბერკეტად. ასეთი ტიპის პოლიტიკურ კულტურაში გამოკვეთილია მძაფრი კონკურენცია და ინდივიდუალიზმის პრინციპები.

მართლაც, პოლიტიკურ ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ვაჭრობისა და მოგების პრინციპები და ამის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ ევროპული საბჭოს დახურული სხდომა, სადაც ევროკავშირის ლიდერები ორი დღის განმავლობაში წყვეტენ 28 სახელწიფოს შემდგომი განვითარება-ინტეგრაციის ბედს: „ჟურნალისტებისთვის ევროპული საბჭოს სხდომის დახურვა იოლი ასახსნელია, რადგან სამიტებზე ხშირად მიმდინარეობს პირდაპირი „ვაჭრობა“ ამა თუ იმ საკითხზე. შესაბამისად, პირდაპირ ეთერში ჩვენება, როგორ თმობს ამა თუ იმ სახელმწიფოს პრეზიდენტი ან პრემიერ მინისტრი თავისი ქვეყნის ინტერესების ნაწილს, შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს ევროპული საბჭოს, როგორც ეფექტური ინსტიტუტის არსებობოსთვის.“[78]

ეტატისტურ პოლიტიკურ კულტურაში, რომელიც ძირითადათ სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში (შვეცია, გერმანია) და განსაკუთრებით ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს ახასიათებდათ, ყველა პოლიტიკური გადაწყვეტილება უკავშირდება სახელმწიფოს. პოლიტიკური ინსტიტუტების მნიშვნელოვანი როლი ამცირებს ინდივიდის გავლენას საზოგადოებაში. ეს თავის

[77] Политология Под ред. Лавриенко Т.И. М.2002 გვ 353.
[78] კ.გოგალაშვილი ს. კაპანაძე. ევროკავშირის პოლიტიკა. თბ 2007 გვ 34.

მხრივ ზღუდავს კონკურენციას და ახდენს საბაზრო ურთიერთობების მინიმალიზაციას; პოლიტიკა ძირითადათ განიხილება მმართველი ელიტის სახელმწიფოებრივი საქმიანობის სფეროდ, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური სამართლიანობის იდეების ცხოვრებაში დამკვიდრებას, უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ, აქცენტი გადატანილია სახელმწიფოს სოციალური ფუნქციის გაძლიერებისკენ; ასეთ საზოგადოებაში კონფლიქტი არ განიხილება, როგორც საზოგადოებრივი განვითარების სტიმული, არამედ მოიაზრება, როგორც უარყოფითი მოვლენა; სახელმწიფოს დომინანტური როლი საზოგადოებაში ბადებს პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ „მოიმედოობის განწყობას“, განსაკუთრებით შედარებით დაბალ ფენებში და ამის პრეცედენტები მრავლადაა ქართულ სინამდვილეში, როცა მოსახლეობის ნაწილი სახელმწიფოსაგან ელის გაუმართლებელი სოციალური გარანტიების შესრულებას. შვეციაში, სოციალ-დემოკრატების ხანგრძლივი მმართველობის დროს,მთავრობები ცდილობდნენ შეემცირებინათ საზოგადოების პოლარიზაციის პროცესი, საჯარო მოხელეებისთვის მინიმალური და მაქსიმალური შემოსავლების გარკვეულწილად „ხელოვნური დაახლოების“ გზით. ჯანმრთელობის დაცვა, განათლება და სხვა სფეროები სახელმწიფოს კომპეტენციებში შედიოდა და მისი გადაცემის მცდელობა კერძო სტრუქტურებისადმი საზოგადოების მხრიდან დიდ წინააღმდეგობას ხვდებოდა.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ეტატისტური კულტურის ელემენტების სიმრავლეს განაპირობებს კომუნისტური გამთანაბრებლური სოციალური წყობის მემკვიდრეობა და მოცემული ხალხის მენტალიტეტი, ღირებულებითი სისტემა: სოციოლოგიური კვლევის მასალები მოწმობენ, რომ რუსეთში, გერმანიაში და სხვა ხალხებში, ამერიკელებისაგან განსხვავებით, თავისუფლებასთან შედარებით, მოსახლეობა თანასწორობის პრინციპს ანიჭებს უპირატესობას.

§ 8.პოლიტიკური სუბკულტურა: ბელგიის სამოქალაქო კულტურა, როგორც სუბკულტურების მშვიდობიანი თანაარსებობის მაგალითი.

სამეცნიერო ლიტერატურაში სუბკულტურა განიხილება, როგორც გამოკვეთილი პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციების სისტემა, რომელიც განსხვავდება საერთო პოლიტიკური კულტურის მახასიათებლებისგან. პოლიტიკურ სუბკულტურაზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ მაშინ, როცა საზოგადოების რომელიმე ჯგუფის მიზანდასახულობები და ღირებულებები მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვებისგან და გარკვეული აზრით სტრუქტუირებულ ავტონომიურ წარმონაქმნს

წარმოადგენს. სუბკულტურის ცნება სოციოლოგიაში საერთო კულტურის ქვესისტემას წარმოადგენს. „თუ ქვეყანაში სახეზეა ღრმა განსხვავება პოლიტიკურ ღირებულებებში და ასეთი ვითარება დიდხანს გრძელდება, მაშინ შეიძლება აღმოცენდეს სუბკულტურები. ასეთი სუბკულტურის ჩარჩოებში ადამიანებს შეუძლიათ მხარი დაუჭირონ ერთმანეთისაგან განსხვავებულ პოლიტიკურ საკითხებს, მაგალითად, ეროვნული საზღვრების, რეჟიმის ხასიათის ან იდეოლოგიის მართებულობის შესახებ.“ [79]

პოლიტიკური სუბკულტურის ცნება პოლიტიკურ ლიტერატურაში ორგვარი მნიშვნელობით იხმარება: ფართო გაგებით, ყოველი ერის პოლიტიკური კულტურა სუბკულტურაა, რადგანაც იგი მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რომელიც განპირობებულია მოცემული ხალხის ისტორიული, ეროვნული, კულტურული, პოლიტიკური, რელიგიური განვითარების სპეციფიკით; უფრო მეტიც, მკვლევარების ნაწილი აღმოსავლური და დასავლური კულტურის შედარებით ანალიზს სუბკულტურების ჭრილში ახდენენ და ამის დასადასტურებლად მყარი არგუმენტებიც გააჩნიათ: თვითმყოფადი აღმოსავლური და დასავლური (ჰანტინგტონის მიხედვით დაპირისპირებული) ცივილიზაციები.

ვიწრო გაგებით, ყოველი ერის პოლიტიკური კულტურა განსხვავებული სუბკულტურების ორგანული ერთიანობა, სინთეზია, თუნდაც, იგი გ.ალმონდისეული სამოქალაქო კულტურის ჰომეგენურ იდეალურ მოდელთან იყოს მიახლოებული. მაგალითად, ამერიკული საზოგადოების პოლიტიკური კულტურა, ამერიკელი პოლიტოლოგის დ. ელაზარის აზრით, სამი პოლიტიკური კულტურის სინთეზია: ინდივიდუალისტის, მორალისტისა და ტრადიციონალისტის. ინდივიდუალიზმი ყველა ამერიკელისთვისაა დამახასიათებელი, ისინი კერძო ინტერესებს მაღლა აყენებენ, პოლიტიკას და ბიზნესს ხშირად აიგივებენ, რომელიც პროფესიულ მიდგომას მოითხოვს. ინდივიდუალისტის პოლიტიკური კულტურის იდეალია პირად კონტაქტებზე, მრავალმხრივ ვალდებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკური ურთიერთობები. პოლიტიკოსისგან ისინი მოითხოვენ ინტერესის (მათ შორის კარიერისტულისაც) დაკმაყოფილებას ვალდებულებათა სისტემაში. „მორალისტის კულტურა“ორიენტირებულია თანამეგობრობის კონცეფციაზე. თანამეგობრობა განიხილება, როგორც დემოკრატიული წეს-წყობილების აუცილებელი პრინციპი. მათ დასაშვებად მიაჩნიათ სახელმწიფოს ჩარევა კერძო საქმიანობაში (ამერიკელი ინდივიდუალისტია მოქმედებაში, ხოლო მსჯელობის

[79] Алмонд Г. Пауэлл Дж. Стром К. Далтон Р. Сравнителъная политологиа сегодня: Мировой обзор. М. 2002 გვ 104.

დროს იცავს მორალურ პრინციპებს-ხაზი ჩვენია[80]). „ტრადიციონალისტის კულტურა“ დ. ელაზარის მიხედვით,-იერარქიზმსა და ელიტარიზმზეა აგებული. მათი მიზანია მოსახლეობის დიდი ნაწილის, რიგითი მოქალაქეების, პოლიტიკური პროცესისგან გამოთიშვა. [81]

პოლიტიკური სუბკულტურები სხვადასხვა ბაზაზე (ეთნიკური, ენობრივი, სოციალურ-ეკონომიკური, რელიგიური, ასაკობრივი, რეგიონალური და სხვა), ყალიბდება და აქედან გამომდინარე განპირობებულია მათი მრავალფეროვნება:

1. ეთნიკური უმცირესობების სუბკულტურები. იგი ახასიათებს მრავალეროვან სახელმწიფოებს, რომლებშიც ეთნიკურ უმცირესობებს ძირითადათ კულტურული ავტონომიის ფარგლებში, თვითმყოფადი პოლიტიკური და სულიერი კულტურა გააჩნიათ; მათ კულტურაში განსხვავებული დამოკიდებულება იკვეთება პირველ რიგში, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის, დემოკრატიის ძირითადი ღირებულებების, საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხების მიმართ; ეთნიკური უმცირესობების სუბკულტურა სასურველია არ გაცდეს კულტურული ავტონომიის დასაშვებ ჩარჩოებს, ხოლო მათი ინტერესების დისკრეტიდაციის შემთხვევაში, მოსალოდნელია ეთნოპოლიტიკური მისწრაფებების აქტუალიზაცია და ეთნოკრატიული ელიტების მიერ (ისინი მომენტალურად აქტიურდებიან და ცდილობენ ყოველი კონკრეტული შემთხვევით ისარგებლონ) გამოიყენება შორს მიმავალი მიზნების რეალიზაციისთვის; ასეთ შემთხვევაში, ეთნოპოლიტიკური სუბკულტურები სისტემის არასტაბილურობის მიზეზი ხდება; ეთნოპოლიტიკური სუბკულტურების მატარებლები არიან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტული ეთნიკური და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები; ასე, მაგალითად, ბასკები ესპანეთში, ქურთები თურქეთში, ინდიელები ამერიკაში, ჩუქჩები, აინები, ნივხები, იტელმენები რსფსრ-ში და სხვა.
2. რელიგიური პოლიტიკური სუბკულტურა განსაკუთრებით ძლიერია ისეთ ქვეყნებში, სადაც რელიგიური და სამართლებრივი ნორმები ერთი-მეორეშია გადაჯაჭვული და მოცემული ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაში განმსაზღვრელ გავლენას რელიგიური დოგმები თამაშობენ. პროტესტანტული და კათოლიკური მიმდინარეობა ჩრდილოეთ ირლანდაში განსხვავებულად აღიქვამს დამოუკიდებლობის საკითხს, ხოლო ისლამში რადიკალურმა,

[80] დაწვრილებით ვისაუბრებთ აშშ-ის პოლიტიკური კულტურაზე მომდევნო თავებში.
[81] Современная западная социология. М. 1990 გვ 336-337.

სექტანტურმა დაჯგუფებებმა პოლიტიკური ბრძოლის აგრესიული ფორმები ჩამოაყალიბეს; მაგრამ მარტო უარყოფით კონტექსტში რელიგიური კულტურისა და რწმენის განხილვა სრული უაზრობა იქნებოდა, ადამიანი რწმენის გარეშე ვერ შედგება, როგორც მოქალაქე, რომელიც გარკვეულ ვალდებულებებისა და ზნეობრივი ნორმების შესრულებას ისახავს მიზნად, ათეისტების თვალსაზრისიც გარკვეულ რწმენასთანაა გაიგივებული; შემთხვევითი არა, რომ ამერიკელები, სადაც სამოქალაქო კულტურა განვითარების მაღალ საფეხურზე დგას, გამოირჩევიან რელიგიური რწმენით და ამ მაჩვენებლებით, დემოკრატიებიდან მხოლოდ ირლანდიასა და პოლონეთს ჩამორჩებიან.

3. რეგიონალური სუბკულტურების არსებობა განპირობებულია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონს შორის კლიმატის, ბუნებრივი რესურსების განსხვავებულობით, რომლებიც წარმოშობენ ეკონომიკური განვითარების უთანაბრობას, რაც განმსაზღვრელ გავლენას ახდენს კულტურული განვითარების დონეზე, ღირებულებებზე, ცხოვრების წესზე; მაგალითად აგრარული რაიონების მოსახლეობა, როგორც წესი უფრო კონსერვატიულია, ვიდრე სამრეწველო რაიონების მოქალაქეები, განსხვავებულია მათი პოლიტიკური აქტივობა და არსებულ რეჟიმთან დამოკიდებულება. რეგიონებს შორის ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და ინფრასტრუქტურული განვითარების უთანასწორობა წარმოშობს ცენტრისადმი უკმაყოფილების გრძნობას რესურსების განაწილების კუთხით და საბოლოო ჯამში სეპარატისტული მოძრაობის წყარო ხდება. იუგოსლავიაში, რუანდაში სისხლიანი დაპირისპირებისას, სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რეგიონების არაპროპორციულმა განვითარებამ.
4. სოციოეკონომიკური სუბკულტურების წარმოშობა განპირობებულია საზოგადოებაში სხვადასხვა სოციალური ფენების, კლასების, პროფესიული ჯგუფების ეკონომიკური სტატუსით, ცხოვრების წესით; საშუალო და შემლებული ფენა დაინტერესებულია სისტემის სტაბილურობით, მხარს უჭერს რეჟიმს, ცდილობს მათთვის სასარგებლო საგადასახადო პოლიტიკის ფორმირებას პარტიების, ინტერესთა ჯგუფების, არასამთავრობო და სამთავრობო სექტორის გააქტიურებისა და სხვა ლეგიტიმური მექანიზმების გამოყენების გზით. მეწარმეები ცდილობენ ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოსახდენად გამოიყენონ მასმედიის საშუალებები, ლობისტები და ა.შ.

   განსხვავებული პოლიტიკური ორიენტირები გააჩნიათ შემოსავლების მკვეთრი პოლარიზაციის ფონზე განვითარებად ქვეყნებს, სადაც სუსტია

სამოქალაქო საზოგადოება და ქვეშევრდომული ორიენტაციები ჭარბობს. მაგალითად, უმუშევრების სუბკულტურა, რომელიც მკვეთრ დაპირისპირებას ბადებს პოლიტიკური გადაწყვეტილების რეალიზაციის გზაზე; ისტორიულ ჭრილში მეცნიერები გამოყოფენ ფეოდალურ, მონათმფლობელურ სუბკულტურებს.

5. ახალგაზრდობის პოლიტიკური სუბკულტურა. იგი გამოხატავს ახალგაზრდობის პოლიტიკურ ფასეულობებს, იდეოლოგიურ ღირებულებებს, პოლიტიკურ იდეალებს; გამოირჩევიან პოლიტიკური მოვლენების ემოციური აღქმით, გაურკვეველი პოლიტიკური პოზიციებით, რადიკალური ქმედებებით; ახალგაზრდობის სუბკულტურის წიაღში, ხშირად, საზოგადოების რევოლუციური რეფორმირების იდეები წარმოიშობა; სტუდენტი ახალგაზრდობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში და მმართველი პოლიტიკური ელიტა ცდილობს მაქსიმალურად გაითვალისწინოს მათი მოთხოვნები.

   გლობალიზაციის ეპოქაში განსაკუთრებით იზრდება უნივერსალური კულტურული ღირებულებების დამკვიდრების პროცესის ინტენსივობა ახალგაზრდობის ცნობიერებაში, ამიტომ, სხვადასხვა ქვეყნის ახლგაზრდობის სუბკულტურა, მოსახლეობის სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, ახლოსაა ერთმანეთთან; ამაზე მეტყველებს ჩვენს მიერ ივანე ჯავახიშვილის სოციალურ-პოლიტიკური მიმართულების სტუდენტებთან ერთად, საქართვლოს ექვს უნივერსიტეტში, ჩატარებული კვლევა, ერთი და იგივე ანკეტის საფუძველზე, რომლის მეშვეობითაც გვინდოდა გაგვერკვია, ა) პოლიტიკური კულტურის დონე, ბ) პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციების ცვალებადობა დინამიკაში გ) იდეოლოგიური და ღირებულეთი თავისებურებები. გამოკითხვის შედეგებმა გვიჩვენა, რომ სტუდენტები იხრებიან ხელისუფლებაზე ზეწოლის ლეგიტიმური მექანიზმების გამოყენების აუცილებლობისკენ, რაც ძალადობის სინდრომის ნაწილობრივ დაძლევაზე მიუთითებს; მხარს უჭერენ, სამოქმედო პროგრამაზე ორიენტირებული კონსტრუქციული ოპოზიციურ პარტიებს, მაგრამ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გაჩნდა ახალი ფასეულობები, ეკოლოგიის, გენდერული ბალანსის, რელიგიური ჯგუფების და სხვა უმცირესობების დაცვის აუცილებლობის განცდის კუთხით.

საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, რელიგიური, რეგიონალური, ახალგაზრდული, პროფესიული და სხვა პოლიტიკური სუბკულტურების არსებობა დემოკრატიის განვითარების ბუნებრივი თანმხლები პროცესია; პლურალიზმის,

ტოლერანტიზმის, სამართლებრივი, სოციალური სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირების პირობებში, ისინი, საერთო ეროვნული პოლიტიკური კულტურის სასურველ მოზაიკას ქმნიან, მაგრამ საკმარისია დაირღვეს წონასწორობა, მაშინ, სუბკულტურები საფრთხის შემცველნი ხდებიან ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და ინსტიტუტების სტაბილურობის თვალსაზრისით.

ბელგიის სამოქალაქო კულტურა, როგორც სუბკულტურების მშვიდობიანი თანაარსებობის მაგალითი.

სახელწოდება-ბელგიის სამეფო, მმართველობის ფორმა-საპარლამენტო კონსტიტუციური მონარქია, ადმინისტრაციულ ტერიტორიული მოწყობის ფორმა-ფედერაციული, მოსახლეობა-ათი მილიონ ნახევარი, საიდანაც 60% ფლამანდიელები, 40%-მდე ვალონებია, დამოუკიდებლობა-1831 წელი ჰოლანდიისაგან, ევროკავშირის და ნატოს წევრი ქვეყანა, მშპ ერთ სულ მოსახლეზე 37 000 დოლარი, ოფიციალური ენები-ნიდერლანდური ფლამანდიასა და ბრიუსელში, ფრანგული-ვალონიაში (გარდა გერმანულ ენოვან თემში, რომლის რაოდენობა 70000 ათასია) ბრიუსელში. გერმანული მხოლოდ გერმანულ ენოვან თემებში.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე დასახლებული იყო კელტური წარმოშობის ბელგის ტომებისაგან, რომლებიც დაიპყრო იულიუს კეისარმა და მათი უმრავლესობა გაჟლიტა და მონებად აქცია, მოგვიანებით, დაპყრობილი იქნა ფრანკთა გერმანული ტომების მიერ და შექმნეს თავიანთი სამეფო; შუა საუკუნეებში, ბურგუნდების საჰერცოგომ წმინდა რომის იმპერიაში შეიყვანა, შემდეგ ჰოლანდიელებმა, ფრანგებმა და ბოლოს 1831 წლის რევოლუციის შემდეგ მიაღწიეს დამოუკიდებლობას ჰოლანდიისაგან.

ბელგია არის ორმაგი ფედერალიზმის სახელმწიფო, იყოფა სამ რეგიონად და სამ ენობრივ ერთობად: რეგიონის პასუხისმგებლობის ქვეშაა ადგილობრივი ეკონომიკის, ეკოლოგიის, გზების გაყვანის და სხვა საკითხები; ენობრივი ერთობების კომპეტენციაშია კულტურა, განათლება, სპორტი. თვითოეულ რეგიონს ყავს მთავრობა, პარლამენტი, მაგრამ ფლამანდიის ხუთი რეგიონი გაერთიანდა, ხოლო სამხრეთის ფრანგულენოვან ვალონებს კვლავ დარჩად ხუთი რეგიონში შესაბამისი პარლამენტები და მთავრობები. ცენტრალური მთავრობის მთავარი ამოცანაა 6 მთავრობისა და პარლამენტების მუშაობის კორდინაცია, საერთო თავდაცვაზე, ჯანმრთელობის დაცვის სისტემაზე, სახელმწიფო ეკონომიკაზე, მონეტარულ პოლიტიკაზე, პენსიებზე და სხვა საერთო სახელმწიფოებრივ პრობლემებზე ზრუნვა.

ბელგიაში ფრანგულ-ფლამანდიულ კონფლიქტში მოიაზრება განსხვავებული პოლიტიკური, ეკონომიკური, ენობრივი და ეთნიკური, რელიგიური ხასიათის თავისებურებები, რომელიც აძლიერებს ამ ორ გაერთიანებას შორის პოლარიზაციის პროცესს. მეორე მსოფლიო ომამდე, დაწინაურებული იყო ფრანგულენოვანი ვალონები[82], რომელთა ტერიტორიაზე ქვანახშირის საბადოები და განვითარებული სამრეწველო რაიონები იყო, მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩრდილოეთის ფლამანდიელებით დასახლებულმა რეგიონმა შეძლო ქიმიური მრეწველობის, ელექტრო ტექნიკური მოწყობილობების განვითარების წყალობით თავი დაეღწია „მეორე ხარისხოვანი მოქალაქეობის“ სტატუსისაგან; ჩრდილოეთში ისტორიულად ჩამოყალიბდა პროტესტანტულ-კალვინისტური ანკლავი, სამხრეთით უმრავლესობაში მოექცნენ კათოლიკები, ეს გარემოება განაპირობებდა ორ გეოგრაფიულ რეგიონს შორის განსხვავებულ ენაზე კულტურულ-პოლიტიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას; უფრო მორწმუნე ჩრდილოეთის ფლამანდიული მოსახლეობა აქცენტს კონსერვატიულ ტრადიციულ ღირებულებებზე აკეთებს, ხოლო სამხრეთის ფრანგულენოვანი მოსახლეობა საფრანგეთის რევოლუციის გავლენით ლიბერალური ფასეულობების მხარდამჭერია და ათეიზმის არგუმენტებიც არაა მათთვის უცხო და საპარლამენტო დემოკრატიის იდეებს იზიარებენ; მიუხედავათ იმისა, რომ დეკრეტი ნიდერლანდური ენისა და ფრანგულის გათანაბრების მიზნით გაცილებით ადრე მიიღეს (1830 წელი), ოფიციალური სახელმწიფო ენის სტატუსი 1963 წელს მიიღო და 1967 წელს ითარგმნა ბელგიის კონსტიტუცია ნიდერლანდურ ენაზე, ხოლო ფაქტობრივი სამართლებრივი თანასწორობა 1980 წელს იქნა მიღწეული ხანგრძლივი და მეთოდური ბრძოლის შედეგად, ხოლო 1993 წელს განხორციელდა ქვეყნის ფედერალიზაცია.

ენობრივ-ლინგვისტური გაორება მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა და ახდენს განათლების, მასმედიის და კულტურის განვითარებაზე: მხოლოდ 1958 წელს მოხერხდა გაძლიერებული ფლამანდიელების აქტიურობით განათლების რეფორმის გატარება, რომელმაც უზრუნველყო სახელმწიფოს მიერ ორი სასკოლო სისტემის დაფინანსება და არსებობა: კერძო კათოლიკურისა და სეკულარული საჯაროსი; ბელგიაში 4 ტრადიციული უნივერსიტეტი ფუნქციონირებს: გენტის, ლუტიჰის, ბრიუსელის უნივერსიტეტები და ლოივენის უმაღლესი სასწავლებლები,

[82] ვალონური ენა რომანულ ენათა ჯგუფს განეკუთვნება გავრცელებულია სხვადასხვა რეგიონში, მასზე 6 ათასი ვალონელი საუბრობს და მინიჭებული აქვს ადგილობრივი ენის სტატუსი; ვალონურ ენაზე საუბრობენ აშშ-ში, კინკონსტის შტატში.

ფაქტობრივად მხოლოდ სამეფო სამხედრო სასწავლებელში მიმდინარეობს ორივე ენაზე სწავლება. [83]

ბელგიაში პოლიტიკური პარტიების ფორმირების პროცესზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს ენობრივ-კულტურული და რელიგიური მომენტები: ქვეყანაში გავლენის მიხედვით პირველ ადგილზეა ქრისტიანულ-სოციალური სახალხო პარტია, რომელიც მემარჯვენე-კონსერვატიული მიმართულების მხარდამჭერის, კათოლიკური ღირებულებების მემკვიდრეა, გავლენას ინარჩუნებს ჩრდილოეთში ფალამნდიაში, წარმოდგენილია ევროპარლამენტში და მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში არ კარგავდა წამყვან პოზიციებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში; ბელგიის სოციალისტური პარტია, რომელიც შრომის პარტიის მემკვიდრეა, პოპულარობით სარგებლობს ფრანგულენოვან მოსახლეობაში, ყავს წარმომადგენლობა ევროპარლამენტში, ხოლო მისი ანტიკლერიკალური იდეოლოგია განაპირობებს დაბალ რეიტინგს ჩრდილოეთის რეგიონებში; ბელგიის თავისუფლებისა და პროგრესის პარტია, ლიბერალური ღირებულებების იდეოლოგიას ემყარება; ბოლო წლების არჩევნებში წარმატებას მიაღწია ნაციონალისტურმა პარტიამ ახალი ფლამანდიის ალიანსმა და ვალონიის სოციალისტურმა პარტიამ; ბელგიაში ფუნქციონირებს ფალმანდიული სახალხო კავშირი, ვალონიის გამაერთიანებელი მოძრაობა, ფრანკოფონთა დემოკრატიული ფრონტი და სხვა[84] რეგიონალურ ენობრივი პარტიები და ორგანიზაციები. ფაქტობრივად, სამთავრობო კრიზისის მიზეზი ბელგიაში ორად გაყოფილი პოლიტიკური კულტურა იყო, რომელიც ორი დამოუკიდებელი კულტურული სივრცეს მოიცავს, რადგანაც ბელგიურ კულტურას არ აქვს საერთო მოქმედების ველი, არ არსებობს საერთო სახელმწიფო ტელევიზია, გაზეთები და მასმედიის საშუალებები, ორ ენოვანი უნივერსიტეტები, არსებობს ენობრივ და კულტურულ ნიადაგზე ფლამანდიაში, ვურენში, მოსაზღვრე რაიონში, მსოფლიოში ყველაზე დაძაბული ენობრივი დაპირისპირება, სადაც მუშაობს „ენობრივი პოლიცია.“

მიუხედავათ ზემოთთქმულისა, ბელგია წარმატებული დემოკრატიის მაგალითია, სადაც ეკონომიკური აყვავების ფონზე ვითარდება სამოქალაქო საზოგადოება და კულტურა, რომლის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს თითქმის ერთი-მეორისაგან განცალკავებული ნიდერლანდური და ფრანგულ ენოვანი კულტურისა და ტრადიციების მატარებელი მოქალაქეების ერთმანეთთისგან „იზოლირებული

---

[83] Peter Reichel (Hg) Politische Kultur in westeuropa. Frankfurt-New York: campus Verlag 1984 გვ 34-52.
[84] Peter Reichel (Hg) Politische Kultur in westeuropa. Frankfurt-New York: campus Verlag 1984 გვ 44-50.

სუბკულტურები," მაინც შენარჩუნებულია ქვეყნის მთლიანობა და ინტიტუციური წესრიგი. ამის ძირითადი მიზეზი არის საყოველთაო თანხმობა, კონსენსუსი, რომ სადაო საკითხები გადაწყდეს დემოკრატიის საბაზისო ღირებულებების დაცვისა და კონსტიტუციის ფარგლებში, ყველა სამართლებრივი ნორმების დაცვით, მაგრამ თუ ოდესმე ფედერაციული ბელგია გაიყოფა ორ სახელმწიფოდ, ეს მოხდება ცივილიზებული ფორმით, რეფერენდუმის ან სხვა სამართლებრივი გზით, ყოველგვარი ექსცესებისა და სისხლისღვრის გარეშე.

§ 9. მსოფლიო პოლიტიკური კულტურის იდეალური მოდელი თუ გლობალური ელიტური კულტურის ტიპი?

ტექნიკურმა და კულტურულმა პროგრესმა, კომუნიკაციის მაღალი ტექნოლოგიების დანერგავამ გაზარდა გლობალიზაციის პროცესის არეალი და კიდევ უფრო ინტენსიური გახადა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის, სპორტის, განათლების, ჯანდაცვის, სამხედრო და სხვა სფეროებში. საყოველთაო შეფასების ობიექტი ხდება დედამიწის ნებისმიერ კუთხეში ჩადენილი ტერორისტული აქტი ან მეცნიერების და სპორტის სფეროში მიღწეული წარმატება. გაიაზარდა ერთიანი მსოფლიოს აღქმის განცდა, წარმოიშვა გლობალური პრობლემები, რომელთა გადაჭრა სახელმწიფოების ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს. გამოიკვეთა საერთო პოლიტიკური, სამართლებრივი, კულტურული და ეკონომიკური ღირებულებები, რომელმაც „რეგიონალური გლობალიზაცია" გააძლიერა და საფუძველი დაუდო ევროკავშირს-ზესახელმწიფობრივ გაერთიანებას. ყოველივე, მეცნიერთა ნაწილს აძლევს იმის საფუძველს ისაუბრონ, მსოფლიო პოლიტიკური კულტურის თეორიულ მოდელზე, რომლის კონტურებიც, მათი აზრით უკვე ჩანს. მყარი არგუმენტები გააჩნიათ სკეპტიკოსებსაც და ისინი საუბრობენ კულტურათა შორის ფუნდამენტალურ სხვაობებზე და გამორიცხავენ გლობალურ დაახლოებას, მნიშვნელოვანი გავლენის მქონე საერთო ღირებულებების ფორმირებას ან ჰანტინგტონის მსგავსად ვარაუდობენ „ცივილიზაციათა შეჯახებას."

მსოფლიო პოლიტიკური კულტურის იდეალური მოდელის მომხრეები საკაცობრიო კულტურაში გამოყოფენ დემოკრატიის ძირითადი ფასეულობების გლობალურ ხასიათს:

1. საერთაშორისო პოლიტიკური ენა. გლობალიზაციის და ტექნიკური რევოლუციის პროცესში გაძლიერდა ეკონომიკური და კულტურული კავშირები, რამაც კიდევ უფრო „ერთგვაროვანი" გახადა ეს სფერო. ყალიბდება,

ვითარდება და ახალი საერთო ტერმინებით მდიდრდება დემოკრატიული ღირებულებების აღმნიშვნელი ცნებები: გლობალიზაცია, ინტეგრაცია, კონსტიტუცია, დემოკრატია, ტრანსფორმაცია, ეკოლოგია, რეფერენდუმი, პარიტეტი, პარლამენტი, პლურალიზმი, ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი და ა.შ.

2. საერთაშორისო სამართალი. დღეს ეროვნული კონსტიტუციებში დაფიქსირებული სამართლებრივი ნორმები, მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში, შესაბამისობაშია სართაშორისო სამართლით აღიარებულ ადამიანის უფლებების, ხელისუფლების დანაწილების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის, სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების ზოგად პრინციპებთან, საკითხის მეორე მხარეა, რომ ბევრ ქვეყანაში იგი დეკლალირების ფარგლებს არ ცილდება და თვისებრივი სხვაობაა ქვეყანაში ფუნქციონირებად რეჟიმსა და კონსტიტუციურ ნორმებს შორის. ასევე, ფაქტია, რომ საერთაშორისო სამართლით აღიარებული წესების-ერთმანეთის შინაურ საქმეებში ჩაურევლობის, უმცირესობების ან ადამიანის უფლებების საყოველთაოდ აღიარებული ნორმების- უხეში დარღვევის ფაქტს, მყისიერი რეზონანსი მოყვება გლობალური მასშტაბით და ხალხების უმრავლესობა გმობს ასეთ ქმედებას და ამის დაფიქსირებას სავალდებულო ქცევების კონტექსტში მოიაზრებს.
3. საერთაშორისო პოლიტიკური სიმბოლიკა, ერთიანი პოლიტიკური კულტურის მნიშვნელოვან ემოციურ-ფსიქოლოგიურ მახასიათებელს წარმოადგენს. საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში არის ყველასათვის გასაგები ემბლემები, ფერები, დროშები, და ა.შ. მათი რაოდენობა იზრდება და თვითოეული სიმბოლოს ცოდნა არა მარტო პოლიტიკოსების, არამედ ჩვეულებრივი მოქალაქეების კულტურული ურთიერთობების აუცილებელი ატრიბუტი ხდება.
4. საერთაშორისო ორგანიზაციები. არასამთავრობათაშორისო და სამთავრობათა შორისო ორგანიზაციების რაოდენობა დაუზუსტებელი ინფორმაციის თანახმად 70000 აღემატება. მათი არსებობა და ფუნქციონირება ხელს უწყობს საერთო საკაცობრიო პოლიტიკური და კულტურული ღირებულებების დამკვიდრებას. გლობალიზაციის ეპოქაში წარმოუდგენელია, დინამიურად განვითარებული მსოფლიო, სახელმწიფოებს, საზოგადოებებს, ინტერესთა ჯგუფებს, ბიზნესსა და ეკონომიკურ კორპორაციებს შორის ურთიერთობების კორდინაციის გარეშე. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, გაერომ, ნატომ, ეუთომ, იუნესკომ, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციამ,

ევროკავშირმა, არაბული სახელმწიფოების ლიგამ, მსოფლიო ბანკმა და სხვა მნიშვნელოვანმა აქტორებმა საერთაშორისო ასპარეზზე შეზღუდა სახელმწიფოს სუვერენიტეტი და პოლიტიკური თამაშის ახალ წესებს დაუდო სათავე. საერთაშორისო სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა დღითი-დღე იზრდება, ათეულობით ათასს აღწევს, მათი ინტერესები ყოველთვის შესაბამისობაში არ მოდის ეროვნული სახელწიფოების მიზნებთან და უფრო მეტად იცავენ აშშ-ის და განვითარებული მსოფლიოს ეკონომიკურ მისწრაფებებს, ამიტომ, იქმნება ალტერნატიული კავშირები, საფინანსო და კულტურული დანიშნულების ორგანიზაციები, მაგრამ ერთი რამ რეალობაა, საერთაშორისო ორგანიზაციები და საერთაშორისო ბიუროკრატია ამკვიდრებს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამართლებრივი თამაშის საერთო წესებს, რომელთა გვერდის ავლა დღეს მსოფლიო პოლიტიკის არც-ერთ აქტორს არ ძალუძს: ამის უარყოფას თვით ყველაზე რადიკალურად განწყობილ ანტიგლობალისტებიც ვერ ახდენენ.

5. იდეოლოგიური ფასეულობების ერთმანეთთან დაახლოება ნეოლიბერალურ, ნეიკონსერვატიულ, სოციალ-დემოკრატიულ მიმდინარეობებში, პოლიტიკური და რელიგიური პლურალიზმის და ტოლერანტობის ფართო გავრცელება და ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების ყოვლისმომცველი ხასიათი მსოფლიო პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბების განმსაზღვრელ ფაქტორად მოიაზრება მკვლევარების მიერ.
6. პოლიტიკური, კულტურული, ეთნიკური და ეკონომიკური კონფლიქტების სამართლებრივი გზებით მოგვარების კულტურა. კონფლიქტების ინტერნაციონალიზაციის და კონფლიქტურ მხარეებს შორის კონსენსუსის მიღწევის ხერხებისა და მეთოდების ფართო გავრცელება. ლოკალურ სივრცეში წარმოშობილი მოვლენის გლობალური რეზონანსი პოლიტიკური კულტურის ერთგვაროვნების ტენდენციას აძლიერებს და ყველასათვის მისაღები კულტურის ფორმირებას უწყობს ხელს.

მეცნიერები გამოყოფენ გლობალიზაციისა და კულტურული ინტეგრაციის ხელისშემშლელ ტენდენციებს მსოფლიო პოლიტიკაში:

ა). გლობალიზაციის პროცესის აბსოლუტიზაცია, რომელიც ამერიკანიზაციასთან, დასავლური ღირებულებების მექანიკურ გადმოღებასა და მიბაძვაში გამოიხატება, საბოლოო ჯამში, სამომხმარებლო კულტურისა და ყოფის ელემენტებს ამკვიდრებს განვითარებად ქვეყნებში.

ბ). მსოფლიო პოლიტიკური ცხოვრების შემადგენელი ელემენტი გახდა პოლიტიკური აბსენტიზმი, რომელიც აპოლიტიკურობასა და პოლიტიკურ ნიჰილიზმში პოულობს გამოხატულებას. პოლიტიკისადმი ინტერესი კლებულობს განვითარებულ დემოკრატიებში. ეს კი არასასურველი ტენდენციაა პოლიტიკური კულტურის განვითარების გზაზე.

გ). გლობალიზაციის, სახელმწიფოების დაახლოება-ინტეგრაციის პარალელურად იზრდება დეზინტეგრაციის პროცესები, ახალი სახელმწიფოებრივი ერთეულების გაჩენა მსოფლიო რუკაზე, ესეც, რელობაა და ბუნებრივ ისტორიული პროცესია, რომელიც დაკავშირებულია იდენტობის, განსაკუთრებულობის, საერთო კულტურისა და ფსიქოლოგიის აღქმის ემოციურ და ირაციონალურ ორიენტაციებთან. მაგრამ, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური მძიმე პრობლემების ფონზე, ყალიბდება, იმედგაცრუებისა და უპერსპექტივობის განცდა, რაც ხელს უწყობს ქარიზმული ლიდერების და ეთნოკრატიული ელიტების გააქტიურებას, რომელთა პოლიტიკური და კულტურული ორიენტირები ნაციონალიზმის პოსტულატები, ეროვნული თვითიზოლაციისა და ავტორიტარული რეჟიმის საფუძველი ხდება. მათი უმრავლესობა არშემდგარი სახელმწიფოების კატეგორიაში მოიაზრება, ჩამორჩენის მიზეზებს ერთდროულად ქვეყნის შიგნით რელიგიურ- ეთნიკურ უმცირესობებში ეძებენ, ხოლო საერთაშორისო მაშტაბით „უპირისპირდებიან“ განვითარებულ სალმწიფოებს, მათ „მტრის ხატის“ ჩარჩოებში აქცევენ და სამართლიანობის აღდგენის გზაზე საერთაშორისო ტერორიზმის გზას არჩევენ.

დ). სამუელ ჰანტინგტონი, ჰედლი ბული და სხვა ავტორები, ხალხებსა და ცივილიზაციებს შორის ურთიერთობებს არ განიხილავენ დაახლოება-ინტეგრაციისა და საერთო კულტურული ფასეულობების ჩამოყალიბების კონტექსტში: ს. ჰანტინგტონი ნაშრომში „გლობალური პრობლემები „ცივი ომის“ შემდეგ“, მიუთითებს, რომ უნივერსალური ცივილიზაცია გულისხმობს კაცობრიობის გაერთიანებას და ყველა ასაკის ადამიანების მიერ მთელ მსოფლიოში საერთო ღირებულებების, რწმენის, წესრიგის, ტრადიციების და ინსტიტუტების აღიარებას. მრავალ საზოგადოებებს აქვთ „საერთო მორალის“ გრძნობა, სიკეთისა და ბოროტების იდენტური დეფინიციები; ასევე, დოქტრინები, ღირებულებები, ნორმები, რომლებსაც ბევრი დასავლეთში იზიარებს და მცირე ნაწილი სხვა ცივიზაციებშიც. მაგალითად, განვიხილოდ დავოსის მსოფლიო ფორუმი, რომელიც ინდივილუალიზმს, ბაზარს, თავისუფალ კონკურენციას, პოლიტიკური დემოკრატიის დასავლეთში

გავრცელებულ ღირებულებებს ეფუძნება. დავოსის ფორუმის მონაწილეები აკონტროლებენ მსოფლიო ეკონომიკას, პოლიტიკას, სამხედრო სფეროს და განმსაზღვრელ გავლენას ახდენენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, მაგრამ ისინი წარმოადგენენ 50 მილიონი ადამიანის ინტერესებს, მსოფლიოს მოსახლეობის 1% და ეს, ჰედლი ბულის აზრით, მიუთითებს საერთო ინტელექტუალური კულტურის არსებობაზე მხოლოდ ელიტების დონეზე; მათი ფესვები, საზოგადოებაში ღრმად არაა გამჯდარი და იწვევს დიდ ეჭვს, თუნდაც დიპლომატიურ დონეზე, მოიცავს საერთო მორალის ან საერთო წესების კრებულს, საერთო ინტელექტუალური კულტურისაგან განსხვავებით.

ს. ჰანტინგტონის აზრით, დასავლური ღირებულებები ძირითადათ ვრცელდება ტექნიკის სფეროში და ინგლისური ენის მსოფლიო ენად გადაქცევა გადაჭარბებული, რადგანაც იგი ხალხების 92%-თვის არაა მშობლიური ენა. თვით ინდოეთში, მიუხედავათ ნერუს მცდელობისა, ინგლისურს ფლობს მოსახლეობის 2-4% და იგი ელიტის პრივილეგიად რჩება. აშშ-ი, ინგლისში, ავსტრალიაში და სხვა ქვეყნებში ინგლისურის თავისებური ვერსიებია, იგი ურთიერთობის საშუალებაა და არა იდენტურობის და საერთო კულტურის წარმოშობის[85]და არ ნიშნავს ანგლიზაციას და ვესტერნიზაციას. მკვლევარის აზრით უფრო მეტი ალბათობით გაჩნდება საერთო რელიგია, ვიდრე ენა. იცვლება, რელიგიასთან დამოკიდებულებაც, მაგალითად, 1900 წელს მოსახლეობის 0,2% იყო ათეისტი, ხოლო 1980 წელს მათმა რაოდენობამ 21%-ს მიაღწია. უნივერსალიზმი კულტურაში,-დაასკვნის ს. ჰანტინგტონი,- არის იდეოლოგია, რომელიც დასავლეთმა შემოიღო დაპირისპირებისთვის და ნაკლებად მხარდაჭერილია დანარჩენ მსოფლიოში. მხოლოდ ერთიანი მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბება უზრუნველყოფს საერთო ღირებულებებისა და ცივილიზაციის არსებობას, რომელიც ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე იქნება დაფუძნებული.[86]

მსოფლიო მთავრობის იდეა მხარდაჭერილია მრავალი ადამიანის მიერ, რომელთა შორის არიან ცნობილი პოლიტიკოსები, ინტელექტუალები, მასონი მეცნიერები, იდეალისტები და რეალისტები. მსოფლიო მთავრობის იდეის

---

[85] კულტურის, განათლების, ლიტერატურის სფეროში შედევრები მხოლოდ მშობლიურ ენაზე იქმნება იშვიათი გამონაკლისების გარდა. ყველა დროის ყველაზე საუკეთესო სპექტაკლები „კავკასიური ცარცის წრე“ და „რიჩარდ მესამე“, რუსთაველის თეატრმა დადგა ინგლისში, რამაზ ჩხიკვაძე და სხვა სახელოვანი მსახიობები რობერტ სტურუას გენიალურ ჩანაფიქრს ქართულ ენაზე ასრულებდნენ, მაგრამ იგი გასაგები იყო ყველა ენაზე მოსაუბრე ხალხისთვის, ისევე, როგორც ქართული ხალხური სიმღერები.

ირგვლივ მონდიალისტურ პროექტებში გაერთიანებულნი არიან ატლანტიზმის თეორიის წამყვანი წარმომადგენლები ზბიგნევ ბჟეჟინსკი, ჰენრი კისინჯერი, ხოლო სამხრივი კომისიის ანუ ტრილატერალის სათავეში დგას უმსხვილესი ბანკირი დევიდ როკფელერი. ყველა მონდიალისტური ორგანიზაციის მიზანი ერთიანი მსოფლიო სისტემის შექმნაა, რომელიც დაფუძნებული იქნება დემოკრატიულ ფასეულობებზე. სწორედ ამ მიზნის განსახორციელებლად მიმდინარეობს ძლიერი ანალიტიკური ცენტრების ჩამოყალიბება, რომელთ შემადგენლობაში გაერთიანებულია საზოგადოების სხვადასხვა პროფესიის გამორჩეული ადამიანები, მათი აზრით, მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი წესრიგის დამყარება საერთაშორისო სისტემაში, კონფლიქტებისა და მსოფლიო ომის თავიდან აცილება.[87]

ამრიგად, ზემოთ ჩამოყალიბებული არგუმენტები მსოფლიო პოლიტიკური კულტურის ირგვლივ იძლევა შემდგომი განსჯისათვის მრავალ მინიშნებებს და ბუნებრივია აღძრავს უფრო ღრმა გაანალიზების სურვილს, როგორც სტუდენტებში, ისე სამეცნიერო წრეებში.

თავი მესამე. პოლიტიკური კულტურის ეროვნული თავისებურებები

პოლიტიკური კულტურის ღირებულებების: თავისუფლება, თანასწორობა, კონსენსუსი დემოკრატიის საბაზისო ღირებულებების ირგვლივ, კერძო საკუთრებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, ხელისუფლების დანაწილების, კანონის უზენაესობის, სტაბილურობის, ეკონომიკურ კეთილდღეობის და დემოკრატიის სხვა ფუძემდებლური პრინციპების დამკვიდრება, განვითარებაზე, განმსაზღვრელ გავლენას ახდენს ე. წ. „გენეტიკური კოდი“, „ტრადიციები“, ხალხის მენტალიტეტი, რომელიც სუბიექტის, სოციალური ჯგუფის, საზოგადოების, ერის შესაბამის ქცევას აძლევს ლეგიტიმაციას; ყოველივე გამოხატულია სახელმწიფო ატრიბუტიკაში, სიმბოლოებში, ხალხის ხასიათში, მაგრამ ამავე დროს, არასწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ხალხის სულიერი კულტურა იზოლირებულად ვითარდება: კაცობრიობის ისტორია კულტურული ურთიერთგამდიდრების პროცესია იგი განსაკუთრებით დაჩქარდა გლობალიზაციის ეპოქაში; ამიტომაა, რომ მოცემული საზოგადოების სულიერ კულტურაში სხვადასხვა პროპორციით ერთმანეთშია შერწყმული საერთო საკაცობრიო და ლოკალური მნიშვნელობის კულტურული ღირებულებები; არც

[87] ნ. ჩიტაძე. გეოპოლიტიკა. თბ; 2011 გვ 179-180.

ერთი ქვეყნის პოლიტიკური კულტურა არ ემყარება მხოლოდ შინაგანი განვითარების ლოგიკას და არაა მოწყვეტილი გარე სამყაროს, თუმცა ისტორიაში არსებობდნენ შედარებით „თვითმყოფადი ცივილიზაციები“.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ძალიან რთულია ეროვნული სპეციფიკის გამოყოფა პოლიტიკურ კულტურაში; გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხალხების თავისებურებების აბსოლუტიზაციამ, შეიძლება საბოლოო ჯამში ექსტრემიზმთან, ეთნიკური უპირატესობების აღიარებასთან მიგვიყვანოს, მაგრამ ეროვნული განსხვავებულობა, რომ ეკონომიკური, პოლიტიკური, დემოკრატიული განვითარების თავისებურებებში პოულობს გამოხატულებას ესეც უტყუარი ფაქტია და ამის ყველაზე ნათელი დადასტურება არის ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების სახელმწიფოებრივი განვითარების ისტორია.

განვიხილოთ კონკრეტული ქვეყნების მაგალითზე პოლიტიკური კულტურების ეროვნული თავისებურებები.

აშშ-ის პოლიტიკური კულტურის სტაბილურობის გარანტია პირველ რიგში მის კონსტიტუციაშია, რომელმაც ჩამოაყალიბა მსოფლიოში ყველაზე სტაბილური პოლიტიკური სისტემა და საფუძველი დაუდო არნახულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ განვითარებას და ეს ქვეყანა ზესახელმწიფოდ აქცია. ამერიკის პოლიტიკური კულტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბრიტანეთის პარლამენტარიზმის ისტორიულმა გამოცდილებამ; კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის, ხელისუფლების დანაწილების იდეები, კარგად იყო ცნობილი ემიგრანტი მოსახლეობისთვის, მაგრამ ამერიკულ სინამდვილეში დასახელებულმა თეორიულმა პრინციპებმა სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე შემდგომი განვითარება და განახლება განიცადა; ხელისუფლების შეკავება-შეწონასწორება, ვეტოსა და იმპიჩმენტის ინსტიტუტის დამკვიდრება ამერიკული იდეის ხოცშესხმა იყო; 225 წლის განმავლობაში უცვლელი კონსტიტუცია ამერიკელების გარდა არავის გააჩნია, ამის მიზეზი უპირველეს ყოვლისა ისაა, რომ იგი ამერიკელი ხალხის პოლიტიკური კულტურის ბუნებრივი განვითარების ლოგიკური შედეგია: კონსტიტუციაში მოკლედ, მოქნილად არის ფორმულირებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, სახელისუფლებო შტოების, ფედერალური და ადგილობრივი ხელისუფლებების უფლებამოსილებანი, რაც საშუალებას იძლევა სხვადასხვა ისტორიული ეპოქის შესაბამისად მოხდეს კონსტიტუციური ნორმების აღქმა; ასევე, აშშ-ს პოლიტიკურ კულტურაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასამართლო სისტემა, რომელიც ინგლისის

პრეცედენტული სამართლის საფუძველზე განვითარდა და კანონმდებლობაში წარმოშვა მრავალი ახალი ფორმა, რომელიც არ არის კონსტიტუციის ნაწილი, მაგრამ აქვს საკონსტიტუციო კანონების ძალა; სასამართლოს დამოუკიდებლობამ აშშ-ი მნიშვნელოვნად განაპირობა პლურალისტული დემოკრატიის და სამართლებრივი კულტურის განვითარება.

ამერიკელები დამსახურებულად ამაყობენ თავისი კონსტიტუციით, პოლიტიკური სისტემით, „პატიოსანი პოლიტიკური თამაშის“ წესებით: მართლაც, ამერიკა უნიკალური ქვეყანაა თავისებური განვითარების გზით, რომელმაც ყველაზე კარგად უზრუნველყო ადამიანის შესაძლებლობების რეალიზაცია; „ამერიკული ღირებულებები, დემოკრატია, ადამიანის უფლებები, თავისუფლება არის მსოფლიოში საუკეთესო და მას გააჩნია უპირატესობები სხვა ქვეყნებთან შედარებით, აქვს უნივერსალური ხასიათი და იგი სხვა ხალხებმაც (თუნდაც იძულებით) უნდა გადაიღოს“-ასეთი განწყობა ამერიკული საზოგადოებისა და ხელისუფლების პოლიტიკური კულტურის ორგანული ნაწილია.

პოლიტიკური სისტემისა კონსტიტუციური ნორმებისადმი დამოკიდებულება თავისებურ ხასიათს ატარებს ბრიტანეთში, სადაც შუა საუკუნეებიდან მოყოლებული არსებობს საპარლამენტო დემოკრატია, ხოლო კონსტიტუციური ნორმები ინგლისელების თავში და ცნობიერებაშია დამკვიდრებული ჩვეულებითი-სამართლებრივი პრეცედენტებით ანუ „საპარლამენტო შეთანხმებების“ფორმით. ბრიტანელები 1215 წლის ე. წ. „თავისუფლების დიდი ქარტიის“ მიღებით ყველაზე ადრე მივიდნენ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, კერძო საკუთრების ხეშეუხებლობის აღიარებამდე და 1688 წლის „დიდი რევოლუციის“ შემდეგ სახელმწიფო ინსტიტუტები უკვე ლეგიტიმურად განიხილება და მოქალაქეები რეჟიმის დემოკრატიული საფუძვლების გაფართოების მოთხოვნებით ამკვიდრებენ საყოველთაო საარჩევნო უფლებას და მათ პოლიტიკურ კულტურაში საბოლოოდ დამკვიდრდა აზრი, რომ რადიკალური ცვლილებები, რევოლუციები სერიოზულ საშიშროებას უქმნის საზოგადოებას; უფლებათა დეკლარაციის, ტახტის მემკვიდრეობის აქტის (1701 წელი) მიღებით, ბრიტანეთში შეიზღუდა აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებები, დამკვიდრდა პარლამენტის უზენაესობის და სუვერენიტეტის პრინციპი. ამდენად, ბრიტანელებმა დემოკრატიის ძირითადი პრინციპი „კანონით შეზღუდული ხელისულება“ პირველებმა გაითავისეს. ისინი ევოლუციურ განვითარებას, მემკვიდრეობითობის შენარჩუნებას ანიჭებენ უპირატესობას, როგორც მმართველობის ფორმასთან მიმართებაში, ისე საზოგადოებრივი პროგრესის გზაზე გამორჩეული კონსერვატორები არიან.

ბრიტანეთი კლასიკური კონსტიტუციური მონარქიის ქვეყანაა, სადაც შეხამებულია მემკვიდრეობითი მონარქია და საპარლამენტო ორპარტიული დემოკრატია; ორპარტიული სისტემა ბრიტანეთში 18-ე საუკუნიდან ჩნდება და შეჯიბრი კონსერვატორებსა და ლეიბორისტებს შორის ბრიტანეთის პოლიტიკური სისტემისა და სამოქალაქო კულტურის ნაწილს წარმოადგენს. სისტემას ახასიათებს წონასწორობა, სადაც პრემიერ მინისტრის ძლიერი ხელისუფლება ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე და მისგან ღებულობს ლეგიტიმაციას.

პარლამენტი, როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, განმსაზღვრელ როლს თამაშობს პოლიტიკურ სისტემაში და ყველა პოლიტიკური გადაწყვეტილება, ინსტიტუტი ლეგიტიმაციას თემთა პალატიდან იღებს. განსაკუთრებით საინტერესოა ბრიტანეთის ვესმისტერის სისტემაში დამკვიდრებული რეგლამენტირებული ურთიერთობა, ეტიკეტი და ქცევის წესები ოპოზიციურ და სახელისუფლებო პარტიებს შორის, რომლებიც კომპრომისუნარიანობასა და კონსენსუალურობას ზრდის პოლიტიკურ კულტურაში: პარლამეტარიზმის ხანგრძლივ ისტორიასთან ერთად ბრიტანეთში პარლამენტი ეროვნული პოლიტიკის ასპარეზია, სადაც ოპოზიციას მთავრობის მიერ წარმოდგენილ საკანონმდებლო პროგრამაზე 5 დღიანი დებატების გამართვის უფლება აქვთ, ასევე, ოპოზიციის გამგებლობაშია „ოპოზიციის დღეებად“ ცნობილი 20 დღე, ხოლო ოთხშაბათს პრემიერ მინისტრს ან მის შემცვლელს კითხვებს ოპოზიციის ლიდერი უსვამს. მიუხედავათ იმისა, რომ პაექრობა ხშირად თეატრალიზებულია, ასეთი პრაქტიკა ხელს უწყობს პოლიტიკის გამჭვირვალობას და სამოქალაქო თანხმობისა და კულტურის განვითარებას.

ბრიტანელები ამერიკელების მსგავსად ამაყობენ თავიანთი პოლიტიკური სისტემის სტაბილურობით, ისტორიით, მათგან განსხვავებით უფრო მეტად იხრებიან წესრიგისკენ მიუხედავად იმისა, რომ არ აქვთ დაწერილი კონსტიტუცია, ნაკლებია პოლიტიკური ძალადობა, აქვთ კანონის სამართლიანობის ისტორიული განცდა (სამართლიანი სასამართლო ინგლისური ფენომენია), ხასიათდებიან კანონმორჩილებით (ინგლისში შუა საუკუნეებში ყველაზე მეტი ადამიანი იქნა სიკვდილით დასჯილი), და თავიანთი ზომიერი აქტივობისა და პასივობის ნაზავით მეტ დამოუკიდებლობას აძლევენ ხელისუფლებას პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში. ბრიტანეთში აშშ-ს მსგავსად, პოლიტიკური ინსტიტუტები და პოლიტიკური კულტურა სამოქალაქო საზოგადოების პირობებში განვითარდა და ამიტომაც, გაუძლო მეორე მსოფლიო ომის რყევებს.

საფრანგეთში პოლიტიკური კულტურა ვითარდებოდა განსხვავებულ ისტორიულ პირობებში, კონსტიტუციების და მმართველობის სწრაფი მონაცვლეობის ფონზე,

რამაც ე.წ. „რევოლუციური პოლიტიკური კულტურისა“ და არასტაბილურობას შეუწყო ხელი; ცვალებად პოლიტიკურ სისტემაზე ფრანგებს პოლარულად საწინააღმდეგო პოზიციები გააჩნდათ, რამაც ბიპოლარიზებული საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბება განაპირობა: პარტიული ნიშნით მიმხრობის სისტემის ფრაგმენტაცია განსაკუთრებით თვალშისაცემია 1990-იანი წლებიდან და ამის თვალსაჩინო ილუსტრაციას 2002 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური წარმოადგენს, როდესაც სოციალისტური პარტიის კანდიდატს ნაციონალური ფრონტის ლიდერმა გაუსწრო-და გამოთიშა კიდეც არჩევნებიდან,- მაშინ, როდესაც „სისტემის გარეთ“ არსებულმა პარტიებმა მიცემული ხმების დაახლოებით 40% მიიღეს,[88] მოქალაქეების პოლიტიკური ორიენტაციების წინააღმდეგობრივ ხასიათზე მეტყველებს ფრანსუა ოლანდის დღევანდელი რეიტინგიც, რომელიც 18-20% შორის მერყეობს და მისი საინტერესო განცხადება თბილისში, რომ შეიძლება საფრანგეთში არც კი იციან თუ სად იმყოფება მათი პრეზიდენტი. ყოველივე კი აძლიერებს პოლიტიკური კულტურის ფრაგმენტაციას;[89] თუმცა, რევოლუციებმა ბევრი საამაყო გაუჩინა საზოგადოებას: თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლამ წარმოშვა პლანეტის ლოზუნგი „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“, დიდია ფრანგული კულტურის როლი საკაცობრიო ფასეულობებში, მემარჯვენე და მემარცხენე იდეოლოგიების დამკვიდრებაში და მრავალი სხვა. ბოლო პერიოდში, დე გოლის კონსტიტუციიდან მოყოლებული, ფრანგული პოლიტიური კულტურა იხრება პრაგმატიზმისკენ და უპირატესობას სისტემის სტაბილურობას, ექსტრემიზმთან ბრძოლას და თანხმობას ანიჭებს; ფრანგები არასამთავრობო სექტორში, ასოციაციებსა და ინტერესთა ჯგუფებში გაერთიანებას პარტიულ საქმიანობას არჩევენ, რაც კონსენსუალური პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებას უწყობს ხელს.

დიდი თავისებურებებით გამოირჩევა გერმანიის პოლიტიკური კულტურა სახელმწიფო ინსტიტუტებთან მიმართებაში, რომელიც რამოდენიმე გარემოებითაა განპირობებული:

ჯერ ერთი, გერმანია ისტორიულად მმართველობის ავტორიტარულ-იერარქიული ფორმისკენ იხრებოდა და ჰქონდა ლიდერის მოთხოვნილების პერმანენტული გრძნობა, რომელიც შესაძლოა გერმანული ხასიათითაც იყო განპირობებული;

---

[88] ევროპული დემოკრატიები (ჟან-მიშელ დე ვაელისა და პოლ მანიეტის რედაქტორობით). ნაციონალური პოლიტიკური სისტემების შედარებითი მიდგომა. თბ 2013 გვ 265.

[89] დაწვრილებით საფრანგეთის პოლიტიკურ კულტურაზე იხ: Peter Reichel (Hg). Politishe Kultur in Westeuropa. Campus Verlag Frankfurt| New York 1984 გვ 118-145.

მეორე, ერთიანი გერმანული სახელმწიფოს ცნებაში იგულისხმება აღმოსავლეთ გერმანელებიც, რომლებიც წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ სახელმწიფოში, რომელსაც საერთო არაფერი ქონია მათ იდენტობასთან, მაგრამ გაერთიანების შემდეგ, პირველ ხანებში აღმოჩნდა, რომ ისინი გაუცხოებულები იყვნენ და „მეორე ხარისხოვან მოქალაქეებს წარმოადგენდნენ:“ მართალია კედელი დაინგრა, მაგრამ „კედელი მათ თავებში აგრძელებდა ზრდას“-ასეთი იყო სოციოლოგიური კვლევის შედეგები.

მესამე, საზოგადოება ომამდე ზედმეტად პოლიტიზირებული იყო ნაცისტების მიერ და გაცრუებული იმედების ფონზე მათ ჩამოუყალიბდათ აპოლიტიკურობის მყარი სტერეოტიპები; ინდეფერენტიზმი პოლიტიკის მიმართ და აქცენტი ეკონომიკურ კეთილდღეობაზე გერმანელების პოლიტიკური კულტურის მთავარი მახასიათებელია; თუმცა თანდათანობით, საპარლამენტო დემოკრატია შეიჭრა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და მათ შორის პოლიტიკურ კულტურაში ხელი შეუწყო საზოგადოებაში პოლიტიკური პლურალიზმის დამკვიდრებას, რომელშიც მემარჯვენე და მემარცხენე ექსტრემიზმი პოლიტიკური და სამართლებრივი მექანიზმებით ნიველირდება;

გერმანიაში, აშშ-ისა და ბრიტანეთისაგან განსხვავებით, პოლიტიკური სისტემა ვაიმარის რესპუბლიკის ტრადიციებზე დაყრდნობით, ანტიჰიტლერული კოალიციის რჩევების და სახელმწიფოს აქტიურობის საფუძველზე ჩამოყალიბდა.

ინდივიდუალიზმი აშშ-ს პოლიტიკური კულტურის საბაზისო ნაწილია; პიროვნულმა ღირებულებებმა, განცდებმა, რწმენა-წარმოდგენებმა ასახვა ჰპოვა მხატვრულ ნაწარმოებებში (გ. მელვილლი, გ. ტოპო, უ. უიტმანი და სხვ). მკვლევარების აზრით ამის მიზეზი ემიგრანტების ფსიქოლოგიაში უნდა ვეძებოთ: მათ თავიანთ ქვეყანასთან გაწყვიტეს კავშირი და მთლიანად საკუთარ თავზე იყვნენ დამოკიდებულები; ემიგრანტების უმრავლესობა თავისუფლების, დამოუკიდებლობის, კარგი ცხოვრების ძიებამ ჩაიყვანა ამ ქვეყანაში; სოციოლოგიური კვლევები ადასტურებენ, რომ აშშ-ს მოქალაქეების უმრავლესობა თავისუფლებას თანასწორობასთან შედარებით მეტ უპირატესობას ანიჭებენ, რასაც ვერ ვიტყვით რუსებზე, გერმანელებზე და სხვა ხალხებზე; ინდივიდუალიზმი ამერიკული მენტალიტეტის განუყოფელი ნაწილია; ინდივიდი არის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება, ხოლო სახელმწიფო, ოჯახი და საზოგადოება პიროვნების უფლებების შემდეგ განიხილება; მეტი მნიშვნელობა ინდივიდუალურ უფლებებს და არა კოლექტიურს ენიჭება. პოლიტიკა ხშირად ბიზნესის ნაირსახეობად არის აღქმული; ამერიკაში პიროვნება ევროპისგან განსხვავებით

თავისუფალი იყო ტრადიციულობის, თემობრიობის, კორპორატივიზმის, კლანურობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფეოდალური ინსტიტუტებისგან და ახალ ურთიერთობებს მთლიანად ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და მისწრაფებების საფუძველზე აშენებდა; თავისუფლებისა და ინდივიდუალიზმის თავისებური ანარეკლია აშშ-ის კონსტიტუციის მეორე შესწორება 1791 წელს, რომელშიც ვკითხულობთ: „რამდენადაც კარგად ორგანიზებული პოლიცია აუცილებელია თავისუფალი სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის, არ შეიძლება დაირღვეს ხალხის უფლება, შეინახოს და ატაროს იარაღი“; [90] ამერიკელებს ჯერათ, რომ ვერც ერთი სამართალდამცავი ორგანო ვერ უზრუნველყოფს განაიარაღოს ყველა დამნაშავე, მაგრამ იარაღის შეძენის და ტარების აკრძალვით ნებისმიერი სახელმწიფო მოახდენს კანონმორჩილი მოქალაქეების განიარაღებას პოტენციური დამნაშავის წინაშე და ამით შეზღუდავს მათ თავისუფლებას.

გერმანელები ამერიკელებისგან განსხვავებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორიენტირებული იყვნენ მეორე მსოფლიო ომამდე ავტორიტარულ რეჟიმზე და უფრო მეტად მორჩილი ქვეშევრდომები იყვნენ და არა დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანები; ისინი აპოლიტიკურები არიან და ძირითადათ ზრუნავენ ტრადიციული ღირებულებების დაცვაზე, მისდევენ ჰარმონიული ცხოვრების წესს, მაღალ შეფასებას აძლევენ წესრიგს, სისუფთავეს, მომჭირნეობას, ბეჯითობას, მიზანდასახულობას; თავშეკავებულობა ახასიათებთ ინგლისელების მსგავსად სიახლის მიმართ; ხოლო გდრ-ს მოსახლეობა თავდაპირველად ეტატისტური პოლიტიკური კულტურის მატარებლები იყვნენ, რადგანაც სოციალისტური სახელმწიფო და პარტია უზრუნველყოფდა მათი სოციალური და ეკონომიკური ინტერესების მინიმალურ დონეზე დაცვას. შეერთების შემდეგ აღმოსავლეთ გერმანელებს სურდათ ეცხოვრად ისე, როგორც ცხოვრობენ დასავლეთ გერმანელები, მაგრამ „ემუშავად აღმოსავლურად“, რაც როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა შეუძლებელი იყო გაერთიანებულ ქვეყანაში. დასავლეთ გერმანელები უფრო მეტად დამოუკიდებლები, შრომისმოყვარენი, ინიციატივიანები იყვნენ, ვიდრე აღმოსავლეთის თანამოძმენი; თავდაპირველად გფრ-ს მოქალაქეები მწარმოებლები, ხოლო ყოფილი გდრ მოსახლეობა მომხმარებელი იყო; ასევე, შესამჩნევია, რომ ბოლო პერიოდში ირყევა გერმანელების მორალური პოსტულატები, იხრებიან პლურალისტული დემოკრატიისკენ და ამაში მნიშვნელოვნად ხელს უწყობს ეკონომიკური წარმატებები, საყოველთაო კეთილდღეობის ზრდა და საპარლამენტო დემოკრატიის პრინციპების დამკვიდრება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

---

[90] საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწ. 1 თბ; 2008 გვ 56.

აშშ-ის პოლიტიკური კულტურის დახასიათებისას აუცილებელია ხაზი გაესვას პოლიტიკურ და კულტურულ პლურალიზმს, რომელიც უმცირესობების სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, ეროვნული თუ რელიგიური ინტერესების დაცვას ისახავს მიზნად; გარედან დანახული ამერიკული დემოკრატია, საარჩევნო სისტემა ბევრ ხარვეზს შეიცავს: საკმარისია, როგორც წინა თავში იყო მითითებული, ორი გარემოების აღნიშვნა, რომ პრეზიდენტი შეიძლება გახდეს პიროვნება, რომელიც არავის აურჩევია (ჯ. ფორდი) და ის საპრეზიდენტო კანდიდატი, რომელმაც ქვეყნის მასშტაბით ნაკლები ხმა მიიღო აღმოჩნდეს პრეზიდენტის სავარძელში; სამაგიეროდ ამერიკელები ამაყობენ უმცირესობების ინტერესების მაქსიმალურად დაცულობით, რომელიც პირველ რიგში ძირითად საკანონმდებლო აქტშია დაფიქსირებული; პოლიტიკური პლურალიზმის დამკვიდრებას ხელი შეუწყო ინდივიდუალისტურმა პოლიტიკურმა კულტურამ, რომელიც პრაგმატულ ორიენტაციებს ემყარება; ამერიკელები პრაგმატულები არიან, როცა რაიმეს გაკეთებას აპირებენ, მაგრამ ხდებიან მორალისტები, როცა მსჯელობენ მართალისა და სამართლიანობის პრობლემებზე; კათოლიკური, მუსლიმი მოსახლეობისთვის, ასევე, სამხრეთის შტატებისთვის, ტრადიციული პოლიტიკური კულტურის ღირებულებები მნიშვნელოვანია, ხოლო პროტესტანტებისთვის, რომლებიც ამერიკის მოქალაქეების უმრავლესობას წარმოადგენს, პლურალისტული დემოკრატიის, ინდივიდუალიზმისა და თავისუფლების პოლიტიკური კულტურის ორიენტაციები უფრო მისაღები ჩანს;

ამერიკული პოლიტიკური კულტურის თავისებურებების, თუნდაც ზედაპირული განხილვის დროს, აუცილებელია ვისაუბროთ „ამერიკული ოცნების“, „ხასიათის, განსაკუთრებულობის“, „ამერიკული სადნობი ქვაბის“, „ამერიკულ მანერებზე“, „ამერიკული ცხოვრების წესზე“, ენის თავისებურებებზე, თამაშებზე, საჭმელზე, არქიტექტურაზე და სხვა ფასეულობებზე, როგორც გამორჩეულ და საუკეთესოზე და მისაბაძია სხვა ხალხებისთვის;

„ამერიკელობის განსაკუთრებულობის“ იდეას საფუძველი პრეზიდენტ მონროს დროს ჩაეყარა, როცა ევროპის სახელმწიფოები გაფრთხილებული იქნა ლოზუნგით „ამერიკა ამერიკელებისთვის“, რომლის ზუსტი ინტერპრეტაცია კონკრეტულად აშშ-ს ტერიტორიების გაფართოებასა და იმპერიულ მისწრაფებების რეალიზაციას ნიშნავდა. გაცილებით ადრე 1780-იან წლებში გაჩნდა მულტიკულტურალიზმის ანუ „სადნობი ქვაბის“ იდეა (ექტორ კრევეკერი), რომელშიც სხვადასხვა ხალხები გადადნებიან ერთ ამერიკულ რასად, სტანდარტიზირებული კულტურული ღირებულებებით, რომელიც იქნება ამერიკული ხასიათის, ქცევის, მანერების

ინტეგრირებული გამოვლინება; ამის სასარგებლოდ მეტყველებს ამერიკული ინგლისურის თავისებურება, ბეისბოლი, ამერიკული ფეხბურთი, ამერიკული ოცნების იდეალებზე შექმნილი ლიტერატურა და ხელოვნება.

ემიგრანტ მოსახლეობაში ამერიკული ცხოვრების წესის პროპაგანდაში ჩართული იქნა, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტები, ასევე ბევრი საქველმოქმედო ორგანიზაცია; გაჩნდა ცნება „კულტურული დემოკრატიის“ და ამ სფეროში დაკავებული მკვლევარები (დრაკსლერი გახდა ერთ-ერთი პიონერი ამ პრობლემის კვლევის პროცესში. თავის მონოგრაფიაში „დემოკრატია და ასიმილაცია: იმიგრანტების მემკვიდრეობის შერწყმა ამერიკაში“,)[91] ამტკიცებდნენ, რომ კულტურული ერთობის ჩამოყალიბებას ალტერნატივა არ აქვს და მის საპირწონედ რასისტული ორგანიზაციების ზრდას ასახელებდნენ; მართლაც ამ პერიოდში, „ნამდვილი ამერიკელობის“ ძიებამ წარმოშვა კუ-კლუს-კლანის რასისტული ორგანიზაცია, რომელიც რასის სიწმინდის დაცვის პროცესში კათოლიკურ მოსახლეობასაც დაუპირისპირდა.

გამორჩეოლობის, რასის, არიული სისხლის უპირატესობების ისტორიული განცდა დაიმსხვრა გერმანიის პოლიტიკურ კულტურაში და მასობრივ ცნობიერებაში მეორე მსოფლიო ომოს შემდგომ; მაგრამ განსხვავებული ხერხებითა და მეთოდებით ახდენს აშშ-ი ამერიკული ღირებულებების გავრცელებას: „ამერიკანიზმის“ იდეამ მეტი გაქანება მიიღო გლობალიზაციის ეპოქაში, რომელსაც არცთუ უსაფუძვლოდ ამერიკანიზაციასთან აიგივებენ, რადგანაც აშშ-ის პოლიტიკის რეალიზაციის ინსტრუმენტებად იქცა საერთაშორისო ორგანიზაციები და ტრანსეროვნული კორპორაციები, რომლებიც დემოკრატიის საბურველში შეხვეული ახდენს ამერიკული ცხოვრების წესის გავრცელებას მთელ მსოფლიოში და ამაში მას ხელს უწყობს ქვეყნის არნახული ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო პოტენციალი; მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამერიკანიზაცია რადიკალურ რეაქციას იწვევს არა მარტო განვითარებად, არამედ ცივილიზებულ მსოფლიოშიც.

ამრიგად, კონკრეტული ქვეყნების პოლიტიკური კულტურის ცალკეული ელემენტების ანალიზი გვიჩვენებს, ეროვნული, სახელმწიფოებრივი, ისტორიული, რელიგიური და სულიერი კულტურის თავისებურებები მრავალ სპეციფიკურ პოლიტიკურ და კულტურულ ორიენტაციებს წარმოშობს კონკრეტული ქვეყნის

---

[91] Филимонов Г. Ю. Внешная культурная политика США как компонент "мягкой силы": диссертация кандидата политических наук : 23.00.04 Москва, 2010 с 67.

პოლიტიკურ კულტურაში, რომლებიც ხშირად განმსაზღვრელ როლს ასრულებენ საზოგადოებრივი განვითარებისა და პროგრესის გზაზე.

თავი მეოთხე. თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური კულტურა

გარდამავალ პერიოდს გარკვეული აზრით შეიძლება „ნეიტრალური ზონა“ ვუწოდოთ, ვინაიდან “ძველი” საზოგადოდ არ არის უარყოფილი, ხოლო “ახლის სახე“ გამოკვეთილად არ არის წარმოდგენილი. ყოველივე ეს რთული ფსიქოლოგიური პროცესია. ადამიანზე მოქმედებს „ძველში ყოფნისა“ და „ახლის შექმნისათვის“ წარმმართველი ძალები.[92]

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური კულტურა წარმოადგენს განსხვავებული პოლიტიკური, იდეოლოგიური, ეთნიკური, ეროვნული, რელიგიური ღირებულებების, განწყობების, მიზანდასახულობების სინთეზს. იგი ტრანსფორმაციის პროცესშია, ფრაგმენტირებულია და მასში ჭარბობს ქვეშევრდომული კულტურული ორიენტაციები. ჯერაც სუსტია მზარდი აქტივისტურ, სამოქალაქო კულტურის ელემენტები. ძლიერია საზოგადოების ემოციური მიბმულობა ქარიზმულ ლიდერებზე, განუვითარებელია სახელმწიფოებრივი აზროვნების კულტურა, დიდია საბჭოთა ავტორიტარული-ტოტალიტარული მემკვიდრეობის და ნაციონალების ავტორიტარულ–ავტოკრატიული მმართველობის ნეგატიური გავლენა. ახასიათებს უკომპრომისობა, რადიკალური დაპირისპირება, როგორც მმართველ და ოპოზიციურ ელიტებს, ისე, საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებსა და თაობებს შორის, რომელიც ხელშეწყობილი

[92] ა. ტუკვაძე. პოლიტიკური ელიტა. თბ; 1998 გვ 219.

იყო მ.სააკაშვილის ხელისუფლების მიერ. პოლიტიკურ კულტურაში საკმაოდ დიდია ძალადობისკენ მიდრეკილება, რომლის სინდრომი შეამცირა 2012 წლის ოქტომბრის და შემდგომი პერიოდის არჩევნებმა. არ არსებობს ყველასათვის მისაღები ლეგიტიმურად აღიარებული „პოლიტიკური თამაშის წესები“. დემოკრატია ძირითადათ თეორიაში, დეკლალირების დონეზე რჩება, ხოლო ავტორიტარიზმი გარდამავალი პერიოდის ძირითად მახასიათებლად მოიაზრება. ამავე დროს, გარდამავალი პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ კულტურაში არის დემოკრატიისთვის დამახასიათებელი ელემენტები: განათლებისა და კულტურის მაღალი დონე, ისტორიულად გამოცდილი რელიგიური და ეთნიკური ტოლერანტობის დიდი ტრადიცია, სამოქალაქო აქტივობის მაგალითები, რომლებიც ხელსაყრელ გეოპოლიტიკურ მდებარეობასთან და „გაევროპელების ისტორიულ გრძნობასთან“ კონტექტში, სწორი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში მოგვცემს შედეგს -ავაშენებთ დემოკრატიას, ისრაელის მსგავსად, „უჩვეულო ადგილას“.

ტრანსფორმირებადი პოლიტიკური კულტურის ერთ მხარესაა, მემკვიდრეობით მიღებული, ტოტალიტარული კულტურისთვის დამახასიათებელი ღირებულებები, სტერეოტიპები, იდეოლოგიური ორიენტირები, ხოლო მეორე მხარესაა, საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სამოქალაქო კულტურის ელემენტები, დემოკრატიის ძირითად ღირებულებებთან და ქართულ სახელმწიფოებრიობასთან არა იდენტიფიცირებული ეთნოპოლიტიკური სუბკულტურები. ყოველივე იწვევს ფრაგმენტარული ხასიათის გაძლიერებას.

საქართველოს პოლიტიკური კულტურის ფრაგმენტარული, წინააღმდეგობრივი ბუნებიდან გამომდინარე გ. ალმონდისა, და ს. ვერბას კვლევის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, მართებულად მიგვაჩნია, მისი ცალკეული ელემენტების გაანალიზება-შესწავლა სახელმწიფო ინსტიტუტებთან, კანონის უზენაესობასთან და დემოკრატიის სხვა საბაზისო ელემენტებთან მიმართებაში.

§ 1. ქვეშევრდომული ორიენტაციები პოლიტიკურ კულტურაში

საქართველოს პოლიტიკურ კულტურაში განმსაზღვრელ როლს თამაშობს ტოტალიტარული საბჭოთა მემკვიდრეობა და გარდამავალ პერიოდში ჩამოყალიბებული ავტორიტარულ–ავტოკრატიული მმართველობა, რომლებიც ქვეშევრდომის, მორჩილების ორიენტაციებზე იყო გათვლილი. მათი უარყოფის კონსტიტუციურად დეკლალირება არაა საკმარისი, რადგანაც სამოქალაქო კულტურის დამკვიდრებას გააჩნია თავისი ტემპები, ეტაპები, დინამიკა და არ ემთხვევა ეკონომიკურ და სოციალურ გარდაქმნებს, თუმცა განიცდის მათ გავლენას.

საბჭოთა ცენტრალიზებული პოლიტიკური სისტემის სტრუქტურული იერარქია ვერტიკალურ ურთიერთობებს და ძალაუფლების ზევიდან ქვევით დინებას ემყარებოდა. სამხედრო ორგანიზაციის მსგავს დისციპლინაზე იყო დაფუძნებული ხელისუფლებრივი ურთიერთობები. ნომენკლატურული ელიტის შიგნით ბრძანება-შესრულებაზე დამყარებული მორჩილებითი კულტურის ელემენტები იყო ძირითადი, როგორც წინა თავებში იყო აღნიშნული, საშემსრულებლო კულტურა იყო განმსაზღვრელი და დამოუკიდებელი, ანალიტიკური აზროვნება და თვითშემოქმედება პოლიტიკური მართვის სფეროში დასჯად ქმედებათაც მოიაზრებოდა. ტოტალიტარული, კომუნისტური იდეოლოგია რელიგიური ფუნდამენტალიზმის როლს თამაშობდა და პრეტენზიას აცხადებდა საყოველთაო ჭეშმარიტებაზე. ტოტალიტარული იდეოლოგია ებრძოდა განსხვავებულ აზრს და საფუძველშივე უარყოფდა პოლიტიკურ პლურალიზმს. ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, სოციალური გარდაქმნის პროცესში რევოლუციური მეთოდები გამოიყენებოდა, ხოლო მასების მობილიზაციისთვის „მტრის ხატის“ კონსტრუირების პროპაგანდისტული მეთოდები იყო აპრობირებული საზოგადოების კონსოლიდაციისთვის პარტიის, ბელადის, ხელისუფლების გარშემო, რაც ტოტალიტარული კულტურაში მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა. ძალაზე და დაშინებაზე დამყარებული რეჟიმი ერთი კაცის დიქტატს ემყარებოდა და იმპოვიზირებული არჩევნებით და კონსტიტუციაში ადამიანის უფლებების დეკლალირებით ცდილობდა მოსახლეობაში რეჟიმის ლეგიტიმაციის შთაბეჭდილება დაემკვიდრებინა.

ბუნებრივია, ტოტალიტარული მმართველობითი პოლიტიკური კულტურის მქონე ნეონომეკლატურული პოლიტიკური ელიტა, რომელიც ძირითადათ პარტოკრატებით იყო დაკომპლექტებული, უპირატესად საშემსრულებლო კულტურის მატარებლები იყვნენ და მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ პოლიტიკურ პროცესებზე და ხელს უწყობდნენ ნომენკლატურული კულტურის ხელახალ აღორძინებას. ე. შევარდნაძის ნეონომეკლატურული მმართველი ელიტა, სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი „უმართვადი“, „ქაოსური“ პროცესების წინაშე და ძველი, საბჭოთა მეთოდებით, ძალისმიერი ხერხებით (სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობის პირობებში) აპირებდნენ კონფლიქტების დარეგულირებას და უმეტეს შემთხვევაში მათი ქმედებები არ ხასიათდებოდა ადეკვატურობითა და კრეატიულობით. შენარჩუნებული იქნა საბჭოთა მემკვიდრეობა კონსტიტუციაშიც: 1995 წლის საქართველოს კონსტიტუციას, რომელსაც ამერიკულ მოდელს ადარებენ, არაფერი არ ქონდა საერთო მასთან, წარმოადგენდა ავტორიტარულ რეჟიმზე გათვლილ

საკანონმდებლო აქტს, რომელშიც მთელი ხელისუფლება აღმასრულებელ შტოში იყო გადაქაჩული და პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად, ყოფილი ცენტრალური კომიტეტების მდივნების ხელმძღვანელობით, სუპერსაპრეზიდენტო მმართველობას ამყარებდა ქვეყანაში. აღმასრულებელი ხელისუფლების პრიმატი საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებაზე ქვეშევრდომული, მორჩილებითი და პატრიარქალური კულტურის „ხელისუფლებრივი გამოხატულებაა."

ე. შევარდანაძის მმართველობის პერიოდში კორუფციის დონემ არნახულ მასშტაბებს მიაღწია. მართალია საბჭოთა პერიოდში საქართველო კორუფციის დონით რესპუბლიკებს შორის მეოთხე ადგილზე იმყოფებოდა, მაგრამ ნეონომენკლატურული ელიტის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ამ მაჩვენებელმა არნახულ მასშტაბებს მიაღწია: უკვე შეუძლებელი გახდა ინსტიტუტების ფუნქციონირება, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გაწყვიტა ურთიერთობა (2002 წ) საქართველოს ხელისუფლებასთან, ბიუჯეტი ვერ სრულდებოდა, პენსიების და ხელფასების გაცემის სისტემა სრულად მოიშალა, გარდა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთისა," სრული უკონტროლო გახდა პანკისის ხეობა, სადაც საერთაშორისო მასშტაბის ტერორისტები აფარებდნენ თავს, სახელმწიფო მოხელეების ხელფასები მიზერულ ნიშნულსაც ვერ აღწევდა, ხოლო მათი რაოდენობა გეომეტრიული პროგრესიით მატულობდა, მარტო პოლიციელების რაოდენობა მთელი მოსახლეობის 1,75% აღწევდა. კიდევ უფრო გაძლიერდა არ შემდგარი სახელმწიფოს მახასიათებლები. „ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ფაქტორი ნათლად მიუთითებდა, თუ როგორი სახელმწიფო ჩამოაყალიბდა „ქართველი მულა ომარის", ანუ ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დროს და რატომ მიანიჭა აშშ–ის სახელმწიფო დეპარტამენტმა 2002 წელს საქართველოს ე. წ. „არშემდგარი სახელმწიფოს" (ინგლისურად Failed State) სტატუსი, რაც, ჩვენდა სამწუხაროდ, დე–ფაქტოდ სრულად შეესაბამებოდა საქართველოს იმდროინდელ რეალობას." [93]

ნეონომენკლატურული ელიტის უუნარო, კორუფციულმა მმართველობამ ბუნებრივად წარმოშვა 2003 წლის რევოლუციური პროცესები, რამაც შეცვალა პოლიტიკური პროცესის ვექტორი და ახალი რეალიების წინაშე დააყენა ქვეყანა: ტრიუმვირატის პოლიტიკური ამბიციები შეფუთულ იქნა ძლიერი პრეზიდენტის, ძლიერი პარლამენტის, ძლიერი პრემიერის საჭიროების საბურველში და დაიწყო იმის მტკიცება, რომ მხოლოდ ასეთი საკონსტიტუციო ცვლილებები უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას; ბუნებაში არ არსებულა მსგავსი პრეცედენტი.

---

[93] http://www.bu.edu/iscip/vol12/areshidze.html ციტირებულია: ვ. მაისაია. საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები ცივი ომის შემდეგ (1991–2004). თბ 2013 გვ 119.

აშშ-ი, როცა ძლიერია პრეზიდენტი, სუსტია კონგრესის გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე და პირიქით.

უპრეცედენტო საკონსტიტუციო ცვლილებებმა გაზარდა პრეზიდენტის უფლებამოსილებები, მოახდინა ავტორიტარიზმის სამართლებრივ გაფორმება და ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ, მ. სააკაშვილის ხელისუფლებაში „პაროდიული ხასიათი“ მიიღო პრემიერ მინისტრის თანამდებობამ.[94] ქვეშევრდომის პოლიტიკური კულტურის ელემენტების სიჭარბეს, გარდამავალ პერიოდში განაპირობებს მ.სააკაშვილის მმართველობის დროს, განმტკიცებული ავტორიტარული რეჟიმი, როცა სახეზე გვქონდა პარტია- სახელმწიფოს, პარტია-მთავრობის ინსტიტუციურად გაფორმებული ტოტალიტარული მოდელი.

ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლის დროიდან დაიწყო წარმატებების ათვლა, გააქტიურდა იდეოლოგიზირებული, ორმაგი სტანდარტების მქონე ტოტალიტარული პიროვნებები, რომლებსაც ხელისუფლების ყოველი ნაბიჯის გამართლება ეკისრებოდათ და ტოტალიტარული რეჟიმის მსგავსად ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკის „იდეოლოგიური უზრუნველყოფა“ ევალებოდათ. თავიდანვე გამოიკვეთა უკომპრომისო რიტორიკა, რომელიც ნეობოლშევიკურ ხასიათს განასახიერებდა, უარყოფდა მემკვიდრეობითობის პრინციპს, იყენებდა სოციალურ ჯგუფებს, თაობებს შორის განსხვავებულ პოლიტიკურ და კულტურულ ორიენტაციებს და მათი ურთიერთდაპირისპირების ფონზე ნამდვილი ბრძოლა გამოუცხადა ინტელიგენციის უფროს თაობას, ქართულ ტრადიციებს, კულტურას და დროდადრო ებრძოდა მართლმადიდებლურ ეკლესიასა და ღირებულებებს: „პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური ელიტის საქმიანობის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, იგი ავტორიტარიზმისკენ იხრება, იკვეთება კონსტიტუციაზე მაღლა დგომის ტენდენცია, სუპერსაპრეზიდენტო მმართველობის მახასიათებლები...კადრები „რევოლუციური დამსახურების“ მიხედვით ინიშნებიან თანამდებობებზე, უგულველყოფილია პროფესიონალიზმის პრინციპი. აქცენტი გადატანილია მეტისმეტად ახალგაზრდულ ასაკზე, საზღვარგარეთულ განათლებასა და კოსმოპოლიტურ აზროვნებაზე. საქართველოში დღეისათვის ვერც ერთი პარტია ვერ უზრუნველყოფს საკუთარი კადრებით ხელისუფლებრივი იერარქიის დაკომპლექტებას.“ [95] (გაფრთხილებამ, ავტორიტარული რეჟიმის შესაძლო

---

[94] ა. ტუკვაძე. ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი: ორმაგი სტანდარტები ქართულ პოლიტიკაში იხ: საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“№3(7), 2009 გვ 62-63.

[95] ა. ტუკვაძე. პოლიტიკური ელიტა იხ; პოლიტოლოგია ომარ გოგიაშვილის რედაქციით. თბ; 2004 გვ 400-401.

დამყარების შესახებ მხოლოდ ის შედეგი გამოიღო, რომ მისი ავტორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ასისტენტ-პროფესორად აქციეს).

ფასადურმა დემოკრატიამ, საზოგადოების მასობრივი რეფორმირების დემოკრატიულ გზაზე მიღწეული წარმატებების გაზვიადებამ, ილუზორული დანაპირებების პროპაგანდამ არნახული გასაქანი მიიღო: წაგებული ომში თავი გამარჯვებულად გამოაცხადეს, არ არსებული ქალაქის ლაზიკის მერი დანიშნეს, ნატოში და ევროკავშირში შესვლის პერპექტივები დროში შეამცირეს. საქართველოს მთელი ისტორიის განმავლობაში ნაციონალების მმართველობის დროს ყველაზე მეტი ტყეილი ითქვა და ცრუ დაპირებები გაიცა (ხაზი ჩვენია ა. ტ.). „პოლიტიკურ შიზოფრენიას“[96] უწოდებს სტივენ ფ. ჯონსი მ. სააკაშვილის ხელისუფლებაში დამკვიდრებულ პოლიტიკურ ორიენტაციებს, რიტორიკას, ქცევებს. ავტორიტარულმა რეჟიმმა ტოტალიტარიზმის მსგავსად თავისი განახლებული ტერმინოლოგია შემოიტანა პოლიტიკურ მომოქცევაში „ჩრეცხილები“, „წითელი ინტელიგენცია,“ „კორუმპირებული პროფესურა“ და ხალხთან დიალოგის ნაცვლად ხელისუფლებამ „მტრის ხატის“ კონსტრუირების ნაცად მეთოდს მიმართა: 2007 წლის მოვლენების დროს ოპოზიციური ძალების დისკრედიტაციის მიზნით გამოაქვეყნა რუსეთის სპეცსამსახურებთან ოპოზიციის ლიდერების „თანამშრომლობის“ ამსახველი ფარული ჩანაწერები, რომლებიც გათვლილი იყო საზოგადოების დაბალ ფენაზე. „მტრის ხატის“ შექმნის პოლიტიკა, საზოგადოების დაშინებას, მოჩვენებით მონოლითურობას, ხელისუფლების გარშემო კონსოლიდაციას და, რაც მთავარია, ქვეშევრდომული-საშემსრულებლო კულტურის ფორმირებას განაპირობებდა... (ე.შევარდნაძემ ზ. გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება „პროვინციულ ფაშიზმად“ შერაცხა)..“მტრის ხატის“ ახალი სახელისუფლებო პროექტი იყო იმედის მოდელირებული ქრონიკა, რომლის მეცნიერ კონსულტანტები ნაციონალური პროფესურაც იყო. მიზანი იმხანად აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ საქართველოზე გამოქვეყნებული არასახარბიელო დასკვნის გადაფარვა და პრორუსული ოპოზიციის მორიგი დისკრედიტაცია, მათი შესაძლო გამარჯვების შემთხვევაში მოქალაქეებში რუსეთის ინტერვენციის გამეორების შიშის სინდრომის გაჩენა და ფსიქოლოგიური ზემოქმედება იყო.[97] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი პრაქტიკა აშშ-ის ისტორიაში ცნობილია „მაკარტიზმის“ სახელწოდებით: სენატორმა ჯოზეფ მაკარტიმ წარმოადგინა 50 საბჭოთა აგენტისა და კომუნისტთა მიმართ

---

[96] იხ: სტივენ ფ. ჯონსი. დემოკრატია საქართველოში. http://www. cicerofoundation.org / legtures/ Stephen Jones Georgia.pdf

[97] ა. ტუკვაძე.“ მტრის ხატი“ ქართულ პოლიტიკაში. იხ; თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასალი.“ სამეცნიერო შრომათა კრებული. ტომი 3 თბ; 2011 გვ 190-193.

კეთილგანწყობილი ადამიანების სია, რომელთა შორის მოხვდნენ აინშტაინი, ჰემინგუეი და სხვა ცნობილი ადამიანები. ამერიკელებმა დაგმეს ჯ. მაკარტის საქციელი და, იგი, რადგანაც „ძალზედ წინ წავიდა კომუნისტური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში," გაძევებული იქნა სენატიდან და მიუღებლად მიიჩნიეს „მტრის ხატის" მოდელირების მეთოდის გამოყენება დემოკრატიული საზოგადოებისთვის.[98]

ნაციონალურმა მოძრაობამ სოციალურ ფენებს შორის შეხედულებების სხვაობა დაპირისპირების ჭრილში გადაიყვანა და, ასევე, ერთმანეთს დაუპირირისპირა ახალგაზრდები, საშუალო და უფროსი თაობები. პოლიტიკურმა ხელისუფლებამ არჩია ერის გახლეჩისა და დიფერენციაციის მეთოდი, რომლის მიზანი იყო ძალაუფლების შენარჩუნება.[99] ასეთმა პოლიტიკამ სცენას ჩამოაშორა მნიშვნელოვანი აქტორები, რომლებიც ძირითადი მოთამაშეები არიან საზოგადოების მოდერნიზაციის პროცესში. გამოაცალა რა ეროვნული იდეალები ახალგაზრდობას, განსაკუთრებით აქტიურ ფრთას სტუდენტობას, მათი ნაწილი თვითმართველობებისა და სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორში ჩართო, მიანიჭა პრივილეგიები, გაგზავნა საზაფხულო ბანაკებში, გააწევრიანა პარტიაში და მხარდამჭერებად აქცია, რომელთა პოლიტიკური ორიენტაციები და კულტურა ისევე, როგორც მ. სააკაშვილის რიტორიკა, აგრესიულ პოლიტიკურ კულტურას ამკვიდრებდა ქართულ სინამდვილეში.

პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციების რადიკალიზაციაში „თავის როლი ითამაშა" ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ, რომელიც ეროვნული მოძრაობის დისიდენტურ ფრთას წარმოადგენდა და იმპერიასთან, ტოტალიტარულ რეჟიმთან მკვეთრი დაპირისპირებისა და ეროვნული იდეების ერთგულების ფონზე მოვიდა ხელისუფლებაში პირველი მრავალპარტიული თავისუფალი არჩენებით, ქვეყნის შიგნით მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მხარდაჭერის შედეგად. დისიდენტური სუბკულტურა, რომელიც გამსახურდიას პოლიტიკურ ხელისუფლებას ახასიათებდა, მკვეთრი დაპირისპირების, რადიკალური იდეოლოგიური ღირებულებების მატარებელი იყო და ამ თვალსაზრისით არც ქართული ეროვნული ხელისუფლება იყო გამონაკლისი. კომპრომისუუნარობამ, ექსტრემისტული იდეოლოგიური ორიენტირებისა და რიტორიკის შერჩევამ, ზ.გამსახურდია წინააღმდეგობაში მოიყვანა არა მარტო კომუნისტურ პრივილეგირებულ ინტელიგენციასთან, არამედ

---

[98] ა. ტუკვაძე. „მტრის ხატი" ქართულ პოლიტიკაში. იხ; თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი." სამეცნიერო შრომათა კრებული. ტომი 3 თბ; 201 1 გვ 193.

[99] გ. აბესაძე. თანამედროვე ქართული პოლიტიკური სცენის აქტორები. თბ 2014 გვ 38.

ეროვნული მოძრაობის ზომიერი ფრთის წარმომადგენლებთან ა. ბაქრაძესთან, რ. ნათაძესთან, რ. მიშველაძესთან და სხვა ცნობილ ადამიანებთან. ზ. გამსახურდიას „ეთნოკრატიული შეფერილობის“ ელიტამ არ განიცადა რუტინიზაცია, ვერ იქცნენ პრაგმატულ ბიუროკრატიულ-რაციონალურ ლიდერებად, ვერ გაითავისეს სახელმწიფოს მმართველობის კულტურა და ნაცვლად გამამთლიანებელი იდეოლოგიური ორიენტირებისა, „კრემლის აგენტების“, „მოღალატეების“ ძიების პოლიტიკას მიყვეს ხელი და შედეგად დაიპირისპირეს რადიკალურად განწყობილი ოპოზიცია და არაქართველი მოსახლეობა. ქვეყანაში მოვლენები მართალ-მტყუანის, თეთრი-შავი, მესია-სატანის შეფასებების, ბრბოს კრიტერიუმებით ფასდებოდა: კონფლიქტური კულტურის ჩამოყალიბების ფონზე შედეგიც ლოგიკური დადგა-იარაღით, უკანონო გზით, გვარდიისა და მხედრიონის მიერ, გარეშე ძალების აქტიური ჩარევით, კრიმინალური ელემენტების ფართო მონაწილეობით, დამხობილ იქნა ზვიად გამსახურდიას კანონიერი, ხალხის მიერ არჩეული ლეგიტიმური ხელისუფლება და სათავე დაედო სამოქალაქო ომს და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევის პროცესს.[100]

მიუხედავათ რადიკალურად განსხვავებული იდეოლოგიური და ღირებულებითი სისტემებისა, კიდევ ერთი საერთო ნიშანი ახასიათებდა ზ. გამსახურდიას და მ. სააკაშვილის ხელისუფლებას: მემკვიდრეობის უარყოფა პოლიტიკის, კულტურული ღირებულებების სფეროში, თუმცა ნაციონალების მმართველობის პროცესში იგი სიღრმეში წავიდა და ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ ტრადიციებს, ქართულ ენას, მეცნიერებას შეეხო, რაც გამორიცხული იყო ზ. გამსახურდიას თუნდაც ხანგრძლივი მმართველობის შემთხვევაში, იგი მხოლოდ ნომენკლატურლ ელიტას და პრივილეგირებულ ინტელიგენციას უპირისპირდებოდა. მ. სააკაშვილთან დაპირისპირების მიზეზი გახდა მასობრივი გათავისუფლებები სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების, მოსამსახურეების, პროფესურის, ინტელიგენციისა და სპორტის სფეროს ღვაწლმოსილი ადამიანების, ყოველგვარი სოციალური გარანტიების გარეშე და მათ ნაცვლად ნაციონალების რიგებიდან დილენტანტების დაწინაურება. ტოტალური ცვლილებები მიმდინარეობდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში: სპორტის ფედერაციებს მთლიანად ნაციონალები აკონტროლებდნენ, მხოლოდ ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი ადამიანები იკავებდნენ თანამდებობებს უმაღლეს სასწავლებლებში, აღწევდნენ

[100] ა. ტუკვაძე. პოლიტიკური ელიტა. თბ 1998 გვ 201.

წარმატებას ბიზნესში, სარგებლობდნენ ტოტალური პრივატიზაციით. მოკლედ, რომ ვთქვათ, მოხდა „სახელმწიფოს პრივატიზაცია“ ნაციონალების მიერ.[101]

პოლიტიკური და კულტურული ღირებულებების პოლარიზაციაში დიდი როლი ითამაშა უმუშევრების სუბკულტურამ, რომელთა რაოდენობა დაუზუსტებელი მონაცემებით 60% აღემატებოდა. ქვეყანაში დამყარდა ძალადობაზე დაფუძნებული ავტორიტარული რეჟიმი, ერთპარტიული კლანური მმართველობა. მოსახლეობის დიდი ნაწილი მასობრივი დემონსტრაციების დარბევების და ციხეებში სისტემური წამების ფონზე, რომელშიც ჩართული იყო პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო, სასჯელ აღსრულების დაწესებულებები, იუსტიციის სამინისტრო და მაღალი ეშელონის ჩინოვნიკები, „შეურიგდა“ რეჟიმს და მორჩილებას ავლენდა დაკანონებული ძალადობის მიმართ. ბუნებრივია, ყოველივე, ტოტალური ადამიანების პროპაგანდის პირობებში, პოლიტიკური აპათეას, უიმედობას, ნიჰილიზმს ბადებდა მოსახლეობაში. საქართველოში ჩამოყალიბდა ელიტარული მმართველობა, ხელისუფლების წარმომადგენელთა გასაოცარი პრივილეგიების და ელიტური კორუფციის ფონზე, ხოლო პარალელურად გაძლიერდა მოსახლეობის გაღატაკების პროცესი. ყოველივე შეურიგებლობისა და დაპირისპირების სინდრომს ზრდიდა მოსახლეობაში და ნაციონალები ხალხის „მხარდაჭერის დემონსტრირებას“ შევარდნაძის ეპოქაში აპრობირებული არჩევნების გაყალბების მეთოდების გამოყენებით ახერხებდნენ. საქართველოს მთავრობა,-წერს ამერიკელი დიპლომატი იურჯინ პურსო,-ყველაფერს აკეთებს კონფრონტაციის დასაწყებად და სისხლის დასაღვრელად...ბოლოს და ბოლოს, იფეთქებს უფლებაწართმეული და დაჩაგრული ადამიანების პროტესტი და სისხლი წალეკავს ქვეყანას.[102] მართლაც ახდებოდა ეს წინასწარმეტყველება, რომ არა ბ. ივანიშვილის პოლიტიკური პროცესების პრაგმატული გათვლის უნარი, მრავალათასიანი უკმაყოფილო ხალხის „ემოციებისა და დაპირისპირების ჩარჩოში ჩასმის პოლიტიკური ხელოვნება“ და გარეშე ძალების არნახული ზეწოლა მ. სააკაშვილზე: არ უნდა ვივარაუდოთ, რომ დამარცხება სააკაშვილმა ფუძემდებლური დემოკრატიული იმპულსის გამო აღიარა.[103]

ჩვენი მსჯელობა არ იქნებოდა სრულყოფილი, რომ მარტო გარდამავალი პერიოდის ხელისუფლებებს მივაწეროთ დაპირისპირებისა და უკომპრომისობის ელემენტების

---

[101] ა. ტუკვაძე. ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი: ორმაგი სტანდარტები ქართულ პოლიტიკაში იხ: საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“№3(7), 2009 გვ 63.

[102] კვირის პალიტრა 27 აგვისტო-2 სექტემბერი, 2012 წელი.

[103] ლინკოლნ მიტჩელი. საქართველო: ოთხი მოსაზრება და ოთხი კითხვა ქართული არჩევნების გარშემო. http://foreignpress.ge/chven-shesakheb/4120.html

დამკვიდრება მოქალაქეთა ცნობიერებაში და, აქედან გამომდინარე, ვისაუბროთ ფრაგმენტარული კონფლიქტური კულტურის ტიპზე. მიგვაჩნია, ღირებულებითი დაპირისპირებაში თავისი როლი ითამაშა „ეროვნულმა ხასიათმა, რომლის უმთავრესი თავისებურება კონტრასტულობაა. ქართველები უკიდურესობის ხალხი ვართ. ჩვენი ხასიათი რთულია და წინააღმდეგობრივი. ჭირიც გადაჭარბებული ვიცით და ლხინიც. სიყვარულიც და სიძულვილიც. სასწაულებრივი მაღალი ზნეობაც გვახასიათებს და უზნეობაც შემაძრწუნებლად მდაბალი გვჩვევია, უანგარობაშიც სწორუპოვარნი ვართ და შურიანობაშიც წრეგადასულნი. ურთიერთგამომრიცხავი, წინააღმდეგობრივი თვისებები ქართველ კაცში უკიდურესი ფორმით თანაარსებობენ. ქართულ ხასიათში უკიდურესი იდეალიზმი შერწყმულია უკიდურეს რეალიზმთან. ვახუშტი ბატონიშვილის აზრით, ქართველებმა ერთნაირად „უწყოდნენ ურთიერთთა მტერობა და მოყურობა, ლხინთა ლხინობა და ჭირთა ჭირობა“. ისინი ერთნაირად წარმატებული ყოფილან „კეთილ-ბოროტზედ ადრე მიმდრეკნიც.“

ზემოთთქმულის დასადასტურებლად „ვეფხისა და მოყმის ბალადა“ და გარდამავალ პერიოდში ზვიადისტებისა და შევარდნაძისტების დაპირისპირება და სამოქალაქო ომი გამოდგება: ალბათ არ მოეპოვება ანალოგი მიმტევებლობისა და ჰუმანიზმის იმგვარ გამოვლინებას, როდესაც მოყმის, ადამიანის დედა სამძიმრის სათქმელად მიდის ვეფხის დედასთან: „იქნება ვეფხის დედაი ისიც ჩემებრა ტირისა.“ ე.ი. ადამიანმა გაითავისა, თავის განცდებს გაუთანაბრა ცხოველის ტკივილი, მაგრამ არის სხვა უამრავი საპირისპირო მაგალითი, დათო ტურაშვილის სიტყვებით, რომ ვთქვათ სვანურ კოშკებს ერთმანეთის მხარეს აქვთ სათოფურები და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს იგი ქართული ხასიათისთვის არის დამახასიათებელი და, ამიტომაც გაგვიგრძელდა დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი.[104] ამრიგად, უდაოა, ქართულ ხასიათში „კოდირებული მიდრეკილება“ რადიკალიზმისკენ, უარყოფით როლს თამაშობდა და თამაშობს ქვეყნის გაერთიანების, ოპოზიცია-პოზიციის თანაარსებობის, პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და სამოქალაქო კულტური დამკვიდრების გზაზე.

§ 2. პატრიარქალური ქურდული კულტურის ელემენტები პოლიტიკურ კულტურაში. პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციის სპეციფიკამ ქართულ სინამდვილეში გვაჩვენა, რომ განათლებული ადამიანებიც შესაძლოა იყვნენ მრევლის კულტურის მატარებლები: უფრო მეტიც, ქართულ სინამდვილეში არ დასტურდება გ.ალმონდისა და ს. ვერბას თეზისი, რომლის მიხედვითაც, პატრიარქალური კულტურული

[104] ა.ტუკვაძე უ. ბლუაშვილი. ქართული ხასიათის თავისებურება. იხ; ჟურნალი“მეცნიერება და ცხოვრება“ 1(3) 2011 გვ 101-102.

ორიენტაციები დამახასიათებელია წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანებისთვის, რომლებსაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ პოლიტიკური პროცესის აქტორებზე, სისტემაში შემავალ და გამომავალ სიგნალებზე და ასეთი ორიენტაციები ჭარბობს აფრიკულ ტომებში, სადაც არ არის როლებითი დიფერენციაცია: ე. შევარდნაძის ნეონომენკლატურული მმართველობის დროს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებაში ხშირად ქურდული მენტალიტეტის, პატრიარქალური კულტურის მატარებელი ადამიანები იღებდნენ ქვეყნისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, რადგანაც სახელმწიფოებრივმა კანონებმა, კონსტიტუციურმა უფლებებმა, მორალურმა ნორმებმა დაკარგა მნიშვნელობა: „ძარცვა-გლეჯის ქურდული კანონებით იყო შეცვლილი სახელმწიფოს კანონები, მეფობდა ქაოსი და გაუგონარი კრიზისი“-აღიარებს ე. შევარდნაძე.[105]

პატრიარქალური, ქვეშევრდომული პოლიტიკური კულტურის ელემენტების სიჭარბეს, გარდა ტოტალიტარული მემკვიდრეობისა და გარდამავალი პერიოდის ავტორიტარიზმისა, გარკვეული აზრით, განაპირობებს ქართულ ცნობიერებაში, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში ქურდული მენტალიტეტის ფართოდ გავრცელება: ძნელია ვისაუბროთ ქურდული ცნობიერების ეროვნულ ფესვებზე[106], მაგრამ ერთი რამ ცხადია, საქართველოში ამ მოვლენამ მეტად ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა.[107]

ქართულ სინამდვილეში ვხვდებოდით მაღალი „ინტელექტის“ (ამ შემთხვევაში ინტელექტის საზომად ფორმალური განათლება ითვლება) ქურდულ-პატრიარქალური კულტურის მატარებელ ადამიანებს. მათი სიჭარბე შეიმჩნეოდა, როგორც ხელისუფლებაში, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში: სკოლებში, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში; მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის ნაწილი პატრიარქალურ-ქურდული კულტურის და კანონების თაყვანისმცემლები იყვნენ. „კარგი ბიჭის“ სტატუსის მოპოვება მათთან კავშირით ან მათ „იერარქიაში“ გარკვეული ადგილის (მაგ; მაყურებლის სტატუსის) მოპოვებით იყო შესაძლებელი. მხატვრულ ნაწარმოებებშიც „გაიპარა“ „კანონიერი ქურდების“ მიმართ სიმპატიები.

ცნობილია, რომ კრიმინალური სამყაროს სუბკულტურა რთული იერარქიული სტრუქტურისგან შედგებოდა (კანონიერი ქურდი-ს სახელი გადმობირებულმა

---

[105] ა. ტუკვაძე. პოლიტიკური ელიტა. თბ 1998 გვ 205. ციტირებულია: ედუარდ შევარდნაძე. „დამოუკიდებელი, განუყოფელი, დემოკრატიული საქართველოსათვის.“ თბ; 1995 გვ 4.

[106] თუმცა ამ კუთხით დაინტერესდა ამერიკელი და ბრიტანელი დოქტორანტები.

[107] დაწვრილებით იხ: გ. ლობჟანიძე გ. ღლონტი. კანონიერი ქურდები საქართველოში. თბ 2003 .

აგენტებმა თავის თავს უწოდეს, რაც ნიშნავდა ავტორიტეტის აღიარებას, რასაც ბანაკების ადმინისტრაცია ხელს უწყობდა და „აკანონებდა.“ [108]) და ქურდული კანონი მიუხედავათ მისი სხვადასხვა ინტერპრეტაციისა, ზოგადად ითვალისწინებდა: ქურდული იდეის ერთგულებასა და მხადაჭერას, სამართალდამცავ ორგანოებთან კონტაქტის აკრძალვას, სხვა „კანონიერ ქურდებთან“ ან ავტორიტეტებთან პატიოსან ურთიერთობას, თავის რიგებში ახალი წევრების მიმხრობას, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დროდადრო ყოფნას, კარტის თამაშის უნარს, პოლიტიკურ საქმიანობაზე და ოჯახზე უარის თქმას და სხვა.

ჯაბა იოსელიანმა 1982 წელს თბილისში ქურდების დიდ შეკრებაზე ვერ მოახერხა ქურდული სამყაროს ტრანსფორმაცია, მაგრამ ოთხი წლის შემდეგ განმეორებით შეხვედრაზე, ქართველმა ქურდებმა მისი ხელმძღვანელობით, განახორციელეს ეტაპობრივი მნიშვნელობის რეფორმა, რომელმაც განსაზღვრა კრიმინალური სამყაროს შემდგომი ტრნსფორმაცია პოსტსაბჭოთა სივრცეში. ცვლილებები ითვალისწინებდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ქურდების მონაწილეობას. საქართველოში პოლიტიკოსების და საზოგადოების კრიმინალიზაციის პროცესმა არნახული მასშტაბები მიიღო ორხელისუფლებიანობის დროს, როცა ქვეყანას „შევარდნაძე-იოსელიანი“ მართავდა.[109]შეიქმნა კრიმინალური სამყაროს ცენტრალური და რეგიონალური განშტოებები. საქართველოს უახლეს ისტორიაში დადგა მძიმე პერიოდი-დაირღვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და სამართლებრივი ნორმები ქურდულმა კანონებმა ჩაანაცვლა, მყარად დამკვიდრდა ქურდული მენტალიტეტი და პატრიარქალური ორიენტაციები, გამოირიცხა სახელმწიფოებრივი მიდგომისა და აზროვნების ელემენტები

ქურდული სამყარო მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში; მომსახურების სფეროს 40%, ენერგეტიკის 15%, სათამაშო ბიზნესის 66%, მშენებლობის 40% და სხვა სფეროების 20%-ს კრიმინალური სამყარო განაგებდა.[110]

---

[108] იხ: გ. ლობჟანიძე გ. ღლონტი. კანონიერი ქურდები საქართველოში. თბ 2003 . გვ 45.

[109] ორხელისუფლებიანობოს ცნებით „შევარდნაძე-იოსელიანის“ მმართველობის აღნიშვნა და, ასევე, საქართველოში გარდამავალი პერიოდის ელიტების დეფინიცია(ეთნოკრატიული შეფერილობის ეროვნული, ნეონომენკლატურული, კოსმოპოლიტური „პროდასავლური ელიტები) პირველად ჩვენ დავამკვიდრეთ სამეცნიერო ლიტერატურაში იხ: პოლიტიკური ელიტა. თბ 1998 გვ 188-225; Центральная Азия и Кавказ 2(44) Швеция 2006 გვ 103-112; გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები. შრომათა კრებული თბ; 2009 გვ 143; პოლიტიკური კულტურის ტიპები (შედარებითი ანალიზი) თბ; 2007 გვ 74-77 და სხვა.

[110] Кавказкий Акцент.№22. 2005.

ნაციონალების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სწორად შეაფასეს შექმნილი საფრთხე და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს ქურდულ სამყაროს: შეიმუშავეს „კანონიერი ქურდის," როგორც დამნაშავეთა ჯგუფის ხელმძღვანელის სამართლებრივი სტატუსი, მოახდინეს მათი მასობრივი დევნა, როგორც სასჯელარსრულების დაწესებულებებში, ასევე, ქვეყნის მასშტაბით. ბევრს საუბრობენ ონიანთან, შალიკიანთან და სხვა კრიმინალურ ავტორიტეტებთან ხელისუფლების თანამშრომლობაზე, მაგრამ მიუხედავათ, მათ წინააღმდეგ გამოყენებული არალეგიტიმური მეთოდებისა, წარმატებები იქნა მიღწეული: 2013 წელს განხორციელებული უპრეცედენტო ამინისტიის შედეგად ქურდული მენტელიტეტის ბევრი წარმომადგენელი გამოვიდა ციხეებიდან, მაგრამ ისინი ქვეყანაში სასურველ ამინდს ვეღარ ქმნიან, რაც საზოგადოებრივი ცნობიერება შეიცვალა.

§ 3. სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და სამართლებრივი კულტურის ელემენტები პოლიტიკურ კულტურაში.

საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური კულტურის განხილვა პოლიტიკურ სისტემასთან, მმართველობის ფორმასთან, კონსტიტუციასა და კანონის უზენაესობასთან მიმართებაში, განვითარებული სახელმწიფოების კონტექსტში რთულია, შეიძლება ითქვას ალოგიკურიცაა და მრავალ პასუხგაუცემელ კითხვას წარმოშობს, მაგრამ, ჩვენი აზრით, მაინც საჭიროა ამ პარამეტრით საქართველოს პოლიტიკური კულტურის ანალიზი, რათა უფრო კარგად გავაცნობიეროთ სამოქალაქო კულტურის დამკვიდრების გზაზე არსებული პრობლემები.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორია პირობითად შეგვიძლია სამ ნაწილად დავყოთ: სრული დამოუკიდებლობის, „ნაწილობრივი", „ნახევრად" დამოუკიდებლობის (მასში იგულისხმება, როგორც ცალკეული ნაწილების, ასევე, სახელმწიფოებრიობის შეზღუდვა გარეშე ძალის მიერ, რომელიც ხასიათდებოდა სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლით), დამოუკიდებლობის დაკარგვის (სხვის სახელმწიფოში ცხოვრება) პერიოდებათ, სადაც უკანასკნელი, რუსეთის და საბჭოთა იმპერიაში ყოფნას გულისხმობს, რომელსაც თან ახლდა რადიკალური და შედარებით ზომიერი დაპირისპირება ცენტრალურ ხელისუფლებასთან. ბუნებრივია, სახელმწიფოებრიობის განცდის პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურა განსხვავებულია ზემოთ დასახელებულ ეპოქებში; განსაკუთრებული ზიანი სახელმწიფოებრივ აზროვნებას საბჭოთა ტოტალიტარიზმმა მიაყენა: ჩვენი აზრით, ამის შედეგია ის, რომ 80 წლის წინათ, 1921 წელს უფრო დაბალანსებული და დემოკრატიული კონსტიტუცია მივიღეთ, ვიდრე 1995 და 2004 წლებში.

კონსტიტუციის სიმყარეზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობის ფორმირება; განხორციელდა 30-მდე საკონსტიტუციო ცვლილება საპრეზიდენტო და აღმასრულებელი შტოს გაძლიერების მიმართულებით: მოკლე ისტორიულ მონაკვეთში საკონსტიტუციო ცვლილებების ინტენსივობის მიხედვით საქართველოს ანალოგი ძნელად მოეძებნება მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში. მაგალითად, დანიის (1953 წლის)[111], იაპონიის (1946 წლის)[112] ქუვეითის (1962 წლის)[113] და სხვა ქვეყნების მოქმედ კონსტიტუციებში დღემდე არც ერთი ცვლილება არ განხორციელებულა და ეს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მაღალ სამართლებრივ კულტურას და კანონის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრებას ამ ხალხებში. საქართველოში, 1995 წლის საპრეზიდენტო მმართველობაზე გათვლილი კონსტიტუციის მიღების შემდეგ, 2004 წელს ნახევრად საპრეზიდენტო მოდელზე გადავედით, ხოლო ბოლო წლებში განხორციელებული ცვლილებებით საპარლამენტო მმართველობის ფორმა ვარჩიეთ.

პოსტსოციალისტური რესპუბლიკების მოკლე კონსტიტუციონალიზმის ისტორია შემდეგ სურათს იძლევა: სომხეთის 1995 წლის მოქმედ კონსტიტუციაში ერთი,[114]აზერბაიჯანის (1995 წლის) კონსტიტუციაში სამი,[115]ბელარუსის (1994 წლის)[116] და ლიტვის[117] კონსტიტუციებში ორ-ორი ცვლილებაა შეტანილი.

მმართველობის მისაღები ფორმის პერმანენტულმა ძიებამ, სამართლის პოლიტიკისადმი დაქვემდებარება-პოლიტიზაციამ, არნახული გასაქანი მიიღო, რომელიც სერიოზულ ნეგატიურ გავლენას ახდენს კანონის უზენაესობის სამართლებრივი კულტურის და, საერთოდ, არსებული პოლიტიკური სისტემის მიმართ ნაკლები ლოიალობის ორიენტაციების ფორმირებაში.[118]

ინსტიტუტების ლეგიტიმურობა კითხვის ქვეშ დააყენა ზ.გამსახურდიას ძალადობრივმა დამხობამ, არჩევნების გაყალბების პრაქტიკამ, 2008 წლის ომში განცდილმა მარცხმა. ყოველივემ, ტოტალური პრივატიზაციისა და ელიტური კორუფციის ფონზე, კიდევ უფრო გააძლიერა არშემდგარი სახელმწიფოს

---

[111] საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწ. 1. თბ; 2008 გვ 156.
[112] საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწ. 1. თბ; 2008 გვ 197.
[113] საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწ. 1. თბ; 2008 გვ 507.
[114] საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწ. 1. თბ; 2008 გვ 628.
[115] საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწ. 2. თბ; 2008 გვ 762.
[116] საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწ. 2. თბ; 2008 გვ 449.
[117] საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწ. 2. თბ; 2008 გვ 209.
[118] Туквадзе А. Особенности современной политической и правовой культури Грузии იხ: „გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები.“ შრომათა კრებული თბ; 2009 გვ 142.

მახასიათებლები და დააზარალა სახელმწიფოებრიობით სიამაყის გრძნობა. ძალადობისკენ მიდრეკილება სახელმწიფო გადატრიალებამ, სამოქალაქო ომმა, პოლიტიკის კრიმინალიზაციამ და გარკვეული აზრით 2003 წლის ნოემბერში განვითარებულმა რევოლუციურმა პროცესებმა განაპირობა: იარაღის ძალით ხელისუფლების მოპოვების შესაძლებლობის სინდრომი ქართული პილიტიკური კულტურის ორგანული ნაწილი გახდა, რომლის დაძლევის გზაზე გიგანტური ნაბიჯები გადაიდგა 2012 წლის ოქტომბრის და შემდგომი პერიოდების საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მშვიდ, კონკურენტუნარიან გარემოში ჩატარებით და ხელისუფლების დემოკრატიული მონაცვლეობის გზით. ტენდენციის თვალსაზრისით,[119] სწორად მიუთითა გ.მარგველაშვილმა „ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებით ხელისუფლების ცვლილებების პრეცედენტის შექმნით ჩვენ შევძელით სახელმწიფოებრივი განვითარების სრულიად ახალ საფეხურზე გადასვლა. დასრულდა პოსტსაბჭოთა პერიოდი და დაიწყო თანამედროვე ტიპის დემოკრატიის მშენებლობა, რითაც ახალი, ევროპული ტიპის პოლიტიკურ კულტურას დავუდეთ საფუძველი.“[120] მართლაც, გარდამავალი პერიოდის საქართველოში პოლიტიკური ინსტიტუტების და ლიდერების ლეგიტიმაცია ეჭვს ქვეშ დააყენა არჩევნების გაყალბების ტრადიციამ და უფრო მეტიც, გამყალბებლების პრივილეგირებული ჯგუფის სახელმწიფოებრივმა პოზიციებმა: ე.შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ჩამოყალიბდა „ქართული დემოკრატიის“ და „პოლიტიკური თამაშის წესების“ სპეციფიკური ფორმა; სიტყვის, პრესის, მაუწყებლობის წრეგადასული თავისუფლება, „უსარგებლო პლურალიზმი“[121] ტოტალური კორუფცია, გაყალბებული არჩევნების „ქართული ტექნოლოგიები“ და მათი გამომგონებლების პრივილეგირებული მდგომარეობა. პრეზიდენტის საქმიანობა უფრო მეტად წააგავდა წარმატებული საგარეო საქმეთა მინისტრის მოღვაწეობას, რომელსაც მეტი მხარდამჭერი ქვეყნის გარეთ ყავდა, ვიდრე შიგნით.[122] „მოქალაქეთა კავშირის“ წიაღში აღმოცენებულმა ახალგაზრდა „დემოკრატთა“ ჯგუფმა, კარგად აითვისა არჩევნების გაყალბების მეთოდები, სრული კონტროლი დაამყარა მასმედიის საშუალებებზე, ფართოდ გამოიყენა დემოკრატიული რიტორიკა, მაგრამ არ ეყო ინტელექტუალური პოტენციალი საკუთარ ხალხთან

---

[119] ჰანტინგტონს მიაჩნდა, რომ ძალაუფლების მშვიდობიანი მონაცვლეობა ორჯერ უნდა მოხდეს, რათა დავრწმუნდეთ, რომ ყველა პარტია იცავს დემოკრატიულ წესებს, ამდენად, საქართველოში დემოკრატიას ჯერ არ ჩაუბარებია ჰანტინგტონის „ორი ცვლილების ტესტი.“

[120] გაზ „ახალი თაობა“ 2013 წლის 18 ნოემბერი.

[121] ტერმინი აღებულია იხ: სტივენ ფ. ჯონსი. დემოკრატია საქართველოში. http.//www. cicerofoundation.org / legtures/ Stephen Jones Georgia.pdf

[122] ა. ტუკვაძე რ. ტუკვაძე. პოლიტიკური კულტურის ტიპები (შედარებითი ანალიზი) თბ; 2007 გვ 76-77.

დიალოგის დასაწყებად და საერთაშორისო ასპარეზზეც გაიტანა აგრესიული რიტორიკა, სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა რუსეთთან ურთიერთობაში და 2008 წლის ომის ინიციატორადაც მოგვევლინა. შედეგად დაკარგული ტერიტორიები, არშემდგარი სახელმწიფოს მახასიათებლების ზრდა[123] და რაც მთავარია, ქვეყნის დამოუკიდებლობის გასაღები მთლიანად გარეთ გაიტანა და საერთაშორისო ორგანიზაციების, ნატოს, ევროკავშირის, აშშ-ის ძალისხმევაზე გახდა დამოკიდებული. „ ლაპარაკია ქართველი პოლიტიკოსების სტრატეგიულ ხაზზე ააშენონ ნაციონალური სახელმწიფო გლობალისტურ საერთაშორისო ორგანიზაციებზე დაყრდნობით, რომ ნატო შექმნის ქართულ არმიას, სავალუტო ფონდი განამტკიცებს ლარს, სანავთობო კომპანიები ქართულ ეკონომიკას, ეუთო მოაგვარებს აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემებს, ხოლო ჰააგის სასამართლო აღმოფხვრავს უსამართლობას საქართველოში.“[124] ნიკო ნიკოლაძე წერდა: ჯერ არსად, არც ერთ ქვეყანაში, მაგალითი არ უნახავს კაცს, რომ რომელიმე ხალხი ან საზოგადოება ამაღლებულიყოს სხვისი დახმარებით, თუ არა საკუთარი შრომით.

საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა ილია მეორემ სწორად შეაფასა ვითარება და სააღდგომო ეპისტოლეში მიუთითა: „სახელმწიფო უნდა განვითარდეს და მისი იდეოლოგიის განმსაზღვრელი უნდა იყოს არა გარე გეოპოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვნული ინტერესები. ამ ინტერესებს უმნიშვნელოვანესად უნდა მიიჩნევდეს როგორც ხელისუფლება, ისე პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მასმედია. იგივე ითქმის ჩვენს მოქალაქეებზეც. ჩვენ ჩვენი მეობა უნდა დავიცვათ, რათა არ ვიქცეთ სხვათა მიზნების განხორციელებისათვის ბრმა იარაღად. ეს ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების გარანტიაა.“[125]

ილია ჭავჭავაძე მიუთითებდა ქართული ხასიათის მანკიერ მხარეზე, რომელიც „უცხოს ბაძში,“ სხვის მოიმედობაში გამოიხატებოდა და, ამიტომაც, დიდი ენერგია და დრო შეალია „საკუთარი თავის მოიმედოობის“ ლიბერალური კონცეფციის შექმნას.[126] რაოდენ პარადოქსიც არ უნდა იყოს ერთიანი საქართველოს მეფეები უფრო ავლენდნენ სახელმწიფობრივი აზროვნების კულტურას, ვიდრე გარდამავალი პერიოდის ლიდერები: დავით აღმაშენებელმა შუა საუკუნეებში, სადაც წოდებრივი იერარქია განმსაზღვრელ როლს თამაშობდა, თანამდებობებზე დანიშვნის პროცესში,

---

[123] ა. ტუკვაძე. ხელისუფლების ლეგიტიმურობის პრობლემა პოლიტიკურ თეორიაში იხ: საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“№2. 2008 გვ 58.

[124] მ. ბიჭაშვილი. ლექციები პოლიტიკური ძალის თეორიაში. თბ; გვ 113.

[125] სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია 2-ის სააღდგომო ეპისტოლე. გაზ „კვირის პალიტრა’ 2009 წლის 20-26 აპრილი.

[126] ო. გოგიაშვილი. ილია დღეს. თბ; 2008 გვ 176–188.

მოახერხა ნიჭისა და უნარის მიხედვით ადამიანების დაწინაურება, შექმნა ძლიერი, გაწვრთნილი ჯარი, განათლებაზე და ცოდნაზე დაფუძნებული სამოხელეო აპარატი და უმაგალითო წარმატებებს მიაღწია სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე.

გარდამავალ პერიოდში მოიშალა რა ელიტების რეკრუტირების გილდიური, მანკიერი სისტემა, ახალი არ შექმნილა და ამ ფონზე, კადრების შერჩევის კრიტერიუმებად იქცა პარტიულობა (შევარდნაძის და სააკაშვილის ხელისუფლებაში), რევოლუციური წარსული (გამსახურდიას ხელისუფლებაში). განმსაზღვრელი გახდა კუთხურობა, ნათესაობა, მეგობრობა, კლანურობა, ხოლო კონკურსებმა, შერჩევის სხვა მეთოდებმა ფორმალური ხასიათი მიიღო. სამწუხაროდ გარდამავალი პერიოდის ვერც ერთი ლიდერი ვერ ამაღლდა ნათესაურ-გვაროვნულ პრინციპზე მაღლა, რამაც ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებთან ერთად, კიდევ უფრო დაცა პოლიტიკური ინტიტუტებისადმი ნდობის ხარისხი, რომელზედაც მეტყველებს სტუდენტებში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის მასალები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტების მონაწილეობით საქართველოს ექვს უმაღლეს სასწავლებელში 2010, 2011, 2012, 2013 წლებში (წელიწადში ორჯერ, ერთი და იგივე ანკეტით, პირველი და მეორე სემესტრების ბოლოს, თითო ჯერზე გამოიკითხა ექვსივე უნივერსიტეტში 600 სტუდენტი) ჩატარდა სოციოლოგიური კვლევა, სტუდენტების პოლიტიკური კულტურის დონის შესწავლის მიზნით. ანკეტაში მოცემული კითხვები ეხებოდა პოლიტიკაში ჩართულობას, პარტიებში და არასამთავრობო სექტორში მონაწილეობას, პოლიტიკური ინსტიტუტების ლეგიტიმურობას, არჩევნების გზით ხელისუფლების მშვიდობიანი მონაცვლეობის პერსპექტივას, დემოკრატიის მუშაობით კმაყოფილებას, „პოლიტიკური თამაშის წესებს“ და სხვა პრობლემებს.

კვლევა მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, სტუდენტი ახალგაზრდობის პოლიტიკური კულტურის დონის შესწავლას, მეორე მხრივ, დინამიკაში პოლიტიკური ორიენტაციების ცვალებადობის გარკვევას.

შედეგებმა გვიჩვენა, რომ სტუდენტი ახალგაზრდობის პოლიტიკური კულტურა, საზოგადოების სხვა სოციალური ჯგუფებისაგან განსხვავებით შედარებით სწრაფად იცვლება: პოლიტიკური და კულტურული პრიორიტეტების განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლს ირაციონალური ელემენტები თამაშობენ; ასევე, დიდია იმ სტუდენტების რაოდენობა, რომელთაც უჭირთ პასუხის გაცემა ცოდნაზე ორიენტირებულ კითხვაზე (მაგ; რას ნიშნავს „პოლიტიკური თამაშის წესები“) რაც

მიუთითებს იმაზე, რომ მიმდინარეობს ფასეულობების ჩამოყალიბების და ცოდნის შეძენის პროცესი.

ამჯერათ, ჩვენ შევეხებით, 2011 და 2013 წლების კვლევის შედეგებს პოლიტიკურ ინსტიტუტებთან მიმართებაში:

კითხვაზე-რამდენად ხშირად იჩენთ პოლიტიკისადმი ინტერესს? სტუდენტების 51%-ი იშვიათად ავლენს ინტერესს პოლიტიკისადმი და მათი რაოდენობა უმნიშვნელოდ შეიცვალა არჩევნების შემდეგ 49%-ი.

კითხვაზე: კმაყოფილი ხართ დემოკრატიის მუშაობით? პასუხები ასე გადანაწილდა: 2011 წელს--საერთო რაოდენობიდან 30,5%-ი გამოთქვამდა კმაყოფილების გრძნობას, 61% უკმაყოფილო იყო, ხოლო დანარჩენს უჭირდა პოზიციის დაფიქსირება. 2013 წელს დემოკრატიის მუშაობით კმაყოფილი იყო 43,3%-ი, ნაწილობრივ კმაყოფილი 10,4%-ი, არ მაკმაყოფილებს-41%-ი, დანარჩენს-უჭირს პასუხის გაცემა. გაცემული პასუხების ანალიზიდან ჩანს, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა დემოკრატიის მუშაობით კმაყოფილება, რაც მშვიდობიანი გზით ხელისუფლების მონაცვლეობის პრეცედენტმა განაპირობა და მასში, გარკვეული აზრით, დიდია მიღწეული წარმატების ფონზე, "ეიფორიული ელემენტების" როლი (ამ მაჩვენებლებით ვასწრებთ ევროკავშირის ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებს, რაც ალოგიკურია), ასევე, შესაძლოა, "მოსმენების შიშის სინდრომის" ან ჩამოუყალიბებელი პოზიციის შედეგია იმ სტუდენტთა რაოდენობის შემცირება ვისაც უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა. მხოლოდ ილიას უნივერსიტეტის სტუდენტების პოლიტიკური ორიენტაციებია ამოვარდნილი კონტექსტიდან, სადაც 2012 წლის არჩევნებამდე დემოკრატიით კმაყოფილების გრძნობა გააჩნდა 65%, რაც ორჯერ აღემატება დემოკრატიებში ჩატარებული კვლევის შედეგებს, მაგრამ, ასევე, გაიზარდა უკმაყოფილოთა რაოდენობა 2013 წელს 54,6%-ი; განსაკუთრებით შორსაა რეალობიდან კმაყოფილთა პროცენტული რაოდენობა ნაციონალების ხელისუფლების დროს; ალბათ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ უნივერსიტეტის „განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამ" (აქ მზადდებოდა და ყალბდებოდა ექზითპოლების შედეგები, მოღვაწეობდნენ ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგები, კოსმოპოლიტური ღირებულებების მატარებელი პროფესორები ან უბრალოდ, დემოკრატიის ქვეყნების მსგავსად ხელისუფლების მხარდამჭერ უნივერსიტეტად მოიაზრება) " მიბმულობამ მ.სააკაშვილის ხელისუფლებაზე."[127]

[127] ა.ტუკვაძე გ. აბესაძე. პოლიტიკური სუბკულტურების თავისებურებები საქართველოში. იხ: მესამე საერთაშორისო სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცია გორი–თბილისი 2012 გვ 284–286.

ხელისუფლების ლეგიტიმურობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა პასუხები მთავრობისა და ინსტიტუტების ნდობის კუთხით დასმულ შეკითხვებზე. კითხვაზე-რას ფიქრობთ: პოლიტიკური ინსტიტუტები ნებისმიერ პოლიტიკურ ლიდერზე მნიშვნელოვანია? 2011 წელს-სასამართლოს დამოუკიდებლობის არ ჯეროდა 77,5%, ხოლო 2013 წელს-46,7%, ხოლო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ღირებულებებისადმი რწმენა 2011 წელს-36,7% არ გააჩნდა, ხოლო 2013 ეს ციფრი 25%-მდე შემცირდა. ღირებულებებისადმი რწმენა 2011 წელს-36,7% არ გააჩნდა, ხოლო 2013 ეს ციფრი 25%-მდე შემცირდა.[128]

კითხვაზე: როგორია თქვენი ნდობა მთავრობისადმი? 2011 წელს სავარაუდო პასუხები ასე გადანაწილდა: არჩეული თანამდებობის პირების უმრავლესობა იმსახურებს ნდობას- 17,4%, ხალხის ბედი მხოლოდ არჩევნების დროს აინტერესებთ- 20%, არავითარი ნდობა არ გააჩნია, რადგანაც მათთვის სულ ერთია რას ფიქრობს ხალხი -54,6%, მიჭირს პასუხის გაცემა-7%.

2013 წელს მთავრობისადმი ნდობა 67,8%-მდე გაიზარდა, ხოლო 20% არავითარი ნდობა არ გააჩნია, ხოლო პასუხის გაცემა გაუჭირდა-12%-ს.

კითხვაზე: რას ფიქრობთ, შესაძლებელია არჩევნების გზით ცხოვრების შეცვლა? 2011 წელს სავარაუდო პასუხები ასე გადანაწილდა: სავსებით დარწმუნებული ვარ- 21,4%, ნაწილობრივ დარწმუნებული ვარ-19,8%, საერთოდ არ ვარ დარწმუნებული-56,6% , მიჭირს პასუხის გაცემა-2,2%-ი.

2013 წელს სავსებით დარწმუნებული ვარ--45%, ნაწილობრივ დარწმუნებული ვარ-52,7%, მიჭირს პასუხის გაცემა-2,3%.

ნათლად ჩანს ხელისუფლებისა და პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობის გაზრდის ტენდენცია 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შემდეგ, თუმცა, ეს მაჩვენებლები გაცილებით მეტი იყო 2012 წლის ოქტომბერში, ხოლო შემდგომ პერიოდში, კერძოდ მითითებული კვლევა 2013 წლის დეკემბერშია ჩატარებული, ახალი ხელისუფლების მიმართ „ეიფორიულმა დამოკიდებულებამ“ იკლო და რეიტინგიც შემცირდა.

---

[128] 2007 წელს სპორტის აკადემიის სტუდენტებში ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვამ ანკეტირების მეთოდით სავალალო შედეგი გვიჩვენა: ხელისუფლების რომელ შტოს ენდობით უფრო მეტად? აღმასრულებელ ხელისუფლებას-5%, საკანონმდებლო ხელისუფლებას-8%, სასამართლო ხელისუფლებას-3%, არც ერთს-80%, მიჭირს პასუხის გაცემა-4% (ციფრები 0,3-05% ის ფარგლებში დამრგვალებულია) Туквадзе А. Особенности современной политической и правовой культури Грузии იხ: „გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები.“ შრომათა კრებული თბ; 2009 გვ 141.

სახელმწიფოებრივი აზროვნების, კულტურის ჩამოყალიბების, პოლიტიკური ინსტიტუტების, ხელისუფლების ლეგიტიმურობის, კანონის უზენაესობის და სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბება-განვითარების გზაზე ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი: „კოალიცია ქართული ოცნები“–ს წინასაარჩევნო დაპირებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი სამართლიანობის აღდგენას, რაც ხელს შეუწყობს სამართლებრივი და სახელმწიფოებრივი აზროვნების განმტკიცებას მოქალაქეების ცნობიერებაში. სამართლიანობის აღდგენის გზაზე არსებობს ობიექტური და სუბიექტური ხასიათის სიძნელეები: პირველ რიგში ესაა საკადრო პრობლემები. სააკაშვილის ხელისუფლების დროს საგამომძიებლო საქმიანობამ დაკარგა ყოველგვარი აზრი, რადგანაც დასაბუთებული ბრალდება სრულიადაც არ იყო საჭირო, ყველაფერს პოლიტიკური ხელისუფლება წყვეტდა, ასევე, დეკვალიფიკაცია განიცადა ისედაც სუსტმა მოსამართლეთა კორპუსმა, რომლებსაც სასჯელის ზომას პროკურატურა კარნახობდა. ამიტომ, საგამომძიებლო საქმიანობის წარმართვა არაპროფესიული იურისტების პირობებში კითხვის ნიშნებს აღძრავს. ამას ემატება ნაციონალური ხელისუფლების მყარი „საზღვარგარეთული ფესვები,“ რომლებიც ბევრ შემთხვევაში სრულებითაც არ არის უანგარო. ყოველივე აფერხებს სამართლებრივი პროცედურების გზით ხალხის მიერ შეკვეთილი სამართლის მიღწევის პერსპექტივას. წართმეული ბიზნესის, ღირსების, სამსახურების, უსამართლოდ დაპატიმრებულების, მოკლული შვილის მშობლების და სხვა მოქალაქეების დიდი ნაწილი ირაციონალური ქმედებებით, სასამართლოს გვერდის ავლით ცდილობს ანგარიში ქუჩაში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე გაუსწოროს წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს. ერთი მხრივ, მათი ქმედება ადვილი ასახსნელია, რადგანაც დიდია უკმაყოფილების მუხტი საზოგადოებაში და „დაგვიანებული და უშედეგო“ სასამართლო პროცესები მათში უიმედობისა და ნიჰილისტური ორიენტაციებს აძლიერებს, მაგრამ, მეორე მხრივ, დესტრუქციული გზით, სამართლებრივი პროცედურების გვერდის ავლით, ემოციებზე დამყარებული ქმედებები, მნიშვნელოვნად აფერხებს სამართლებრივი და სახელმწიფოებრივი აზროვნების კულტურის ჩამოყალიბებას და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებისა და მთავრობის მიმართ ნდობას.

§ 4. ქარიზმული ლიდერის რწმენის ისტორიული და თანამედროვე ტრადიციები პოლიტიკურ კულტურაში.

რაოდენობრივად მცირე და სოციალ-ეკონომიკურად ჩამორჩენილი ან დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხებისთვის „ერის მხნელი,“ „მამულის გადამრჩენი,“ „დამოუკიდებლობის მომპოვებელი,“ „ქვეყნის გამამთლიანებელი,“

„ამღორძინებელი," ლიდერების პერმანენტული ძიება, საქართველოს მსგავსად, ბუნებრივი მოთხოვნილებაა. საზოგადოების პოლიტიკური ორიენტაცია ერთ პიროვნებაზე (არა სამოქმედო პროგრამაზე) მიუთითებს პოლიტიკური კულტურის განვითარების დაბალ საფეხურზე, აღმოსავლური კულტური ელემენტის „სიმყარეზე" პოლიტიკურ ცნობიერებაში; ქარიზმული ლიდერის მომლოდინე ხალხის პოლიტიკური აქტივობა ახალი ლიდერის ძიებითა და ემოციური მხარდაჭერით შემოისაზღვრება.

„ქართლის ცხოვრება" მეფეთა ისტორიადაა წარმოდგენილი და ამას ქართველ მეფეთა ნაწილის ერისათვის თავდადებული ცხოვრების გარდა, დამოუკიდებლობისათვის მუდმივი ბრძოლაც განაპირობებდა. საბჭოთა ისტორიამ, სტალინის ქარიზმულმა პიროვნულმა თვისებებმა, გარკვეულწილად განამტკიცა ლიდერისა და ბელადის რწმენის ტრადიციები. ამის ანარეკლია სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა, კულტურა და ხალხის შემოქმედება, რომელშიც დიდი ბელადის გაიდეალებული პორტრეტები იყო განსახიერებული.

გარდამავალი პერიოდის საქართველოში, მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე, ქარიზმული ლიდერისადმი რწმენის ისტორიულმა ტრადიციამ სპონტანური აღორძინება და ახალი გარდასახვა ჰპოვა ზ. გამსახურდიას, ე. შევარდნაძის, მ. სააკაშვილის. ბ. ივანიშვილის პიროვნებებში.

ზვიად გამსახურდიას სახელს, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, ეროვნული დამოუკიდებლობის და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის რომანტიკულ იდეებს უკავშირებდა. იგი განსწავლული, ერუდირებული პიროვნება იყო კარგი ფიზიკური მონაცემებით. პირად ბედნიერებას, რომლის ყველა პირობა ჰქონდა (მარტო კონსტანტინე გამსახურდიას შვილობაც საკმარისი იყო), ამჯობინა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის აშკარა ბრძოლა და ამ მიზნით დისიდენტური მოძრაობის, ეროვნული იდეალებისთვის მებრძოლ რადიკალურ ფრთას ჩაუდგა სათავეში. ზ. გამსახურდიას ქვეყნის შიგნით ყველაზე მეტი ქარიზმა ჰქონდა და მხარდამჭერი ჰყავდა, ხოლო გარეთ ყველაზე ნაკლები დასახელებულ ლიდერებს შორის. იგი იყო ტიპიური ქარიზმული ლიდერი, რომელიც ვერ გარდაიქმნა ბიუროკრატიულ-რაციონალურ ლიდერად და პრეზიდენტის რანგშიც დისიდენტად, უკომპრომისო ადამიანად დარჩა. ეროვნული იდეალების, ეკონომიკური რესურსების გადაჭარბებული შეფასებებით, კომუნისტურ ნომეკლატურულ, პრივილეგირებულ ელიტასთან, ინტელიგენციასთან, ოპოზიციასთან დაპირისპირებით, სახელმწიფოს მართვის ხელოვნების

უცოდინარობით და ქრისტიანული მორალური პრინციპების ერთგულებით, მნიშვნელოვანწილად განპირობებულია მისი მარცხი პოლიტიკურ სცენაზე.

სახელმწიფო გადატრიალებამ, მძიმე კრიმინოგენურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ გააუფასურა ეროვნული დამოუკიდებლობის რომანტიკული იდეები. დამოუკიდებლობა ასოცირებული იქნა ყველა სირთულესთან, რომელიც კი შეიქმნა ქვეყნის შიგნით და გარეთ, ამიტომ, მოსახლეობის ბუნებრივ მოთხოვნილებად იქცა სტაბილურობის და ქვეყნის ამღორძინებელი გამოცდილი ლიდერის ძიება და ასეთ პიროვნებად მოგვევლინა მოსკოვში „ხელისუფლების მომლოდინე“ ედუარდ შევარდნაძე.

ე. შევარდნაძის ჩამოსვლას პოლიტიკური ძალები (მათ შორის ხუნტა) და მოსახლეობის ნაწილი ქვეყნის სტაბილურობას, საერთაშორისო მხარდაჭერას და ეკონომიკურ წინსვლას უკავშირებდა. მართლაც, დიდი მსხვერპლის ფასად მან შეძლო პოლიტიკური პროცესების სამართლებრივ ჩარჩოებში ჩასმა, მაგრამ ერთმანეთში აურია, სახელმწიფოებრივი ინტერესები და დასავლეთის ლიდერებთან პირადი ურთიერთობები, დამსახურებები საერთაშორისო არენაზე და, მაშინ წამოიწყო ავანტურისტული ომი (შევარდნაძე დამნაშავედ იოსელიანსა და კიტოვანს მიიჩნევდა), აფხაზეთთან, როცა დასავლეთის ინტერესების სფეროში ბალტიისპირეთის საკითხი იდგა. ყველაზე დიდი პოლიტიკური შეცდომა იყო დსთ-ში (ე. შევარდნაძე: ხალხი ვერ გამიგებდა) დაგვიანებული შესვლა, რომელსაც ეწინააღმდეგებოდნენ ეროვნული ძალები. იგი ბუნებამ დააჯილდოვა დიპლომატის ნიჭით, საქართველოს შეუქმნა ხელსაყრელი საგარეო პოლიტიკური გარემო სატრანზიტო ფუნქციის რეალიზაციითვის, ფლობდა ხელისუფლების შენარჩუნების საოცარ ხელოვნებას. მის დროს დამკვიდრდა არჩევნების გაყალბების ცნობილი და ახალი, ქართული ტექნოლოგიები, გაჩნდა „ცრუ ოპოზიციის“ ცნება.

ე. შევარდნაძის ნეონომენკლატურული ელიტის მმართველობის დროს ფართო გასაქანი მიეცა ტოტალურ კორუფციას, დაირღვა ტერიტორიული მთლიანობა, შეიქმნა მძიმე სოციალ-ეკონომიკური და კრიმინოგენური მდგომარეობა. ასეთ სიტუაციაში, „მოქალაქეთა კავშირის“ ყველაზე „ერთგულ“ მებრძოლებს შორის გამოიკვეთა ოპოზიციური ძალა, ქარიზმული ლიდერის მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით.

2003 წლის რევოლუციური მოვლენების შედეგად, სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, ტერიტორიული მთლიანობის ერთ საპრეზიდენტო ვადაში აღდგენის დაპირებების და კორუფციის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის

ფონზე, ხელისუფლებაში მოვიდა ქარიზმული ლიდერი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც საქართველოს ისტორიაში პირველად ჰქონდა ერთდროულად საშინაო და არნახული საგარეო მხარდაჭერა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ არა მიხეილ სააკაშვილის ქარიზმული თვისებები, „ხალხის ენაზე“ საუბრის და „ხალხის ნაწილად“ წარმოსახვის უნარი, ალბათ წყალში გადაყრილი აღმოჩნდებოდა დასავლური დაფინანსება, სოროსული არასამთავრობოების მცდელობები.

მ. სააკაშვილმა ახალ ეტაპზე აიყვანა შევარდნაძისეული ხელისუფლების შენარჩუნების ხელოვნება; გზების, საპატრულო პოლიციის ნაწილობრივ წარმატებული რეფორმით, ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებით, კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ უკომპრომოსო ბრძოლით, საყოფაცხოვრებო დონეზე კორუფციის აღმოფხვრით, ბიუჯეტის გაზრდით, შეძლო მხარდაჭერის მოპოვება და განიმტკიცა თავისი პოზიციები. მალე წარუმატებლობები დადგა საშინაო და საგარეო ასპარეზზე და მას არ აღმოაჩნდა ინტელექტუალური რესურსი მის გადასაჭრელად. დაიწყო ავტორიტარული მეთოდებითა და ძალადობის გამოყენებით ქვეყნის მართვა. ხელისუფლების პოზიციების განმტკიცების მიზნით, განსაკუთრებით 2008 წლის ომის შემდეგ, ჩართო სახელმწიფოს პროპაგანდისტური მანქანა, რომელშიც ითავსებდა მთავარი იდეოლოგის, დემაგოგის, პროპაგანდისტის, „ქვეყნის გადამრჩენის“ მესიანისტურ როლს. ამას თან ერთვოდა საზღვარგარეთის ლობისტური ჯგუფების საქმიანობის გულუხვი დაფინანსება, აშშ-ის სენატორებთან ინტენსიური თბილი ურთიერთობები და დასავლელი ლიდერების მხარდაჭერა, რომლებიც არასოდეს დაინტერესებულან რეალურად შეესწავლათ მოვლენები. ქართული პოლიტიკური არენა იქცა “უფლებებისა და თავისუფალი ბაზრის საჯარო რიტორიკულ სივრცედ და, მეორე მხრივ, კონტროლის, კორუფციისა და დაშინების საიდუმლო სფეროდ.“[129]ქვეყანაში გაძლიერდა ქვეშევრდომული, მორჩილებითი კულტურული და პოლიტიკური ორიენტაციები. საშემსრულებლო კულტურის რეჟიმში ფუნქციონირებდა პოლიტიკური იერარქიის შიგნით ურთიერთობები და ყოველივე ამის შემოქმედი იყო ავტორიტარი ლიდერი, რომელსაც გააჩნდა საოცარი ენერგია და მოუსვენარი ხასიათი.

ხელისუფლებამ მოახერხა ოპოზიციური ძალების სრული დისკრედიტაცია პოლიტიკურ სცენას ფაქტობრივად ჩამოშორდა ურეიტინგო პარტიები და მათი ლიდერები, შექმნა საკუთარი დასაყრდენი „ცრუ ოპოზიციის“ სახით, რომელიც შევარდნაძის მიერ აპრობირებული და ნაცადი ხერხი იყო ძალაუფლების

[129] სტივენ ფ. ჯონსი. დემოკრატია საქართველოში. http.//www. cicerofoundation.org / legtures/ Stephen Jones Georgia.pdf

შესანარჩუნებლად (მაგრამ ვერც ამან უშველა თავის დროზე ე. შევარდნაძეს, როცა მხარდამჭერთა შორის მთავრობის სახლთან პოზიციები გაიმაგრა „აღორძინებამ," იგივე ბედი გაიზიარა მოგვიანებით" მოსწავლემ").

ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში, მაშინ, როცა ოპოზიციურმა პარტიებმა სრული ფიასკო განიცადა და ხელისუფლებამ 2011 წლის 26 მაისს „საბოლოოდ გააჩუმა" ხალხი, ქვეყანაში დაისადგურა შიშის სინდრომმა და ხსნა არსაიდან არ ჩანდა, პოლიტიკურ სცენაზე შემოდის არაპოლიტიკოსი, ცნობილი მილიარდელი, ქველმოქმედი ადამიანი, ბიძინა ივანიშვილი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია მრავალი პროექტის განხორციელება და ზოგჯერ, „სახელმწიფოს ფუნქციის" შესრულებაც კი: მისი ფულით შევარდნაძის ხელისუფლების დროს გაიცემოდა პენსიები, აფინანსებდა და ხელფასს უხდიდა სააკაშვილის ხელისუფლების ჩინოვნიკებს, ხელოვნების, კულტურის, მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეებს, მისი სახსრებით აშენდა ან რესტავრაცია ჩაუტარდა გზებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ეკლესიებს. შორს წაგვიყვანს „არაორდინარული მილიარდერის" დამსახურებების ჩამონათვალი ერის წინაშე, მაგრამ ზემოთთქმულიც საკმარისია იმის დასასაბუთებლად, თუ რაოდენ პოპულარობით სარგებლობდა იგი ქართველთა შორის. იგი პატრიოტი, ქვეყანაზე უზომოთ შეყვარებული პიროვნებაა და ამან განაპირობა ავტორიტარული, კოსმოპოლიტური, ანტიეროვნული ხელისუფლებისადმი დაპირისპირება.

ბიძინა ივანიშვილი თვისებრივად ახალი ტიპის ლიდერია ქართულ პოლიტიკაში. თავისი უშუალობით, შეცდომების აღიარების უნარით, ადამიანური ფაქტორი შემოიტანა პოლიტიკაში: მასში მოქალაქეები ადამიანურ ღირსებებს, უშუალობას, გულწრფელობას და ჩვეულებრივ ადამიანურ განცდებს აღიქვამდნენ, რომლის დიდი დეფიციტი იყო ქართულ პოლიტიკურ სცენაზე. ლიდერებს ელექტორატი, ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამდე, კარგი ლაპარაკისა და პოპულისტური დაპირებების ფონზე ირჩევდნენ (ეს მომენტიც გაითვალისწინა მან: ამიტომაა მისი პროგრამა უცხოელი ექსპერტების შეფასებით, გარკვეული აზრით, „დაპირებების ნაკრები"). გამოავლინა საოცარი მოთმენის, სხვისი აზრის მოსმენის უნარი, პრაგმატული აზროვნება და რაციონალურ-ბიუროკრატიული, დემოკრატიული ლიდერის უნარ-ჩვევები, რომლის დეფიციტი ახასიათებდა გარდამავალი პერიოდის ყველა ლიდერს. ბ. ივანიშვილმა პოლიტიკური პროცესებიდან გამორიცხა ემოციური კომპონენტების დომინანტობა, უზარმაზარი მასის მიზანსწრაფვა კონსტიტუციურ საზღვრებში მოაქცია და გამოავლინა „უკმაყოფილო მასის" პრაგმატული და მიზანმიმართული მართვის ხელოვნება. დაუბრუნა ხალხს ღირსების გრძნობა, მომავლის რწმენა,

გაუღვივა მოქალაქეობის განცდა და დაარწმუნა არჩევნებში მონაწილეობის გზით ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლის შესაძლებლობაში; სწორად შეარჩია იდეოლოგიური ორიენტირები, დროზე გაემიჯნა წინა ხელისუფლების სატელიტ პარტიებს. არ აყვა ხელისუფლების სურვილს ჩაეთრია რადიკალურ დაპირისპირებაში. მისმა ავტორიტეტმა მოახდინა ურეიტინგო პარტიების რეანიმაცია. მხოლოდ მის სახელს, პოლიტიკურ ალღოს, გათვლებს უკავშირდება ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლა და დემოკრატიული გარემოს შექმნა მედია სივრცეში. დასავლელი ანალიტიკოსების აზრით ფული ივანიშვილს არჩევნებს ვერ მოაგებინებდა, რადგანაც ნაციონალები სახელმწიფო თანხებსაც ხარჯავდნენ ამ მიზნით და თვითონაც დიდ კაპიტალს ფლობდნენ. არაორდინარული იყო მისი საქციელი, როგორც ლიდერის, ხელისუფლებიდან ნებაყოფლობით წასვლა, რომლის პირობაც მან არჩევნებამდე დადო.

მთლიანად პროგნოზირებადი არაა კოალიციის ბედი. ბ. ივანიშვილის გარშემო ნამდვილად არ იყო გაერთიანებული „ანგელოზების კაპელა“ და მის რიგებში ბევრია „დემოკრატები გარემოებების მიხედვით,“ რომლებიც ნებისმიერ ხელისუფლებასთან ითანამშრომლებენ. ამიტომ, პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ბ. ივანიშვილმა აღნიშნა: „მე ვისურვებდი, რომ ჩვენი პარტია ნამდვილად იყოს იდეოლოგიითა და ღირებულებებით შეკავშირებული ადამიანთა ერთობა.“[130] შესაძლოა მისი დაშლა უკეთ წაადგეს დემოკრატიას. ისიც ცხადია, რომ საკადრო პრობლემები სახეზეა და ელიტის რეკრუტირება სხვა ძალებიდანაც უნდა მოხდეს. სხვანაირად თავს ვერ დავაღწევთ ერთპარტიული პარლამენტის და ხელისუფლების დახურულ წრეს, რომელიც პოლიტიკური პლურალიზმის მთავარი გამოწვევაა გარდამავალი პერიოდის საქართველოში.

ამრიგად, გარდამავალი პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ კულტურაში ქარიზმული ლიდერის ძიების პოლიტიკური ორიენტაციის ელემენტები კვლავ წამყვან როლს თამაშობენ; ხალხი ქვეყნის წარუმატებლობებს სოციალ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში ქარიზმული ტიპის ლიდერებს და ხელისუფლებას უკავშირებს; ძალიან მცირე რაოდენობა ადამიანებისა თუ თვლის, რომ ამის მიზეზი თვით ხალხში, მის პოლიტიკურ კულტურაშია, რომ ხელისუფლების პოლიტიკური პასუხისმგებლობა დამოკიდებულია მმართველ პოლიტიკურ ძალაზე კონტროლის, ზეწოლის, მხარდაჭერის ლეგიტიმურ მექანიზმებზე; ერთ პიროვნებასთან, ჩვენს შემთხვევაში პრეზიდენტთან, პრემიერთან, ყველა საჭირბოროტო პრობლემის დაკავშირება, „საყოველთაო უმოქმედობის“ პოლიტიკური ქცევის პირობებში,

[130] გაზ: „ახალი თაობა“ 2013 წლის 25 ნოემბერი.

ყოველთვის იმედგაცრუებითა და ახალი ლიდერის პერმანენტული ძიებით მთავრდება.

§ 5. ხელისუფლებისა და ოპოზიციის თანაარსებობის კულტურა--პლურალისტული დემოკრატიის პრობლემები თანამედროვე საქართველოში.

„იმ შემთხვევაში , თუ არა ელიტას არ გააჩნია სახელმწიფო ელიტაზე კონტროლის რაიმე ფორმა, ძნელია პოლიტიკურ სისტემას დემოკრატია დაერქვას.“[131]ამ მარტივი ჭეშმარიტების გამეორება იმან განაპირობა, რომ ყველაზე მეტად მისი დაცვა ჭირს პოსტსაბჭოთა სივრცის ტრანზიტულ სისტემებში და მათ შორის საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში: კოალიცია „ქართული ოცნების“ წინაშე ყველაზე დიდი გამოწვევა დგას-უნდა შეიცვალოს ერთპარტიული მმართველობის კულტურა და ქვეყანაში დამყარდეს პლურალისტული დემოკრატიის პრინციპები. სხვა შემთხვევაში ერთი პოლიტიკური ძალის დიქტატის მოჯადოებულ წრეზე გავაგრძელებთ ტრადიციად დამკვიდრებულ ავტორიტარულ პოლიტიკას.

პოლიტიკური ოპოზიცია, რომელიც პარტიების და სხვა ინსტიტუტების მეშვეობით ხელისუფლების პოლიტიკით უკმაყოფილო ხალხის ორგანიზებას ახდენს და მათი ქმედებებს ლეგიტიმაციას ძენს, დემოკრატიული სისტემის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. პოლიტიკური კულტურის განვითარების დონე განსაზღვრავს ოპოზიციისადმი დამოკიდებულების ორიენტაციებს საზოგადოებაში: იქ სადაც ძლიერია პოლიტიკური ინსტიტუტები და მდგრადია (არ იგულისხმება ტოტალიტარულ-ავტორიტარული რეჟიმები) ოპოზიციური პარტიები და ინსტიტუტები სახელმწიფოს მიერ სამართლებრივად, კონსტიტუციურად და ეკონომიურად მხარდაჭერილი და ლეგიტიმურია, ხოლო გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც ინსტიტუტები სუსტია, ინსტიტუციური წესრიგი არც სამართლებრივი ნორმებითაა განმტკიცებული და ხშირად ოპოზიციური პარტიები და მასთან ასოცირებული მოქალაქეები პოლიტიკური ტერორის მსხვერპლიც კი ხდება.

ინსტიტუციურად გაფორმებული ოპოზიცია დემოკრატიებში უზრუნველყოფს დემოკრატიის სტაბილურობას, რადგანაც გააჩნია მასზე ზემოქმედების დემოკრატიული ბერკეტები და კულტურა. იშვიათ შემთხვევაში, უფრო მეტად მრავალპარტიულ დემოკრატიებში და არა ორპარტიულ სისტემაში, ოპოზიცია შეიძლება გახდეს დესტაბილიზაციის ფაქტორი. გარდამავალ სისტემებში, ავტორიტარული მმართველობის ფონზე, როცა ყოველმხრივ შეზღუდულია

[131] სამოქალაქო კულტურა და დემოკრატიის სტაბილურობა იხ: ჟ „სოლიდარობა“ №2(29) 2009 გვ 39.

მოქმედების არეალი, პოლიტიკური ოპოზიცია მკვეთრი დაპირისპირებით, რევოლუციებით და ძალადობრივი მეთოდებით ცდილობს ხელისუფლებაში მოსვლას და დესტრუქტიულ აქტორად გვევლინება პოლიტიკურ პროცესში.

პოლიტიკურ ძალებს და პარტიებს შორის ურთიერთობების და „პოლიტიკური თამაშის წესების“ დინამიკის, „პოლიტიკური პლურალიზმის“ გამოვლინების თავისებურების ანალიზი უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში, ოპტიმისტური დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევა და მიუთითებს „ქართული დემოკრატიის“ მანკიერ სპეციფიკაზე:

ა). „პოლიტიკური თამაშის წესები“[132] დადგენილი ნორმები ითვალისწინებს პოლიტიკურ ძალებს შორის შეთანხმებას, კონსენსუსს დემოკრატიის საბაზისო ღირებულებების ირგვლივ. იგი დროთა განმავლობაში ყალიბდება, ფუნქციონირებს კონსტიტუციური ნორმებით დასაშვებ ფარგლებში, პოლიტიკური, რელიგიური, ეთნიკური, კულტურული პლურალიზმის პირობებში და არ ეწინააღმდეგება საერთო ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს, რომლის უზენაესობა გაცნობიერებული აქვს პოლიტიკური პროცესის თვითთოეულ აქტორს: „პოლიტიკური თამაშის წესები“ ასევე, ემყარება კონკრეტულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ დაუწერელ მორალურ და ზნეობრივ ნორმებს. თამაშის წესები საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს საარჩევნო პროცესში ჩართულ აქტიურ და პასიურ მონაწილეებს, ქვეყნის უსაფრთხოებას.

„პოლიტიკური თამაშის“ კულტურამ საქართველოში სერიოზული კვალი დაამჩნია პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციის პროცესს და შეაფერხა დამოუკიდებელი, დემოკრატიული ინსტიტუტები ჩამოყალიბება. ხელისუფლებაში ყოფნა ან ახლოს დგომა ყოველთვის გადამწყვეტი ფაქტორი იყო კეთილდღეობის მოსაპოვებლად. ამიტომ, მმართველი ელიტა ყველა მეთოდით ცდილობდა განემტკიცებინა ხელისუფლებრივი პოზიციები, ესარგებლა მასობრივი პრივატიზაციის დახურული კამპანიით, ხოლო ოპოზიციური ელიტა, ასევე, ძალადობით აპირებდა სახელმწიფო გადატრიალებას, რომელიც ორჯერ მოახერხა კიდეც. ამიტომ, არჩევნების პროცესში იყენებდნენ ყველა ხერხს დაწყებული სახელმწიფო სახსრების არა მიზნობრივი ხარჯვიდან, დამთავრებული არაქართული მოსახლეობის ინტერესების საშიში მანიპულაციებით. მაგალითად, ზვიად გამსახურდიას ელიტას ახასიათებდა

[132] ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევებში ყველაზე ნაკლები ცოდნა სტუდენტებს შორის დაფიქსირდა კითხვაზე პასუხისას- რას ნიშნავს „პოლიტიკური თამაშის წესები“, დაახლოებით 34%-ი იყო: მიჭირს პასუხის გაცემა, მხოლოდ მცირე რაოდენობამ-21% გასცა სწორი პასუხი: არჩევნების დროს მორალური და ზნეობრივი ნორმების დაცვას.

ეროვნულ ღირებულებებზე, ფასეულობებზე ხშირი აპელირება, რადგანაც ის ეროვნული მოძრაობიდან იყო მოსული და ქართული სახელმწიფოს იდეა მისთვის უპირველესი ფასეულობა იყო. ეს მის ხელისუფლებას გარკვეული აზრით, საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე სხვა ხალხების თვალში „ეთნოპოლიტიკურ შეფერილობას“ ძენდა, მაგრამ არ არსებობს არც ერთი დოკუმენტი, ოფიციალური გამოსვლა, სადაც იგი სომხების, რუსების აზერბაიჯანელების და სხვა ხალხების დისკრიმინაციას ისახავდა მიზნად, თუმცა, არათანმიმდევრული ეროვნული პოლიტიკის გატარება დაძაბულობას ქმნიდა სამაჩაბლოში, აფხაზეთში და სხვა რეგიონებში. მაშინდელმა ოპოზიციამ, რომელიც „მრგვალი მაგიდა დამოუკიდებელი საქართველოს“ წიაღიდან აღმოცენდა, პრივილეგირებულ კომუნისტურ ინტელიგენციასთან ერთად, რომელშიც ეროვნული მოძრაობის ზომიერი ფრთაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა, ხელისუფლებას შეუქმნა „არაქართველების მოძულე“-ს იმიჯი და მმართველ ძალას დაუპირისპირა. ფაქტობრივად ხელისუფლების დამხობით, არა მარტო ძალაზე ორინტირებულ ქმედებებს დაუდეს საფუძველი, არამედ ქვეყნის ტერიტორიული რღვევის პროცესიც დაიწყო, რომელიც რუსეთის ყოველმხრივი დახმარების ფონზე აგრესიულ სეპარატიზმში გადაიზარდა. ეს სამწუხარო მაგალითია თუ რა შედეგი მოაქვს, „პოლიტიკური თამაშის წესების“ დარღვევას რადიკალური ოპოზიციის მხრიდან.

გამსახურდიას ხელისუფლების შემდეგ ქართული პოლიტიკური სცენის სრული მონოპოლიზაციის პროცესი იწყება „მოქალაქეთა კავშირის“ მმართველობისას და წარმატებით მთავრდება ნაციონალების მიერ, რომლებიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ საყოველთაო შიშის დანერგვის გზაზე არა ლოიალური პოლიტიკური ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში: ამის „დოკუმენტური დადასტურებაა“ ციხის კადრები, ბიზნესის დატერორება, მრავალრიცხოვანი სასამართლო პროცესები, (რომელშიც პროცენტულად უფრო ნაკლები ადამიანების მიმართ დადგა გამამართლებელი განაჩენი, ვიდრე საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს), პოლიტიკური პატიმრების რაოდენობა. გარდა, უხეში ძალისა ხელისუფლებამ გადაწყვიტა გამოეყენებინა „რბილი ძალა“ უკმაყოფილოების ნეიტრალიზების პროცესში, რათა შეექმნა „წარმატებული დემოკრატიული ქვეყნის“ შთაბეჭდილება, ხელისუფლებაში ხანგრძლივი ყოფნის აუცილებლობის ილუზორული გარემო. ამ მიზნით დაიწყო სინგაპურული მოდელის ტიპის დემოკრატიაზე აპელირება, რომლის დროსაც ერთი პარტიის ხანგრძლივმა მმართველობამ საყოველთაო კეთილდღეობა მოუტანა მოქალაქეებს. ასევე, გაჩაღდა პიარ კამპანია, ნაციონალებისა და მისი ავტორიტარი, გაუწონასწორებელი ლიდერის მესიანისტური როლის შესახებ ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში და,

ამ მიზნით, მისი მმართველობაში დატოვების აუცილებლობის პროპაგანდა, პრემიერ მინისტრის რანგში. მაგალითად, ერთ-ერთ სიუჟეტში, „კანონმორჩილი პრეზიდენტი“ (მაშინ ახალი შემოღებული იყო დამცავი ქამრების გამოყენების სავალდებულობა ავტომობილებში, რომელსაც პრეზიდენტი იცავს მხოლოდ „განმეორებითი ჩვენების“ დროს, საღამოს კურიერში) თელავიდან თბილისისკენ მოემართება პიკაპის ტიპის მანქანით და გზაზე მდგარი ცოლ-ქმარი, რომლებსაც თბილისში გასაყიდლათ მოჰქონდათ ყურძენი, წამოიყვანა. პრეზიდენტს „შემთხვევითი მგზავრები“ ესაუბრებიან და აღფრთოვანებას ვერ მალავენ ნაციონალების მიერ მიღწეული წარმატებებით, მაგრამ მ. სააკაშვილი მათ ახსენებს აღმაშენებლის ეპოქას (ტყუილად არ ღებულობდა კურთხევას პატრიარქისაგან საქართველოს მეფეების მსგავსად, აღმაშენებლის საფლავზე გელათში ინაუგურაციით გათვალისწინებული პროტოკოლის ფარგლებში) და უმტკიცებს, რომ მეფეს 25 წელი დასჭირდა იმისთვის, რომ ქვეყანა გაეერთიანებინა და ეკონომიკურად განევითარებინა: ფაქტობრივად სახელმწიფოებრივ-ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ასაბუთებს, მისი მმართველობის გახანგრძლივების აუცილებლობას.

საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებში დისკრედიტაცია განიცადა ოპოზიციურმა აზრმა და მისი არსებობის აუცილებლობაც კი ეჭვს იწვევდა, გაჩნდა ერთი პარტიის წარმატებული მმართველობის ილუზია. ჩვენს მიერ ზემოთ მითითებული სოციოლოგიური კვლევის ფარგლებში, ანკეტაში ერთ-ერთი კითხვა სტუდენტის „დაბნევას“ იწვევდა და კარგად ასახავდა 2011 წელს შექმნილ პოლიტიკურ რეალობას; კითხვა-ვთქვათ, ხელისუფლებამ უზრუნველყო სტაბილურობა, ეკონომიკური კეთილდღეობა, დემოკრატია. ამ შემთხვევაში საჭიროა ოპოზიციის არსებობა? სავარაუდო პასუხები ასე გადანაწილდა: საჭიროა კონსტრუქციული ოპოზიცია-15,6%, ოპოზიცია აღარაა საჭირო-14,4, საჭიროა საპარლამენტო ოპოზიცია-16,7%, ოპოზიციის გარეშე დემოკრატია არ არსებობს-40,3 ,მიჭირს პასუხის გაცემა-13%.

მ. სააკაშვილის მმართველობის დროს პოლიტიკურ სივრცის სრული კონტროლის მიზნით გამოყენებული იქნა „ცრუ ოპოზიცია“, ნაცადი ხერხი, რომელიც ედუარდ შევარდნაძის დროს იქნა აპრობირებული საპარლამენტო არჩევნების პროცესში და გარკვეული დროის მონაკვეთში „სასურველი შედეგი“ გამოიღო: „მოქალაქეთა კავშირის“ და „აღორძინების“ საპარლამენტო საარჩევნო კამპანიები, რეგიონისა და ცენტრის დაპირისპირების ჭრილში მიმდინარეობდა და ამით ახდენდნენ მოსახლეობის პოლიტიკური ორიენტაციების პოლარიზაციას და მობილიზაციას ორ პოლუსზე და წარმატებით იყოფდნენ საარჩევნო ხმებს. თუმცა, დემოკრატიისა და ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნების თვალსაზრისით შედეგები სავალალო იყო:

მივიღეთ ცენტრალურ ხელისუფლებასთან მკვეთრად დაპირისპირებული აჭარა თავისი ავტორიტარი ლიდერით, რომელმაც ტოტალიტარიზმთან მიახლოებული კლანური რეჟიმი დაამყარა. ასევე, ქვეყნის ფსიქოლოგიური დაქუცმაცების პროცესი გააძლიერა შევარდნაძის დროს „თბილისელის,“, „ქუთაისელის,“ „თელაველის,“ „ გორელის,“ „რუსთაველის,“ და სხვა საზოგადოებების დაფუძნებამ.[133] მ. სააკაშვილი უფრო შორს წავიდა, უცხოელი კონსულტატების რჩევითა და თანადგომით (მეთიუ ბრაიზა), მან გადაწყვიტა ქართული პოლიტიკური სივრცის სრული მონოპოლიზება და ამ მიზნით „ხელოვნურად შექმნა მოჩვენებითი ოპოზიცია, რომელიც ფსევდოდემოკრატიულ ძალას წარმოადგენდა. ამ ოპოზიციის მიზანი იყო შეექმნა კრიტიკულობის სივრცე და ამოევსო წინააღმდეგობრივი ვაკუუმი, რომელიც ხელისუფლებასა და საზოგადოებრიობას შორის წარმოიშვა. ფსევდოოპოზიცია, ეს იყო აშკარად პათოლოგიური წარმონაქმნი, რომელიც ამახინჯებდა რეალურ სიტუაციასა და ფსევდოდაპირებებით ხალხის ცნობიერების მანიპულირებას ახდენდა. ნათლად გამოჩნდა ფსევდოოპოზიციის ვიწროკლანური ინტერესები, რომლებიც აშკარად მიმართული იყო ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ: მათ ნამდვილად არ გააჩნდათ სახელმწიფოებრივი აზროვნების კულტურა, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა ქართულ თვითმყოფად დემოკრატიულ პროცესებს. მოდიფიცირებული ოპოზიციური კლანი ცდილობდა დემოკრატიული ვაკუუმის შევსებას წინასწარ განსაზღვრული სტანდარტებითა და წესებით, რაც იწვევდა მათ ფუნქციონალურ შეზღუდულობას. ასეთი ოპოზიცია, ზოგჯერ მკვეთრი მოთხოვნებით გამოირჩეოდა და კრიტიკულ სიტუაციებში გარკვეული ძალების ნეიტრალიზებას ახდენდა. ფსევდოპოზიციური ძალები განსაკუთრებით აქტიურობდნენ საარჩევნო კამპანიის პერიოდში, რომელთა მანიპულირების მეთოდები ელექტორატს დამახინჯებულ წარმოდგენას უქმნიდა პოლიტიკურ რეალობაზე; ამ პოლიტიკურმა ძალებმა შექმნეს ე.წ. „მოჩვენებითი დემოკრატიის“ სინდრომი; შეიქმნა მითები ქართული დემოკრატიის უნიკალურობისა და სოციოლოგიურ-ეკონომიკური აღმავლობის შესახებ, რომელიც სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრების შემაფერხებელ ფაქტორად გადაიქცა.“ [134]

§ 6. პარტიული დემოკრატიის კულტურა საქართველოში.

მრავალპარტიული ან ორპარტიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში დამყარებულ რეჟიმის იდეოლოგიურ ორიენტირებთან, საზოგადოებისა და პოლიტიკური სცენის აქტორებთან. გავლენიანი

---

[133] ა. ტუკვაძე რ. ტუკვაძე. პოლიტიკური კულტურის ტიპები (შედარებითი ანალიზი) თბ; 2007 გვ 88.
[134] გ. აბესაძე. თანამედროვე ქართული პოლიტიკური სცენის აქტორები. თბ 2014 გვ 57-58.

პარტიები პოლიტიკური სისტემის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენენ და მათ გარეშე წარმოუდგენელია სისტემის დემოკრატიულ რეჟიმში ფუნქციონირება.

საქართველოში დღეისათვის იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით 220 პარტიაა რეგისტრირებული.[135]მათი უმრავლესობა სრულიად გამოთიშულია პოლიტიკური პროცესებიდან და უფუნქციო, უიდეოლოგიო, კლანურ-ოჯახურ წარმონაქმნს წარმოადგენენ. პარტიების უმრავლესობის რეიტინგი პირდაპირ მიბმულია ქარიზმულ ლიდერთან და მხარდამჭერი ელექტორატის უმრავლესობამ არ იცის მათი იდეოლოგიური ორიენტირები, სამოქმედო პროგრამა, საშინაო და საგარეო პრიორიტეტების, ეკონომიკური და სოციალური მომართულებების შესახებ. ამის მიზეზი, მარტო სამოქალაქო კულტურის განუვითარებლობიდან არ გამომდინარეობს, არამედ თვით ლიდერების, პარტიული ხელმძღვანელების, ჩამოუყალიბებელი სტრუქტურის და სიტუაციის შესაბამისი ცვალებადი პრიორიტეტებია. ძნელი წარმოსადგენია ლეიბორისტული პარტია შალვა ნათელაშვილისა და მისი რადიკალური რიტორიკის, ნაციონალები სააკაშვილის, ახალი მემარჯვენეები გამყრელიძის, მრეწველები თოფაძის გარეშე, ასე, რომ გარდამავალ პერიოდში ქარიზმულ ლიდერზე ორიენტირებული პარტიები მრავლადაა და ამიტომ, მმართველი პარტიები ლიდერთან ერთად ქრებიან პოლიტიკური ველიდან.

გაურკვეველია პარტიების უმრავლესობის ღირებულებითი სისტემა: ახალი მემარჯვენეები, ნაცვლად იმისა, რომ შეძლებული ფენის ინტერესებს იცავდნენ, დემოკრატიებში არსებული ანალოგიური პარტიების მსგავსად, პენსიების მომატებისა და სოციალური შემწეობების გაზრდის ინიციატივით და უკიდურესი მემარცხენე ლოზუნგებით გამოდიან, მოქალაქეებიც მათ სოციალისტურ პარტიათა რიგში მოიაზრებს.[136] მართალია, მათი უმრავლესობა, ჩამოუყალიბებელი ორგნიზაციული სტრუქტურით ხასიათდება, მაგრამ ორგანიზაციულად, სტრუქტურულად გაფორმებული და ნათელი იდეოლოგიური ორიენტირების მქონე პარტიებიც საქართველოს სინამდვილეში, ხშირად რეიტინგს არ ფლობენ. ე.ი. ელექტორატის დაკვეთას არ წარმოადგენს პროგრამები და მათთვის ჯერ-ჯერობით განმსაზღვრელია ემოციური ლიდერები და პოპულისტური დაპირებები. ასევე, საქართველოში ფუნქციონირებადი პარტიების უმრავლესობას, ახალი

---

[135] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პოლიტიკური გაერთიანებების რეესტრი, 012012http//www.justice.gov.ge./files/Documents/partiebis%20sia/partiebis sia.pdf.

[136] დაწვრილებით იხ: ლ. ლორთქიფანიძე ა. ტუკვაძე. პარტიული დემოკრატიის პრობლემები საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“ №1(21) 2013 გვ 44.

მემარჯვენეების მსგავსად არ გააჩნიათ მყარი სოციალური ბაზა და ერთგული ამომრჩეველი. ამის მიზეზი, გარდა სტრუქტურული, იდეოლოგიური ორიენტირებისა და სამოქმდო პროგრამისა, არის მძიმე სოციალ-ეკონომიკური სიტუაცია და მოსახლეობის დიდი ნაწილის მარგინალიზაცია.

დღემდე ოპოზიციური და სახელისუფლებო პარტიების „თანამშრომლობა“, ერთმანეთის მიმართ მტრულ გარემოში მიმდინარეობს, რომელიც კოჰაბიტაციის მოკლე მონაკვეთშიც არ შეჩერებულა, რომელიც საბოლოო ჯამში, აყალიბებს მთავრობასა და ოპოზიციას შორის უკიდურესად აგრესიულ პოლიტიკურ კულტურას.[137] დღეს ქართველი და უცხოელი ექსპერტები მსჯელობენ ნაციონალების საპარლამენტო ოპოზიციის ბედზე, დარჩება თუ გაქრება იგი პოლიტიკურ ველიდან, შეუძლია თუ არა მას კონსტრუქციული ოპოზიციის როლის შესრულება და მრავალი სხვა. ჩვენი აზრით, დიდი პრივილეგიების დაკარგვა[138] და ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩადენილი ფინანსური და სისხლის სამართლებრივი დანაშაულობები, მათზე დამთრგუნველ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს და მათი ქმედებების პერმანენტულ რადიკალიზაციას განაპირობებს: ნაციონალებისთვის არ არსებობს საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებები, მხოლოდ თავის მართლების რეჟიმში ფუნქციონირებენ, ჩასაფრებული კოტრელიტის დესტრუქციულ როლს ასრულებენ, ნაწილი ცდილობს სკამი შეცვალოს და ხელისუფლებაში გადადის, ხოლო „რეჟიმის არქიტექტორებს“ მიზნად ახალი ხელისუფლების დისკრედიტაცია აქვთ დასახული ქვეყნის შიგნით და გარეთ, მიაჩნიათ, რომ ხელისუფლების წარუმატებლობები რეანიმაციის გარემოს შექმნის, მაგრამ მათი გაქრობა პოლიტიკური სცენიდან უფრო პროგნოზირებადია.

§ 6. ტოლერანტობა ქართულ კულტურაში.

ტერმინი ლათინურად შემწყნარებლობას, განსხვავებული ცხოვრების წესის, რელიგიის, ეთნიკურობის, კულტურის, მსოფლმხედველობის მოთმენას ნიშნავს. თავდაპირველად ცნება სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების თანაცხოვრებამ

---

[137] თომას დე ვაალი. საქართველოს მნიშვნელოვანი დღეები დაუდგა.http/presa.ge/new/index.phpm=politiks&AID+23653.

[138] მინისტრის წლიური გასამრჯელო, პრემიების გათვალისწინებით, სააკაშვილის ხელისუფლებაში 3–4–ჯერ აღემატებოდა ევროკავშირის ანალოგიური დარგის მინისტრის ფულად შემოსავალს, ეს ხდებოდა მაშინ, როცა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, საშუალოდ მშპ ერთ სულ მოსახლეზე 9–10–ჯერ მაღალი იყო საქართვლოსთან შედარებით. ამას ემატება, ნაციონალების მმართველი ელიტის მიერ ბიზნესზე და პრივატიზაციაზე სრული კონტროლი და სრულიად ნათელი ხდება, რაოდენ პრივილეგიური მდგომარეობა დაკარგა მმართველმა ძალამ, რომლებიც „დასავლურ ღირებულებებზე“ აპელირებდა და რეალურად „შუა საუკუნეების ფეოდალური კლასის“ მსგავსად ცხოვრობდა.

წარმოშვა. აღნიშნავდა დომინანტი რელიგიის წარმომადგენელთა მხრიდან სხვა რელიგიათა არსებობის დაშვებას, თმენას, გაძლებას, მიუხედავათ იმისა, რომ ამ უკანასკნელთ უყურებდნენ უარყოფითად, როგორც დაბალი რანგისას, შემცდარს, ან საზიანოს. მეოცე საუკუნეში გაფართოვდა ცნება და მასში ეთნიკური ჯგუფები და სხვა უმცირესობები იქნა ჩართული.

1995 წლის 16 ნოემბერს პარიზში იუნესკოს 185 წევრი სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილ და მიღებული იქნა „ტოლერანტობის პრინციპების დეკლარაცია," რომლის მიხედვითაც ტოლერანტობა არის „მსოფლიოს კულტურათა მდიდარი მრავალფეროვნების, თვითგამოხატვის ფორმებისა და ადამიანის ინდივიდუალობის გამოვლინების შესაძლებლობათა პატივისცემა, მიღება და მართებულად გაგება. მას ხელს უწყობს ცოდნა, ღიაობა, ურთიერთობა და აზრის, სინდისისა და შეხედულებათა თავისუფლება. ტოლერანტობა-ესაა თავისუფლება მრავალფეროვნებაში. ეს არის არამარტო მორალური ვალი, არამედ პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნილებაც. ტოლერანტობა-სათნოებაა, რომელიც შესაძლებელს ხდის მშვიდობას და ომის კულტურის მშვიდობის კულტურით შეცვლას." ტოლერანტობა ნიშნავს გაურკვევლის, უცნობის, კონფლიქტის წინაშე მდგრადობას. იგი დემოკრატიის ძირითადი პრინციპია, განუყოფელია პლურალიზმის კონცეფციისაგან-ვკითხულობთ თანამედროვე დასავლეთის პოლიტიკურ ლექსიკონში. მის გარეშე სამოქალაქო კულტურა და დემოკრატიზაციის პროცესი არ მოიაზრება. იგი შესაძლებელია იყოს თანდაყოლილი თვისება ან შეძენილი."

განსაკუთრებული მნიშვნელობა ტოლერანტობის პრინციპების დაცვას ენიჭება მრავალ კონფესიურ და ეთნიკურად ჭრელ საზოგადოებებში. მაგალითად, ამერიკული საზოგადოებისთვის რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური და პოლიტიკური ტოლერანტიზმის ჩამოყალიბება ერთიანი სახელმწიფოს და სახელმწიფო ერად ფორმირების პროცესში სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენდა, სხვანაირად მშვიდობიანი თანაცხოვრება შეუძლებელი იყო. ამას კარგად გრძნობდნენ კონსტიტუციის მამები, ამიტომაა, კონსტიტუციაში ფედერალიზმის სასარგებლოდ და დემოკრატიის „საზიანოდ" მთელი რიგი დებულებები. ამერიკის მოქალაქეებმა დაძლიეს ეროვნული, რასობრივი, რელიგიური ბარიერები და ჭეშმარიტად ტოლერანტულ კულტურას ჩაუყარეს საფუძველი. მხოლოდ ამ გზით ფორმირდება სამოქალაქო კულტურა და დემოკრატია.

ტოლერანტობის დიდი წარსული და ტრადიცია ახასიათებს ქართულ კულტურას. ამერიკელებისგან განხვავებით ქართველები ჯერ კულტურულ ერთობად

ფორმირდნენ და შემდგომ სახელმწიფოებრიობასთან ერთად ჩამოყალიბდნენ ერად და ამდენად ერი სახელმწიფოს კატეგორიაში მოიაზრებიან. საკითხის გაუბრალოებად მიგვაჩნია ნებისმიერი მცდელობა ქართველების და ებრაელების, ქართველების და რუსების, ქართველების და სომხების, ქართველების და მუსლიმების და სხვა ეროვნებებთან საქართველოს ტერიტორიაზე მრავალსაუკუნოვანი მშვიდობიანი თანაცხოვრება, მარტო მართმადიდებლური სარწმუნოებით, გეოპოლიტიკური რეალიებით, ისტორიული წარსულით ავხსნათ ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტული კულტურა, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო და განვითარდა „უჩვეულო ადგილას:“ თბილისში ერთი კილომეტრის რადიუსში ყველა აღმსარებლობის სამლოცველოებია თავმოყრილი. საბჭოთა პერიოდში ოსური სკოლების, უმაღლესი სასწავლებლის, თეატრის არსებობა (ოსებს, თავიანთ ისტორიულ სამშობლოში ჩრდილოეთ ოსეთში, დღეს, მხოლოდ ერთი სკოლა აქვთ მშობლიურ ენაზე), აფხაზეთის ავტონომიაში ქართველების „გააფხაზება,“ რაც უპრეცედენტო მოვლენა იყო და ძირითადათ აფხაზების სამართლებრივი პრივილეგიებით იყო განპირობებული, უპრობლემოდ ავტომატურ რეჟიმში მოქალაქეობის მინიჭება ჩვენს ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებისთვის (ევროკავშირის ბალტიისპირელი წევრი ქვეყნებისგან განსხვავებით). ყოველივე იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას: ტოლერანტობა ქართველებისთვის ღმერთისგან ბოძებული მადლია, ის თავიდანვე „კოდირებული“ იყო ჩვენს ხასიათში და მასზე გავლენა ვერც რუსეთის მიერ პროვოცირებულმა კონფლიქტებმა მოახდინა. სხვა ახნა ალოგიკურია, რადგანაც ანალოგიურმა ფაქტორებმა მეზობელ ხალხებში არ ჩამოაყალიბა ტოლერანტული გრძნობა-განცდები.

ილია ჭავჭავაძე 1888 წელს დავით აღმაშენებლის მოსახსენიებელ დღისადმი დაწერილ სტატიაში „დავით აღმაშენებელი“ წერდა: „ იგი თავდადებული მოყვარე თავის ეროვნობისა და მართმადიდებლის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნობისაც და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოვლადშემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არ ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან!

მეტი-ღა დიდ-ბუნევანობა მოეთხოვება განა მეთორმეტე საუკუნის კაცს მაშინ, როცა დღეს, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს საკვირველად მიგვაჩნია გლადსტონი, რომ ირლანდიის ეროვნობას და სარწმუნოებას ესარჩლება იმავე კაცთმოყვარეობით, რა

კაცთმოყვარეობითაც დავით აღმაშენებელი სხვა ერს პატივსა-სცემდა! ჩვენ მატიანეებს თავი დავანებოთ და ვიმოწმოთ სხვა ერის მემატიანენი. ისინიც კი აღტაცებით იხსენიებენ დავით აღმაშენებელს, როგორც კაცს, პატივისმცემელს და შემწყნარებელს სხვა ერისას და სჯულისას.“ [139] შემდგომ ილია იმოწმებს სომეხი მათე ედესელის, ვარდან დიდის, მაჰმადიანი მწერლის ალაიანის შეხედულებებს; მაგრამ მთავარი სხვაა, დიდი დავითის თვალსაზრისი არ იყო „ამოვარდნილი ქართული კონტექსტიდან“ და ტოლერანტობა, როგორც ზემოთ იყო მითითებული, წითელი ხაზივით გასდევს შუასაუკუნეებისა და უახლეს ისტორიას; საკითხის სხვა მხარეა, წარსულში როგორი სამსახური გაუწია მან სახელმწიფოს, მაგრამ ერთი რამ ცხადია მასზე დაყრდნობით უნდა მოვახდინოთ ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაცია-იდენტიფიცირება ქართულ სახელმწიფოებრიობასთან და მხოლოდ ამ შემთხვევაში დავუახლოვდებით ევროპულ ღირებულებებს და ჩამოვაყალიბებთ დემოკრატიულ ფასეულობებს. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყოვლისმომცველი ანტიდისკრიმინაციული კანონი, მნიშვნელოვანი ნაბიჯია სამოქალაქო კულტურის ღირებულებების დამკვიდრების გზაზე.

ანტიდისკრიმინალური კანონის მიღებამ გააძლიერა ვნებათა ღელვა საზოგადოების სხვადასხვა ფენებში, განსაკუთრებით სამღვდელოებაში და არც თუ უსაფუძვლოდ: შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ერთსქესიანების ქორწინებისა და შვილის აყვანის უფლებების ლეგალიზაციით განვითარებული დემოკრატიის ზოგიერთ ქვეყანაში, საფუძველი ეცლება ქრისტიანული, საერთოდ ადამიანების თანაცხოვრების მორალურ ნორმებს და ამდენად პლურალიზმის აბსოლუტიზაცია ლახავს უმრავლესობის ზნეობრივი არსებობის ფორმებს, არღვევს გაეროს მიერ აღიარებულ ბავშვთა უფლებების დეკლარაციას; ისლამურ სამყაროში ქრისტიანობა უკვე ასოცირდება ჰომოსექსუალიზმთან; ამ მიმართებით მისასალმებელია მართმადიდებლური ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს მართმადიდებლური სამოციქულო ეკლესის მყარი პოზიცია, მაგრამ ვფიქრობთ, სამღვდელოების ქმედებები მაინც გადაჭარბებულია: ხორვატიამ ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ რეფერენდუმის გზით დააფიქსირა თავისი უარყოფითი პოზიცია ერთსქესიანების ქორწინების რეგისტრაციასთან დაკავშირებით. საერთოდ, დემოკრატიული საზოგადოებრიობა ადრე თუ გვიან გააცნობიერებს, რომ უმცირესობების ინტერესების დაცვის აბსოლუტიზაცია საფრთხეს შეუქმნის უმრავლესობას და, ასევე, კრიტიკულად შეხედავს კათოლიკური ეკლესიის მესვეურების განცხადებას, რომ „ღმერთმა შექმნა და მე ვინ ვარ,“ რადგანაც სპეციალისტების 70% მას დავადებად

---

[139] ილია ჭავჭავაძე. თხზ. თბ; 1984 გვ 606-607.

თვლის. განსხვავებული სქესობრივი ორიენტაციების მქონე ადამიანები უნდა სარგებლობდნენ ყველა იმ უფლებებით, რაც საზოგადოების დანარჩენ წევრებს გააჩნიათ, მაგრამ უპირატესი მდგომარეობა არ უნდა შევუქმნათ, რაც პროპაგანდას ნიშნავს და შესაძლოა ამ მიმართულებით წაქეზების ტოლფასიც იყოს. ზოგი იმასაც წერს, რომ ამერიკის მასმედია ებრძვის ოჯახის ინსტიტუტს, როგორც დიქტატურის მაგალითს და შოვინიზმის ინკუბატორს, სოციალური უსამართლობის ბუდეს და ამიტომ, მხარს უჭერს არატრადიციულ ურთიერთობებს.[140]

§ 8. აქტიური, მონაწილეობითი სამოქალაქო კულტურის ელემენტები

პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილე აქტიური მოქალაქის გარეშე შეუძლებელია მოვიაზროთ დემოკრატიული კულტურის პარამეტრები და ვისაუბროთ ხელისუფლებაზე კონტროლის ლეგიტიმურ მექანიზმებზე. ხელისუფლებას პასუხისმგებლობის გრძნობა მაშინ უვითარდება, როცა მმართველ ელიტას გააზრებული აქვს და წამს საკუთარი მოქალაქეების პოლიტიკური ზეგავლენის უნარის. ამ მიმართულებით საკმაოდ დამაჯერებელი მაგალითები მოიპოვება საქართველოს უახლეს ისტორიაში, როცა ხალხის აქტიურმა ქმედებებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრეს პოლიტიკური მოვლენების დემოკრატიული მიმართულებით დინება. ამის ნათელი დადასტურებაა 1978 წლის 14 აპრილის, 1989 წლის 9 აპრილის, 2003 - 2007 წლების ნოემბრის, 2012 წლის ოქტომბრის მოვლენები. პირველ ორ შემთხვევაში სტუდენტი ახალგაზრდობის ინიციატივით ხალხმა მკვეთრად გამოხატა დამოუკიდებლობის და თავისუფლების პოლიტიკური ნება და აქტიურად დაუპირისპირდა იმპერიულ ხელისუფლებასა და აზროვნებას. გაძლიერდა ეროვნული ცნობიერების მთლიანობისა და აქტიური ორიენტაციისათვის დამახასიათებელი სამოქალაქო კულტურის ელემენტები. მესამე შემთხვევაში, 2003 წლის ნოემბერში, უაღრესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მოქალაქეებმა უნდობლობა გამოუცხადა შევარდნაძის ნეონომენკლატურულ კორუმპირებულ ელიტას და ძლიერი სოციალური ძალადობის ფონზე შეიცვალა ელიტა, მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ „პერსპექტიული, იმედის მომცემი პოლიტიკური საწყისები ვერ იძლევა შედეგების მიღწევის გარანტიას.“[141]ავტორიტარიზმის გაძლიერებამ, ძალადობრივი მეთოდებით ქვეყნის მართვამ, კვლავ ქუჩაში გამოიყვანა საზოგადოების აქტიური ნაწილი, რომელიც 2007 წლის ნოემბრის დიდ საპროტესტო აქციაში გადაიზარდა.

---

[140] Филимонов Г. Ю. Внешная купьтурная политика США как комронент «мягкой силы». М.2010 с 67.

[141] სტივენ ფ. ჯონსი. დემოკრატია საქართველოში. http.//www. cicerofoundation.org / legtures/ Stephen Jones Georgia.pdf

სამოქალაქო კულტურის განვითარებაზე მიუთითებდა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ განვითარებული მოვლენები. სამოქალაქო აქტიურობის შედეგად გაიხსნა მკვლელობის ფაქტი, გამოიკვეთა ბრალდებულთა წრე და უფრო გამჭვირვალე გახდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანთა საქმიანობა და მორალური სახე. ხელისუფლებას ჰქონდა შანსი გადაერჩინა თავისი რეიტინგი: მათთვის ყველა დეტალი იყო ცნობილი, მაგრამ როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს მათთვის სისტემური დანაშაულის ნაწილი იყო. ხალხის აქტიურობას ხელისუფლებამ თავდაპირველად დუმილით, შემდეგ კი ეტაპობრივი დათმობებით უპასუხა. შედეგად მივიღეთ „კრიმინალური შემთხვევის“ პოლიტიკური პროცესების ზედაპირზე ამოსვლა, რამაც მძლავრი საზოგადოებრივი უკმაყოფილება გამოიწვია და დასცა მთავრობის რეიტინგი. იყო მომდევნო წლებში მიტინგები, რომელთა მანიპულირება და უშედეგოდ დამთავრება განაპირობა პოლიტიკური ოპოზიციის უსუსურმა ქმედებებმა, ერთმანეთთან შეუთანხმებლობამ, მოღალატურმა საქციელმა, მაგრამ სამოქალაქო აქტიურობა გრძელდებოდა. 2011-2012 წლებში ჩატარებულმა აქციებმა უზრუნველყვეს ხალხისთვის რწმენის დაბრუნება, რომ მათ საარჩევნო აქტივობაზეა დამოკიდებული ხელისუფლების შეცვლა. გაჩნდა სამოქალაქო საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ნიშანი, რომ ხელისუფლების წყარო ხალხია და მათ ძალუძთ უკეთესი გახადონ ცხოვრება. სამოქალაქო აქტივობამ შედეგი მოიტანა 2012 წლის ოქტომბერში საპარლამენტო, ხოლო მოგვიანებით საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. ყოველივე, პოლიტიკური კულტურის ამაღლებაზე, სამოქალაქო კულტურული და პოლიტიკური ორიენტაციების გაძლიერებაზე მიუთითებს.

სამოქალაქო კულტურის დამკვიდრების გზაზე აუცილებელი ელემენტია საყოველთაო წიგნიერება, ლიტერატურის და ხელოვნების განვითარება და საერთოდ ერის ინტელექტუალური პოტენციალი. ამ მაჩვენებლებით საქართველო „ამოვარდნილია“ აღმოსავლური კულტურის კოტექსტიდან, გამოირჩევა რეგიონში ევროპული ცივილიზაციისთვის დამახასიათებელი კულტურის ელემენტების სიჭარბით. ამის საფუძველს იძლევა კულტურის სხვადასხვა სეგმენტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ანალიზი, საერთაშორისო აღიარებები და განვითარების ტენდენციები.

ამრიგად, თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური კულტურის ანალიზიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ იგი გადის ტრანსფორმაციის რთულ პროცესს. მასში ჯერაც დომინანტურ მდგომარეობაშია ქვეშევრდომული ორიენტაციები, რომლებიც სახელმწიფო ინსტიტუტებთან ურთიერთობების დროს ჩანს: კვლავ

დიდია სახელმწიფოს მოიმედოობის ეტატისტური კულტურის ელემენტები. ხალხი ფიქრობს სოციალური დახმარების ისეთ პაკეტზე, რომელიც მინიმამდე დაიყვანს მათი საქმიანობის როლს პირადი ცხოვრების მოწყობის საქმეში. ირაციონალური დამოკიდებულება ჭარბობს პოლიტიკურ ლიდერთან მიმართებაში, მისგან ელიან სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მყისიერ გადაწყვეტას, მიზეზს საკუთარ თავში არ ხედავენ. ქვეყნის დამოუკიდებლობის გზაზე დიდია გარეშე ძალის მოიმედოობის განცდა. პლურალისტური დემოკრატია საწყის ეტაპზეა, პარტიათა უმრავლესობას რა გააჩნია ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სტრუქტურა, ნათელი იდეოლოგიური ორიენტირები. პოლიტიკურ სცენის შესავსებად იყენებენ სატელიტ ფსევდო ოპოზიციურ პარტიებს. უაღრესად საჭირო აქტორად გვევლინება ქართული ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი, რომლის ეპისტოლეები დროზე აფხიზლებს საზოგადოებას მოსალოდნელი საფრთხეების გაჩენისას.

პერსპექტივის თვალსაზრისით დღევანდელ მა ხელისუფლებამ გიგანტური ნაბიჯები გადადგა დემოკრატიისაკენ: პირველ რიგში ხელისუფლებას ჩამოაშორა სააკაშვილის ანტიხალხური და ანტიეროვნული ხელისუფლება და ამაში განუსაზღვრელია ბიძინა ივანიშვილის, ახალი ტიპის რაციონალურ-ბიუროკრატიული, დემოკრატი ლიდერის როლი. კალიციის მიერ ჩატარებული არჩევნები დემოკრატიის ფუნდამენტალური ღირებულების, ხელისუფლების მშვიდობიანი, თავისუფალი არჩევნებით შეცვლის პრეცედენტია საქართველოში, მაგრამ საჭიროა შემდგომი ქმედებები, როგორც პოლიტიკურ, ისე, სამართლებრივ სფეროში: დასავლელი პარტნიორების რჩევები ბევრ შემთხვევაში პოზიტიურ გავლენას ახდენს ქვეყანაზე, მაგრამ სამართლიანობის აღდგენის კუთხით აფერხებენ პროცესებს. მათი უმრავლესობა არც კი დაინტერესებულა ქვეყანაში არსებული რეალური მდგომარეობით და დასკვნებს ნაციონალების ლობისტების დახმარებით აკეთებენ ან აკავშირებთ მჭიდრო მეგობრული ან კიდევ უფრო მეტი, დავალებული არიან სააკაშვილის ხელისუფლებისაგან.

კოალიციის დაშლა ცალკეულ პარტიებათ მომავლის აუცილებელობაა, რადგანაც ნაციონალური მოძრაობის მიერ კონსტრუქციული ოპოზიციად ქცევა, მათთვისაც წარმოუდგენელია. პოლიტიკურ სცენაზე აქტიურდება ეროვნულ ღირებულებებზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალები, რომელთა რეიტინგი დღითი-დღე მატულობს. შესაძლოა მათ ნათლად წარმოდგენილი პროგრამა არ გააჩნდეთ ეკონომიკისა და სოციალური ცხოვრების გარდაქმნის სფეროში, მაგრამ ეროვნული ფასეულობებზე დაყრდნობა დიდად წაადგება სამოქალაქო საზოგადოებისა და კულტურის ფორმირებას. მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია

წარმოშობს ერთიანობის განცდას, საერთო სულიერ ფასეულობებს, რომლებიც საჭიროა ერთიანობისა და იდენტობის გასაძლიერებლად ჩვენს სულიერებაში. ქვეყნის მოდერნიზაცია ასევე გადამწყვეტი ფაქტორია განათლებისა და კულტურის განვითარების გზაზე. მრავალპარტიულობის დამკვიდრების, სამოქალაქო ინტეგრაციის და პლურალისტული დემოკრატიის ჩამოყალიბების გზაზე დიდ როლს ითამაშებს საუკუნეებს გამოვლილი და გამოცდილი, ქართველების თანდაყოლილი ტოლერანტობის ისტორიული გრძნობა. ლომის წილი ეკუთვნის სამოქალაქო კულტურის დამკვიდრების პროცესში პლურალისტურ მასმედიას, რომლის ნიშნები უკვე სახეზეა. საგარეო სფეროში, ევროკავშირთან ინტენსიური სავაჭრო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირები ხელს შეუწყობს უნივერსალური კულტურული დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას.

თანამედროვე საბერძნეთის ისტორიის ექსპერტები მიუთითებენ „უცხოურ ფაქტორზე“, რადგანაც უცხო ძალების ჩარევა ბერძნული პოლიტიკის ნაწილი გახდა. ეს გავლენა მოიცავს კულტურულ, ეკონომიურ, სოციალურ და იდეოლოგიურ მხარეს, რომელიც ზღუდავს საბერძნეთის სუვერენიტეტს გარედან შიგნით. ისინი გავლენას ახდენენ საბერძნეთის შიდა პოლიტიკაზე, რომ არაფერი ვთქვათ საგარეო პრიორიტეტებზე.[142]ანალოგიური სიტუაციაა საქართველოში, ამიტომ, ყველაფერი უნდა განხორციელდეს, როგორც სამართლებრივ, ისე, პოლიტიკურ დონეზე, მხოლოდ ჩვენი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც ეს ხდება, ცივილიზირებულ სამყაროში. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ვიქცეთ „სამომხმარებლო ხალხად,“ წაბაძვაზე ორიენტირებული კულტურის მატარებელ ადამიანების კონგლომერატად და ამაზე „უცხოს ბაძის“ ეროვნულ ხასიათთან ერთად წინა ხელისუფლების პოლიტიკაც იყო ორიენტირებული.

და, ბოლოს, მოკლევადიან წარმატებას არ უნდა ველოდოთ: ევროპის ხალხებმა საუკუნეები მოანდომეს დემოკრატიული ლიბერალური ფასეულობების შექმნას. ჩვენ გვაქვს მაგალითები, კომუნიკაციის, განათლების, უნარების განვითარების თანამედროვე საშუალებები, მაგრამ საქმე ეხება ადამიანის ცნობიერებას, რომელშიც ღირებულებების ფორმირებას თავისი კანონზომიერები გააჩნია და ამ საქმეში განათლებასთან ერთად, გადამწყვეტ როლს პოლიტიკური სოციალიზაციის ხანგრძლივი პროცესი თამაშობს.

[142] Peter Reichel (Hg). Politishe Kultur in Westeuropa. Campus Verlag Frankfurt| New York 1984 გვ 148.

დასკვნა

პოლიტიკური კულტურა პოლიტიკისა და კულტურის ინტეგრირებული გამოხატულებაა. იგი საზოგადოების პოლიტიკური ქცევების მოდელია, რომელიც ყველაზე ნათლად ვლინდება არჩევნების, რეფერენდუმების პროცესში, ხელისუფლებაზე ზეწოლისა და მხარდაჭერის ლეგიტიმურ და არალეგიტიმურ მექანიზმებში, ქვეყანაში დამკვიდრებულ „პოლიტიკური თამაშის წესებში.“

პოლიტიკურ კულტურაში მნიშვნელოვან თავისებურებებს განაპირობებენ კონკრეტული ქვეყნის ეროვნული განვითარების სპეციფიკა, ფუნქციონირებადი რეჟიმის ხასიათი, რელიგია, ტრადიციები, გეოპოლიტიკური მდებარეობა, ისტორია.

პოლიტიკური კულტურა პოლიტიკური სისტემის შემადგენელი და განმსაზღვრელი ნაწილია: მასზე გავლენას ახდენს პოლიტიკური სისტემა, მაგრამ ფაქტობრივად, პოლიტიკური კულტურის ტიპი განსაზღვრავს ხელისუფლების დანაწილების დემოკრატიულად ფუნქციონირებას. მკვლევარების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ”არც ერთი პოლიტიკური სისტემა არც ერთ ქვეყანაში არ იქნება სტაბილური, თუ იგი არ დაბადებულა იმ ქვეყანაში, როგორც საკუთარი პოლიტიკური კულტურის განვითარების შედეგი.“ პოლიტიკური კულტურის განვითარების დონე განსაზღვრავს პოლიტიკური კულტურის ტიპს, რომელიც თავის მხრივ მნიშვნელოვანწილად განაპირობებს დემოკრატიის ხარისხს; ამ ჭეშმარიტებას ორმოცდაათი წლის წინ პირველებმა ხაზი გაუსვეს გ.ალმონდმა და ს.ვერბამ თავიანთ შრომებში; ისინი პოლიტიკური კულტურის განუვითარებლობას

უკავშირებდნენ დასავლური დემოკრატიების წარუმატებელ „ტრანსპლანტაციას“ არადასავლური ცივილიზაციების ქვეყნებში.

ნებისმიერი კონსტიტუცია განსხვავებულად ფუნქციონირებს სხვადასხვა ქვეყანაში და ამის დადასტურებაა ლათინური ამერიკის, აზიის, აფრიკის და ბოლოს პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკური ისტორია და მათ შორის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია გარდამავალი პერიოდის საქართველო, სადაც „ამერიკული ტიპის“ 1995 წლის და „ფრანგული მოდელის“ 2004 წლის კონსტიტუციებმა არ მოგვიტანა ამერიკული და ფრანგული დემოკრატია; სამაგიეროდ მივიღეთ არნახული რაოდენობის საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც ძირითადად აღმასრულებელი ხელისუფლების, პრეზიდენტის უფლებების გაფართოებას ისახავდა მიზნად და არაფერი ჰქონდა საერთო დეკლალირებულ „ჩვენთვის მისაღების მმართველობის ფორმის“ ძიებასთან; ამერიკულმა კონსტიტუციამ მხოლოდ აშშ-ი გაამართლა, რადგანაც იგი მათი პოლიტიკური კულტურის და პოლიტიკური პროცესის განვითარების შედეგი იყო.

პოლიტიკური კულტურის განვითარების დონე არამარტო განმსაზღვრელ გავლენს ახდენს პოლიტიკურ პროცესზე, არამედ იგი აახლოებს ან განაცალკავებს და უფრო მეტიც ერთიმეორეს უპირისპირებს საზოგადოებებს, ხალხებს, სახელმწიფოებს: ტოტალიტარული ტიპის პოლიტიკური კულტურა უკომპრომისობის, შეურიგებლობის, კარჩაკეტილობის, კოლექტივიზმის, ერთპარტიულობის, მორჩილებისა, ქვეშევრდომობის და არატოლერანტურულ ორიენტაციებს და ქცევებს ამკვიდრებას საზოგადოებრივ ცნობიერებაში, რომელიც შეუთავსებადია დემოკრატიის საბაზისო ღირებულებებთან–კანონის უზენაესობის, პოლიტიკური პლურალიზმის, კერძო საკუთრების ხელშეუხლებლობის, ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან, ინდივიდუალიზმისა და „ავტონომიური პიროვნების“ ცნებასთან. ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, პოლიტიკური სისტემების შედარება, გ. ალმონდისა და ს. ვერბას კონცეფციის მიხედვით პოლიტიკური კულტურაზე დაყრდნობით ხორციელდება, რადგანაც კონსტიტუციაში დეკლალირებული ნორმები უმეტეს შემთხვევაში არ შეესაბამებიან ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს.

მიუხედავათ იმისა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს პოლიტიკური კულტურის მრავალი განსაზღვრება და ამის მიზეზები განსხვავებული მეთოდოლოგია, მეცნიერების მიმართულება, ეროვნული სპეციფიკა, კულტურის დინამიურად ცვალებადი ხასიათი, მრავალი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორია, მკვლევარების აბსოლუტურ უმრავლესობა თანხმდება, რომ, ჯერ ერთი,

პოლიტიკური კულტურა გადამწყვეტ როლს თამაშობს პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციის პროცესში და მისი განვითარების დონის, კონკრეტული ტიპის შესაბამისი რეჟიმია კონკრეტულ სახელმწიფოში და მის ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს კულტურული, რელიგიური, ეროვნული თავისებურებები, მეორე, პოლიტიკური კულტურის ნებისმიერი მკვლევარი–ისტორიკოსი, სოციოლოგი, ფილოსოფოსი, პოლიტოლოგი, კულტუროლოგი–ცენტრალურ ადგილს უთმობს გ. ალმონდისა და ს. ვერბას სამოქალაქო კულტურის კონცეფციის განხილვას, რაც სავსებით კანონზომიერია, რადგანაც ფსიქოლოგიური მიდგომის მეთოდმა საშუალება მისცა მკვლევარებს ჩაწვდომოდნენ პოლიტიკური კულტურის არსს და, რაც მთავარია, მოეხდინათ პოლიტიკური სისტემების კომპარატიული ანალიზი.

სამოქალაქო კულტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი კონსენსუალური კულტურაა, სადაც დიდია თანხმობის ხარისხი დემოკრატიის საბაზისო ღირებულებების ირგვლივ. სამოქალაქო კულტურა შერეული კულტურაა, რომელშიც ერთი მეორის გვერდით თანაარსებობენ მონაწილის, ქვეშევრდომის და მრევლის ორიენტაციები. მასში მოქალაქეების აქტიურობა და პასიურობა ერთი მეორეს ენაცვლება, რაც განაპირობებს ხელისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის ბალანსის შენარჩუნებას. პოლიტიკა მოქალაქეების უმრავლესობისთვის არ ითვლება საინტერესო სფეროდ, მათ ურჩევნიათ თავისუფალი დროის დიდი ნაწილი სხვა საქმიანობას დაუთმონ, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში აქვთ გააქტიურების პოტენციალი და ხელისუფლებაზე ზემოქმედების რესურსი; სახელისუფლებო ელიტები დროდადრო ავლენენ „მოსალოდნელ რეაქციას," არ ელოდებიან მოქალაქეების მხრიდან აქტიურობას გამწვავებული საკითხების გადაწყვეტის პროცესში და თვითონ იღებენ საჭირო და ადეკვატურ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს; სისტემის გადახურება შეუძლია როგორც მუდმივ აქტიურობას, ასევე, ხანგრძლივი პასიურობა ანგრევს დემოკრატიას; სამოქალაქო კულტურაში, რომელიც თავდაპირველად ინგლისში ჩამოყალიბდა და შემდგომ აშშ–ი, ბალანსია დაცული მოქალაქეების რაციონალურ და ირაციონალურ ქმედებებს შორის; მთლიანობაში აღებული, გ. ალმონდისა და ს. ვერბას კვლევებმა აშშ–ი, მექსიკაში, ბრიტანეთში, დასავლეთ გერმანიასა და იტალიაში გვიჩვენა, რომ სამოქალაქო კულტურა უზრუნველყოფს დემოკრატიის სტაბილურობას.

ყოველი ხალხის პოლიტიკურ კულტურაში ერთმანეთის გვედით თანაარსებობენ მრევლის, ქვეშევრდომის და მონაწილის ორიენტაციები და მათი პროცენტული თანაფარდობა განსაზღვრავს კონკრეტული საზოგადოების კულტურის ტიპს. ქვეშევრდომის ორიენტაციების სიმრავლეს მოითხოვს ავტორიტარული და

განსაკუთრებით ტოტალიტარული სისტემები, სადაც მოქალაქეები მობილიზებული არიან უტოპიური მიზნების შესასრულებლად, აღიარებულია ერთი პარტიის და პიროვნების დიქტატი, ფლობენ ჭეშმარიტებაზე პრეტენზიას და პიროვნება გათქვეფილია კოლექტივში, სოციუმში. ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმი ყველაზე სრულად გამოვლინდა საბჭოთა კავშირში, ჰიტლერულ გერმანიაში, მაო ძედუნის ჩინეთში, მაგრამ მისი თანამედროვე ნაირსახეობები ჩრდილოეთ კორეაში, კუბაში, ისლამურ სამყაროში ძალადობისა და ტერორის მეთოდების გამოყენებით ზოგჯერ აღემატება თავის ისტორიულ ანალოგებს. ასეთი ქვეყნები იზოლირებულნი არიან დანარჩენი მსოფლიოსგან და პოლიტიკური პროცესები დაპირისპირებისა და ძალადობის ჭრილში ვითარდება. კვლავ დიდია სხვაობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციებს და შესაბამისად, პოლიტიკურ კულტურებს შორის. ერთი მხრივ, ჩრდილოეთის მიერ მსოფლიო ეკონომიკის და პოლიტიკის მონოპოლიზებამ და, მეორე მხრივ, სამხრეთის სიღარიბემ წარმოშვა დაძაბულობა ამ ორ რეგიონს შორის: ნაციონალიზმის ზრდასთან ერთად გაჩნდა ისლამური ფუნდამენტალიზმის მატარებელი ვაჰაბისტური და სხვა მოძრაობები, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ პოლიტიკისა და კულტურის ფორმირების პროცესში და წარმოშობენ სამუელ ჰანტინგტონის მიხედვით „ცივილიზაციათა შეჯახების“ პერსპექტივას. თუმცა, მეორე ტენდენციაც სახეზეა: დღეს მსოფლიოში არსებობს 60 ათასზე მეტი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ემყარებიან რა საერთაშორისო სამართლის ნორმებს, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საერთაშორისო პოლიტიკაში, ეკონომიკაში, კულტურაში. გლობალიზაციის ეპოქაში იზრდება კავშირების ინტენსივობა ხალხებს, სახელმწიფოებს, ცივილიზაციებს შორის, რაც საერთო ენის, ტერმინების, ღირებულებების, ქცევების ჩამოყალიბებას განაპირობებს, მართალია ლიბერალური, საბაზრო ეკონომიკის და პოლიტიკის პრინციპები ჯერ–ჯერობით მსოფლიო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ელიტის დონეზეა ფორმირებული, მაგრამ დღითი დღე იზრდება კულტურაში უნივერსალური ღირებულებების როლი და იგი ყოვლისმომცველ ხასიათს იძენს.

პოლიტილური კულტურის ტიპების განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით სუბკულტურებს, რომლებიც დემოკრატიის პირობებში საინტერესო მოზაიკას ქმნის და საფრთხეს არ უქმნის ინსტიტუტების სტაბილურობას, რადგანაც ყველა საკითხის გადაწყვეტა კონსტიტუციურ სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით ხდება. სრულიად განსხვავებული შედეგების მატარებელია ეთნიკური და რელიგიური სუბკულტურები გარდამავალ სისტემებში, სადაც არ არსებობს ყველასათვის მისაღები „პოლიტიკური თამაშის წესები“ და არაა თანხმობა ლიბერალურ–

დემოკრატიული ფასეულობების ირგვლივ. ბელგიის მაგალითზე ჩანს, რომ ვალონებისა და ფლამანდიელების განსხვავებული ლინგვისტური, პოლიტიკურ–კულტურული ღირებულებები არ შექმნის სამოქალაქო დაპირისპირებისა და სისხლისღვრის პერსპექტივას თუნდაც ქვეყნის ორ ნაწილად გაყოფის შემთხვევაში. ასევე, შეიძლება ვთქვათ კატალონიელებზე, ჩრდილოეთ ირლანდიელებზე, შოტლანდიელებზე და სხვა ხალხებზე, რომლებიც ცხოვრობენ დემოკრატიებში და დიდია სამოქალაქო საზოგადოებისა და კულტურის ტრადიციები. ხოლო ქურთების ან პოსტსაბჭოთა სივრცეში ერების სეცესიის პროცესი მტკივნეულად მიმდინარეობს, რადგანაც ძალადობის მეთოდებით, ტერორიზმისა და შეიარაღებული გზით იბრძვიან დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე. ასევე, ქართულ სახელმწიფო-ებრიობასთან არაიდენტიფიცირებულმა სუბკულტურებმა დააჩქარა დრამატული მოვლენები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში.

აშშ–ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის პოლიტიკური კულტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხალხის მენტალიტეტი, "ეროვნული კოდი", ხასიათი წარმოშობს თავისებურებებს კულტურაში. ამერიკელები უპირატესობას ანიჭებენ თავისუფლებას (გერმანელები, რუსები თანასწორობას), ინდივიდუალისტები და რელიგიურები არიან (რწმენის თვალსაზრისით ევროპულ დემოკრატიებში მხოლოდ პოლონელებს და ირლანდიელებს ჩამორჩებიან), დამსახურებულად ამაყობენ ქვეყნის კონსტიტუციით, რომელიც უცვლელი და უძველესია მსოფლიოში და (ვეტოსა და იმპიჩმენტის ინსტიტუტის შემოღებით) ხელისუფლების ხელახალი გამოგონების ამერიკული იდეის ხორცშესხმას წარმოადგენს. ამერიკული კონსტიტუციაში უმცირესობების ინტერესების დაცვის სასარგებლოდ ჩადებული მუხლები გარკვეული აზრით, „დემოკრატიის საზიანო" შედეგებს განაპირობებს: პრეზიდენტი შესაძლოა გახდეს პიროვნება, რომელიც არავის აურჩევია (ჯ. ფორდი) ან პრეზიდენტობის ის კანდიდატი, რომელმაც ქვეყნის მასშტაბით ნაკლები ხმები მიიღო, მაგრამ ყოველივე სრულებითაც არ აკნინებს მსოფლიოში ყველაზე მყარი კონსტიტუციის სიდიადეს; აშშ–ი სამოქალაქო საზოგადოებისა და კულტურის განვითარების პროცესში დიდი როლი ითამაშა დამოუკიდებელმა სასამართლო სისტემამ, რომლის რწმენა დიდია მოქალაქეებში. ამ ქვეყნის ხელისუფლებას და მოქალაქეებს მიაჩნიათ, რომ ამერიკული ცხოვრების წესმა, დემოკრატიამ უდიდესი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო წარმატება მოუტანა ქვეყანას და ზესახელმწიფოდ აქცია იგი, მაშასადამე, საუკეთესოა მსოფლიოში, ამიტომ მისი ტრანსპლანტაცია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში აუცილებელია, თუნდაც ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით; აშშ–ის პოლიტიკურ კულტურაში ინდივიდუალისტის საბაზრო კულტურის გვერდით თანაარსებობს მორალისტის

კულტურული ორიენტაციები და ღირებულებები; ამერიკელობის უპირატესობის განცდა პოლიტიკური კულტურის დამახასიათებელი ნიშანია, თუმცა, ერთსქესიანების ქორწინებისა და შვილად აყვანის წესის დაკანონება მთელ რიგ შტატებში, საფრთხეს უქმნის ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტს და ძირს უთხრის უმრავლესობის თანაცხოვრების ქრისტიანულ–მორალურ ნორმებს, რომ არაფერი ვთქვათ ბავშვთა უფლებების დეკლარაციის დარღვევაზე; ასევე, სრულიად განსხვავებული პარამეტრებით უნდა შეფასდეს ამერიკული დემოკრატია ქვეყნის შიგნით და გარეთ: საერთაშორისო პოლიტიკაში მისი ქმედებები, ხშირად, ტრანსეროვნული კორპორაციებისა და ზესახელმწიფოს აგრესიული პოლიტიკის ნაყოფს წარმოადგენს.

ბრიტანეთის პარლამენტარიზმის მდიდარმა ტრადიციებმა დიდი გავლენა მოახდინა აშშ–ის პოლიტიკურ ინსტიტუტებზე და კულტურაზე. ბრიტანელები მე–17 საუკუნიდან მოყოლებული უპირატესობას ანიჭებენ საზოგადოების ევოლუციური განვითარების გზას, უფრო მეტად, (ამერიკელებისაგან განსხვავებით) კონსერვატორები არიან, ამიტომაც, შენარჩუნებული აქვთ მონარქიის ინსტიტუტი, ლორდთა პალატა; გააჩნიათ მყარი დემოკრატია, რომელიც ფუნქციონირებს დაუწერელი კონსტიტუციის, ჩვეულებითი და პრეცედენტული სამართლის ფარგლებში. ისინი ნაკლებად ინფორმირებულები არიან, შედარებით ნაკლებად აქტიურობენ და მათი პოლიტიკური კულტურის მნიშვნელოვანი მახასიათებელია კანონების „სამართლიანობის განცდა“ და პარლამენტის ინსტიტუტისადმი მაღალი ნდობა: ინგლისელები თვლიან, რომ ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ლეგიტიმურია თუ მას პარლამენტმა მხარი დაუჭირა. ასევე, არც ერთ სხვა დემოკრატიაში საპარლამენტო ოპოზიციას არა აქვს იმდენი დრო და უფლებები სამართლებრივად გარანტირებული, როგორიც გააჩნიათ თემთა პალატის ოპოზიციონერ დეპუტატებს. აშშ–ის მსგავსად ამ ქვეყანაშიც წარმატებით ფუნქციონირებს ორპარტიული დემოკრატია და პარტიათა მონაცვლეობა კიდევ უფრო განამტკიცებს პოლიტიკური სისტემის სტაბილურობას. ბრიტანეთი და აშშ არის ალმონდისეული სამოქალაქო კულტურის იდეალური ტიპის პრაქტიკული გამოვლინება.

გერმანიის პოლიტიკური სისტემისა და კულტურის განვითარება, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კარგი მაგალითია დემოკრატიული ინსტიტუტების კეთილმყოფელური გავლენისა პოლიტიკურ კულტურაზე და ასევე იმედის მომცემი პრეცედენტია (განსაკუთრებით აღმოსავლეთი ნაწილის) ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიისკენ მიმავალ გზაზე მდგარ პოსტსოციალისტური ქვეყნებისთვის.

განსაკუთრებით გაუჭირდათ გერმანელებს პოლიტიკური ხელისუფლებისა და ინსტიტუტების მიმართ ნდობის ჩამოყალიბება, რადგანაც პირველი და მეორე მსოფლიო ომები, ხელისუფლებისა და ინსტიტუტების საქმიანობით გამოწვეულ იმედგაცრუების ორიენტაციებს ამკვიდრებდა მათ კულტურაში. გერმანელები დაიღალნენ მობილიზაციურ სახელმწიფოში ცხოვრებით და პოლიტიკური აპათია ჩამოუყალიბდათ. პარლამენტარიზმისა და მრავალპარტიულობის პრინციპების ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო სამოქალაქო კულტურის ელემენტების განმტკიცებას მათ ცნობიერებაში. მინიმუმამდე დავიდა დიქტატორული სახელმწიფოსა და ქარიზმული ლიდერის მოთხოვნილება. სამხედრო საქმიანობის შეზღუდვამ, იაპონიის მსგავსად, ერის ძალისხმევა ეკონომიკური აღორძინებისკენ მიმართა და ევროკავშირის ფარგლებში, გერმანიამ, სამართლიანად დაიმკვიდრა ლიდერის როლი. გერმანიის გაერთიანების შემდეგ შეიქმნა გარკვეული სიძნელეები, რადგანაც აღმოსავლეთ გერმანელებში ტოტალიტარული კულტურის მემკვიდრეობა გარკვეულ სიძნელეებს ქმნიდა ინტეგრაციის პროცესში: აღმოსავლეთ გერმანელებს სურდათ „დასავლურად ეცხოვრად და აღმოსავლურად ემუშავად," „ კედელი დაინგრა, მაგრამ კედელი მათ თავებში იზრდებოდა," ყოფილი გდრ–ში მცხოვრებლები თავს მეორე ხარისხოვან მოქალაქეებად გრძნობდნენ, მაგრამ ეს სიძნელეებიც იქნა დაძლეული და დღეს გერმანელები, ჩვენგან განსხვავებით, ანგელა მერკერს არ ახსნებენ კომუნისტურ წარსულს.

საქართველოს პოლიტიკური კულტურა ტრანსფორმაციის პროცესშია და გამოკვეთილი ერთიანი ფორმა არ გააჩნია: მასში ჭარბობს ქვეშევრდომული კულტურის ელემენტები მზარდ სამოქალაქო, აქტიურ ორიენტაციებს; უარყოფით როლს ასრულებს კომუნისტური ტოტალიტარული კულტურული მემკვიდრეობა და გარდამავალ პერიოდში არსებული ავტორიტარულ–ავტოკრატიული რეჟიმები; იგი ფრაგმეტალური კულტურა, რომელშიც სეპარატიზმს აძლიერებს ქართულ სახელმწიფოებრიობასთან და ლიბერალურ ღირებულებებთან გაუცხოებული ეთნოპოლიტიკური სუბკულტურები; ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი დახასიათება ცალკეული სეგმენტების მიხედვით, თუმცა, განვითარებული დემოკრატიების კონტექსტში მისი ანალიზი დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

ა) სახელმწიფოებრივი აზროვნების პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბების პროცესში უარყოფითი როლი ითამაშა დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაკარგვის, ნაწილობრივ შეზღუდვის, ფეოდალური დაქუცმაცებულობის, პატარა საქართველოებად დანაწევრების, სხვის სახელმწიფოში ცხოვრების და

დამოუკიდებლად არსებობის (მცირე) პერიოდებმა. ერთიანი საქართველოს მეფეების მოღვაწეობაში ჩანდა სახელმწიფოებრივი აზროვნების კულტურა. ამის მაგალითად დავით აღმაშენებელი გამოდგება, რომელმაც შუა საუკუნეებში, სადაც წოდებრიობა თამაშობდა გდამწყვეტ როლს სამართლისა და პოლიტიკის სფეროში, მოახერხა ნიჭისა და უნარის მიხედვით ადამიანების სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშვნა და საფუძველი ჩაუყარა ცოდნაზე და პროფესიონალიზმზე დამყარებულ სახელმწიფო სამოხელეო აპარატსა და რეგულარულ ჯარს. სამწუხაროდ, მეოცე საუკუნისა და ოცდამეერთე საუკუნის ვერც ერთმა ქართველმა ხელისუფალმა ვერ გადალახა ნათესაურ–გვაროვნულ, პარტიულ პრინციპზე დაფუძნებული საკადრო პოლიტიკა და გამოავლინა „არშემდგარი სახელმწიფოს ლიდერის აზროვნების“ კულტურა.

ბ) საქართველოს პოლიტიკურ კულტურაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს ტოტალიტარული კულტურის მემკვიდრეობა, რომელიც მორჩილებითი კულტურის ორიენტაციების სიჭარბეში პოულობს გამოხატულებას. პოლიტიკური კულტურის ხელისუფლებრივი გამოხატულებაა საშემსრულებლო უნარ–ჩვევების დამკვიდრება მმართველი პოლიტიკური ელიტის საქმიანობაში, სადაც „ნომენკლატურული თამაშის წესების“ გარეთ გასვლა დასჯად ქმედებად ითვლებოდა. ტოტალიტარული, „ახალი ანტროპოლოგიური ტიპის“ (ნ. ბერდიაევი) ადამიანების მნიშვნელოვანი როლი პოლიტიკურ პროცესში რეჟიმის იდეოლოგიური უზრუნველყოფა იყო. გარდამავალი პერიოდის საქართველოში ედუარდ შევარდნაძის ნეონომენკლატურულმა ელიტამ დამოუკიდებელი მართვის სრული უუნარობა გამოავლინა, სამაგიეროდ სათავე დაუდო არნახულ კორუფციას, ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით გამოიყენა არჩევნების გაყალბების ნაცადი და ახალი ქართული ტექნოლოგიები და შექმნა „გამყალბებლების პრივილეგირებული კასტა“, (რომლებმაც თავისი საქმიანობა წარმატებით გააჩაღეს სააკაშვილის ხელისუფლებაში), განამტკიცა არშემდგარი სახელმწიფოს მახასიათებლები, რომლის დადასტურებად იქცა აშშ–ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები. ყოველივემ კანონზომიერად წარმოშვა 2003 წლის რევოლუციური პროცესები.

გ) სააკაშვილის დროინდელმა პოლიტიკურმა ელიტამ განამტკიცა ავტორიტარულ–ავტოკრატიული მმართველობის ტრადიციები, ნაციონალების პარტია, საბჭოთა მმართველების მსგავსად მთავრობად იქცა, სამართლებრივად (მრავალი საკონსტიტუციო ცვლილებებით) და პრაქტიკულად, ერთპარტიულ პრალამენტზე დაყრდნობით მოახდინა ოპოზიციური აზრისა და პარტიების დისკრედიტაცია:

შექმნა ცრუ ოპოზიციის პათოლოგიური პოლიტიკური წარმონაქმნი, რომლის ამოცანა, პოლიტიკური პლურალიზმის სრული დისკრედიტაცია და ხალხში პოლიტიკური დაბნეულობის სინდრომის დამკვიდრება იყო. წარმატებების ათვლა ტოტალიტარული რეჟიმის მსგავსად ხელისუფლებაში მოსვლიდან დაიწყო. მ.სააკაშვილის პოლიტიკურ ელიტას საქართველოს ისტორიაში პირველად ჰქონდა ერთდროულად საშინაო და საგარეო მხარდაჭერა, რამაც გააიოლა ავტორიტარული რეჟიმის „ლეგიტუმურად გაფორმება.“ მ.სააკაშვილის კოსმოპოლიტურმა „პროდასავლურმა“ ავტორიტარულმა ელიტამ, ზ.გამსახურდიას ეროვნული, ეთნოპოლიტიკური შეფერილობის ელიტის მსგავსად, უარყო მემკვიდრეობითობის პრინციპი პოლიტიკაში და ფაქტორივად ცარიელი ადგილიდან დაიწყო სახელმწიფოებრივი მშენებლობისა და ქვეყნის ტოტალიტარული რეფორმირების კამპანია. ჯერ კიდევ, ბოლშევიკებმა და მათმა ლიდერებმა, რომლებიც ყველაზე აგრესიულ და უკომპრომისობის კომუნისტური უტოპიური იდეოლოგიური ორიენტირების მქადაგებლები იყვნენ, დროზე გააცნობიერეს მემკვიდრეობითობის შენარჩუნების აუცილებლობა და სოციალიზმის მშენებლობა დაიწყეს „იმ აგურებისგან, რომელიც კაპიტალიზმმა დაუტოვა“ (ვ. ლენინი). ჰეგელის მიხედვით განვითარების პროცესი „მოხსნა–შენახვის“ კატეგორიაში განიხილა, რომლის დროსაც „მოიხსნება ის რაც ხელს უშლის განვითარებას, ხოლო შეინახება, რაც ახალია ძველში“. ამ პრინციპის დარღვევას ისტორია არ პატიობს არც ერთ სახელმწიფო ლიდერს. კომუნისტური კადრების სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებიდან მექანიკური მოხსნით მნიშვნელოვანწილად, განპირობებული იყო გამსახურდიას ხელისუფლების მარცხი, ხოლო სააკაშვილი უფრო შორს წავიდა–მთლიანად შეცვალა ძველი კადრები, ნაციონალური პარტიის წევრობა აუცილებელ კრიტერიუმად იქცა ელიტის რეკრუტირების პროცესში, კონკურსები, როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე, საჯარო და საზოგადოებრივი საქმიანობის ნებისმიერ სფეროში ფორმალობად იქცა. უფრო მეტიც, დაუპირისპირდნენ ეროვნულ ტრადიციებს და ყველაზე ავტორიტეტულ ინსტიტუტს ეკლესიას და მის საჭეთმპყრობელს. ყველა საკვანძო საკითხს დილეტანტი, „21 საუკუნის ნეობოლშევიკები“[143] წყვეტდნენ, რომლებმაც წარმატებით აითვისეს არჩევნების

[143] ფაქტობრივად „ახალი ტიპის დემოკრატებმა,“ რომლებმაც „დემოკრატია თეორიაში რიტორიკისა და კოსტიტუციური დეკლალირების დონეზე დატოვეს“, მოირგეს „მინი დიქტატორების“ მანტია და თავიანთ კონტროლირებად მიკრო სივრცეში ყოველგვარ პლურალისტურ აზროვნებასა და ქმედებას დევნიდნენ. ასეთი კულტურულ ფასეულობათა სივრცე, თავისუფლების ინსტიტუტისა და ხელისუფლებასთან ახლოს ყოფნის მოტივაციით შექმნილი იყო ილიას უნივერსიტეტსა (რომელიც „გაყალბებული ექზითპოლების სამჭედლოდ იქცა“) და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, სოციოლოგიური კვლევის მასალებმა გვიჩვენა, რომ აქაური პროფესურის ნაწილი ძირითადათ პროპაგანდისტული საქმიანობით იყო დაკავებული და ალბათ ამის შედეგია მ. სააკაშვილის

გაყალბებისა და ხელისუფლების ძალადობრივი შენარჩუნების ტექნოლოგიები. პოლიტიკურ სცენაზე გაჩნდა ტოტალიტარული აზროვნებისა და კულტურის მატარებელი ადამიანების ახალი ჯგუფი, რომლებიც ხელისუფლებრივ პოზიციებს რეჟიმის დაცვის სწორხაზოვანი პროპაგანდის მეშვეობით ინარჩუნებდნენ. ნაციონალებმა მოახდინეს "სახელმწიფოს წარმატებული პრივატიზაცია," ხელისუფლებასთან ახლოს ყოფნა გახდა წარმატების მიღწევის საშუალება საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში. ქვეყანაში დაამკვიდრდა ელიტური კორუფცია, ხოლო რეჟიმისთვის სახის შენარჩუნებას ისინი ახერხებდნენ მასმედიაზე სრული კონტროლის დამყარებითა და პროპაგანდისტული სახელმწიფოებრივი მანქანის მეშვეობით. შეურიგებლობისა და უკომპრომისობის კულტურა ახალ სიმაღლეებზე აიყვანეს: 2003 წლიდან 2012 წლამდე მმართველობის პერიოდში მ. სააკაშვილისა და მისი გუნდის მიერ არნახული რაოდენობის ტყუილი და ცრუ დაპირება იქნა გაცემული: დაწყებული ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივებიდან, დამთავრებული 2008 წლის წაგებული ომის მოგებულად წარმოსახვიდან და არარსებული ლაზიკის მერის დანიშვნით დამთავრებული. მათ, უცხოელი ექსპერტების აზრით (სტივენ ჯონსი, ლინკოლნ მიტჩელი), ქართულ პოლიტიკურ სცენაზე დაამკვიდრეს „პოლიტიკური შიზოფრენია" და „აგრესიული პოლიტიკური კულტურა." პოლიტიკური ლიდერის არჩევის კრიტერიუმად კარგი ლაპარაკი და პოპულისტური დაპირებები იქცა.

გ) პოლიტიკურ კულტურაში ქვეშევრდომობისა და პატრიარქალურობის ელემენტებს განამტკიცებდა კრიმინალების პოლიტიზაციისა და პოლიტიკოსების კრიმინალიზაციის პროცესი, რომელსაც სათავე ჯაბა იოსელიანის „ეტაპობრივი მნიშვნელობის რეფორმამ" დაუდო 1985 წელს, როცა ქურდულ სამყაროს წარმომადგენლებმა „დაიკანონეს" პოლიტიკასა და ბიზნესში მონაწილეობის უფლება, ხოლო კრიმინალების ცენტრალური და რეგიონალური განშტოებები სამართლებრივად გაფორმდა შევარდნაძე–იოსელიანის, „ორხელისუფლებიანობის", დროს, როცა ქვეყანაში ქურდული მენტალიტეტი და კანონები ბატონობდა. ნაციონალების ხელისუფლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დაშვებული და დაუშვებელი მეთოდების გამოყენებით ამოძირკვეს ქურდული მენტალიტეტი ქართული ცნობიერებიდან და განდევნეს ისინი პოლიტიკური, ეკონომიკური სფეროებიდან.

ხელისუფლების დროს დემოკრატიის მუშაობით კმაყოფილების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი სტუდენტებს შორის, რომელიც სამჯერ აღემატება ევროპულ დემოკრატიებში იდენტური კვლევების ანალოგიურ მონაცემებს.

დ) ძალადობისკენ მიდრეკილება და ქარიზმული ლიდერის რწმენა საქართველოს პოლიტიკურ კულტურაში აღმოსავლური ელემენტია, რომელიც მისი განვითარების დაბალ დონეზე მიუთითებს. წინააღმდეგობისა და დაპირისპირების კულტურა კომუნისტური იდეოლოგიისა და კულტურის განუყოფელი ნაწილი იყო. ხოლო გამსახურდიას ხელისუფლების ძალადობრივმა დამხობამ და 2003 წლის რევოლუციურმა პროცესებმა სათავე დაუდეს ხელისუფლების ძალადობრივი მონაცვლეობის მანკიერ პრაქტიკას ქართულ პოლიტიკურ სცენაზე. დისიდენტურმა სუბკულტურამ და განსაკუთრებით მ. სააკაშვილის დროს „მტრის ხატის“ სერიალებმა განამტკიცეს ძალადობრივი ელემენტები კულტურაში. ასევე, თავისი როლი შეასრულა ქართულ ხასიათში საუკუნეების განმავლობაში კოდირებულმა მოუთმენლობამ, ერთმანეთის დაპირისპირებისაკენ მიდრეკილებამ, კონტრასტულმა ქმედებებმა, ვახუშტის სიტყვებით ქართველები „კეთილ–ბოროტზე ადრე მიმდრეკნი“ არიან და თუ ერთ შემთხვევაში ავლენენ არნახული ჰუმანიზმის (ვეფხისა და მოყმის ხალხური ბალადა) მაგალითებს, მეორე შემთხვევაში დაუნდობლობისა სისასტიკის ავტორები არიან. ეს მომენტიც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს სამოქალაქო კულტურის განვითარების პროცესზე.

მცირე ერებს ბუნებრივად, ისტორიულად მოსდევთ „მხსნელი,“ „გადამრჩენი,“ „გამაერთიანებელი“ ლიდერების პერმანენტული ძიება, რომელთა საქმიანობა უმრავლეს შემთხვევაში იმედგაცრუებით მთავრდება. თვითონ ის ფაქტი, რომ ხალხი ხსნას ლიდერში ხედავს და თვითონ პასიური როლის შესრულებით კმაყოფილდება, უკვე ქვეშევრდომული კულტურის დომინანტობაზე მიუთითებს.

გარდამავალ პერიოდში ყველაზე დიდი ქარიზმა ქვეყნის შიგნით გააჩნდა ზვიად გამსახურდიას, რადგანაც მის სახელს ხალხი დამოუკიდებლობის რომანტიკულ იდეებს უკავშირებდა. პოლიტიკური ინსტიტუტების არარსებობისა და მისი შეურიგებელი უკომპრომისო ბუნების გამო, ის ვერ გახდა რაციონალურ–ბიუროკრატიული ლიდერი და კვალავ დისიდენტად დარჩა ხელისუფლებაში ყოფნის დროს.

ე. შევარდნაძეს უფრო მეტი მხარდამჭერი ყავდა ქვეყნის გარეთ, ამიტომ, იგი წარმატებული საგარეო მინისტრის ფუნქციას ასრულებდა და გარკვეული აზრით ხელსაყრელი საგარეო გარემო შეუქმნა ქვეყანას გეოპოლიტიკური ფუნქციის ეფექტურად გამოყენების თვალსაზრისით. თუმცა, ვერ გათვალა ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო ასპარეზზე და დაკარგა აფხაზეთი და სამაჩაბლო. იგი დიდი დიპლომატიური ნიჭით იყო დაჯილდოებული, ფლობდა მანევრირებისა და ხელისუფლების შენარჩუნების ხელოვნებას, მაგრამ საბოლოო ჯამში ქვეყანაში

არნახული კორუფცია და ნომენკლატურული მმართველობის ტრადიციები განამტკიცა. ფაქტობრივად ნომენკლატურული ელიტის მიერ საბაზრო ეკონომიკისა და ლიბერალური დემოკრატიის პრინციპების არცოდნა–უგულებელყოფამ, ტოტალურმა კორუფციამ, სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციების მოშლამ, წარმოშვა ახალი ტიპის ოპოზიციური ლიდერი მ. სააკაშვილი.

მიხეილ სააკაშვილს საქართველოს ისტორიაში პირველად, როგორც არაერთხელ იყო აღნიშნული, გააჩნდა ერთდროული საგარეო და საშინაო მხარდაჭერა. მხოლოდ მისმა ქარიზმულმა თვისებებმა, ხალხის ენაზე საუბრისა და ხალხის ნაწილად წარმოსახვის უნარმა, განაპირობა წარმატება 2003 წლის რევოლუციურ პროცესებში და მის გარეშე ვერავითარი სოროსული დახმარება და გარედან მხარდაჭერა შედეგის მომტანი ვერ გახდებოდა. მას აღმოაჩნდა დიდი ენერგია, საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების უნარი. პრეზიდენტი ქვეყანაში პირველი პროპაგანდისტი, აგიტატორი, იდეოლოგი და დემაგოგი იყო და თავისი ენერგიისა და მოუსვენარი ხასიათის გამო წარმატებით ასრულებდა ამ მისიას. მისმა გაუწონასწორებელმა ხასიათმა და ირაციონალურმა ქმედებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა 2008 წლის რუსეთ–საქართველოს ომი. მან მოახერხა ავტორიტარული რეჟიმის „დემოკრატიის მანტიაში“ შეფუთვა და ასე წარდგენა დასავლეთის წინაშე. ფაქტობრივად მისი მმართველობის დროს დამკვიდრებულმა ძალადობრივმა მეთოდებმა ავტორიტარული კულტურის ახალი მახასიათებლები წარმოშვა, ხოლო გარეშე ფაქტორი ქვეყნის შიგნით ავტოკრატიული რეჟიმის შესანარჩუნებლად გამოიყენა (ბერძნებს ყოველთვის მიაჩნდათ „უცხო ფაქტორი“ დემოკრატიისა და სუვერენული უფლებების დარღვევად).

ბიძინა ივანიშვილი თვისობრივად ახალი ტიპის ლიდერია ქართულ პოლიტიკაში. თავისი უშუალობით, შეცდომების აღიარების უნარით, ადამიანური ფაქტორი შემოიტანა პოლიტიკაში: მასში მოქალაქეები ადამიანურ ღირსებებს, უშუალობას, გულწრფელობას და ჩვეულებრივ ადამიანურ განცდებს აღიქვამდნენ, რომლის დიდი დეფიციტი იყო ქართულ პოლიტიკურ სცენაზე. ლიდერებს ელექტორატი, ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამდე, კარგი ლაპარაკისა და პოპულისტური დაპირებების ფონზე ირჩევდნენ (ეს მომენტიც გაითვალისწინა მან: ამიტომაა მისი პროგრამა უცხოელი ექსპერტების შეფასებით, გარკვეული აზრით, „დაპირებების ნაკრები“). გამოავლინა საოცარი მოთმენის, სხვისი აზრის მოსმენის უნარი, პრაგმატული აზროვნება და რაციონალურ-ბიუროკრატიული, დემოკრატიული ლიდერის უნარ-ჩვევები, რომლის დეფიციტი ახასიათებდა გარდამავალი პერიოდის ყველა ლიდერს. ბ. ივანიშვილმა პოლიტიკური პროცესებიდან გამორიცხა ემოციური კომპონენტების დომინანტობა, უზარმაზარი მასის მიზანსწრაფვა კონსტიტუციურ საზღვრებში

მოაქცია და გამოავლინა „უკმაყოფილო მასის“ პრაგმატული და მიზანმიმართული მართვის უნარი. დაუბრუნა ხალხს ღირსების გრძნობა, მომავლის რწმენა, გაუღვივა მოქალაქეობის განცდა და დაარწმუნა არჩევნებში მონაწილეობის გზით ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლის შესაძლებლობაში; სწორად შეარჩია იდეოლოგიური ორიენტირები, დროზე გაემიჯნა წინა ხელისუფლების სატელიტ პარტიებს. არ აყვა ხელისუფლების სურვილს ჩაეთრია რადიკალურ დაპირისპირებაში. მისმა ავტორიტეტმა მოახდინა ურეიტინგო პარტიების რეანიმაცია. მხოლოდ მის სახელს, პოლიტიკურ ალღოს, გათვლებს უკავშირდება ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლა და დემოკრატიული გარემოს შექმნა მედია სივრცეში. დასავლელი ანალიტიკოსების აზრით ფული ივანიშვილს არჩევნებს ვერ მოაგებინებდა, რადგანაც ნაციონალები სახელმწიფო თანხებსაც ხარჯავდნენ ამ მიზნით და თვითონაც დიდ კაპიტალს ფლობდნენ. არაორდინარული იყო მისი საქციელი, როგორც ლიდერისა, ხელისუფლებიდან ნებაყოფლობით წასვლის თაობაზე, რომლის პირობაც მან არჩევნებამდე დადო.

ე) ხელისუფლების მშვიდობიანი, თავისუფალი არჩევნების გზით მონაცვლეობის პრაქტიკას სათავე კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ და მისმა ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა დაუდო, მაგრამ მყარი დემოკრატიის ჩამოყალიბებისთვის საჭიროა ხელისუფლების ორჯერ მშვიდობიანი არჩევენებით შეცვლა (ს. ჰანტინგტონი). სამოქალაქო კულტურის ელემენტები ნათლად გამოიკვეთა და მისი ზრდის ტენდენციაც შეიმჩნევა საპრეზიდენტო და ადგილობრივი არჩევნების პროცესში. ხალხმა გააცნობიერა ხელისუფლებაზე ლეგიტიმური ზემოქმედების მექანიზმების ეფექტურობა, რაც თავის მხრივ ამაღლებს მმართველი ელიტის პასუხისმგებლობის გრძნობას მოქალაქეების მიმართ. გაიზარდა ხელისუფლების მხრიდან ადეკვატური რეაქციის მაგალითები და ჩინოვნიკებმა გამოავლინეს ხალხის მოსმენის უნარი. მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს პარტიული დემოკრატიის პრინციპების დანერგვა. უნდა შეიცვალოს ოპოზიციასთან თანაარსებობის დინამიკა და მასში დროთა განმავლობაში დამკვიდრდეს კონსტრუქციული კულტურის ელემენტები. ნაციონალების ხელისუფლების წარმომადგენელების მიერ განუსაზღვრელი პრივილეგიების დაკარგვამ და ჩადენილმა ფინანსურმა და სისხლის სამართლებრივმა დანაშაულობებმა დიდი ფსიქოლოგიური გავლენა მოახდინა მის წევრებზე და მათი მხრიდან კონსტრუქციულ ქმედებებს აღარ უნდა ველოდოთ. დემოკრატიის განვითარების კუთხით ალბათ სწორი იქნება კოალიციის დაშლა და გამოკვეთილი იდეოლოგიური ორიენტირებისა და ღირებულებების პარტიების ფორმირება.

ვ) „დემოკრატიის უჩვეულო ადგილზე“ აშენების პერსპექტივას ზრდის ქართულ ცნობიერებაში საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული და განმტკიცებული ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობა, რომელიც ჩვენი ხასიათის განუყოფელ ნაწილს, „ღმერთისგან ბოძებულ მადლს“ წარმოადგენს. ებრაელებთან, სომხებთან, აზერბაიჯანელებთან და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი თანაარსებობის ტრადიციები დიდ დახმარებას გაგვიწევს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში და განამტკიცებს დასავლური სამოქალაქო კულტურის ელემენტებს ქართულ რეალობაში. თუმცა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სწრაფი წარმატების იმედი არ უნდა ვიქონიოთ: დასავლეთში ამ პროცესმა საუკუნეები გასტანა, ხოლო ჩვენ მიუხედავად მეტი საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ხელსაყრელ გარემოში ცხოვრებისა, პოლიტიკური კულტურის სტერეოტიპებისა და ღირებულებების მყარი ხასიათიდან გამომდინარე, უახლოეს მომავალში ამ პრობლემას ვერ გდავწყვეტთ. პოლიტიკური კულტურა არ ისწავლება უმაღლეს სასწავლებლებში, თუმცა მოითხოვს განათლებისა და კულტურის მაღალ დონეს. მის ფორმირებაში დიდია პოლიტიკური სოციალიზაციის აქტორების ოჯახის, რელიგიის, სკოლის, უმაღლესი სასწავლებლების, პოლიტიკური პარტიებისა და ინსტიტუტების როლი. ასევე, სამოქალაქო კულტურა სოლიდარული კულტურაა და საჭიროა საერთო ეროვნული ღირებულებების დაცვა ქვეყანაში არსებული ყველა პოლიტიკური ძალის, სოციალური ჯგუფის, განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის, ეთნიკური სხვა უმცირესობების წარმომადგენლების მხრიდან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწ. 1 თბ; 2008.
2. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწ. 2. თბ; 2008.
3. ილია ჭავჭავაძე. თხზ. თბ; 1984.
4. თომას მაგშტადტი. გავიგოთ პოლიტიკა. თბ; 2010.
5. კ.გოგალაშვილი ს. კაპანაძე. ევროკავშირის პოლიტიკა. თბ 2007.
6. გ. გაბრიჩიძე. ევროკავშირის სამართალი. თბ; 2012.
7. სამუელ ჰანტინგტონი. ცივილიზაციათა შეჯახება. თბ; 2001.
8. გ. ალმონდი ს. ვერბა. სამოქალაქო კულტურა და დემოკრატიის სტაბილურობა იხ ჟურნ: „სოლიდარობა“ №2(29) 2009.
9. ო. გოგიაშვილი. ილია დღეს. თბ; 2008.
10. ო. მელქაძე. ქართული კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე პრობლემები. თბ; 2001.
11. გ. აბესაძე. პოლიტიკურ-კულტურული სივრცის დემოკრატიული მოდერნიზაცია საქართველოში. თბ; 201.1
12. გ. აბესაძე. თანამედროვე ქართული პოლიტიკური სცენის აქტორები. თბ; 2014.
13. ევროპული დემოკრატიები (ჟან-მიშელ დე ვაელისა და პოლ მანიეტის რედაქტორობით). ნაციონალური პოლიტიკური სისტემების შედარებითი მიდგომა. თბ 2013.
14. ვ. ლენინი. თხზ. ტ. 19.
15. ნ. ჩიტაძე. გეოპოლიტიკა. თბ; 2011.
16. ვ. მაისაია. საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები ცივი ომის შემდეგ (1991–2004). თბ; 2013.
17. სტივენ ფ. ჯონსი. დემოკრატია საქართველოში. http.//www. cicerofoundation.org / legtures/ Stephen Jones Georgia.pdf.
18. კვირის პალიტრა 27 აგვისტო-2 სექტემბერი, 2012 წელი.
19. ლინკოლნ მიტჩელი. საქართველო: ოთხი მოსაზრება და ოთხი კითხვა ქართული არჩევნების გარშემო. http://foreignpress.ge/chven-shesakheb/4120.html.

20. თომას დე ვაალი. საქართველოს მნიშვნელოვანი დღეები დაუდგა. .http/presa.ge/new/index.phpm=politiks&AID+23653.
21. გ. ლობჟანიძე გ. ღლონტი. კანონიერი ქურდები საქართველოში. თ;ბ 2003.
22. გ. ლობჟანიძე. დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ–სამართლებრივი ხასიათის რეფორმები. იხ: საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“№2 2008.
23. გაზ „ახალი თაობა“ 2013 წლის 18 ნოემბერი.
24. ა. ტუკვაძე რ. ტუკვაძე. პოლიტიკური კულტურის ტიპები (შედარებითი ანალიზი). თბ; 2007.
25. ა. ტუკვაძე უ. ბლუაშვილი. ქართული ხასიათის თავისებურება. იხ; ჟურნალი“მეცნიერება და ცხოვრება“ 1(3) 2011.
26. ა. ტუკვაძე. ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი: ორმაგი სტანდარტები ქართულ პოლიტიკაში იხ: საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“№3(7), 2009.
27. ა. ტუკვაძე. პოლიტიკური ელიტა იხ; პოლიტოლოგია ომარ გოგიაშვილის რედაქციით. თბ; 2004.
28. ა. ტუკვაძე.“ მტრის ხატი“ ქართულ პოლიტიკაში. იხ; თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი.“ სამეცნიერო შრომათა კრებული. ტომი 3 თბ; 201.1
29. ა. ტუკვაძე. პოლიტიკური ელიტა. თბ; 1998.
30. ა. ტუკვაძე. პოლიტიკური კულტურის ტიპოლოგია. იხ; კრ „ პოლიტოლოგიის საკითხები“ თბ 2000 ნ. 2.
31. ა. ტუკვაძე. ხელისუფლების ლეგიტიმურობის პრობლემა პოლიტიკურ თეორიაში იხ: საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“№2. 2008.
32. ა.ტუკვაძე გ. აბესაძე. პოლიტიკური სუბკულტურების თავისებურებები საქართველოში. იხ: მესამე საერთაშორისო სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცია გორი–თბილისი 2012.
33. მ. ბიჭაშვილი. ლექციები პოლიტიკური ძალის თეორიაში. თბ; 2006.
34. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია 2-ის სააღდგომო ეპისტოლე. გაზ „კვირის პალიტრა’ 2009 წლის 20-26 აპრილი.
35. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პოლიტიკური გაერთიანებების რეესტრი, 012012http//www.justice.gov.ge./files/Documents/partiebis%20sia/partiebis sia.pdf.

36. ლ. ლორთქიფანიძე ა. ტუკვაძე. პარტიული დემოკრატიის პრობლემები საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“ №1(21) 2013.
37. ვ. ხოჭოლავა. პოლიტიკური კულტურა. თბ; 2001.
38. შ. ჯაფარიძე. პოლიტოლოგია. თბილისი-ბათუმი. 1995.
39. Алмонд Г. Пауэлл Дж. Стром К. Далтон Р. Сравнителъная политологиа сегодня: Мировой обзор. М. 2002.
40. Алмонд Г. Верба С. Гражданская культура и стабильность демократии. М 1992.
41. Мухаев Р. Т. Политология. М. 2000.
42. Эндрю Хеивуд. Политология. М. 2005.
43. Политология. (Мельвил А. Ю. и др). М 201.1
44. Баталов Э.Я. Политическая культура современного общества. М. 1990.
44. Дженусов А. И. Политическая культура: Концептуальные аспекты. Социально-политический журн. 1994 № 11.
45. Пивоваров Ю. С. Концепция Политической культуры в современной науке. М. 1996.
46. Политология под редакцией доктора экономических наук, професора Г. В. Полуниной. М. 2000.
47. Макаренко Э. Сушков В. Политология. М. 2003.
48.Гердер И. Г. Идеи и философии истории человечества. М 1997
49. Восленский М. Номенклатура. М. 2005.
50. Гаджиев К. С. Политология. М. 1996.
51. Чарльз Ф Эндрейн. Сравнительний анализ политических систем. М. 2000.
52. Бердяев Н. А. Правда и ложь коммунизма. Париж 1931.
53. Конратьиева Т. Большевики-якобинцы и призрак терминадора. М. 1993.
54. Ленин В.И. Пол. Соч. Т. 45.
55. Ленин В.И. Пол. Соч. Т. 6.
56. Пугачев В.П. Соловьев А. И. Введение в политологию. М. 1997.
57. Ирхин Ю. В. Зотов Л. В. Политология.М. 2001.

58. Политология Под ред. Радугина А. А. М. 1999.

59. Доброчински М. Стефанович. Самотождественность Европы. М 1979.

60. Политология Под ред. Лавриенко Т.И. М.2002.

61. Современная западная социология. М. 1990.

62. Каменская Г.В. Политическая култъура США / Мировая экономика и международные отношения / М., 1993 № 4.

63. Филимонов Г. Ю. Внешная культурная политика США как компонент "мягкой силы": диссертация кандидата политических наук : 23.00.04 М; 2010.

64. Кавказкий Акцент.№22. 2005.

65. «Тоталитарные люди»: Как им жить, как с ним быть? Народный депутат 1992 №7.

66. Туквадзе А. Особенности современной политической и правовой культури Грузии იხ: „გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები.“თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის შრომათა კრებული თბ; 2009.

66. Peter Reichel (Hg) Politische Kultur in westeuropa. Frankfurt-New York: campus Verlag 1984.

67. P.Asanishvili, A.Tukvadze. Georgia: regional stability in the transformed international system, in the journal: Central Asia and Caucasus 2005 . 3 (33), with co-author, Sweden.

68. A.Tukvadze.Transformation of the political system in modern Georgia, in the journal: Central Asia and the Caucasus 2006 2(44) Sweden.

ავთანდილ ტუკვაძე–ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

1975 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი წარჩინებით, 1975–78 წლებში სწავლობდა ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დღემდე მუშაობს სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე პროფესორის თანამდებობაზე. 1980–85 წლებში მუშაობდა ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, 1995–1999 წლებში თბილისის მართვის ინსტიტუტის პრორექტორად, 2000–2005 წლებში საქართველოს სპორტის აკადემიის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, შემდგომ დეკანად, არჩეული იყო სამართლის მიმართულების სრულ პროფესორად (2005–2008), იყო ქართულ–ბრიტანული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკური ელიტოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი (2010–2011).

1999–2003 წლებში იყო თსუ ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს წევრი პოლიტიკურ მეცნიერებებში. გამოქვეყნებული აქვს 80 სამეცნიერო შრომა, მათ შორის ხუთი მონოგრაფია, არის სამი დამხმარე და ერთი სახელმძღვანელოს თანაავტორი პოლიტოლოგიაში, რომლებიც მისი ინიციატივით და ბადრი პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდის ხელშეწყობით გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

1999 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად „პოლიტიკური ელიტის“ პრობლემებზე. 2002 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ და განათლების სამინისტრომ მიანიჭა პროფესორის წოდება. ა.ტუკვაძის შრომებში—„პოლიტიკური ელიტა“ (2004), „ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი: ორმაგი სტანდარტები ქართულ პოლიტიკაში“ (2007), „პოლიტიკური კულტურის ტიპები“ (2007), „მტრის ხატი“ ქართულ პოლიტიკაში (2011), „ხელისუფლების ლეგიტიმურობის პრობლემა პოლიტიკურ თეორიაში“ (2008), „Особенности современной политической и правовой культури Грузии“ (2009), „Georgia: regional stability in the transformed international system“, in the journal: Central Asia and Caucasus 2005 3 (33), with co-author, Sweden, „Transformation of the political system in modern Georgia“, in the journal: Central Asia and the Caucasus 2006 2(44) Sweden), —კრიტიკულადაა შეფასებული ე. შევარდნაძის და განსაკუთრებით მ. სააკაშვილის ავტორიტარულ–ავტოკრატიული მმართველობა.

ჰყავს მეუღლე–ეთერ დოიჯაშვილი თსუ ყოფილი პედაგოგი, ორი შვილი–რატი ტუკვაძე–გასაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ოფიცერი, დავით ტუკვაძე–საქალაქო სასამართლოს თანამშრომელი, ორი შვილიშვილი ვახტანგ და ლუკა ტუკვაძეები.